Ժդմուշտոն

ճշմարտությունը

Լևոն
Խրիմյան

ᲨᲣᲛᲠᲐᲒᲘᲛᲘᲡ ნაკადური

ᲠᲣᲥᲚᲣᲜᲘ,
ნოველები,
ჩანაბოქნები...

ᲔᲠᲔᲚᲘ
ᲩᲣᲛᲠᲣᲨᲘᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 2020

UDC(უაკ)821.353.1-32+821.353.1-1
ზ-544

„შემოდგომის ნადარდალი" ნაწილია იმისა, რაც ვერ დაიტია ჩემმა პირველმა წიგნმა.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ბ-ნ ელგუჯა თავზერიძეს – წიგნის რედაქტორს, ბატონებს ვახტანგ ინაურს, რევაზ ჭიღლაძეს, ქალბატონებს მაია ჭაბაშვილსა და ნათელა მელიქიძეს, რომლებმაც წაიკითხეს წიგნის ხელნაწერი და არაერთი სასარგებლო რჩევა მომცეს.

ავტორი

ISBN 987-9941-8-2647-4

ქარი წვიმას ფარდასავით აქანავებს
ანუ წინათქმა თამაზ ზერეკიძის წიგნისათვის

ლექსის დაწერას სხვანაირი, ნოველისა თუ მოთხრობის შეთხზვას განსაკუთრებული მწერლური ენერგია ჭირდება. ოსტატობასაც ნუ დავივიწყებთ, რაც უცილობლად გამოცდილებას გულისხმობს. კაი პოეტს ხშირად ცუდი პროზა გამოსვლია, პროზაიკოსს კიდევ ისეთი ლექსები შეუთავაზებია მკითხველთათვის, საშუალოზე საშუალო ნიჭის მოლექსეც რომ არ იკადრებდა.

იშვიათია, ერთი და იგივე შემოქმედის ხელიდან ლექსიც წყაროსავით მორაკრაკებდეს, მოთხრობაც ვირტუოზი მქსოველივით იქსოვებოდეს. უფრო ხშირად, როგორც გითხარით, პოეტი საშუალო დონის პროზაულ ნაწარმოებს, პროზაიკოსი კიდევ საყველპურო ლექსებს თხზავს.

თამაზ ზერეკიძე, უპირველეს მეცნიერი კაცი, თანაბარი მონდომებით თხზავს ლექსებსაც, ნოველებსაც, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მისი მწერლური სტიქია პროზაში უფრო მჟღავნდება. თუმცა მენტორული ტონით აღბეჭდილი მისი პოეტური თხზულებები ბევრ ადამიანს გაუღვივებს ქვეყნის სიყვარულს, ჩაუნერგავს წარსულის პატივისცემას, წინაპართა როლს შეაფასებინებს.

ვნახოთ ასეთი სტრიქონები:

„აგვისტოს ცეცხლში გახვეულს გორის ციხესთან მციოდა,
თავს არ მანებებს აფთარი, სულ ახლოს ტურა კიოდა.
ჩრდილოეთიდან უბერავს ყინულოვანი სიო და
ლიახვის სისხლის შხეფები ენგურს გადაღმა ცვიოდა“.

აფთარი, ტურა, ენგურისა და ლიახვის დაკავშირება გასაგებია, მაგრამ ამ სტროფში, ვფიქრობ, ყველაზე მიმზიდველი ფრაზა – ყინულოვანი სიოა, ჩრდილოეთიდან რომ უბერავს. სიო, ზოგადად, შვებას გვრის ადამიანებს, აქ პირიქით, ყინულის არტახებს უჭერს, ხუთავს.

ასეთ ფრაზებსა და გამოთქმებს მრავლად იპოვის მკითხველი თამაზ ზერეკიძის პოეზიაში. რომლებშიც მჟღავნდება მისი დამოკიდებულება არა მარტო გარემოსადმი, არამედ პოეტური მეტყველებისადმი, რომლებშიც თხრობითი მანერა ჭარბობს, რაც ავტორის პროზაული ტექსტებისადმი უფრო მეტი ლტოლვის დასტურმყოფელია.

თამაზ ზერეკიძის პროზაში: გამოცდილი და დაკვირვებული ადამიანი ილანდება მის მწერლურ ნატურაში აშკარად ხედავთ ოსტატს, ამბის კარგ მთხრობელს, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟთა ხატვის შესანიშნავ მცოდნესა და ფინალის კარგად შემგრძნობ შემოქმედს.

ზოგიერთ დიდ მწერალსაც შეშურდებოდა თამაზ ზერეკიძის ზოგიერთი ნოველის მიზანში მორტყმული ფინალი. უზუსტესად დასმული წერტილი, რაც მხოლოდ ოსტატებს ძალუძთ. ამ წიგნის ავტორიც პროზაული ტექსტების მშვენიერი ოსტატია.

„... ისე მრუდედ წვიმდა, ქოლგის ქვეშაც დასველდებოდა კაცი, – ქარი წვიმას აქეთ-იქით, ფარდასავით აქანავებდა“. თითქოსდა, არაფერი, ჩვეულებრივი რამ გეგონება, მაგრამ ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველია ასეთი რამ, მსგავსად დანახვას, აღქმას მწერლური თვალი ჭირდება.

ქარი წვიმას ფარდასავით, აქეთ-იქით აქანავებდა – ეს ფრაზა იმ ნოველიდანაა, „უსახლკარო“ რომ ჰქვია და რომელიც, მე თუ მკითხავთ, ერთ-ერთი საუკეთესო მგონია თამაზ ზერეკიძის წიგნში.

ამნაირ წვიმიან დღეს გამომაგდეს სახლიდან, ჯერ კიდევ უსახელო ლეკვი, მშობლები ადრე დავკარგე, მხოლოდ დედა მახსოვს, მამიდა მზრდიდა, რომელსაც უჟმური ქმარი ჰყავდა. იმ დღეს ჭაჭანაჭამი ინდაურივით გაბრუებული მოვიდა, პირში ლუკმა რომ დამინახა, გარეთ მომისროლაო, იგონებს ჯერაც უსახელო ლეკვი.

უჟმური ამინდი ადამიანთა გაუტანლობას ეთანწყობა, თითქოს იკვრება წრე – საძაგელი ტაროსი ადამის ნაშიერთა მანკიერ ხასიათს განაპირობებს.

იქვე, ეზოში ხუხულა იდგა, შიგ შეძრომა გადაწყვიტა, შეშის ნაპობებზე აფოფხდა, მაგრამ მამიდის ქმარმა იქაც მიაგნო. „შენ ვერ უნდა მოგიშორო?! ძლივს დავუსხლტი ხელიდან, დამახრჩობდა ნამდვილად“.

მკითხველს ამ ნაწყვეტის წაკითხვისთანავე, უჩნდება ეჭვი, ეჭვს მშობლების, მამიდის, მამიდის ქმრის ხსენება აჩენს, მაგრამ სხვა ფრაზები – „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო“ და მისთანანი ეჭვს აქარწყლებენ.

იტალიურ ეზოს შეაფარა თავი, საიდანაც ქოფაკმა გააგდო, მერე სადარბაზოში სცადა დაბინავება, იქიდან ხელჯოხიანი გამოეკიდა, შენღა გვაკლდი, ყველა მაწანწალა აქ უნდა შემოეხეტოსო.

იხატება სურათი, ძალიან ნამდვილი, ბუნებრივი, ანუ იმის ნათელმყოფი, თუ როგორ ექცევიან ადამიანები მაწანწალა, უპატრონო ლეკვს.

ამის შემდეგ ბორჯომის ვაგზალს შეაფარა თავი, იქ ვიღაც ღვთისნიერმა ყუთი დაუთმო, თან ღვეზელიც შეთავაზა, ისიც უთხრა – ჩემ შვილს მაგონებ, რომელიც შიმშილით მომიკვდაო. მისმა ნათქვამმა ლეკვს დედა გაახსენა:

„ეტყობა, ყველა ცრემლიანი დედა ერთმანეთს ჰგავს“. ძეხვეულის ქურდობაში დაოსტატდა, მაგრამ ერთხელ ჩავარდა, ისე ცემეს, სიკვდილი მოანატრეს. ამ დროს გამოუჩნდა მფარველი ანგელოზი, სკოლის მოსწავლე, რომელსაც ხატია ერქვა.

ხატიაც ობოლი იყო, ლეკვს ფერნანდო დაარქვა. მიხვდა, რაღაც აწუხებდა, მამიდის სანახავად წაიყვანა, მაგრამ იმ ქოხმახის ნაცვლად იმ ადგილას საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაეწყოთ.

ბორჯომის ვაგზალზე გაიპარა დედობილის სანახავად, ისიც მომკვდარიყო – ლეკვი დავკარგე, ჩემ შვილს ჰგავდაო – სიკვდილის წინ უთქვამს.

ხატიასთან დაბრუნებულმა ლეკვმა შეჯგუფულ ხალხს მოკრა თვალი – თურმე გოგონა მის დაკარგვას საოცრად დაენაღვლიანებინა. მივიდა, ჩაიხუტა, ხალხის თვალწინ აუსვა ენა.

ნოველის სიუჟეტის თხრობით მგონი ნამეტანი გავერთეთ. ზემოთ გითხარით, მათში ყველაზე ძვირფასი ფინალია, ფინალი დამაფიქრებელი, რაც მთავარია მოულოდნელი.

აი, ისიც:

„ბიჭს გაეღვიძა – კიბის ქვეშ ჩასძინებოდა თურმე, ოფლში ცურავდა, მზე ჯერ არ ამოსულიყო, არც გოგონა ჩანდა არსად. ბიჭმა თვალი ისევ დახუჭა და ინატრა:

– ეჰ, ნეტავი, მართლა ლეკვი ვყოფილიყავი“.

მოულოდნელთან ერთად, ბევრი რამის მთქმელი ფინალია, ადამიანის ბედი და ძაღლის ბედი, ხანდახან ძაღლისა რომ უფრო სანატრელი გამხდარა და მისთანანი.

ერთი სიტყვით, მშვენიერი ნოველაა, სასიხარულო უფრო ისაა, რომ თამაზ ზერეკიძის წიგნში ასეთები მრავლადაა.

გითხარით, კაი მთხრობელია-მეთქი. ეს კი პროზაში ბევრ რამეს ნიშნავს. ამიტომ ვცადე, ერთი ნოველის თუნდაც სქემატური ანალიზით დამეინტერესებინეთ.

ამ წიგნის წამკითხველი ბევრ საინტერესო ადამიანს გაიცნობს, უამრავ ამბავს გაიგებს, ყველა კაცი ამბავიაო, რომ ამბობენ, აქაც ასეა.

წაიკითხეთ, დარწმუნდებით.

ელგუჯა თავბერიძე

ლექსები

მე საქართველო მტკიოდა

აგვისტოს ცეცხლში გახვეულს გორის ციხესთან მციოდა,
თავს არ მანებებს აფთარი, სულ ახლოს ტურა კიოდა,
ჩრდილოეთიდან უბერავს ყინულოვანი სიო და
ლიახვის სისხლის შხეფები ენგურსგადაღმა ცვიოდა.

ცრემლს ღვრიან ქართლის ბაღები, ვენახი კარდანახული,
ზამთარში თოვლი გამიწყდა, აღარც მზე მათბობს ზაფხულის,
კიდევ დუჟინი ჯავრი მკლავს, ცოცხალი, არ დამარხული,
ამ წუთს ვიკვნესე გარეჯი, გუშინ – ოშკი და ხახული.

არც ილია მყავს, არც ვაჟა, არც მე ვარ გალაკტიონი,
მცხეთას წევს ხმალდახარჯული ერეკლე ბაგრატიონი,
შვილიშვილებიც წასულან – კახაბერნი და შიონი
და მდგმურებს გაუძარცვიათ აქეთა კავკასიონი.

ურვამ თვალები გამიშრო, ცრემლი გულიდან მდიოდა,
ვეცადე ბოღმა მეყლაპა – ყელში არ გადამდიოდა,
ვხედავდი, ბედი ხვალისა უფსკრულზე გადადიოდა,
და ჩემ ტკივილზე ძლიერად მე საქართველო მტკიოდა.

თავისუფლების ძებნაში ჭირი გათავდა აღარა,
ერთი ბრძოლაც ვერ მოვიგე, უქმად მიგდია ნაღარა,
ავაზაკებმა წაბილწეს ჩემი მიწა და ჭაღარა,
უცხოტომელი მკარნახობს: სად „ჰო“ უნდა ვთქვა, სად – „არა“.

სოფლად მამალის მაგიერ უსამართლობა ყიოდა,
ერთხელ არ დამიჩივლია, როცა მე თავად მშიოდა,
მაგრამ ზოგს გრამი არ ჰქონდა, ზოგს ტონა გადასდიოდა,
მტერთაგან დაჭრილის გარდა ეს საქართველოც მტკიოდა.

ღამე

იდუმალო ღამე,
მთვარე შენ და ცა მე,
მასვი ნამი შენი,
დარდი დამიამე.

ღამე, უტყვო ღამე,
უკუ ვითვლი წამებს,
მხოლოდ შენ მოგანდობ,
ფიქრებს განაწამებს.

ღამე, ბრძენო ღამე,
სად შენა და სად – მე?
იქნებ თავი ჩემი
მაპოვნინო სადმე.

ღამე, ცივო ღამე,
არც კი მომესალმე!
ნუთუ ვერ მიცანი,
მე ვარ, ოღონდ სხვა მე.

ღამე, გულქვა ღამე,
წყვდიადს ათამამებ,
მე რა დაგიშავე –
ღამე, მითხარ რამე!

წავალ, დაგშორდებით,
ზედმეტი ვარ აქ მე,
თავად მომაკითხავს
მალე დიდი ღამე.

მგელბიჭა

ვარ მოყმე მთაში შობილი, შვილი ერთგული თუშისა,
მოყვრისთვის ცხელ გულს ვატარებ, მტრისთვის – გაყინულს, უშიშარს,
ნაღდ სტუმარს ხინკალს მივართმევ, მომხვდურს ალიყულს მუშტისა,
ჩემი სიტყვაა ბეჭედი, განა ნაფხრეწი ბუშტისა.

კაცს ვამჯობინებ პირნათელს, არ ვარ მოყვარე კუშტისა,
რაცა მაქვს, საპყარს ვურიგებ – ქებას ვინ იტყვის ძუნწისას,
მტევანს რომ ობოლს მივართმევ, კუდს დავიტოვებ ყუნწისას,
სამშობლოს კვნესა გულს მიკლავს, როგორც გოდება მუნჯისა.

არწივებს შორის გავზრდილვარ, მიმინოდ – არა ქორადა,
დუშმანი ბევრჯერ ვატირე – არ გეუბნებით ჭორადა,
მტერი კვლავ შემოპარულა, დღესვე მივდივარ ბრძოლადა,
ერთი ვიყავი მგელბიჭა, უნდა გადვიქცე ორადა.

ქალაუ, ცრემლი დამალე – სახლში ვით დავრჩე მძორადა,
მხოლოდ თვალებზე გაკოცებ, ჯერ ტრფობა გვქონდეს შორადა,
მოვკვდე და ქვრივად დაგტოვო – არ მიმაჩნია სწორადა,
წავალ, მტერს ძმობას ვასწავლი – მოვალ, მოგიყვან ცოლადა.

ჩემი სამშობლო

ქართლი ბოძია – იმედი ჩემი, საყრდენი სვეტი,
არ გამაჩნია უძვირფასესი მე მასზე მეტი,
ბრძენი კახეთი – მუხლჩაუხრელი მკლავი-გონია,
ქართლის არ იყოს, აქაურობაც ჩემი მგონია.

იმერეთი ხომ კარგად აღზრდილი სიყვარულია,
ის მიმიხვდება, ამ მიდამოში ვისაც უვლია,
გურია ჩემი – ახალგაზრდობის ცელქი ნატვრაა,
ხალისისა და სიკეთის მეტი, აბა, აქ რაა?!

სამეგრელოა ჩემი მიჯნური, ერთგული სატრფო,
უამრავია მასზე მლოცველი – განა ვარ მარტო.
აფხაზეთი ხომ – ჩემი ტკივილი, ჩემი ოცნება,
უძღებ გველეშაპს ჩემგან მოწყვეტა მისი რომ ნებავს.

ჩემი აჭარა – თავბრუდამხვევი მშვენიერება
ნენეა ჩემი და ნუღარ მკითხავთ, სად მემღერება,
გმირი სვანეთი სიამაყეა საქართველოსი,
ვეთაყვანები კაცობითა და ნამუსით მოსილს.

რაჭა - სიდინჯე, დარბაისელი ჩემი სიკეთე,
თითქოს პაპაა – შვილიშვილისთვის აკვანს მიკეთებს,
იქვე ლეჩხუმი – მონატრებული ჩუმი სიმშვიდე,
ლეჩხუმელები მოსასვენებლად გულებს მიშლიდნენ.

ტაო და სამცხე – ქვეყნის სინდისის ერთი განძია,
აქ წინაპარმა სული შთაბერა კლდეში ვარძიას.
ჯავახეთი და ძველი მესხეთი – ნდობა და რწმენა,
აქ გავიზარდე და რუსთაველით ავიდგი ენა.

პატარა ფშავი, დიდი ვაჟა და ულევი მუზა,
რა ვქნა რომ მიყვარს – მე ამ სიყვარულს ვერაფერს ვუზამ,
ხევსურეთისა მომნატრებია სიტყვის ღირსება,
რას არ მივცემდი, ერთი ფიცვერცხლიც თუ მეღირსება.

მთიულეთი და იქეთ თუშეთი – ჩემი სიწმინდე,
ხევში ხევისბერს ძმობა შევფიცე მთათა სიკვდიმდე,
ყველა ეს მხარე ჩემი სუნთქვა და ჩემი გულია,
ჩემი სამშობლო მათგან შეკრული თაიგულია.

იდგა აგვისტო

მეხის ბილწ ხარხარს გამოქცეული ელვა ელავდა,
ბოროტი არსი მოღალატეებს ბოღმით აქუფრებს,
სამშობლოს დარდი გათენებამდე გადამთელავდა –
ავი ფიქრების ლეგიონებმა შხამით დამფუტკრეს.
იმ სალოცავში რომ შევავედრე დედა სნეული,
სატანა იქვე სპას აგროვებდა გველად ნაკურთხევს,
თვალუწვდენელი უძღებ სტომაქით გამორჩეული,
ყელსა სჭრის ნდობას – სიყვარულის და ძმობის ქვაკუთხედს.
ღამენათევი მბორგავი მთვარე ქვეშაგებს იცვლის,
ზარბაზნის ლულებს ქერა ქილერი არგებს მაყუჩებს,
სასოწარკვეთა უიმედობას იმედში მიცვლის,
გადამთიელი ჩემს მოსაკლავად ტყვიებს აქუჩებს.
აღელდა ზღვა და როგორც ყოველთვის მოიგდო ქაფი,
საფლავის ქვების უხმო ღაღადი უფრო მაურჩებს,
ორჯერ ცხენმოკლულს მეტი აღარ მაქვს ხმალი მარქაფი,
მტარვალებს ღმერთი ბინძურ საქმეემბს მაღლა გაურჩევს.
***
აწ გარდაცვლილი იმედის გულში ტყვიის კვალია,
სისხლის და გლოვის ცრემლი უნახავთ ბევრი ამ ქუჩებს,
შუქი რომ მოჩანს – წინაპრის ძვლების ნაღვერდალია,
ზურგში დაჭრილი დედა ქართლისა ბალღებს აყუჩებს,
გაზაფხულებზე ვარდის ფურცლებში გამოწყობილი
შემოდგომის პირს შავი სამოსით დამასაჩუქრეს,
გუშინ დავმარხე უერთგულესი ჩემი ძმობილი,
ჩემი სახლ-კარიც გადაუბუგავთ ველურ მანქურთებს.
მეგონა ფიქრებს თავის ადგილზე ისევ დავსვამდი,
მაგრამ . . . აქამდე მრუშების მგმობელს ჯავრი მამრუშებს.
მთელი ცხოვრება მშვიდობისმყოფელ ბადაგებს ვსვამდი,
ახლა კი უკან ბალღამის წვენი ამოვაფურთხე.

ყველაზე უფრო დროა აქიმი – ვიცი მაგდენი,
უცხო რამ ჯავრი შემომეკედლა, უწყლოდ მამტუტებს,
წითელ ლიახვში საკუთარ საფლავს რომ მივაგენი,
ათი სიკვდილი ვერ დამავიწყებს დროის ამ წუთებს.
აგვისტოს დაჭრეს ჩემი ობოლი ჯიში და გენი,
ვერ გადვიხადე მამის ორმოცი – ესეც მაწუხებს,
დამუნჯებულ დროს ახლა თუ მხოლოდ უთრთის ბაგენი,
დრო მოვა – შევკრებ ჩემი სხეულის კუთვნილ ნაკუწებს.

შემოდგომის ნადარდალი

ფიქრად მსტუმრობს რიგრიგობით ხან ნათელი, ხან – წყვდიადი,
ხან სამეფო სუფრასა ვშლი, მენატრება ხან ხმიადი,
ყალყზე დგება მეცხრე ტალღა, დამთრგუნველად გულზვიადი,
დიდი ღამე აღესრულა, იგვიანებს განთიადი.

მირბის რაში უგზოუკვლოდ, გზად წინ უდევს ველი ჭანგის,
სოფელს მტერი შესევია – გმირი იბრძვის, მხდალი გარბის,
ზღვათა შორის მოფარფატევ, ზღვად ქცეულა შენი დარდიც,
ბედჩაგრულო ჩემო მიწავ, ეჰ, ნეტავ რად შემიყვარდი.

მირბის რაში უგზო-უკვლოდ, სისხლნადენი ეკალბარდით,
მინდობილი ბედისწერას - უცხო სულის, უცხო თარგის,
გზაზე ნისლი გაშოტილა, ნაზამთრალი სევდა ბარდნის,
ავაზაკი მგზავრებს ძარცვავს განურჩევლად ავის, კარგის.

გულთა კარი ჩარაზულა, მოსდებია ბოქლომს ჟანგი,
დიდხანს გვასვეს ღვარძლის ბანგი – დაუგია მტერს ხაფანგი,
დიდ-პატარა, ქალი, კაცი, აღჭურვილი ეკლით ზღარბის,
უვიციც და მცოდნეც დარგის, თავს იწონებს ჭკვასიჭარბით .

მირბის რაში უგზოუკვლოდ, ნადირთ ხროვა მისდევს ხარბი,
მომავალი მირაჟს უგავს, ბედ-იღბალი – მღერას ნარდის,
სამართალი გარდაცვლილა, ბოროტებას არვინ არ სჯის,
ობოლ ბატკანს მგლის კანონით ისევ თავად მგელი განსჯის.

მირბის რაში უგზოუკვლოდ, გზას ვერ ხედავს რამე ვარგისს,
დატვირთული ცოდვის ბარგით, ძველებურად ვეღარ დარბის,
მირბის რაში უგზო-უკვლოდ, მეშინია უფსკრულს ვარდნის,
მკვრადშობილა განთიადი – მოდის ღამე ისევ დარდით!
***
მადლი არამად ქცეულა, სიყვარული – სიძულვილად,
გულში სითბოს ვიღა ჩივის, გულში უკვე აღარც გრილა.
ვერ ვიხსენებ, პირმცინარი როდის ვნახე ბოლოს დილა,
ექვთიმე და თამარ მეფე?! – შადიმანიც აქ გაზრდილა!

გორის ციხის გალავანთან ომი ბევრი გადახდილა,
მამა-პაპა აქ დავმარხე, მეგობარიც – ჩემი კბილა,
მართა ბებოს სათნოება მახსენდება ოჰ , რა ტკბილად,
ქალის ერთი თბილი მზერა სიყვარულში გადაზრდილა.

ჩამქრალია ჩემი კერა, მეზობელიც გარდაცვლილა,
ჭიშკრის კარი მორყეულა, სახურავი გადახდილა,
სულიერი არვინ არ ჩანს, ნაკვალევი აქ წაშლილა,
კედელს ბზარი გასჩენია, სავსე ქვევრი სულ დაცლილა.

მოღებული სარკმელიდან საკვამური გამოჩრილა,
გაძარცვულა კარ-მიდამო – თითქოს წყევლა შემოჭრილა,
გველიც სადმე იქნებ ბუდობს, – ჩანს, რომ უნდა ვიყო ფრთხილად,
ეჰ, სამშობლოვ, ვინ გაგწირა? ვაჰ, სოფელო, ეს რა ქმნილა!

აქეთ ბოღმა – იქით შური, სიმართლეც კი ტყუილს გვესვრის,
შუღლით მორწყულ ნიადაგში, მტრობად ყვავის გესლის თესლი,
გაზაფხულის მახარობლის მე ჭიკჭიკი აღარ მესმის,
ორფეხება ბოროტებას მოუშლია ბუდე მერცხლის.

ძირს ფართხალებს თოთო ბარტყი, ჯერ პატარა, ფრთასაც ვერ შლის,
მამა კედელს ეხეთქება, თმაგაშლილი დედა კვნესის,
ვარდი ჩუმად იცრემლება, კანკალებს და ნიავს ეკვრის,
გული ყელში მებჯინება, ჩემი ცრემლიც მისას ერთვის.

მამულს ფასი დავარდნია, ზეობაა ოქრო-ვერცხლის,
ვიღაც უცხო, ცულით ხელში, პაპისეულ ჭერმის ხეს ჭრის,
ძველი წელი სულსა ღაფავს, ხმა არ ისმის ახლის მეკვლის,
შარშანდელი წლევანდელს სჯობს, უარესი მელის მერმისს.

ჩახერგილა მისასვლელი და შამბნარი ეზოს ერტყმის,
კაკალია დასაბერტყი, მაგრამ ვის აქვს თავი ბერტყვის,
– ვინახავდი ძმაო შენთვის,– ღრუბლის შავი ქულა მეტყვის,–
ირგვლივ კაცი აღარა გყავს, ანაბარა დარჩი სეტყვის.

ვერც ფიალა ვეღარ ვნახე – სადღეგრძელო ვეღარ შევსვი,
ვნახე მხოლოდ ნამსხვრევები უბედური ჩემი ქვეყნის,
სიტყვაც მხოლოდ მძიმე მოდის, იმედი მაქვს აღარც ღმერთის,
რა უიღბლო გავჩენილვარ - მომსწრე გავხდი ქვეყნის შერყვნის.
***
დიდ ვეზირად აღავლინეს მორჩილებით, განა გვარით,
ხელმწიფისგან ჯილდოს ელის სულმოკლე და მათხოვარი,
მოწყალების რიგში დგანან კაციცა და ნაკაცარიც,
უგვანოთა დაფასება, რა თქმა უნდა, აქაც არის.

არაკაცთა შემხედვარე გული გასკდეს სადაც არის,
აქ ტაძრიდან მოუპარავთ ანთებული კელაპტარი.
უფალია უცხო მხარეს – ჭირვეულობს ზენა ქარი,
ღმერთის ტახტზე კაცი ჯდება ოქროს ზვინთან შენაყარი.

ფლიდი ცოლი ქმარს ატყუებს, ცოლს ღალატობს მრუში ქმარი,
პირჯვარს იწერს ყელზე ჯვარით, გარეთ – კრავი, შიგ – აფთარი,
უფალს გულში გასჩენია უნდობლობის, თურმე, ბზარი,
ჩვენვე თუ ვერ ამოვავსეთ, ვაი, ჩვენი თავის ბრალი!

დარეჯანთან მჭერმეტყველებს ლუარსაბი გამაძღარი,
უპატრონოდ გადამხმარი ბაღ-ვენახი უწყლოდ არის,
გაქცეული სევდას ებრძვის ცას შემყურე უცხო მხარის,
ვშიშობ, ჩვენთვის დახურულა უფლის გულის ფართო კარი.

ვერ ვიხსენებ როდის იყო – დრო გასულა უხსოვარი,
მეხრეს სახრე დაუგდია, გაუხდია ჯარს აბჯარი,
ეს სოფელი არ მეცნობა, ეს სოფელი უცხო არის,
ამ ეზოში ვარდი დავრგე, ამოსულა რად ჭინჭარი ?

აღარ ვიცი, რა ვიგლოვო, რომელი და სად რა ჯავრი,
აღარც ღმერთმა არ ისმინა ცოდვილების სათხოვარი,
მაძებარი წვეთი ცვარის მთის ფერდობზე ბღავის ცხვარი,
სულსა ღაფავს ასწლოვანი ბერი მუხა ნამეხარი.

ზარბაზნების ყეფა ისმის – არ ისვენებს ის მზაკვარი,
მკვდრების ველზე ერთად წვანან მხედარი და სახედარი,
გაუთელავთ ბაღ-ბოსტანი, შეულეწავთ ფუძე-კარი,
ცხრა სოფელი დაუგდიათ გადაბუგულ-გადამწვარი,

ნამუსახდილ ქალიშვილი – გაზაფხულის სუნთქვის დარი,
ხიშტით გულში დაცხრილული გოგოს მამა – ზედ დამკვდარი,
აკეპილი მოძალადე – ცულით ხელში საქმრო ბღავის,
ლიახვისპირს ქვა ტიროდა, წყალი იყო ცრემლგამშრალი.

ჩემს ჭიშკარსაც ამჩნევია პირუტყვების ნატყვიარი,
გადამთიელს ძმათა შორის გაუვლია აქ საზღვარი,
გულამოცლილს აღარ მესმის დღისით მზის და ღამით მთვარის,
აღარ მესმის არც ბუტბუტი მობუტბუტე ტატოს მტკვარის.

პირტიტველა უცნობ გმირთა მიაბარეს ცხრა ცხედარი,
ოდითგანვე ასე იყო, დღესაც იქნებ ასე არის:
ხალხი გმირებს არ ივიწყებს, მასთან ცოცხლობს ომში მკვდარი,
ზოგიერთი ცოცხალი კი მკვდარზე უფრო არის მკვდარი.

ნაცნობ ადგილს ვერ ვპოულობ, მექცა, ალბათ, სადმე მხარი,
დაწმენდილი სიტყვის ნაცვლად ბილწის მოჩქეფს ნიაღვარი,
ვინ კი ვინმე ბრძენი ვნახე - უიმედოდ სულჩამკვდარი,
მათი სიტყვა არვის ესმის, ახშობს ბრიყვთა ნაბოდვარი.

ჯერ მაცოცხლებს თბილი სიო წარსულიდან მონაბერი,
სანამ კიდევ ცოცხალი ვარ – ვერ ვიქნები სოფლის გერი,
სულით-ხორცით ამ ცის შვილსა სხვისი არ მაქვს ერთი ღერი,
გული დამაქვს გაფილტრული, ერთგულება – განაცერი.

პურს თონისას გეახლებით, ღვინოსა ვსვამ მხოლოდ ქვევრის,
სათნოება ვნახე ბევრი, უკეთური – ბევრზე ბევრი,
ადრეც გვყავდა გაიძვერა, ცბიერი და ქვეყნის მტერი,
ქერის ორმოს გვპირდებოდა, ხალხს არ ჰქონდა როცა ჭერი.

მენატრება წრფელი ხალხი, გულმრთელი და ძმის იერით,
დალოცვა და ჭერის ახდა ნამდვილ მრავალჟამიერით,
ყმაწვილების სიჩაუქე, დარიგება ჟამ-ხნიერის,
ჩემი ზღვა და მინდორ-ველი – საჩუქარი ღვთისმიერი.

გაქრა არსი გონიერი, ჭკუას გაცდა ერი-ბერი,
მზეჭაბუკი, ხეიბარი, მახინჯი და მშვენიერიც,
აღრეული ვეღარ ვიგებ როდის ვტირი, როდის ვმღერი,
სიფხიზლეს რომ ვერ გავუძელ, შხამი ვსვი და მეც დავთვერი.

როცა იწვის ობლის კვერი, როცა გული ვეღარ მღერის,
როცა ყელზე გებჯინება შენივე ძმის ხანჯლის წვერი,
როცა ჭკვიანს მოძღვრავს შტერი, როცა ნეკას უფრთხის ცერი,
როცა ლურჯფერ ალმასს ჯაბნის ყალბი ქვისგან მონაჭერი.

როცა ვერცხლი ლაპლაპებს და ოქროს ადევს სქელი მტვერი,
როცა თაღლითს სწყალობს ერი და მშიერი წვება ბევრი,
როცა ჩაგრავს სათნოებას ბოროტი და ღონიერი,
როცა ყბედობს უგუნური, ჩუმად არის გონიერი.

სადაც ფქვილი ქატოდ რჩება, არ საცერობს არც საცერი,
სადაც მახინჯს თავს დაუხრის ანგელოზზე მშვენიერი,
სადაც ღვთიურ ბაღნარს უჯობთ ტკბობა ერთი წამიერი,
ნუთუ ეთქმის იქ ხალხს ერი, მითუმეტეს, ბედნიერი?!

ჰეი, ქართველნო!

ჰეი, ქართველნო ! როგორ გაარჩევთ ტყუილს და მართალს,
როცა თემიდა თაღლითად იქცა და ხუჭავს ცალ თვალს,
როცა კანონებს ის გაიძვერა ობობა ხლართავს,
როცა ხელმწიფე ეშმაკის ძღვენით აზდაკსაც თაფლავს,
როცა სამართალს აღზევებული სიცრუე მართავს.

ხელისუფალო! ვით ააცილებ ქვეყანას ავ თვალს,
როცა დავითის, თამარის დარი არცერთი არ გყავს,
როდესაც ტახტზე გმირის მაგივრად მასხარა აგყავს,
როცა ქალ-ვაჟნი უცხო მხარეში მონებად გაგყავს,
როცა მეგზურად სიბრძნე კი არა, სიხარბე დაგყავს.

პოლიციელო! ვერასდროს აღკვეთ კაცი რომ კაცს კლავს,
როცა არ იცი ქურდი და მრუში ამდენი რად გვყავს,
როცა იცი და ვერას უხერხებ საკუთარ ამქარს,

მტრების მაგივრად როცა ეწევი ცოლ-ქმარის თვალთვალს,
როცა კანონი, სინდის-ნამუსი, ფასს ასე კარგავს.

მასწავლებელო! როგორ ასწავლი შეგირდს არჩევას,
თუ თავად გიჭირს ავი საქმისგან კარგის გარჩევა,
როცა აღმზრდელი საშოვარზეა – სული არ რჩება,
როცა მოძღვარი არვის სჭირდება, არც გვყავს სარჩევად,
როცა მოძღვრობა საქმედ ითვლება გადანარჩევად.

ჰეი, აქიმნო! როგორ გაიგებთ სნეულის ავ-კარგს,
როდესაც ფიცი ჰიპოკრატეს ფიცს საერთოდ არ ჰგავს,
როცა ექიმმა ზუსტად არ იცის თირკმელი სად დგას,
როდესაც ზოგჯერ იმ წამლის ფული თავადაც არ გაქვს
და ავადმყოფი, ხელმოკლე თუა, – სიცოცხლეს კარგავს,

მიწის მუშაკნო! როგორ მოიყვანთ ყანაში მარცვალს,
თუ ყანის პატრონს ათი მარცვლიდან ვუტოვებთ სამ ცალს,
როდესაც ობლის გამომხმარ მიწას ართმევენ სარწყავს,
როცა ძლიერნი შეუბრალებლად ძარცვავენ საწყალს,
როცა ვაჟკაცნი ლუკმაპურისთვის იწყებენ წანწალს.

ჰეი, ოსტატნო, მჭერმეტყველნო და ღვთის მსახურნო,
დიდ სოვდაგარნო, ლამაზმანებო და უსახურნო,
ყოვლად ქართველნო, ვისაც უფლისა გჯერათ ან არ გწამთ,
საშოვარებზე გადაგებულნო, ვინც სად ხართ ამ წამს,

თქვენკენ მომავალს კითხვა-ტკივილი რაღაცა მახლავს –
სისხლი და ხორცი ან ნათესავი მე მეტი არ მყავს,
ჰეი, ქართველნო, მამულიშვილნო, მითხარით სად ხართ,
იქნებ თქვენ იცით, გმირთა ქვეყანას რა სჭირს და რა ხრავს?!

ისევ ტიროდა კავკასიონი

კავკასიონი ისევ რად ტირის?
ქართლის თვალიდან ცრემლი რად
წვეთავს?
დიდი ოცნება გარდაიცვალა?
ყალბი გამოდგა იღბლის
დაკვეთა?!

დარდით სავსეა დედა თბილისი,
მოწყენილია თურმე
არგვეთაც,
ჩაუქინდრიათ თავი ქალწულებს,
ისმის ჩურჩული ნაწყენ
ბაგეთა.

მთიდან ზვავები ისევ ჩამოდის,
ობოლის კვერი ისევ არ
ცხვება,
ზამთარი წელსაც უთოვლო იყო,
ივლისის თვეში ისევ
დაცხება.

ყოველ ნაბიჯზე ორი გლახაკი,
და კიდევ მეტი –კაცი
ბოგანო,
ზოგან ხვავია კოკისპირული,
შიმშილი აწვიმს კვლავაც
ზოგანო.

ქორი წიწილას ისევ იტაცებს,
და სამართლამდე კვლავ არის
შორი,

ქურუმებისთვის ცეკვავენ ისევ
ის მოსამართლე და
პროკურორი.

გომბორზე დაძრწის სეტყვის ღრუბელი,
ისევ ატირდა გლეხი
მალულად,
უტიფარ კაცთა დოღია დიდი,
უსინდისობის – ისევ
მარულა.

მგელი რომ იმ კრავს ისევ ცილს სწამებს,
წლისაც არ არის დღესაც
ბეჩავი,
მაღაროელს ნთქამს კვლავაც ქვესკნელი,
ყვირილა არის ისევ
ბედშავი.

იმ კასრში ცხოვრობს კვლავ დიოგენე
და სოვდაგარი უფრო
გაკეთდა,
ვიგინდარებმა ჩემი ქვეყანა
დაინაწილეს ნაკვეთ-
ნაკვეთად.

მტრის ჯარიკაცი ისევ თავს მადგას,
ისევ ლენგი და ისევ
აბასი,
კაცის ღირსება – მხოლოდ შაური,
კაცის სიცოცხლე – ერთი
აბაზი.

შადიმანები არ დაილია,
ისევ გაცემა, კვლავაც
ღალატი,
ვაჟკაცთა საძვლო ისევ იცვლება
ბინძური ვერცხლით ნაქარგ
ხალათში.

მოყვასი მოყვასს სულში აფურთხებს,
უხამსი სიტყვა ენას კვლავ
ცვეთავს,
მრავალთა გულში მხოლოდ დარდია,
კვლავ აღლუმია მაძღარ
სახეთა.

ტყვეთა ბაზარზე მონად გამყიდეს,
მამლუქობაა დღესაც
ქართველთა,
უცხო მიწაზე დაასაფლავა
იმედი ჩემი
სასოწარკვეთამ.

ისევ ღამე და ისევ სიცრუე,
და მტკვარი რიონს ისევ არ
კვეთავს,
ხიდი ბეწვისა ვერ გავიარეთ –
არც იქითა ვართ და არც
აქეთა.

და იჯდა ისევ ჯალალედინი
გუმბათგადახდილ თავზე
სიონის,
ისევ სდიოდა მყინვარს ცრემლები,
ისევ ტიროდა
კავკასიონი.

მშობელო ღვთისა

წამსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელოს სვამს ჩემი თაობა,
ოცნებად მექცა გარეთ მშვიდობა, გულში დარია,
ჰოდა, ვიფიქრე, სანამ ვიქცევი არარაობად,
წყალობა გთხოვო, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

მიგდებულ ქვევრში ღვინო წამხდარა, მასვეს ძმარია,
გაწყდა ბალახი, უცხო მხარეში გარბის ცხვარია,
შენი რჩეული გმირთა სამკვიდრო ცოცხალ-მკვდარია,
მირჩიე რამე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

ახალ დროებას ვერა გავუგე, ძველიც დაობდა,
ჩემ სამშობლოში გზააბნეული დაძრწის ქარია,
კეთილი ბოროტს თავს რომ უხრიდა, არც კი დაობდა,
კვალი მიჩვენე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

ხელმრუდეებმა არა დატოვეს მოსაპარია,
სოფელს დაუკლეს უკანასკნელი გუთნის ხარია,
გუშინ ტაძრიდან ყრმის კელაპტარიც მოუპარიათ,
სამართალს ვეძებ, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

მსურს გავეყარო ღირსებააყრილ უმოძრაობას,
სიცრუე დუმდეს, მხოლოდ სიმართლის ჟღერდეს არია,
მიწა-წყალისთვის თავდასადებად გვქონდეს მზაობა,
ბრძოლა მასწავლე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

დღეს ეს ქვეყანა ისე უძალო და საპყარია
ჯიშის და გვარის გადარჩენაზე საუბარია,
განგების გარდა იმედი არ ჩანს ოდნავ მყარია,
არ მიმატოვო, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

ყოფილა, თურმე, ნუში ყვაოდა, სიო გრილობდა,
ოდესღაც იყო სისხამი მშვიდი, ბინდი – წყნარია,
ჩასძინებია ქართველი კაცის ნაქებ ზრდილობას,
გამოგვაღვიძე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

ბოლო ომიდან პირშეუკრავი დამრჩა იარა,
ქართულ მიწაზე ქართული მოკლეს მონაგარია,
არვინ იფიქროს, რომ ამ ტკივილმა გადამიარა,
წამალს დავეძებ, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

უფალმა იცის, მტრობას და ცრემლებს მე ძმობა მიჯობს,
მაგრამ მსურს შვილი ვერაგ მომხვდურთან მეომარია,
რათა დუშმანმა ჩემი დაჩაგვრა ხვალაც არ სინჯოს,
ერი მიმრავლე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

გადააფარე ჩემს დაჭრილ მამულს მცველი ფარია,
შენი კურთხევა ვინც მოიპოვა, ნეტარ არიან,
ღვთის სიყვარული არ მომიშლია – ეს მიხარია,
გზა დამილოცე, მშობელო ღვთისა, წმინდა მარიამ!

ვალად მქონდა ერთი ლექსი

გამოგონილი სიზმარი

შემოსულიყო საღამოს ბინდი,
მზე ჩასულიყო ცხელი ზაფხულის,
სიზმარში შემხვდა ჩემი სიბერე –
ჟამის შვილი და სევდის ნათლული.
მხოლოდ ხურჯინი მიჰქონდა ბარგად –
დარდებით სავსე, გულით ნაკლული,
ემზადებოდა გადასასვლელად
სულ ოდნავ ქვემოთ, – ერთი სართულით.

შემომხაჯვოდა ახალგაზრდობა,
მხარზე მშვილდით და ამურის ისრით,
ამ გზაზე ბევრი სიამე ვნახე,
ბევრიც მიღვრია ამ გზაზე სისხლი.
ნალებგაცვეთილ ჯაჯლაგს ვაჩქარებ –
ზეცას მიმავალს უფალი მიცდის,
მაგრამ ცის კარი ჩაუხერგიათ,
გადმოუყრიათ ბილიკზეც ნისლი.
აწყვეტილიყო იანვრის ქარი,
ლიახვის პირას სისინი ისმის,
მიტოვებული ჩემი ბავშვობა
მელოდებოდა იმ ქოხში, – ისლის.
ჩემს თავგადასავალს ფიქრად ვუყვები,
უყვარს მოსმენა სიმართლის,– შიშვლის,
შემორჩენილი სინდის-ნამუსი
ყალბის მოყოლას სიზმარშიც მიშლის.
გულთა თვალები ქმნილა უჩინო,
დამჭკნარა მზერა, ღიმილიც – თბილი,
სატუსაღოდან ვეღარ გავრბივარ
მრავალჯერ მკვდარი, ერთხელ შობილი,
გუშინ იღბალსაც უღალატია, –
არც ის ყოფილა კეთილშობილი,
ცოდვების ხეზე ნაყოფს ვდარაჯობ
მრუშ სამყაროში ერთი ცოდვილი.
წუთისოფელის უდაბურ ზღვაში
გაჩერებულა დროის კომპასი,
ხელში ნატეხი შემომრჩენია,
ერთ დროს ერთგული ძველი გორდასი,
პატრონგარდაცვლილ ძველმანსღა ვგავარ,
ყმად მიბარებულს ღარიბ ლომბარდში,
ბედი კობრასებრ მომჩერებია,
მაღრჩობს კუდივით ანაკონდასი.

ჩემს ბედ-იღბალთან ნარდის თამაშში
დუ-შაში, ჯიბრზე, ერთიც არ დავსვი,
ბოროტი სული ისევ ხითხითებს,
განრისხებული ჟამი ისევ მცდის,
ბუკიოტების კვნესად ჩამესმის
ოქროს მუსიკა ანცი მოცარტის,
სიცოცხლის ყანწი რადგან არ მასვეს,
მოწყურებულმა შხამის ბოცა ვსვი.
იქ შორიახლოს არავინ იყო –
თავად დავიდე ხელზე ხუნდები,
ქანცგაცლილ თითებს ვერ ვიმორჩილებ –
ყულფის გამოსკვნას დიდხანს ვუნდები,
სიკვდილი საფლავს ცოტა დიდს თხრიდა:
– თუ დაიღლები, გადაბრუნდები!
– სად გეჩქარება? –მირჩევს სიცოცხლე,
– იქით რომ წახვალ, ვერ დაბრუნდები!

განწყობისთვის

“ჰეი, თქვენ, თანასოფლელნო! არ გადავსულვარ გონიდან, უბრალოდ, ლექსით ცელქობა და ჩახუტება მომინდა!“

ერთხელ, სოფლად, წვიმიან დღეს

მასპინძელმა ღვინო გვასვა.
თუმცა არა! ღვინო არა –
ოცნებაა, თავანკარა,
ატენური!
ტკბება ყველა – დიდ-პატარა,
 გაღმელიც და
აქეთურიც!

სუფრა გახლავთ ძველკაცური:
კიტრის მწნილი, საწებელი,
თან მწვანილი,
ბლომად მწვადი შამფურებით,
მასპინძელის თონის ცხელი
ლავაშები
და პურები.

ყველა სიტყვა-სადღეგრძელო,
წყნარი, ტკბილი,
ჩაღვენთილი თაფლად ყურში,
უკან აღარ ბრუნდება და
ბინას იდებს იქვე,
გულში.
ვსვამდით სამნი, თონის გვერდით,
ფანჩატურში.

ვსვამდით ძველი მეგობრები,
ფიალებით, დინჯად,
ყლუპ-ყლუპ.
მასპინძელის ბავშვი მორბის
ჩვენკენ.
სკუპ-სკუპ.
მორბის ნელა, კუნძულ-კუნძულ, გუბე-
გუბე,
ლოყაწითელ ყმაწვილს მოაქვს
დარჩეული თხილით სავსე
უბე.

გავიხსენეთ ხეტიალი
ჭალა-ჭალა,
მთა-მთა.

მეგობარი მეკითხება:
– გახსოვს, გუნდა რომ ესროლე
ჩემს გულისწორს,
თამთას?

გამეცინა:
– მახსოვს! შენ კი სულ გაფითრდი,
დაემსგავსე
ზამთარს!
გაეცინა მეგობარსაც:
– კიდევ კარგი!
მივვარდი და ვუფერთხავდი
კალთას,–
სწორედ მაშინ მიხვდა
თამთა –
ყოფნა მსურდა მხოლოდ
მასთან.

ყოვლადწმინდაც რომ დავლოცე,
პურს ვაკოცე,
წამოვედი ფეხით,
გზა-გზა,
ხასიათზე ისეთზე ვარ,
გავფრინდები! – თითქმის
მზად ვარ.

მოდის წვიმა,
წვიმა ღამის,
რბილი, თბილი, მშვიდად –
წვეთ-წვეთ,
ბატის ჭუკი ჭრელ იხვს მისდევს,
ხელში ვიყვან ჩემზე
ჩერჩეტს.

აქ დავრბოდი ბავშვობაში
ჭენებ-ჭენებ –
ცელქი,
ცელქი!
ვფიქრობ, იქნებ გავაჭენო
ძველებურად კიდევ-
მეთქი!

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკაპ,
წვეთავს წვეთი.
შემეკედლა ყურის ძირში
ონავარი, მათგან
ერთი.
აი თურმე, ცეროდენა
მოგზაურობს რატომ
ამდენს,–
სულ მომიყვა, ჭორიკანა,
იდუმალი ზეცის
ამბებს.

დავდნე თუნდაც, ახლა უკვე არ
მადარდებს.
და იმატებს წვიმა
წუთ-წუთ,
წამ-წამ.
წვეთი თმიდან დაბლა ცვივა,
ეკიდება ზოგი
წამწამს.

ორღობეში მოგოგმანობს
ხოხობივით გოგო –
ჩუმ-ჩუმ.

– რა გოგოა! - ყური მოვკარ
ატმისა და ჭერმის
ჩურჩულს.
განაპირა ალუბალი
ჩუქნის გოგოს ორ წყვილ
კუნწულს.

გოგოს მოსდევს კოხტა ბიჭი,
კვალ-კვალ,
ბიჯ-ბიჯ,
მოკლე-მოკლე
ნაბიჯებით.
ახლავს ძაღლი.
ძაღლი ნაზი სიყვარულით
უყეფს გოგოს:
ჰამ!ჰამ!
მასაც მოსწონს კოხტა გოგო –
კოხტა პატრონს მოსწონს
რადგან.

ყველგან დასდევს უტყვი
მეტყველს –
შარა-შარა,
უბან-უბან,
ტყე-ტყე.
გაინაბა ძაღლი უცებ,
აღარ მესმის მისი
ჰამ!-ჰამ!
გრძნობს, რომ რაღაც კარგი უნდა
მოხდეს ახლა,
ამ ღამ!

ძაღლს სარძლოსი მოერიდა,
გაიხედა გვერდზე,
იქით,
ბიჭმა გოგოს რომ აკოცა,
ძაღლმა ენა
გაილოკა.
გავიგონე, ჩუმად რომ სთქვა:
იფ-იფ!

მოვდიოდი ღიღინ-ღიღინ,
კუნჭულ-კუნჭულ, ღობე-
ღობე,
სიყვარულსაც წავუმღერე
სტროფი ჩემი,
ორიოდე.

გზაზე მისწრებს ცქნაფა ბავშვი,
ხტუნვა-ხტუნვით,
ასკინკილა,
გოგო-ბიჭი ტირიფის ქვეშ
შეფარებას
არც კი ცდილა,
ერთგულების ფიცი გვესმის მე და
იქვე გარინდებულ
ჩუმ რუს.
გადაიღო. ცამ ღრუბელი მოიცილა.

ვარ სველი და ბედნიერი,
მიყვარს ყველა –
ერი-
ბერი,
კიდევ – ბევრი!

საძმაკაცო კართან მიცდის,
გამორბიან ჩქარა-
ჩქარა:
ძაღლი – წკავ-წკავ, კნუტი –
კრუტ-კრუტ,
ლეკვიც! – ჯერ პატარა,
მეტიჩარა!

ვეფერები ყველას, ყველას,
თითო-თითოდ, ცოტა-
ცოტა.
კნუტმა ხელი ჩამომართვა,
ლეკვმა გულზე
შემაბოტა.

ცოლიც ჩემი მხვდება თბილად,
სველს მამშრალებს, თან
მარიგებს ბუზღუნ-
ბუზღუნ:
– ღვინოს უნდა დაყოლება!
შეელიე თანაც
თუთუნს! –
მაჭმევს თვითონ, ლუკმა-
ლუკმა.

ვეუბნები:
– ძველებურად ვეღარა ვსვამ,
მიდის საქმე უკან-
უკან.
ბავშვებს სძინავთ. ვერიდები ხმაურ-
გუგუნს,
შუბლზე ვკოცნი ჩუმად-
ჩუმად.

რა კარგია, როცა წვიმს და
სახლში ხედავ სითბოს
ღუღუნს.
რა ტკბილია გახსენება
თუ რა იყო ზოგჯერ
უწინ,
სიყვარული რომ ხმაურობს,
როცა კენტი ხდები
ლუწი.
***
რაც გინახავს ვეღარ ნახავ –
გამიგია, კარგად
ვიცი!
ჰოდა, რაც რამ კარგი ვნახე,
ვუფრთხილდები –
დამაქვს გულში,
ფიქრით,
ციმ-ციმ!

მოდი, გელი!

გვტოვებს
წელი
ძველი –
ცოტა მნელი.

მოდის წელი –
ნელი,
გრძელი,
ჯერ უთქმელი.

წელო ჩემო,
იმედია არ იქნები
ხელი,
ბნელი.

იყავ
ქველი,
მხსნელი,
ყველა წელზე
გემრიელი.
გონიერი,
ბედნიერი,
გაახარე ერი მთელი.

მთიბავს მიეც ცელი
და მინდორი ვრცელი,
რძე – ვინც ძროხას წველის,
ქალ-ვაჟს – ტრფობა მწველი,
მთესველს – სარგებელი,
მოყვასს – ჯანი მრთელი.

წამოიღე დღე ნათელი,
პური, ყველი,
ცოტა ღვინო
და სანთელი.
ცხვრად აქციე მგელი,
წამლად – შხამი გველის.

მოდი, წელო –
გელი!

ფიქრი

ერთი, ორი, სამი,
სამი, ორი, ერთი –
ვითვლი.
ჩქარა-ჩქარა ვითვლი!
ვითვლი ფიფქებს.
ერთი, ორი, სამი –
გამალებით ვითვლი,
ვითვლი ფიფქებს,
ვითვლი ფიქრებს.
რომელია მეტი ? –
აი, ეს მაფიქრებს!
ფიფქებს მოსდევს ფიფქი
ფიქრებს მოსდევს ფიქრი:
ვისთვის კვდება ფიფქი?
ჩუმი სიკვდილისკენ
ფიფქი რატომ მიჰქრის ?
ვერ გამოვთქვამ
სიტყვით,
თუმცა უკვე
მივხვდი –
რატომ არის
ბევრი,
ფიფქზე
ბევრად
ბევრი,
ფიქრი!

ხე

ძაღლი ყეფს, კაცი ყავყავებს,
ნიავი დაჰქრის და დარდიმანდობს,
წყარო – მიბარებს გვიან საღამოს,
დღეს საიდუმლოს ისიც გამანდობს.
ხე?
ხე მაღალია, სხვაზე მეტს ხედავს,
სხვაზე მეტს ფიქრობს და მეტსაც დარდობს,
მაგრამ ვერ ნახა ჯერ კაცი სანდო,
გულისტკივილი ხეთა რომ აანდოს.
ამიტომ –
ხე ფიქრობს,
დარდობს და ...
არაფერს ამბობს.

მიჯნა

იყო კაცობა და ვაჟკაცობა, იყო ქალობა,
დედის მანდილი,
იყო სამშობლო, იყო მიზანი – სიზმრადაც ვნახე
სწორედ
ამ დილით.
იყო სიმართლე, სინდის-ნამუსი, პატიოსნება,
კაცის ღირსება,
ყოფილა ხორცზე სულის ზეობაც. არ ვიცი, ხილვა
თუ მეღირსება.

იყო მშობელი, მამაშვილობა, უფროსისადმი
პატივისცემა,
იყო მტერი და სანდო მოყვარე , ექვსი ჯეელი ერთ კაცს

არ სცემდა.
იყო პირობა და იყო სიტყვა, ულვაში კაცის, ნამუსის ქუდი,
იყო ქალწული, სიძვის დიაციც, იყო წმინდანი და ჯიბის ქურდიც.

იყო შეგირდი, იყო ოსტატი, თავი ერისა და ხევისბერი,
იყო გვარი და სანათესაო, ბრძენი ხალხი და ერთობა-ერი,
იყო ბავშვი და იყო ყმაწვილი, ზრდილი ჭაბუკი, დინჯი ხნიერი.
იყო სოფელი, სავსე უბანი, ჩემი ქალაქი – სათნო იერის.

იყო სატრფო და იყო მიჯნური, ჯერ ნიშნობა და მერე ქორწილი,
ოღონდ ქორწილი ქალის და კაცის, ხან ზომიერი, ხანაც მოზრდილი.
დღეს ყველასა აქვს თურმე უფლება ვისთანაც უნდა ბუდე მოიწყოს,
დღეს ჩოხოსნები ქორწინდებიან – თავისუფლება თურმე მოითხოვს.

რაც იყო, იყო? ადამიანებს ღმერთის მოსმენა თურმე არ ნებავთ?
ადამს რომ ქმნიდა, ღმერთმა იცოდა, თავისუფლება რასაც ავნებდა,
ედემ ბაღიდან თავნებობისთვის გამოაძევეს არსი თავნება,
კაცს – კაცისა, ფრინველს – ფრინველის, დამჯერ არსებას ღმერთი არ ვნებდა.

ქუჩაში დაძრწის მიუსაფარი ოთხფეხა ძაღლიც –
თავისუფალი.
საჭმლის შოვნაა მისი მიზანიც, მისი შემქმნელიც
არის უფალი.
მასაც ჰყავს სატრფო, მტერი-მოყვარე, დედა, მამა და
ჭირისუფალიც,
ოღონდ არ ესმის არსი სიტყვების: ცოდვა, ზნეობა,
თავის უფალი.

პირუტყვიც სუნთქავს, პირუტყვსაც უყვარს, პირუტყვიც
ხედავს, პირუტყვიც გასცემს.
ადამიანო, ღმერთის დადებულ მიჯნას რომ შლი, ღმერთს
პასუხს რას სცემ?
ადამის მოდგმავ, სულს დავუბრუნდეთ – იქნებ არ იყოს
ჯერაც გვიანი!
თუ არ სინდისი, თუ არ ზნეობა, თუ არ ღირსება, მაშინ
რაღაა ადამიანი?

შებინდებისას

თუმც მუხლი ძველი აღარ მაქვს,
მიმძიმს მოქნევა ნიჩბისაც,
ზნე-გული კვლავაც მომყვება,
გონებაც კიდევ მიჭრისა.

ჩამოვჯექ, ხილვა მეწვია,
სულში სიამეს მიყრისა–
ჭირნახულს ვაბინავებდი,
ნაჯაფარს ჩემი სიყრმისა.

მაჭარი გიჟს გავს, ისე დუღს,
ბორგავს და სარქველს იხდისა,
ხილი პირწმინდად გავკრიფე,
გარდა ჯერ მკვახე შინდისა.

ამ შემოდგომის მიწურულს
ვფიქრობდი – აღარ მიჭირსა,
ბუხარსაც ავაგუზგუზებ,
ცეცხლს მივცემ, ავი რაც მჭირსა.

ზამთარი რაღას დამაკლებს
უღელგამოვლილ ძველ ვირსა,
შერჩენილ ბედსა და იღბალს
სიტყვას არ ვეტყვი მეტს ძვირსა.
...
უეცრად სახე იცვალა,
მე არ მიხმია მისთვისა,
უძღებ ჟამს მოუგზავნია,
ბატკანი ნებავს ღვთისთვისა.

მივხვდი, სიკვდილი ყოფილა,
ურცხვად რომ ჩაიკისკისა,
თქვა – ხილვა არ ვარ, მაცნე ვარ,
ვინც კაცთ სიცოცხლეს იმკისა.

გზის ბოლოს, როცა გაიგებ,
უნდა იცხოვრო რისთვისა,
წუთისოფელი წამმზომით,
დროს სწორედ მაშინ გითვლისა.

ბოლო სიმღერას არ გაცლის
გაჩუმებს, უკან პირს გჩრისა,
გაცნობა მსურსო იმ ყმისა –
ღმერთიც მაღლიდან გითვლისა,

თავს ვერსად დაემალები,
გრამიც არ გქონდეს იჭვისა,
ავსაც და კარგსაც სინდისი
უკლებლივ ყველას იტყვისა.

ჰოდა, ადექი, გამომყევ –
უფალი უკვე გიცდისა,
იმ სოფელს ორი კარი აქვს,
ორიდან ერთზე წილს ყრისა.
...
რა მექნა, ავდექ, წავყევი,
სიკვდილი ჩემ წინ მიდისა,
თუმცა, რატომღაც მშვიდად ვარ –
გული სულაც არ მიმდისა.

დაწყებულ საქმის ღალატი,
სინდისმა ვერ ისინდისა,
იმ ქვეყნად დარდი მიმყვება
დაუკრეფავი შინდისა.

მოვბრუნდი, გამოვეპარე,
სიკვდილი მარტო მირბისა,
ვიცი, დამასმენს ოხერი,
ჯავრს არ შემარჩენს – იყრისა.
...
დაფეთებულმა შევძახე–
ვაიმე! ღმერთი მიცდისა.
თურმე სიზმარი ყოფილა –
ჩამძინებოდა ბინდისას.

ავდექი, კრეფა დავიწყე
შეთვალებული შინდისა.
ღმერთი ბარაქას მითვლის და
სიკვდილი ბოდიშს მიხდისა.

სახლი

ზარი ერთი, ორი – ნეტავ ვინ გამიღებს?
მუნჯი კარის მიღმა ხმას არავინ იღებს!
არც „ახლავე“ ისმის, არც კისკისი შვილის,
და არც სანატრელი სუნთქვა შვილიშვილის.

სახლი ცარიელი, დიდი კუბოს დარი,
უგრძნობი და ცივი, უჟმური და მკვდარი,
ნაცრისფერი სევდა გულს აოხრებს ჯავრით,
ღამის უდაბნოში უწყლოდ მოვხვდი მგზავრი.

კაკუნია კარზე, კარზე ვიღაც არის –
დახმარებას ითხოვს ქალი უცხო გვარის,
ყველა ლუკმას ეძებს, ყველა ეძებს სითბოს,
არ ვყოფილვარ მარტო – მაინც მცივა თითქოს.

საუკუნე გადის, საუკუნე მოკლეს,
ირეკება ზარი, ზარი არის მოკლე,
– მამა, რა გაბრაზებს, მამა, რას ბურტყუნებ?
– შვილო, ხუთი წუთი უდრის საუკუნეს!

რა კარგია სახლი, შიგ თუ ვიღაც არის.
და ის ვიღაც არის შვილი, ცოლი წყნარი.
რა ცუდია სახლი, თუ იქ დაქრის ქარი,
და იქ მეგობარი გელოდება არვინ.

კაცი რას არ ეძებს, კაცი რას არ ითხოვს –
თურმე რა მარტივი არის დებულება:
სახლი არის სახლი, სადაც სუნთქავს სითბო,
სადაც შენიანი ხალხი გეგულება.

სამნი ძველ ქალაქში..

სადაც ყალბი ზეობს,
ნათელს ბნელი ერთვის,
ქალაქი ჩანს ერთი –
ჩემი აღარ ეთქმის,

ახლა ის ჰგავს ღალატს,
ძლივსღა ნახავ კეთილს,
ჩანან მხოლოდ სამნი:
კაცი, ეშმა, ღმერთი.

კაცს უფლობა ნებავს,
კაცს უფლისა შურდა,
გულნატკენი ღმერთი
გამწყრალიყო, დუმდა.

კაცი სინდის ყიდის,
ეშმას მონა სურდა
ეშმა იძენს სინდისს,
კაცი აძლევს ხურდას.

კაცი – უსინდისოდ,
კაცი ღმერთს განუდგა,
საქმე არის ცუდად,
საქმეს ჭირი უდგას.

ეშმა – ვერცხლის კვერთხით,
კაცი – ეშმას ფეხთით,
უსინდისო არსი
ცხოვრობს ღმერთის გვერდით.

კაცი ითვლის ალაფს,
კაცო, ჭკუით-მეთქი!
ეშმა გეგმავს ღალატს,
გამდგარია ღმერთიც.

სიბრძნე გვმართებს, ხალხო,
ამ მთებს ისევ ახსოვთ
ძველ ქალაქთან ახლოს
გველეშაპი სახლობს.

ღალატი

შინაგამცემმა მისცა ნიშანი –
ციხე დაეცა.
წაასხეს ტყვე და მიაქვთ
ალაფი.
სულით მდაბალი, სულის სანაცვლოდ,
შემოსა მტერმა ვერცხლის
ხალათით.

ცოცხალ არსებას ყველას აქვს ცოდვა,
ზოგს დააქვს ცოდვის მთელი
კალათი,
ცოდვა – პატარა, ცოდვა – მოზრდილი,
ყველაზე დიდი – ქვეყნის
ღალატი.

კაცი იცნობა ავბედით დროში,
ფასი სიცოცხლის რომ ხდება
გროში,
როცა მჟღავნდება ვინ ერთგულია,
ვის ეშმა უზის სულგაცლილ
მძორში.

არის დრო-ჟამი, უნდა არჩიო
ეს რომელიმე ერთი გზა
ორში:
ცბიერი არსის ყალბი სიცოცხლე,
ანდა კაცური სიკვდილი
ომში.

გზას მიუყვება ჯოჯოხეთისას
მამულს ვინც ხელს ჰკრავს, სატანას
ლოშნის,
არცერთ გამყიდველს არ შეერგება
მტრის ბოძებული პური,
არც ქოში
და მოღალატე თუკი იქნები,
საშვილიშვილო წყევლით
გათოშილს,
ამ ქვეყანაზე უგემურ სიკვდილს,
სიკვდილი გიჯობს, იქვე,
საშოში.

მამულისათვის შეუწირია
ერთგული გული ვინ მოსთვლის
რამდენს,
უსიყვარულოდ არ აშენდება,
უსიყვარულოდ ვერ შესძლებ
ამდენს.
სიცოცხლის აზრი როცა გამანდეს,
მას შემდეგ მუდამ ეს ფიქრი თან
მდევს –
თავის სადგომი ღორსაც კი უყვარს,
კაცი არ ჰქვია ღალატის
ჩამდენს.

ერთგულების ტვირთს ზიდვა სჭირდება
სასუფეველის კარის დიდ
ქვამდე,
გველმაც კი ერთხელ ყრმას უპატრონა,
აკვანი ჩვილის თურმე რომ
ანდეს.
მე რომ შადიმან ვყოფილიყავი,

არ მივიყვანდი საქმეს
აქამდე –
ფურთხით გაჟღენთილ საფლავში წოლას,
თავს მოვიკლავდი
დაბადებამდე.

გაქცეულ სიტყვას ვეღარ დაიჭერ –
თავს, როგორც წესი, ყველა
იმართლებს,
მეომარს შვენის მამაცი გული,
ერის მოძღვარს კი – გონის
სინათლე,
მშობელი მიწის ცილისწამებით
ღალატის დარი ცოდვა
იმატებს,
ყველა არ ითქმის სიმართლე თუნდაც –
მიხვდები ალბათ, როცა
ინათლებს –
თევდორე მღვდელმა მტერთან იცრუა,
ყორღანაშვილმა კი სთქვა
სიმართლე.

დიდი სიფრთხილე გვმართებს ძმობილო –
ერთხელ ღალატი ღმერთსაც
მიუდგა,
ძნელად დაიჭერ – ყველგან გაძვრება,
სახეც კაცისას ძლიერ
მიუგავს,
დაუფიქრებლად გაჰყიდის დედას,
თუმცა დედის რძე მაინც კი
უნდა,
არ დახოცილან თურმე შადიმან,
ყორღანაშვილი და არც
იუდა!

პირით ქარისკენ დავდგები

იმ ღამეს მთვარე არ ენთო,
სადღაც კიოდა
ზარნაშო,
შენს ფანჯარასთან ვდგავარ და
ნაღველიან ფიქრებს დარდად
ვშობ.

რა ვქნა, სიყვარულს ვერ გიმხელ –
ენა არ მომდევს, განა
შნო,
მე გული ლამის გამექცეს,
შენ კი გგონია
ვთამაშობ.

თუ კიდევ ერთხელ ხელსა მკრავ
გაგებუტები, წავალ
შორს,
პირით ქარისკენ დავდგები,
რომ ეს ცრემლები
გავაშრო.

დაგელოდები

დამწუხრებულა დაისი,
თვალს მარიდებენ კორდები,
ოი, მაცდურო სიზმარო
გულქვაო, – არ მეორდები.
ქალაუ, ასე რად მწირავ,
ასეთი რა მაქვს ცოდვები?!

ცრემლების ზღვაში შევტოპე,
ვიხრჩობი, არ გეცოდები?!
მე ყვავილები დავკრიფე,
შენ კი ჩურჩულებ – ვთხოვდები,
მაგ ღიმილს თუკი მომაკლებ –
სიკვდილთან დავმეგობრდები!

ანკარა სიყვარულისთვის
დღე-ღამე ვწერე ოდები,
წყაროზე წმინდას, ცადაწვდილს,
წამართმევ? – ვეღარ ვცხონდები.
სასოწარკვეთა მესტუმრა,
სევდისპირს ერთად ვგოდებდით,
ლამის გამისკდეს ოხერი,
კვლავ გულში რომ მიგორდები.

უწინ კლდესავით ამაყი
დავეცი, ვეღარ ვსწორდები,
მე ისევ შენზე მაბოდებს, –
მე ისევ შენ გელოდები.
მოგონებებში ვერ წამშლი –
ფიქრებში ვერ დამშორდები,
პირველ სიყვარულს ახსენებ? –
პირველი მოგაგონდები.

იქნება ძალა არ მეყოს –
ვზიდო ლოდები როდემდის,
იმედი მაინც მაჩუქე,
თუნდაც სულ ცოტაოდენი.
ამქვეყნად დრო თუ არ მაცლის,
იმქვეყნად დაგელოდები –
ჩემკენ გზას მოგასწავლიან
კეთილი ანგელოზები.

მოდი, ვიმსჯელოთ

ზოგი სიკვდილი ზვავზე შლეგია,
არც კი დაგაცლის კაცს ზიარებას,
ზოგი ნისლივით მოგეტმასნება,
ხიბლავს ტანჯვების
გაზიარება.

დიდი ხნის წინათ პირი გაიხსნა
მოურჩენელმა ნაიარებმა,
სიკვდილის მაცნემ თვალი შემავლო,–
მას შემდეგ სტუმრად
დაიარება.

მითხრა, რომ თითქოს სიცოცხლის ხეზე
აზრი არცერთი საღი არ ება,
ადამის შვილნი ვერ ვბედავთ თურმე,
მწარე სიმართლის
აღიარებას.

ჯერ გულისყურით ვუსმინე დიდხანს,
ბევრი ვიფიქრე, ვუთხარი ბოლოს:
– შენ, უკვდავების დიდო სიმბოლოვ,
ჩემო სიკვდილო, – დავსხდეთ,
ვიმსჯელოთ:

ბატონო ჩემო, გეტყვი სიმართლეს –
მსურს ნაცრად ვიქცე, განა ვიხრჩოლო!
აქ არ ვაპირებ მარად დარჩენას,
ბოლო ღერამდე ჩაწვა მსურს
მხოლოდ.

წუთისოფელი წარმავალია,
დღეს მოქცევაა, ხვალ კი – მიქცევა,
ზღვა უხომალდოდ უნდა გავცურო –
ვის კაცი ჰქვია, ასე იქცევა.

ოცნებები მაქვს ჯერ კიდევ ბევრი,
მაშ გააუქმე შენი მიწვევა.
წამოვალ მაშინ, იმედგაცლილი
ბოლო ოცნებაც რომ წაიქცევა.

გაღმა ქვეყანა მარადი არის?
მაშ გვიან მივალ – არ დაიქცევა.
რა მეჩქარება წასვლა სოფლიდან,
შენი საუფლო სად გაიქცევა?!

ხვალ რა იქნება, არავინ იცის,
არავინ იცის, სად არის ბოლო,
ჯერ სოფლის ვალი არ მომიხდია,
ჯერ ცოცხალი ვარ, ბოლოს და ბოლოს !

***

და კიდევ ერთი:
მოწყალე არის მაღალი
 ღმერთი –
სულ ტყუილად მთხოვ შებმას
ხუნდების,
წამოგყვე კიდეც – შვილი რომ მიხმობს,
ხომ იცი, უკან
გამოვბრუნდები.

სითბო

ხელში - ორი ჩანთა
და გაბმული ზარი,
ტკბილად გადაღლილი
სოფლიდან ვარ მგზავრი.

კარისაკენ მორბის
ბავშვის ჩქარი სუნთქვა,
– პაპა მალე მოვა, –
ბებიამისს უთქვამს.

ერთი კვირის თავზე
ჩახუტება, კოცნა,
ტკბილი სუნთქვა მეკვრის,
ყელზე ხელებს რომ მწნავს.

ხინკლის ფარშის სუნი,
– ჩანთა ამოცალეთ!
– ფქვილიც გიყიდია, –
უჰ, შენ გენაცვალე!

ლოდინებში გადის
საუკუნე თითქოს,
ყელში მოფერებას
სულ პატარაც ითხოვს.

ერთი შვილი ცომს ზელს,
უმცროსი კი ახვევს:
– ნახე, ჩემი სჯობნის,
მამა, შენს მონახვევს!

– შენ რა წამოგიღო?
ლუდზე გარბის სიძე –
სიძე გვიყვარს, მაგრამ
ქულებს მაინც იძენს.

საიდანღაც მოდის
სხვანაირი სითბო:
– რა ვქნა? შენც ლუდს დალევ?
ვეუბნები კი –თქო.

დათა ცომს ასწორებს
ცომში ხორცს დებს სანდრო,
ცოტა უადგილო
სევდა მოდის ამ დროს:

რა იქნება, ღმერთო,
აღარ იყოს ომი,
ბავშვებს ეთამაშოთ
მხოლოდ ხინკლის ცომით.

მოთუხთუხე ქვაბი,
ოხშივარი ხინკლის.
ორი, ხუთი, შვიდი,
ბავშვი ხინკალს ითვლის.

ნაოჭები შვენის
თვრამეტი და ოცი,
არავის აქვს თავი
კიდევ ცოტა მოცდის.

თეფშზე გაშოტილი
შოშმინდება ნელა,
შემცბარია თითი – –
„ცხელია, მე ველა!“

გატიკნული დადის,
ცოტა ხანში ბიჭი –
არა, ვერ წაართმევ,
აქვს ბიჭს ჭამის ნიჭი!

მეზობელი მოდის,
ცხოვრობს ოდნავ ზემოთ,
– მანდ რას დგახარ, კაცო,
მოდი ჩქარა, შემო!

სავსე სასმისი და
ჭახა-ჭუხი ჭიქით,
სიტყვა ტკბილი იცის,
გვლოცავს აქეთ-იქით.

არაფერზე ცუდზე
დღეს არ მინდა ფიქრი,
მაგრამ ერთი დარდი
მაინც სხვაგან მიჰქრის:

მშიერი რომ დადის,
მილიარდი თითქმის,
„სამართალი პურს ჭამს“
ნეტავ რაზე ითქმის?
(უპოვართა ლუკმას
ღმერთი მაინც ითვლის?)

მზეო, დიდო მზეო,
ბევრს არაფერს ვითხოვ:
ყველას შეახვედრე,
ვინც დარდს შენით იქრობს
ცხელი ხინკალი და
ოჯახური სითბო.

თუშის ქალი

მინდვრის ყვავილი მეგონე, ყოფილხარ ქალი თუშის,
წარბი – მოზიდულ მშვილდის გაქვს, ჭრილი თვალისა – ნუშის,
ღიმი რომ მსტყორცნე მხოლოდ მე – სხვებისთვის იყავ ქუში,
აღარ მასვენებს ტიალი, მთაში ვარ ბარში თუ შინ.

რა დაგიშავე ქალაუ, მზერით კვლავ დამჭერ გუშინ,
ჰოდა, გითხარი - მიყვარხარ, ჩუმად, ჩურჩულით, ყურში,
გითხარი, ცოლად მინდიხარ, განა ვარ ვინმე მრუში,
თუ ჩემი ქმრობა არ გსურდა, რად ჩამიგორდი გულში?!

მწყემსი ბიჭის სიმღერა

გამიღიმა ბედმა მეცა – სიყვარული თავს დამეცა,
გულში ქალი შემომეჭრა, ლამაზი და მატრაკვეცა.
გოგოვ, გოგოვ მატრაკვეცა, გედზე უფრო ლაღად ცეკვავ,
მერცხალივით დაფრინავ და ფრთებს რომ გაშლი, აღარ კეცავ.

გინდ ჯავშანი რკინის ეცვას, სიგრძეც ჰგონდეს, სიგანეცა –
შევებმები, გოგოვ, შენთვის, კლდეზე უფრო მაღალ მხეცსაც,
ქალამანად ქარს ჩავიცვამ – ზღვას გავივლი, ცას დავკეცავ,
საჩუქრებად ჩამოგიტან ვარსკვლავებს და მაღალ ზეცას.

შენი მზერა გულს მილეწავს, ჩემი მზეც ხარ, პირიმზეცა,
გოგოვ, ცხვარში გამომყევი, გაჭმევ ყველსა, გასმევ რძესაც,
ცოლობაზე უარს მეტყვი? ყაბულსა ვარ მცირედზეცა –
ერთი კოცნა გაიმეტე, თუნდ პატარა – სულ ნამცეცა!

დაგიბრუნებდი

აბა, მითხარით, იქნებ თქვენ მოგწონთ
ღრუბლიანი დღის დამადლებული
გამოდარება?
ავმა დარებმა, ეჰ, მომისაჯეს
ჟამთასვლის ტვირთის ერთი ღიმილის გამო
ტარება.

ტკბილმა წუთებმა დიდი ხანია
გაჭენებული წაბლა ცხენივით რაც
ჩამიქროლეს,
მახსოვს თუ არა? რა დამავიწყებს! –
ვნების წყაროზე აფეთქებული მზერა
მესროლე,
ოცნებით იმედს ჩავებღაუჭე,
საუკუნეა უკვე ათასი – უბით
ვატარებ.
მემდურებიან ნუთუ ყვავილნიც?! –
ჩქამი არ ისმის, რა დაემართათ იებს
პატარებს?
თრობისმომგვრელი გვირილისფერი
შენი სურნელი სადღა გამქრალა, სად
დამეკარგა?
შუაგულ გულში ტახტი დავუდგი
ჩემი სამეფოს დედოფლად დავსვი, თავს გრძნობდა
კარგად.
ქარი რომ ნაწნავს უფრიალებდა,
გახსოვს? ვტკბებოდით მდინარის პირას ლერწმის
ყურებით.
ახლა კი ვხედავ დათოვლილ გზაზე
რა შორს წასულან შენი ბუტია
ნაფეხურები.
აცრემლებულა ცაზე ღრუბელი,
იმ წვიმის შემდეგ მარადისობა ჩემთვის ჰგავს ერთ
წამს.
მდინარის პირას მარტო დავდივარ
და შენ მაგივრად წელზე ხელსა ვხვევ მოწყენილ
ლერწამს.
იმედი მოდის და ისევ მიდის,
ვერ დავიღალე იმედების ათიათასჯერ ფუჭი

შენებით.
თავს დამტრიალებს კვლავაც ზმანება –
მოაქვს წაბლა ცხენს შენი ღიმილი უკან,
ჭენებით.
დამიბრუნებდი შენ თუ იმ წუთებს,
თუნდაც ერთ მზერას
დამიბრუნებდი,
არ გეხუმრები, მე ყველა ვარსკვლავს,
ყვავილთა სუნთქვას და მთელ სამყაროს
დაგიბრუნებდი!

ვერ წამოგყვები

წუთისოფელსაც რომ მოსდის ცოფი,
ვერ მოვიფიქრე, გროტესკის გარდა სხვა რა ჰქმნას კაცმა.
ამ დილით ვნახე მყრალი ოფოფი
ბეღურამ ქოჩრით როგორ ითრია, სილაც გააწნა!
ზამთარი გარბის, თოვლი დასველდა,
ბედი დამცინის – გაზაფხულთანაც დავაგვიანე.
აქ რაღა ხდება? ურევენ მოვლილს!–
სულს ვიღაც ბრიყვი დაუფლებია, ანაგვიანებს.
მანდ რომელი ხარ? ვინ დაგპატიჟა?
ო, რომ იცოდეთ როგორ არ მიყვარს არსი თავნება!
შე სალახანავ, ხომ არ მთვლი გიჟად?!
ჩემი სახელით ხვეწნა-მუდარის ვინ მოგცა ნება?!
ბიჭოს! რა გახდა! ვერ მოვიშორე
ეს მოძალადე, სულით ხორცამდე გადამთიელი!
ხელს ვერ შემიშლის შენი ბატონი,
ახლავ გაჩვენებ, ჩემგან სილაქი როგორი გელის.
...
ოჰ! ვაჟბატონიც მობრძანებულა,
ცელის ტარზეა დაყუდებული აფთრის ლოყებით!
– შენი სახელი არსად ქებულა,
საქმე ბევრი მაქვს, დიდი ბოდიში – ვერ წამოგყვები!

როცა მოვიცლი? – მე თავად მოვალ(?) –
ნუ გეწყინება, შენთან სიცრუე არც აუგია.
მოგიწევს ოღონდ ლოდინში გლოვა,
აბა, რა გიყო, ჯერ ჩემი მოცლა ვის გაუგია?!

ჩემი პასუხი

დაუნდობელი, არსით პირქუში
წუთისოფელი წუთია მრუში.
გადის ის წუთიც ვიშსა და შიშში
და დასასრულის სულ მოლოდინში.
ხშირად სიკეთის არ ისმის ჩქამი,
და სიხარული გრძელდება წამი.
ჰოდა, სიცოცხლე რაღად ღირს მაშინ?
და ამ ცხოვრების აზრია რაში?
როდესაც სული სხეულს გაყრია,
არსებობაში ნეტავ რა ყრია?
არ ახალია – კითხვა ძველია,
ჩემი პასუხი არცთუ ძნელია:
იყო ოდესღაც და არა შარშან –
ვნახე ედემი, ეშმა არ ჩანდა,
ბიჭი და გოგო ბედნიერია,
მაგრამ მათ ყოფას სევდა ერია.
მწიფეა ვაშლი, ჯერ არ მწიფს ნუში,
ვაშლის გასინჯვას უფალი უშლის,
მთვარიან ღამეს მზე იდგა სულში,
ქალ-ვაჟს არ ახსოვს, რა უთხრეს გუშინ.
უცოდველ ბაღში ნაკბეჩი ვაშლი,
ბუნების ნებით, მათ შორის ზღვარს შლის.
მორცხვმა ჩიტებმა შეწყვიტეს მარში
და მამა მთვარე თვალს ხუჭავს ცაში.
ქალის სურნელი ძვალ-რბილში ატანს,

ალბათ ეს წამი ათას წელს გასტანს.
და სწორედ ამ წამს და სწორედ მაშინ
იშვა სამოთხე – სიცოცხლე ბავშვის.
როდესაც მიჭირს, ის წამი მშველის,
მშველის იმ ჩვილის თვალები შველის,
შენი ღიმილი და მზერა მშობლის,
ალერსი მზის და მადლობა ობლის,
ბალახზე ნამი, ყვავილი თოვლზე,
ველზე ჯირითი, ის კოცნა მოლზე.
ახლა ხომ მიხვდით სამოთხის საშვი –
აზრი სიცოცხლის, ყოფილა რაში?!
აი, ამიტომ – სიყვარულს ვაშა!
აი, ამიტომ – სიცოცხლეს ტაში!

ძველი გემი და ალ კაპონე

მბორგავ ზღვაში დაფარფატებს
სენშეყრილი ძველი
გემი,
მეც ამ გემზე დავიბადე,
არ მოვსულვარ ნებით
ჩემით,
წუთისოფლის შტორმში მოყვა
იღბალმკვდარი ჩვენი
თემი,
ბედისწერას მინდობილი,
გონმიხდილი ცემით,
გვემით.

იძირება ძველი გემი,
მიეცემა ხვალ
უკუნეთს,
შავი ჭირი მოსდებია

ნამუსნაკლულ
საუკუნეს.
– უღმერთოთა ავკაცობას,
დღენიადაგ რა
უყურებს, –
შემომწყრალა დიდი ღმერთიც, –
ცოდვიანებს არ
ვუკურნებ.

უთქვამს – მორჩა! დავიღალე
მუდამ მათი კუდში
დევნით,
თვალხილულთა ცრუ სიბრმავით,
ერთ დროს გმირთა ყოვლის
თმენით,
ვერ ვუწამლი მოწამლულებს
დანაელთა მაცდურ
ძღვენით,
მომავალზე ხელჩაქნეულთ,
თავმომწონეთ მხოლოდ
გენით.

ფული, ტყვია და შიმშილი
ბოროტების ზვავს
მაგონებს,
დათარეშობს დილინგერი,
ლუჩიანო და
გაბონე ,
სისხლიანი გვამით სავსეს
ალ კაპონე სცლის
ვაგონებს,
პროკურორი, სასამართლო
ნაძირლების კოჭს
აგორებს.

სახრჩობელა ან სირცხვილი –
ავირჩიო უნდა
ორში,
მართალი და სამართალი
ჩაუცხრილავთ ბოლო
ომში,
ბოროტი მზეს ეფიცხება,
ნებიერად ცურავს
ქონში,
ალ კაპონე აღარ ხუმრობს,
შესულია უკვე
როლში.

ძარცვა-ყვლეფა, მათხოვრობა –
ყველა ეძებს თავის
სარგოს,
ბელადი კი მშვიდად არის,
სასახლიდან კიდეც
ანგლობს:
– გაბრწყინება როგორ გინდა,
სხვანაირად, ჩემო
კარგო,
გაგება და მოთმინება
იქონიეთ, არ
დაკარგოთ!

მოვითმინე, ავიფარე
ორივ თვალზე
ვარდისფერი,
დავინახე, როგორ ცხვება
ჯოჯოხეთში ობლის
კვერი,
გუგუნებენ ქარხნები და
ხორბალს ლეწავს სოფლად
კევრი,
კაცი, ქალი, ერი, ბერი –

არნახულად
ბედნიერი!
***
ირგვლივ სუფევს ნეტარება! –
მითხრეს – განა
ვიცი მე,
ედემ-ბაღში წამოვგორდი –
ნებიერად
ვიძინე!
სიზმრად ვნახე ალ კაპონე,
მეფის გვერდით
ქიცინებს,
მოადგილედ დაუნიშნავთ,
სხვა რა მექნა? –
ვიცინე!

ჩამობნელდა სამოთხეში,
ძვალში ატანს
სიცივე,
არასოდეს დავიკვნესდი –
შევასრულე
ფიცი ვერ –
ბოროტებას თავს მოვკვეთდი,
დაუნდობლად,
მყისიერ.
ავაზაკი აქაც ქურდობს,
აყაჩაღებს
ღვთისნიერს,

მეფის კარზე აღლუმი აქვთ
გასუქებულ
ბატონებს,
მუცლის ღმერთებს ადიდებენ –
მარჩენალთან
ნაპოვნებს,
არამზადა ჭკვიანია,

სისხლიან კვალს არ
ტოვებს,
მუდამ ერთი რომ მეგონა,
ვიცან ასი
კაპონე.

შტორმში კვნესის გემი, მაგრამ
ჯერ ჩაძირვას
აყოვნებს,
კაცს აწუხებს თემის ბედი,
მრუდი გლოვობს
საქონელს,
მიტოვებულ ქოშებს ვხედავ –
ყაჩაღების
ნაქონებს,
ვირთაგვების გზას გაუყვა
ყველა ჯურის
კაპონე.

***

ტრიუმიდან ცოდვებს ვხაპავ –
ჭურჭლეულის
არ მქონე,
ფსკერზე ხვრელი ამოვავსე,
გავამაგრე,
გავქონე,
ღმერთი გვიწყობს ხან გამოცდას,
მიგვატოვოს –
არ ვგონებ,
უფალსაც ხომ უყვარს კაცი,
სოფლის კვნესის
გამგონე.

მგელს

მგელო, შენს მგლობას შევნატრი,
რამეთუ არ გყავს ბატონი,
ერთმანეთს ძმობა შევფიცოთ,
ნუღარ ვიყმუვლებთ მარტონი.

შენი შიმშილიც ბატკანს ჭამს,
ცოდვა შენც გაწევს იმისი,
თუმც მერე ორთავ ვყმუივართ,
ალბათ შენც გტკივა სინდისი.

ვინც წითელ წიგნში ჩაგდენა,
ვინც გისპობს არემარესა,
ჯობია იმას ეჩხუბო –
ნუ ეჩხუბები მთვარესა.

მდინარეები დააშრეს,
ლერწამი აღარ ხარობსა,
მოშიშვლებულა ბუჩქნარიც,
ია ვარდს ვეღარ ყვარობსა.

მეც ეგერე მარტო დავდივარ,
გამოვეყავი ხროვასა,
გონიერება მოგვიკვდა,
ერთი ვესწრები გლოვასა.

მგელო, ნუ დამემდურები,
ნუ მეტყვი სიტყვებს მწარესა,
ორფეხთა უგუნურობა
მალე ჩვენც გაგვამწარებსა.

ძველი და ახალი პატარა ლიახვი

მთაში იქუხა მაგრად,
ზეცა იღვრება ოფლად,
ღრუბელი აიჯაგრა,
ლიახვი აიფოფრა.

მოქუხს და მოაქვს ბარგი,
ნაპირს აუტყდა კვნესა,
გუშინწინ იყო შმაგი,
გაშმაგებულა დღესაც.

ყურით მოათრევს ლოდებს,
სულ გაგიჟდება მალე,
თმაგაწეწილი გოდებს,
და არბევს კარბის ჭალებს.

ზამთარში ცოტა მწყრალი,
ახლა აბრუნებს ვალებს,
ტყვიავს შეუდგა წყალი,
ტირძნისსაც აკანკალებს.
***
ლიახვო, ჩემო ლიახვო,
შენი დარდი მკლავს, დიახო,
დღეს ღელედ ძლივს მოწანწკარებ,
ლოდები უწყლოდ ყრია ხომ,

ლიახვო, წყალი გაგიშრა
რითღა მოვბანო იარებს,
სად გაქრა შენი ღრიალი,
ასე ვით გაგატიალეს.

დიდო პატარა ლიახვო,
იძველე, არა იახლო,
ო, როგორ მინდა შენს გვერდით
ბავშვობა გადავიახლო.

ერთ წამს არ დამვიწყებიხარ,
ვიყავი შორისიახლოს,
ისევ თუ აბობოქრდები,
იქნება მეც თან მიახლო.

მოვალ იქ იის კონებით,
გეტყვი – მიყვარხარ როდიდან,
ტალღებში ჩაგეკონები,
ახლოდან, განა შორიდან.

სტუმრად უფალთან

უფალისაგან მაცნე მოვიდა – სხივი მნათიო,
შემოუთვლია: – „მომინახულე, თუ გაქვს ხათრიო,
მორთვა-მზადებით არ მინდა მოცდე, ღამე ათიო,
ცოდვებით მძიმე შენი სხეული აღარ ათრიო“.
მთავარანგელოზს სტუმრად მივყავარ უფალთან ეტლით,
ღმერთთან წარმადგენს მიქელ-გაბრიელ – უფროსი მეტრი,
საუფლო სოფელს გედებით სავსე მდინარე ერტყმის,
ბულბულის სტვენას მოღუღუნე მტრედის ხმა ერწყმის.
კდემამოსილი შიშველი ევა ვაშლის ხეს ეტრფის,
ქვემძრომი გველი ეშმაკის პირით ცრუ ამბავს ეტყვის,
ჰოდა, თვინიერ ადამსაც თურმე მოსვლია ნერწყვი,
და შვა ევამ აბელ და კაენ ჭალაში ლერწმის.
დარდებისაგან დაბერებული მეჩვენა ღმერთი,
შუბლს დამჩნევია ნაკბილარები გვირგვინის ეკლის,

რიგები იდგა ავადმყოფების სულების კეთრით,
დედამიწაზე ვარდის სუნს ჯაბნის სურნელი დენთის.
მეუცნაურა – ღმერთს ტახტად ედგა უბრალო მერხი,
მერხის კუთხეში ბუდეა სავსე ბარტყებით მერცხლის,
მანიშნა ხელით – მივუახლოვდი, დავუჯექ ფეხრთით,
გამიმასპინძლდა ახლად შეღებილ აღდგომის კვერცხით.
– აბა, მომიყევ, ადამის შვილო, რა ხდება შენთან,
დიდი ხანია აღარ ყოფილხარ შენს უფალ ღმერთთან,
ჩემთან რომ იყავ ცოდვის გარეშე გასძელი მეტხანს,
სატანას უთქვამს – ადამის შვილი ფეხს ახლა მე მბანს.
ადამიანი, მე რომ შევქმენი, იმას სულ არ ჰგავს,
ჩემგან ბოძებულს, უგუნურობით, ყოველდღე ჰკარგავს,
ჭრი, ანადგურებ, ჩეხავ დარგულს და მაგიერს არ რგავ,
ამდენი შხამი და ბოროტება! – მიზანი რა გაქვს?
ნაცვლად იმისა, მოხნა მინდორი, სთესო სიკეთე,
ეშმაკისეულ საწამლავს ძარღვში ნებით იკეთებ.
ჩემო ქმნილებავ, უკეთურ საქმეს რატომ მიკეთებ:
სატანას უკვირს – ამბებს სჩადიხარ ზოგჯერ ისეთებს.
მახსოვს, თავიდან კეთილი იყავ, გიყვარდა ყველა –
ღმერთი და მთვარე, ქორფა ყვავილი და ჭიანჭველაც,
უმანკო კრავი ჩიტების ჩურჩულს უსმენდი ველად,
ბულბულის სტვენას ყვავის მღერისგან არჩევდი ხელად,
მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი ყოფილა ძველად.
დედამიწაზე ცოდვის წვიმისგან იქმნა ჭაობი,
არა რა დარჩა პირველშობილი არსთარაობის,
უწყალო ხოცვა-განადგურებით თავად დაობლდი,
ხატებად იქეც აღზევებული არარაობის.
ადამმა ეშმაკს რომ დაუჯერა, ვაშლი გასინჯა,
აფორიაქდა, აემღვრა სული, ოდესღაც წმინდა,
სულო ცოდვილო, საით მირბიხარ? იცხოვრე დინჯად!
მიწას მიხედე, ადამიანო, მარსზე რა გინდა?!

ქალს კაცად აქცევ, კაცებს – ქალებად, შეჰქმენი კლონი,
ხლიჩე ატომი, კარს გიკაკუნებს წყალბადით ომი,
უკვე მიადექ და ანადგურებ ფენას ოზონის,
გალაღებულმა ლაჯქვეშ გაიგდე სივრცე და დრონი,
დიდი ეჭვი მაქვს – მოგდომებია ღმერთობა მგონი.
საშოვრის გზაზე მიზანთან ერთად დაკარგე ფონიც,
ეშმას კარნახით ბოროტის მხარეს დაგიდევს ფსონი,
ღალატისა და უსამართლობის გახდი ამფსონი,
მე რომ გიბოძე , გამორჩეული, რა უყავ გონი?
ჭირი, სიკვდილი, უწიგნურობა, სახადი, სენი,
შენივე მოძმის გულისტკივილი რად არ იგრძენი,
წადი, მიწაზე სიკეთის თესვით თავი იხსენი,
არ გამაგონო შენი წუწუნი – „ღმერთო, მიხსენი!“
დიად შემოქმედს კეთილ თვალებში ჩაუდგა ნისლი,
ამოიოხრა – გაგათამამე, მეტის ვარ ღირსი,
იქვე ახლოდან ეშმასეული ხითხითი ისმის:
– ის დრო ერჩივნა, ქოხი რომ ჰქონდა ედემში, ისლის.
– მომაწოდეო, – მითხრა უფალმა – წიგნი რამ მანდ დევს,
ვაახლე მე და იმ წამის შემდეგ ეს ფიქრი დამდევს:
– მოკვდავოობას ხომ არ ნატრობდა უკვდავი ამდენს,
ასე ხშირ-ხშირად რად კითხულობდა აკაკის
„გამზრდელს“?!

სიკვდილის ტანგო

ბროლის დარბაზში რეკავს მუსიკა –
ვნებააშლილი მაცდური
ტანგო,
ბრწყინავს ელიტა – ერის რჩეული,
ბედი ქვეყნისა ღმერთმა რომ
ანდო,
სუფრა – მეფური, ნანატრ-ნუგბარი,

სცენას ამშვენებს აქტრისა
მარგო,
ხელმწიფის ხოტბას მონა აღავლენს,
ფარისეველი აშკარად
ვარგობს.

ცისფერ ბრილიანტს ლურჯი ალმასი
პირველობისთვის შეჯიბრში
იწვევს,
– ჩემს ოქროს გვირგვინს სხვისი რათა სჯობს?! –
ვეზირის ცოლი, ამაყი,
იწყენს,
და მოსამართლე საჩუქრად იღებს
ოცნების კოშკს თუ არაბულ
კვიც-ცხენს.
იქვე, მეზობლად, სამგლოვიარო
ცრემლთა მუსიკას შიმშილი
ისმენს.

ქურუმთა კრება მსჯელობს საკითხზე –
რჩეულებისთვის სად ჯობს და
რა სჯობს,
მეფის მეწაღეს უკვე არგებენ
ოლიმპოს მთაზე სკამს რბილად
საჯდომს,
განადიდებდა ვეზირთხუცესი
თავის ნათესავს – მრავალგზის
ნაჯდომს,
ქალაქის თავი გვეთამაშება –
მის მოედანზე თავადვე
მსაჯობს.

კუზიანს კუზი გასწორებია,
ყვავი ბულბულობს, ნეხვი კი
ვარდობს,
უსამართლობა სამართალს ადგენს

და ერთგულებას ღალატი
სარდლობს,
პატიოსანი ღარიბი ბრძენი? –
ჭირს წაუღია, არაა
სანდო,
ობოლი ბიჭის გაყინულ სახლში
სიბნელე დაძრწის, ქარი
ნავარდობს.

მოისრა ყანა, რქა-საქონელი
და წინაპარმა რაც რამ ხე
დარგო,
მსუქანი გამხდარს ლუკმას ართმევდა –
"მადა კარგი მაქვს, ღმერთმა
შემარგოს",
საქართველოდან უცხო მხარეში,
ტყვეებით სავსე, მიცურავს
„არგო",
სამეფო კარზე აღზევებული
ტაკიმასხარა უტიფრად
ანგლობს.

ღვთის რჩეულებმა გადინაწილეს
გაყიდულ ყმათა წილი და
სარგო,
ჭერწართმეული დიდი მაესტრო
ნატრობს კიბის ქვეშ ნიკალას
ნადგომს,
ნაკეკლუცარი ქართველთ ქვეყანა
დამსგავსებია პირუტყვის
სადგომს,
ჯოჯოხეთიდან ისმის მუსიკა –
უკვდავი ერის სიკვდილის
ტანგო.

ხარი და მატადორი

დღეს იმართება დიდი კორიდა –
დღეს უნდა მოკვდეს ერთი
ორიდან,
ახლოდან ისმის ბრძოლის ყიჟინა,
სიკვდილის ხმები ისმის
შორიდან.

შემახილები – არწივი, ქორი,
ზოგი მართალი და ზოგი
ჭორი,
ბრბო კვლავ იხსენებს გარდასულ ბრძოლებს,
ისმის ასპინძა, ახსოვთ
დიდგორი.

პირისპირ დგება მებრძოლი ორი,
ერთურთის მჯობი, ტოლი და
სწორი,
თვალებბრიალა ლამაზი ხარი
და უძლეველი
ტორეადორი.

სიკვდილ-სიცოცხლის დაიწყო როკვა,
ლახვარით ლახვრას რქით რქენა
მოჰყვა,
კაცი ხარს როგორ დაინდობს აბა,
როცა მოყვასი არ ინდობს
მოყვასს.

ბრძოლა – სასტიკი და თანასწორი,
ხან ხარი ჯაბნის, ხან
მატადორი,

ნეტავ შერცხვება იღბალი ვისი,
საით იხრება ბედის
სასწორი?

ადუღდა სისხლი და ბრბო გუგუნებს,
ძალას, გამოცლილს, ხარი
იბრუნებს,
ხმაჩახლეჩილი ველური "ტორრო"
შმაგი ღრიალით მოსწყდა
ტრიბუნებს.

და აჰა ისიც! – ნანატრი წამი,
აჰა! სიკვდილმაც გამოყო
ტორი –
ნაწყენმა ხარმა რქებით აკენწლა
სახელგანთქმული
ტორეადორი.

სანახაობა ეს რა მოვიდა!!
აი ნამდვილი, საღვთო
კორიდა!
არენა სისხლით მოირწყო უკვე –
და უკვე კვდება ერთი
ორიდან.

ბრბო დაიშალა, მორჩა კორიდა,
ახლა ქირქილი ისმის
შორიდან –
უწლოვან ხართან დამარცხებულა
ნაქები ბიჭი
მაღალგორიდან.

ფოიერვერკი და ხმები სროლის,
არენას შევრჩით მხოლოდ ჩვენ
ორი –
თვალცრემლიანი ლამაზი ხარი
და მე – ყოფილი
ტორეადორი.

სიზმრად ვნახე

მოჭიკჭიკდა გაზაფხული,
ჩიტ-მერცხლების ზრიალია,
ზამთრის ქარი გაპარულა,
მთვარე – ბადრი, მზიანია,
აფეთქებულ ნუშის ყვავილს
ეპრანჭება ნიავია,
ხიდან შაშვის სტვენა ისმის,
ცად ტოროლას წკრიალია.

ჭიშკართან ყეფს დინჯი მურა,
ბაღში ფოთლის შრიალია,
ცხვარ- კამეჩი ბალახსა სძოვს,
თერგის მესმის ღრიალია,
მაყვლიანში ყმაწვილ ქალთა
კისკისი და ცქრიალია,
თედო პაპას ძველ წისქვილში
ხვავ-ბარაქის ჩხრიალია.

ყოჩაღ ჩოჩორს ფქვილი მოაქვს–
ურმის თვალის ჭრიალია,
კაკალს ბერტყავს მეზობელი,
არცერთია ჭიანია,

უბეს ივსებს ბიჭი კაკლით,
ბიჭი მარდი, ჭკვიანია,
ტურფა ქალი ნაწნავს იწნავს
ქალი ყრმიან-ქმრიანია.

ქართლის დედა ყველას ლოცავს,
ირგვლივ ძმობის ტრფიალია,
ციხის თავზე მოჩანს დროშა,
გამარჯვების ფრიალია,
მტერი გარბის ცხრა ქედს იქით,
შერიგების გრიალია,
აღარაფრის დარდი არ მაქვს –
საქართველო მთლიანია!
***
რა ტკბილია სიზმრად ყოფნა,
სიცხადე რა ტიალია.

მერამდენედ

ტრამალებიდან მოსული ერი
ლიახვის პირას ჯარად დაყრილა,
უფლის საყდარში ჩაფერფლეს ბერი,
ენგურს გადაღმა ქართლი აყრილა.

ვერ მოვიშუშე მურვანი, ლენგი,
აბასები და საჭურისები,
ჯალალედინი, ნაცვალი, ბეგი,
წართმევას ცდილობს ბოლო ღირსების.

ნედლი ჭრილობა ძალით გამიხსნეს,
ცოფი ჩამასხეს შიგნით მარილად,
სამეფო ტატზე, როგორც ამიხსნეს,
დაბრძანებულა ვინმე გავრილა.

გუშინწინ ვნახე იმ ავაზაკმა,
ჩემი მამული გულღრძოდ გაჰკილა,
ჰაი დედასა! მტრის მონა ზაქმა
არც რა იწყინა, არც ითაკილა.

ღაწვს უკოცნიდნენ ქართველის „ძენი“,
დამეცეს მეხი! ვნახე ნამდვილად
და მერამდენედ თავი ვიგრძენი
ჯალათებისგან ნამუსაყრილად.

ტყუილად მოვცდი

სიზმარში ვიყავ, ტურფა ქვეყანას
ერთად კორტნიდა ყორანი ოცი,
ნაშამქორალის გადასარჩენად,
გადავიტყავე მუხლები ლოცვით.
მეხმარებოდა უფალი თითქოს,
დედა მარიამს კალთაზე ვკოცნი,
მგელი და კრავი ერთად ვაძოვე,
ვერ შევარიგე ნაცი და ქოცი,
***
ხელში კალამი მეჭირა მხოლოდ,
დიდგორის ასაკს უკვე გამოვცდი,
ცხადში ვიცხოვრე ტყუილ სიზმარში,
ვატყობ სიზმარშიც ტყუილად მოვცდი.

ქართლში გაწყდა ბრძენი კაცი

გაზაფხული აღარ მოდის,
შემობრუნდა ზამთარია,
ლუკმა ყელში გამეჩხირა,
ჩამიშხამდა სამხარია.
ხეობაში შევარდნილა,
მორქინალი რამ ხარია,
აატირა ალაზანი,
გააშიშვლა ლახვარია,
რუსთაველზე მოთქმა ისმის,
ქედსგადაღმა ხარხარია.
ვერ გავიგე, ეგ სარდალი,
რა ჯიშის და რა ხარია,
თვალებს ისე მიბრიალებს
თითქოს ამილახვარია.
რაღა გითხრათ, რა დავწერო? –
ყველა სიტყვა ნახმარია,
თუმცა ერთი კიდევ ვიცი,
მაგრამ ძნელი სახმარია.
***
მათ ნაკრძალში ხვავი ბარდნის,
მზე იცინის, არ ქარია,
ზოგის გულში გვალვა დაძრწის,
ზოგის თავში სხვა ქარია!
აისრულეს ოცნებები,
შექმნეს საძმო-ამქარია –
ორმოცამდე ალი-ბაბა
ოთხმოცამდე ზაქარია,
მათთვის ყოფა – ნეტარება,
ნუგბარი და შაქარია,

მათი ხილი ოქროდ ფასობს,
სხვისი კიდევ ნაქარია,
თავი უჩანთ ღვთის რჩეულად,
ხალხი? – ნუყარ-ნაყარია,
მათი თვალი აპაჭუნებს,
ჩვენი – სისხლში ნათხარია,
გოგო-ბიჭებს – შუბლში ტყვია,
საქართველოს – ნაცარია,
ქართლში გაწყდა ბრძენი კაცი,
ავაზაკთა ცანცარია.

ანა ხელაძეს

თვე ოცდაოთხი თურმე გასულა,
მზე ნაადრევად როცა ჩასულა,
როცა უეცრად ჩაქრა სანთელი,
სიკვდილმა ბედი როცა აცდუნა.

იმ დღეს ყოფილა დღეობა გველის,
ეშმაც ყოფილა იქვე მაცდურად,
მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა,
ხიდან ფოთოლი ნორჩი დაცურდა.

ჭადარმა ცრემლი ყველა დაღვარა,
ქარი, მწუხარე, ცაში აცურდა.
ქარმა ფოთოლი ფრთაზე შეისვა,
და იქ იგლოვა მამაკაცურად.

თვე ოცდაოთხი გასულა თურმე,
ტკივილი დადის გულში ბრაცუნა,
ციდან მიღიმის ფოთოლი ნორჩი,
დაფიდან მიმზერს მისი კაცუნა.

თვე ოცდაოთხი გასულა უკვე,
გავიდეს ჟამი ბევრი რაც უნდა,
ფიქრში იქნები ისევ ცხრამეტის,
ისევ ჭკვიანი, ისევ ანცუნა.

ვერ ვიქართველე

სახედარივით დავღლილვარ
წუთისოფელის ზიდვითა,
მდაბალთა მუდმივ გოდებით,
მაღალთა ძარცვა-სიძვითა,
ბოროტი სულის ქირქილით,
ფარისევლების ლიქნითა,
გარედან ურვა არ მიჩანს? –
ერთი გაჩვენათ შიგნითა!
კაცი მოყვარეს ვეღარ ცნობს,
ძმა ძმას უყურებს იჭვითა!
სვავთა ღრეობის შემყურე
დავდივარ სულში ხიჭვითა!
ცრუი და მრუდი ძღებიან
სინდის-ნამუსის ჯიჯგნითა,
ძუძუგამომშრალ ქვეყანას
ბოლო წვეთს სწოვენ ჯიქნიდან,
მავანნი ღალატს წრუპავენ
იუდას ვერცხლის ჭიქიდან.
მთვარეს მზის სხივი დაუკლეს,
მზის დედა ვენებს იჭრიდა,
ვაჰმე, მახვილი გადმიტყდა,
აღარც კალამი მიჭრის და
არ ჰქვია ამას სიცოცხლე, –
ვსუნთქავ დუშმანთა ჯიბრითა.

მდევარს პირობა დაუთქვამს –
სასუნთქსაც გადამიჭრიდა!
ორი სიკვდილი მესროლეს,
ორივ შიგ გულში, მიჯრითა.
ვერ ვუპატრონე სამშობლოს,
ვერ ვიქართველე ჯიგრითა.
დედა ქართვლისა მომიკლეს,
დედინაცვალი მივლიდა,
მოჭრილ მიწების ტკივილი
ცოცხალს არ გადამივლიდა –
ავდექ, წავედი იმ სოფელს,
ზეიმი ექმნათ ჯიბგირთა,
ეშმაკი კვალში ჩამიდგა
თვალზე წითელი ლიბრითა.
ცოდვილთა ბილიკს გავყევი,
ქვესკნელს ჩავედი კიბითა –
კარს ჯოჯოხეთიც არ მიღებს,
მგზავნის ჯოჯოხეთს იქითა.

წერილი დიქტატორს

ზღვა- ხმელეთების მეუფევ, ხელმწიფევ დაბლით მჯდომართა,
მონების მბრძანებელო და დამსჯელო გაუგონართა,
ამ ქვეყნად ერთხელ მოვსულვარ, არ შემიძლია რომ არ ვთქვა,
აღარც შენა ხარ ყმაწვილი, როგორც ტოლი ტოლს მოგმართავ.

შემოსეულხარ ჩემს სახლ-კარს ახალი ხაზარ-სკვითებით,
რვაასი ტანკი შენ გქონდა, მე კი გებრძოდი თითებით,
დასჭერ, დაჩეხე, წამგლიჯე მამა-პაპების მიწები,
თან მემუქრები – მეტს ვიზამ, ჭკვიანად თუ არ იქნები.

რა გინდა, რას მემართლები, რად არ მასვენებ წუთითო,
მხოცავ, მაოხრებ, მაწამებ, რაკიღა მჯობნი კუნთითო,
ვინ როგორ იყოს, იცხოვროს, გინდა, რომ ყველას უთითო,
დაკავებულხარ მარადჟამს დანაშაულის ფუთვითო,
(მალე პაატას თავს მომთხოვ ჩემივე ოქროს ყუთითო).

სამყარო შენი გგონია, ვერ ძღები დედამიწითო,
მუდამ მართალი როგორ ხარ? ნამდვილი ყველამ ვიცითო,
არ იწერება სიმართლე სისხლში ჩაწობილ თითითო,
ცრუ კუდს ვერავინ დამალავს, იცნობა ყალბი ფიცითო,
(თუ შენი ცოდნა ეგ არის – ფუჭად კეკლუცობ ნიჭითო).

ცბიერნი არსნი ცხოვრობენ გამოგონილი მითითო,
ვინც სიკეთეებს ვერა ქმნის, ბევრი არც უნდა იტვირთოს,
„ჩვენი ყოფილა ოდითგან“ – ალბათ ამასაც იტყვითო,
რა გესაქმება ქედს აქეთ, ან თუნდაც ურალს იქითო.

სიმართლე მხოლოდ ერთია, ყველა გზის ბოლო იქ მიდის,
ნამვილი მეგობრობისთვის სამასი წელი გიცდიდი,
მე ვწერდი „ქართლის ცხოვრებას“, როცა შენ ანბანს იქმნიდი,
და მაინც ასე განსჯიდი : „შენ – პატარა და მე – დიდი“.

ისტორიასაც მასწავლი – უნდა დავიწყოთ როდიდან,
იქნებ დაგვეწყო ურდოდან, ან სულაც ნოვგოროდიდან,
ეგ, რა თქმა უნდა, არ მოგწონს – ამბობ, გავიდა მოდიდან,
ნუ ცდლობ, ვერვინ ამოშლის კვალს ძმათა შორის ძმობიდან.

ბევრი მინახავს მტარვალი, შეყრილი მტანჯველ სურდოდა,
ზოგი დრო-ჟამმა გახვეტა, ზოგი კვლავ დარჩა ურდოდა,
მათთვისაც რომ მოგესმინათ, ჩემთვის სიკეთე უნდოდათ,
შენი გაწვრთნილი მანქურთიც წვავდა, კლავდა და ქურდობდა.

ვერ მოახერხებ დაწერას ისტორიისას თავიდან,
მსოფლიო ცხოვრობს სამართლით, ბნელის ეპოქა წავიდა
და თუ არ იცი, მე გეტყვი, უნდა დავიწყოთ საიდან –
საზღვრების ურღვევობაზე ევროპულ სამართალიდან.

ყველამ რომ ისტორიები თავის გვერდიდან დაიწყოს,
სამყარო ისე დაიწვის, ფერფლიდან ვეღარც აიწყოს,
რომი მოითხოვს კართაგენს, ჩინგიზი კიდევ მაიკოპს,
მერე მიდი და არკვიე, როდის ვისი და რა იყო.

სათნოებაა მთავარი, ვიცი, რომ გასძლებ უღვინოდ,
აი, გუშინაც დატოვეს ბავშვები უთვალისჩინოდ,
იქნებ ამაზე იფიქრო – შენ ხომ არ ხარ უტვინო:
იკმარო დიდი ქვეყანა და ცოტა ღმერთსაც უსმინო.

ამ ჩემს უიღბლო სამშობლოს ბევრის მოუხდა ატანა,
მისმა ტანჯულმა სიცოცხლემ აქამდეც როგორ გასტანა –
ოდნავ თუ ამოისუნთქავს, წამს ყელში სწვდება სატანა,
ვინც მშლის, მარბევს და დამცინის, განა ღირს ყოფნა მასთანა?

დიალოგი სუფრასთან

– რაო? რა ნახეთ?–
მკითხეს
ახალგაზრდებმა
გუშინ, სუფრასთან.
– გვიამბეთ, აბა,
მაინც რა ნახეთ?
ჩავფიქრდი ცოტა.
– ჰო, მეგობრებო,
ბევრი ვიარე,

და ბევრიც ვნახე!
– მაინც? – ღიმილით,–
ჩვენც დაგვანახეთ!
– კეთილი, ოღონდ
მხოლოდ მთავარი:
ვნახე, თან ბევრჯერ,
აპრილის სიო
გრილი და ანცი,
ადამიანი,
ნამდვილი კაციც,
ბზრიალა ბავშვი –
სიქას რომ გაცლის,
სოფელში ქალი –
თონისკენ, ვარცლით.
ველზე ჯირითი,
გაცლამდე ქანცის,
ქვევრის ბუტბუტი,
ხრაშუნი სარცხის.
ვნახე ყმაწვილი
ვენახს რომ ვარცხნის,
მტერს როგორ ფანტავს
მარჯვნივ და მარცხნივ.
განა არ კმარა?
– კი, კი,
ნამდვილად არის
სამყოფი კაცის!
– ამიტომ არის –
აღარას ვნაღვლობ,
არც მეშინია
თვით დიდი მარცხის!
– მაშინ, გასინჯეთ!

– კარგი, დამისხით!
– თუთის თუ ანწლის?
– თუთის? აქებენ,
მაგრამ ამჯერად
დე, იყოს ანწლის!
– რომელი, ძველი?
– აჰ, არა – ამ წლის!
ბევრს ნუ დამისხამთ,
მაინც ვერ დავცლი!
– არ დაგაჩქარებთ
პატივცემულო,
მიირთვით – გაცლით!
***
– უჰ, რა ყოფილა!
ჯანი გავარდეს
იქ ჯანმრთელობას,
აქ კი ზრდილობას –
გამივსეთ ჭიქა,
არ მიწყენს ღმერთი,
წავიღებ იქაც!
***
თუმცა... მეწვია
აზრი რამ ანცი:
თუ ერთსაც დავლევ,
იმასაც დავცლი –
რა მომკლავს აწი?!
ჰოდა, ჭაბუკნო
მომეცით ყანწი –
ბოლომდე გავძღე
ამ მიწით, ამ წყლით!

ქართლს არ დაეხსნა ჭირიო

.

დარდს გულში ფესვი გაუდგამს, არც სანთელი მაქვს, არც კვარი,
გავყურებ წყვდიად მიდამოს, უკუღმართობით
მოფენილს,
ქართველი ებრძვის ქართველს და მოსავალს იღებს მზაკვარი,
ვაჰმე, სულ გამრუდებულა ისედაც მრუდე
სოფელი.

კუზიანს კუზი კვლავ დააქვს, ქვევრში აღარ დუღს მაჭარი,
უფრო მომრავლდა მრუში და სიცრუის არის
მარულა,
ღარიბი ისევ შიმშილობს, ახლა მეტს იღებს ვაჭარი,
სინდისი გამოუგდიათ, ნამუსი
გამოპარულა.

ტყეში ხე აღარ შრიალებს. მგლის ადგილს კაცი ყმუოდა,
ჭაობში არ ჩანს ბილიკი და არც საყრდენი
მცირედი,
ახლა სიცრუე კი არა, უკვე სიმართლეც ცრუობდა,
ოცნების ნაცვლად მიბოძეს მხოლოდ სიკვდილის
იმედი.

დადუმებულა სოფელი, თითქოსდა წყევლა მოსულა,
ვაი, რომ ახდა სიზმარი – ქართლს ვხედავ ძირში
მოცელილს,
ბალღის არ ისმის ხმაური, ვერც ქალი ვნახე ორსულად,
„მწყემსები“ შეჯიბრს არიან – ფარას ვინ უკეთ
მოწველის.

სამართალს ქურდი ადგენს და კანონებს მიწერს ყაჩაღი,
ყასაბი დაუდგენიათ ბატკნების
მეფისნაცვალად,
მეძავი მორალს ქადაგებს, მღვდელმა არ უწყის რას სჩადის,
თაგვებში ვირთხა აღზევდა, ბრმებში გამეფდა
ცალთვალა.

დაუსეტყვია მთა-ბარი, ყველგან ვარამი ეყარა,
ქვეყანა, თურმე, უფრო ყარს – ტლაპოს ველოდი, ნეხვს –
არა,
მეგონა ქრთამი გავწყვიტე, ისევ გზად შემომეყარა,
ძმა რომ მტერს სახლში მომიყვანს, აბა როგორღა
მეხარა.

ქართლში ბაღები გამხმარა, ჭირი მოგჭამა ვენახმა,
მრავალი შემხვდა დომხალი, რა აღარ ვნახე
აბსურდი,
თვალები ნეტავ დამთხროდა, ნეტავი სულ არ მენახა,
რა ვქნა, ამასაც გიამბობთ, რადგანაც უკვე
გავხურდი:

თავისუფლების სახელით კვიცი ჯვარს იწერს აქლემთან,
სიწმინდეები წაბილწეს, შემოპარულა
სოდომი,
ჩოხოსანს ფატა ახურავს და ხარი გავას აქნევდა,
უფალო, რატომ გაგვწირე, ნუთუ სულ არ ვართ
ცოდონი?!

გმირები საფლავს ათბობენ, პატივში არის ბარიგა,
ცრუ ღმერთის სკამზე მჯდომარემ წყალობა ბევრი
არიგა,
მონობის გასამრჯელოსთვის მრევლი დამწკრივდა სამ რიგად,

ვისაც არ შეხვდა – გაიქცა, სხვები იყიდა
ამრიგად.

ჭკუა წასვლიათ ბრძენკაცებს, ბრიყვს თურმე „გადასდიოდა“,
ხეპრეს გვირგვინი ამშვენებს, მელოტს – ნიღაბი
ქოჩორის,
მაძღარი ძღომას ვერ გრძნობდა, ბუხრისპირს ქურქშიც სციოდა,
მამალი მამალს ყვარობს და გედს ეტრფის შავი
ჩოჩორი.

წირვას ეშმაკი აღავლენს, აღარ იცინის იაო,
კრავი ტურასთან მსახურობს, დადუმებულა
არაგვი,
მგლის კარზე სძინავთ ნაგაზებს, მგელი კი ცხვარში გდიაო,
ქართველი უცხოს წასულა, მოდის ინდო და
არაბი.

ცოდვა აალდა ქვეყანას, ტაძარშიც მძლავრობს ხანძარი,
რჯულიდან რწმენა განვდევნეთ, თუმც შევიმოსეთ
ხატებით,
მალე ჯოჯოხეთს გვიხმობენ, ბოროტი თუ ვერ დავძარით,
გარდაცვლილ ერთა სიაში ალბათ ჩვენც
ჩავემატებით.

ძველის იმედიც გამქრალა, სულში აღარ რა ყრიაო,
დაგვიწყებია, წინაპარს, რა უთქვამს, რა
უქნიაო,
გაუმხელიათ – სოფელზე ღმერთს გული აუყრიაო,
ცხრემლიანს ისღა უკითხავს – კვლავ საქართველო
ჰქვიაო?!

ბევრი დავცალე ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი,
არ დაილია სახადი, ურვა და
გასაჭირიო,

ვერ ვნახე ჩემი სამშობლო ღვთის სიყვარულით გამთბარი,
ქართლში მძვინვარებს ვაება, ქართლს არ დაეხსნა
ჭირიო.

უხმლობა ჩემი დავწყევლე, ვიგლოვე ჩემი სიმცირე,
წარსულში წასვლა ვიფიქრე – დავეკითხები იქ გმირებს,
საშველი ვერც იქ ვიპოვე – ვადა არ ჰქონდა ხმლის პირებს,
„ქართლის ჭირს“ წერდა დავითი, მივუჯექ, ერთად ვიტირეთ.

ნინოობისას ნათქვამი

ნინო

ნინო – ჩემო მეგობარო,
პატარა და დიდო ნინო,
შორეულო, ახლობელო, იმედო და თვალისჩინო,
მინდა ჩემი ეს ოცნება შენს ფეხებთან დაგიფინო:
ნეტავ ქვეყნის ყველა ნინომ –
დამაც,
სხვამაც,
გაიღიმოს,
გამიცინოს.
არასოდეს არცერთ ნინოს
მკერდში გული
არ ეტკინოს,
ბულბულებმა მღერა დასცხონ, მგალობლებმა მოილხინონ,
ამ მიწა-წყალს მფარველობდეს ვაზის ჯვარი წმინდა ნინოს,
მინდა ნინოს ქვეყანაში დაიბადოს ბევრი ნინო,
შევსვათ ტონა სადღეგრძელო,
ასჯერ მეტი – ქვევრის ღვინო,
ერთი ყანწი მეც დავცალო,
ბედნიერმა დავიძინო.

ზეინაბ მეტრეველს

პინდოსის ქედზე ჰარმონიათა ცხრა ქალიშვილის მსურს ვსვა სასმისი. ზევსთან მიმავალ ათენას მხახურს გზაში მომისწრო ჟამმა დაისის. უცხო გალობით გაბრუებული გავრინდებულვარ უკვე ყმა მისი – მთა პარნასიდან ცხა მუზისაგან განსხვავებული რაღაც ხმა ისმის! ო, რა ტკბილია, როცა ბინდისპირს მზე ზღვაში ჩადის, მაგრამ თენდება, როცა ზმანება, გული და ფიქრი, გაორებული, ისევ ერთდება, შენი რითმების მისადგომებთან ნაფოტად იქცა ჩემი ლეგენდა, გამოეფინათ თეთრი დროშები ცხრავე დიდ მუზას – ცხრავე გნებდება. ასე მგონია, მაგ ლამაზ სულში იბადებიან ჩემი ფიქრები, სხვა სამყაროში მიმაქროლებენ სევდით ნაშენი შენი სიტყვები, გონის წამრთმევი მეტაფორების თაყვანსაცემად მივალ იქ ნებით და მიხარია – მეათე მუზის ერთი რიგითი მონა ვიქნები!

“ქალი სხვაა, კაცი სხვაა”

.

მოდის კაცი ღიღინ-ღიღინ,
სავსე შრომით, განა შურით,
გვერდით – ქალი, შესაშური
კაცს მოყვება შარი-შურით.
დედისგან მაქვს სათნოება –
ერთგულება კაცის, სრული,
მამამ მომცა ნიჭად გარჯა,
გზად – სიმართლით სიარული.

ზოგი დადის ცეკვა-ცეკვით,
ზოგიერთი – აცა-ბაცა,
ზოგმა იმგვარ გზით იარა,

ერთხელაც არ დაბარბაცდა,
ზოგი არის ნახევარი,
ზოგი – უდრის ერთი ას ცალს,
ზოგიერთი თვალს აგიხელს,
ზოგი გაყრის თვალში ნაცარს,
ზოგი თავად იშიმშილებს,
მშიერს მისცემს ბოლო მარცვალს,
ზოგი, უცხო, დედასა ჰგავს,
ზოგი დედა – დედინაცვალს.

კითხვებია ძველისძველი:
– რომელს კვერთხი, რომელს ვარცლი?
ერთი მეფისნაცვალია,
მეორე კი მონა ნაცვლის?
თუ პირიქით? – ერთს უღელი
და მეორეს ნიჭი ძარცვის?
ჩემს პასუხს აქ მოგახსენებთ,
სულ ცოტასაც თუ დამაცლით:

ქალი სხვაა, კაცი სხვაა –
ეს ნათქვამი არის სწორი,
მაგრამ ორი ღირსეული
ჩემთვის არის თანასწორი!

მამამ ჩამაცვა ნამუსი,
რომ ვთქვი – შემმოსეთ რამით-თქო,
დედამ კი ცივი სამყარო
მზის სხივზე უკეთ გამითბო,
ორი ფესვით წყარო მისვამს,
ორი ხატი ახლაც თან მდევს, –
მათ მასწავლეს სამშობლო და
სიყვარული სიკვდილამდე.

კოჯორში

იდგა აპრილის ოცი,
გული სიყვარულს მთხოვდა,
ნუში ჯერ იყო მორცხვი,
კოჯორში კვლავ გათოვდა.

ღია გული და სახლი,
სუნი მაყლიდან ხორცის,
ღვინო ვენახის მძახლის,
ქვევრის და დიდი ბოცის.

– ამან აჯობოს იქნებ –
გაბრწყინებული სახით,
ხელს გასასინჯად მიქნევს,
ღვინის ძველის და ახლის.

ეზოში ზამთრის მსხლის ხე,
თეთრი, ბომბორა ძაღლით,
მე სასაუბროდ ვიხმე –
ჩასძინებოდა დაღლილს.

ღრუბელი იყო წყნარი,
მსხლის ქვეშ ბატკანი ძოვდა,
თბილისში ქროდა ქარი,
კოჯორში თბილად თოვდა.

ხევსურის ნაამბობი

არხოტში ვაჟამ გამკენწლა,
მივსდიე მოსაკლავადა,
ფშაველა გზაზედ შეყოვნდა –
ია ყოფილა ავადა.

მდევარსაც არ შეუშინდა ,
გაჩერდა სანახავადა,
ცხოს კი არ დავუჯერებდი,
თუ არ მენახა თავადა.
ჩვილ ბალღი გეგონებოდა,
თავპირ დამირჩა ღიაო,
ვაჟაი მიწას დამჯდარა,
საკინძე გაუღიაო,
ია ცრემლებით მოურწყავს,
გულიდან დაუღვრიაო,
სიცოცხლე გვერდზე გადუდგამს –
სიკვდილსაც წაუღიაო.
ფიქრ მქონდა – ლახვარ დამეცა,
დღეს დავუბნელებ მზიანსო,
წამწამზე წვეთი მომადგა,
გული აღარა გნიასობს,
ხანჯალ მუხლს გადავიმტვრიე,
ჯავრ გავატანე ნიავსო,
აბა, საითღა მამეკლა,
კაც ქვითინებდა იასო.

გილოცავთ

თუ არ გინახავთ ოქტომბრის ბოლოს
ხიდან ფოთლების ფარფატი
მშვიდი,
იუპიტერის სატურნთან ფლირტი
და დიდი დათვის ვარსკვლავი
შვიდი.
ჯერ არ გიგრძვნიათ ჩვილის სურნელი
და ნეტარება პირველი
კოცნის.

არ დაგინახავთ ლამაზი ქალის
წამწამზე ფიფქი – თვით ქალზე
მორცხვი.

თოვლზე ფუმფულა ფიფქია ბავშვი,
ნუკრის თვალები რომ უჩანს
მხოლოდ.
პირველი „აღუ“, პირველი გავლა –
აჩქარებული ნაბიჯით –
ბოლოს.
მშვენიერება ქართული ჰანგის
და ქართველების – ერთად როს
დგანან,
თუ არ გსმენიათ ბუტბუტი მაჭრის,
იავნანა და მეგრული
ნანა,

ჭერამის რტოზე წყვილთა ჟღურტული,
შენი აღმზრდელი ოსტატის
ქება,
სევდანარევი ღამის ურმული,
სულში ფიქრებად რომ
ილექება,
თუ არ გინახავთ ყმაწვილი ბიჭი
დუშმანთან ომში ხმალს როგორ
ხმარობს,
მწვანე აპრილის გამოღვიძება
და გადამდები კისკისი
წყაროს,

ხელუხლებელი პატიოსნება,
მფლობელი მხოლოდ ათი
მცნებისა,

და საარაკო წარმატებები
შენი გაწვრთვნილი
შევარდნებისა.
გამრჯე სოფელის ძველი სამჭედლო,
ბრძენი მჭედელი ბებერი
გრდემლით,
მთვლემარე ზღვაში ჩამავალი მზე,
შეჭირვებულის მადლობა
ცრემლით,

არ გიგემიათ ღვინო ხვანჭკარის,
თბილ სათონეში ბებოს
პურები.
სარზე აცმული ნედლი ჩურჩხელა,
მადლიერება
უმადურების,
არ გაგისინჯავთ ბაღის ბოლოში
სტუმრად მოსული მაყვალის
გემო,
არ ჩაგისუნთქავთ იასამანი,
არ გიფრენიათ ღრუბელის
ზემოთ,

ნაწვიმარ ტყეში თუ არ გინახავთ
შემოპარული სხივები
მზისა,
დედაშვილური სიამტკბილობა
დედამთილის და ყოჩაღი
რძლისა,
თუ არ გივლიათ ცვრიან ბალახზე
სიოსთან ერთად, ფეხშიშველს,
დილით,

თუ არ გინახავთ ორი მოსისხლე,
დაზავებული ქალის
მანდილით.

სარძლოდ მორთული ალუბლისათვის
არ შეგივლიათ წვრილ წელზე
ხელი.
თუ არ გინახავთ მამულიშვილთა
მოკლე სიაში თქვენი
სახელი,
ურიცხვი მტერის ურცხვი მუქარა
როგორ არ ეყო დავითს
სიცილად,
თბილ ხელისგულზე თუ არ დაგისვამთ
შეციებული მრგვალი
წიწილა,

არ დაგინახავთ მოსიყვარულე
ფაშატი ცხენი და კვიცი
მისი,
ჩუმი ღირსება უცნობი გმირის,
ძნელბედობისას,
გაუსაძლისში.
საღამოსპირზე მწყემსის „ჰაამო!“,
ცოხვნით მავალი ნახირი
სოფლის,
ზამთრის ბუხრისპირს პირსავსე ტაბლა,
ნაამაგარი ვაჟკაცის
ოფლით,

გარინდებული ძროხის ჯიქანთან
მოძიძგილავე ცელქი
ბოჩოლა,

მშიერ სოფელში მეზობლისათვის
ლუკმის გაყოფა გულით,
ტოლ-ტოლად,
დილის ნიავთან ყაყაჩოს ტრფობა,
ცხვარს გადამკვდარი დინჯი
მეცხვარე,
შვილის პირველი ნახატი ფანქრით –
„დედა, მამა და კეთილი
მთვარე“.

თუ არ გიგრძვნიათ დაღლილ ფეხებთან
კნუტის ალერსი, კრუტუნის
სიტკბო,
მარად მიჯნური ბულბული სტვენით
შეყვარებულის გულს როგორ
იპყრობს,
ბლის კენწეროზე თუ არ ასულხართ
გიჟი წვიმისგან ნახეთქი
ბლისთვის,
თუ საწნახელში ჯერ არ ჩამდგარხართ,
და თუ არ იცით იცოცხლოთ
რისთვის.

თუ არ გინახავთ ქვათა ჩუქურთმა
ნიკორწმინდაში და
ალავერდი,
არ გისწავლიათ ჯერ პითაგორა,
მიქელანჯელო, შოთა და
ვერდი.
თუ არ გიგრძვნიათ დედის გულისთქმა,
როცა ბრუნდებით სახლში
იებით,

განწმენდის ხიბლი და შვება სულში,
გამოწვეული
მონანიებით.

არ გითევიათ ოცნების ღამე,
ვარსკვლავების ქვეშ, კოცონის
გვერდით,
არ წაგიკითხავთ ნამდვილი წიგნის
ცრემლებით სველი თუნდ ერთი
გვერდი,
არ მოხიბლულხართ რიწით და უშბით,
დიდგორითა და ალაზნის
ველით.
თუ არ გინახავთ მეზობლის გოგო,
თხაზე პატარა,
თხას როგორ
წველის.

ჯერაც არც ერთხელ თუ არ გსმენიათ
ბოროტებაზე კეთილის
ძლევა,
უბრალოებას და ღვთის სიყვარულს
სულის სიმშვიდე როგორ
ეძლევა,
თუ არ გინახავთ ჯერ ერთგულება,
კაცთ თანადგომა და ხალხის
ნდობა,
შენი მამულის გამარჯვება და,
დამარცხებული მტერის
დანდობა.

თუ არ გინახავთ ჯერ საქართველო
გაბრწყინებული შვიდივე
ფერით,
თუ ჯერჯერობით არ შეგხვედრიათ
და არ გიგრძვნიათ ეს
ყველაფერი,
გილოცავთ ყველას, მდიდარს და ღატაკს,
გილოცავთ გულით, მთელით და
წრფელით,
პირველად ხილვის ბედნიერება,
ნაღდი და ბევრი, რადგან წინ
გელით!

ანკეტის მაგიერ

მარტოობაში უზრუნველ ყოფას
უფლით ბოძებულ სამოსახლოში,
ბრმა ბედისწერას ადევნებულმა,
ბრძოლა ვარჩიე აქეთ – აწმყოში.

მემკვიდრეობა არ მერგო წილად –
ქოშიც არ მეცვა შიშით გათოშილს,
უმთვარო ღამეს ბილიკს შევუყევ
სულით შიშველი, გლახის სამოსში.

სინდის-ნამუსის ხუნდებით ფეხზე, ჟამი-
მდევარის სულ ვგრძნობდი ქოშინს,
ერთია, ბედმა იღბალი მომცა –
სუფთად მატარა ტურტლის ტლაპოში .

ზღვაში შევბედე ცურვის არმცოდნემ,
ვეომე ტალღებს, მტრულად აქოჩრილს,
ნიჩბებად მხოლოდ სიმართლის მქონეს
ვერა დამაკლეს მათზე ტანმორჩილს.

მამა-პაპების წესით ვიარე, ფიცს
დავატარებ, გულში ამოჭრილს,
როცა დიდგორის ომზე მიამბეს,
არ შევეპუე ეშმას, გამოცდილს.

უწესობასთან ზავი არ დავდე,
ხელს არ ვართმევდი კაცებს თავმოჭრილს,
უკეთურ ლანდებს ფიქრშიაც ვებრძვი,
ორეულებსაც – ეკლად გამოჩრილს.

ვიარე მხოლოდ აღმა ბილიკით,
ზოგჯერ მიჭირდა ქარის არ მორჩილს,
ფეხზეც მეძინა თაკარა მზეში
და არ ვეძებდი, ამის გამო, ჩრდილს.

რწმენა-მიზანი გზაში ვიპოვე,
განა მიბოძეს უომრად, ხონჩით,
უნამუსობას რომ შევაფურთხე,
არაკაცთათვის ცუდი გამოვჩნდი.

გაავებულნი შემომესივნენ, მარტო
აღმოვჩნდი სისხლისმღვრელ ომში,
ანგელოზები წამომეშველნენ, ვაზის
ჯვრიანით მატარეს დროშით,

მრავალი ბრძოლა ძნლი მოვიგე,
არ ვიცი, იქნებ არც ღირდა გროში,
რადგან წავაგე ომი, მთავარი –
თავი დავკარგე დაკარგულ დროში.

მგონი დრო არის

ამდევნებია ურჩხული სევდის,
ჭაღარა დარდი უწყვეტად მათოვს,
დანამქრულ გზებზე კვალდაკარგული
დავეხეტები უმისამართოდ.
სამყაროს ზიდვის სურვილის მქონე
ვერ მოვერიე ნამცეცა ატომს,
ადამის მოდგმის ფიქრი და ჯავრი
იმდენი ვნახე, გაავსებს ას ტომს.
ახალი ჟამის ხიბლსაც ვერ მივხვდი –
მამალი დედლობს, ღვინო არ ათრობს,
ეკლესიაში მეძავი დადის,
მზეთუნახავი სხეულით ვაჭრობს,
უფალი ჩემში სანთელს რომ ანთებს,
ვერაგი ეშმა, იქ რომ ზის, აქრობს,
ნამუსი კი მთხოვს – გემის ნამსხვრევი,
საჭის გარეშე, ბოლომდე ვმართო.
სიცრუის ზვავში ცხრაჯერ გათოშილს
ცოტა სიმართლე რაღას გამათბობს,
როცა მომავალს შიშით ვუყურებ,
წარსულს კი ბოლოს, ვატყობ, რომ დავთმობ,
როცა ვერ მათბობს შემოდგომის მზე,
არც გაზაფხული არ მოჩანს ახლოს,
როცა ვინა ვარ დამვიწყებია,
რისთვის მოვსულვარ, აღარც ის მახსოვს.

როგორ დაცლილა აქაურობა –
ძვირფას სახეებს ო, როგორ ვნატრობ,
სარკმელის პირას ლოცვა ვცადე და
სანთელს ვერ ვანთებ – ცრემლები აქრობს.
ჭიშკართან ყეფენ ავი სიტყვები –
„ნუთუ“, „ვაითუ“, „როდის“ და „რატომ“,
მყავს მეგობარი ათას ორასი,
მაგრამ ვყოვილვარ სულ მარტოდმარტო.
ხიდჩატეხილი მდინარის პირას
ჩხირიც ვერ ვნახე, ხიდად რომ გავდო,
გულის ნარჩენიც მალე დამტოვებს
და საიდუმლოს ვეღარვის ვანდობ,
ბრძოლაში ბოლო გამიტყდა ხმალი,
ძველი ხანჯალიც არ არის სანდო,
მგონი კალამიც დაჩლუნგებულა,
მგონი დრო არის კალამიც დავდო!

იქ, სადაც

უფლის საათი უკუღმა ითვლის წამებს დარჩენილს,
წუთის ისარი გაჩერებულა, წამის – ტრიალებს,
თამაში მორჩა, ველი მიწვევას დიდი მარჩენლის,
მოგონებებმა შლეგი ჯოგივით გადამიარეს.

ბილიკის ბოლოს უგუნურობა ჩემი მახელებს, –
აწყვეტილ ზღვაში ვეძებდი სოფელს მყუდრო
საყდრიანს,
გაბარებული ბოლო წუთები კართან ახველებს,
უერთგულესი მეგზური ჩემი, ფიქრიც გამყრია.

იმედგახდილი ვეღარ გავატან ზამთარს ნამქრიანს,
ვიწრო სარკმელთან სკამი დავიდგი – ველი მნახველებს,
წავალ იქ, სადაც ცივი ქარები აღარ დაქრიან,
სადაც ვერ ვნახავ უსამართლობის ტალღებს ამხელებს.

წავალ იქ, სადაც მამა-პაპანი ჩემი მარხია,
სად ქვრივი ქვრივობს და ბოროტება არა ორსულობს,
სად მოგონებებს მხოლოდ ნაყოფი ტკბილი ასხია,
და მამაჩემის დარგული თელა ჩემთვის ლოცულობს.

წავალ იქ, სადაც ადამის შვილებს პატივს არ ყრიან,
სადაც დიდისგან პატარის ჩაგვრა არ მინახია,
და როცა მკერდზე ცრემლების ნაცვლად ღორღს დამაყრიან,
მაინც არ ვიტყვი – ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ხალხია!
ვიფიქრებ მხოლოდ – რაკი ასეა, ალბათ ახია.

საბავშვო და სახუმარო ლექსები

შვილიშვილს, ბატონებისას

ჩიტების ზღაპარი

გზეწვია

სისხამ დილით მეწვია
ციცქნა ჩიტი გზეწვია,
დიდ მინდორში ყოფილა,
ყანა გაულეწია.

მაგიდასთან ჩამომიჯდა
გაისწორა პეწია,
დაიმორცხვა – საუზმეზე
ვთხოვე, არ დამეწვია.

ვიჭორავეთ – ვინ ვინ არის,
ვის რა ბედი ეწია,
შენთვის ლექსი დამიტოვა,
თვითონ მზეს დაეწია.

ბეღურა

ჩემს ბურთულა ბეღურას
ბურტყლი ბევრი ეხურა,
მაინც გათოშილიყო,
ცოტა ეუხერხულა.

მისი თბილი ჟღურტული,
მეღვინა და მეპურა,
ხელისგულზე დაბრძანდა,
ვეამბორე მეფურად.

თუთიყუში

საპატარძლოდ მოპრანჭულა
ჭორიკანა თუთიყუში,
სიტყვასიტყვით იმეორებს,
რაც არ უნდა ვუთხრა ყურში.

მაგრამ ჩემმა თუთიყუშმა
აურია რაღაც გუშინ,
ვასწავლიდი –„სად გიყვარვარ?“,
ის კი ამბობს - „სულში-გულში!“

არწივი

ლაჟვარდი ცის მეუფე,
საზრუნავით გავსილი,
მედიდური, ამაყი,
კეხიანი ჰყავს შვილიც.

აყალმაყალს ვერ იტანს –
„მომაქვს, ბალღო, რას წივი“,
ობოლ მართვეს ხორცს აჭმევს
მეფეთ-მეფე არწივი.

მწყერი

რად მინდა ტანი პუტკუნა,
ჩიოდა მრგვალი მწყერიო –
სულყველა ჩემზე ნადირობს,
გონიერი თუ შტერიო.

ყანებში ბევრი მივლია,
კარგიც მინახავს, ავიცა,
სიმსუქნე ჩემი მტერია –
დიეტა უნდა დავიცვა.

გუგული

კოდალა ბუს ეუბნება:
– შაშვმა უთხრა ბულბულსო –
წუხელ ბუდე გაუტეხავს,
აუკლია გუგულსო.

გუგულს უთქვამს – ბრალს რატომ მდებთ,
რად მიმიზნებთ შურდულსო,
აბა, როგორ გავტეხავდი
მუხის ტოტის ურდულსო.

შენი თუნდაც ერთი სიტყვის
აღარ მჯერა, გუგულო,
სხვის ბუდეში კვერცხმდებელო,
ზარმაცო და უგულო.

ძერა

განა კრუხ-წიწილს ვემდური –
უთქვამს მტაცებელ ძერასა,
მაგრამ ვერაფერს ვუხერხებ
ყაჩაღი გულის ძგერასა.

ისიც თქვა – ბიძაშვილი მყავს
ჩემზე ფეხმარდი ქორიო,
მაგისნაირი ჯიბგირი,
არ მეგულება ორიო.

შაშვი

მე მიწონებენ გალობას,
ბულბულო, შენ კი სტვენასა,
ვარ შენი დიდი მეხოტბე,
დობილო, გიქებ ენასა.

შენი სტვენაა მუსიკა,
ჩემი – სევდისა გალობა,
ჩემი თუ მცირე ნიჭია,
შენია ღმერთის წყალობა.

ბულბული

მგალობელთა მშვენება,
მასზე ლექსებს მღერიან,
ეძახიან მგოსანსაც,
ისე ნიჭიერია.

უწყინარი, კეთილი,
ვერას აკლებს შურია,
თუკი სადმე შეხვდები
ჯობს დაუგდო ყურია.

ყველა დამეთანხმება
ვისაც ქვეყნად უვლია,
ეს პატარა ჩიტუნა
დიდი სასწაულია.

ტოროლა

მაღლა ცაში ტრაბახობს
ცეროდენა ტოროლა:
– ჩემისთანა ხმატკბილი
თუა თითოოროლა.

გალობა ვიცი წკრიალა,
ისეთი სუფთა, ნაზიო -
ყვავის უნიჭო ბახალას
ყელზე ადგება ბრაზიო.

ყვავი

დედა ყვავი ბუზღუნებს –
ვერ აჩუმებს ბახალას,
ბალღი გადაირია,
თავი ბლის ტოტს ახალა.

რამდენი არ ეხვეწა –
მორჩი ახლა სლუკუნსო,
სად გიშოვო ზამთარში
ბალი, თანაც უყუნწო.

ყვავი დადარდიანდა –
რით ვუწამლო ტუტუცსო?
თანაც, ხმაც ჩაეხლიჩა –
თუ ეწევა თუთუნსო.

მერცხალი

გაზაფხულის მაცნეა,
ყვითელგულა, ზედ ხალით
ჩვენი ფანჯრის კუთხეში
სახლს იშენებს მერცხალი.

ჭიკჭიკია ხალასი
მისი ზნე და ბუნება,
ბუდეს ხელი არ ახლო,
არ წაგძლიოს ცდუნებამ.

წერო

თავს ზემოდან დამყურებს,
ცალ ფეხზე დგას წერო,
მეუბნება – წეროზე
ცუდი არ დავწერო.

ლამაზი აქვს ფრთა-ყელი
და ნისკარტის წვეროც,
ცხვირს რომ ცისკენ აღმართავს –
წვდება ხის კენწეროს.

ნიბლია

ფოთლებიდან მიცინის
გულკეთილი ნიბლია,
პაწაწუნა ჩიტუნა
მთელი უბნის ხიბლია.

ასეთ ლამაზ ფერებში
ოჰ, ნეტავი ვინ ჩასვა,
წიფლის ჩიტს ხომ უწოდებენ,
ეძახიან სკვინჩასაც.

მტრედი

დაატარებს წერილებს,
ეხერხება გიდობა,
ყელში თბილად ღუღუნებს,
გულით დააქვს მშვიდობა.

გზა არასდროს ერევა,
არის მთა თუ ბარია,
ეს კეთილი ფრინველი,
შენი მეგობარია.

ოფოფი

უწყინარ ჩიტს როგორ ვესვრი,
კიდევაც მქონდეს რომ თოფი –
თვალცრემლიანი ჩიოდა,
ნამტირალევი ოფოფი.

რატომღაც არა სწყალობენ,
თუმცა გული აქვს ცხელიო,
რა მოხდა, ქოჩრის მაგივრად
ამოსდის სავარცხელიო!

მოლაღური

ბულბულს ვერ გავეჯიბრები,
მჯობნიც არა მყავს ბევრიო,
ნიჭით კი ყველას ვაკვირვებ,
ყმაწვილია თუ ბერიო.

ხან ვუსტვენ, როგორც ფლეიტა,
ხან ვყვირი –„ბიჭო გოგია!“,
კატის კნავილსაც ვამსგავსებ –
კარგი მყავს პედაგოგია.

ბუ

ურბილესი აქვს ბუმბული,
ღამით თვალს დაგიბრიალებს,
მოულოდნელად შეჰკივლებს,
მძინარ ტყეს აგიწრიალებს.

მჯდომარე დიდ ბრძენს წააგავს,
ფიქრი გაურბის სადღაც შორს,
მისივე მოდგმის არიან
ოლოლი, ჭოტი, ზარნაშო.

შევარდენი

ნადირობის დიდოსტატი,
კლანჭმაგარი შევარდენი,
ჯერ არავის ცის ქვეშეთში
შეუპყრია ტყვე მაგდენი.

სულიერი ვერ ეწევა,
რაც უნდა მარდად ირბინოს,
მასსავით სწრაფი არ არის –
თუმცა კი ჰბაძავს მიმინო.

კაჭკაჭი

შავ-თეთრ სამოსში მოსილი,
ყორანის მოდგმის ბიჭია,
თუმცა ყორანზე მცოდნეა –
აქვს თუთიყუშის ნიჭია.

ნეტავი ერთი გაჩვენათ
რა ენა აქვს და რა კანჭი,
ბაღში კაჭაჭზე ჭახჭახებს
ენაჭარტალა კაჭკაჭი.

ჩხიკვი

ცოტა ხელმრუდი ჩიტია
ჩხიკვი, იგივე ჯაფარა –
მოხერხებულად იქურდებს,
კვალს ოსტატურად დაფარავს.

ფრთაზე სამოსი ამშვენებს
მუქი ცისფერი ჩითისა,
ბოლო არა აქვს ტყუილებს
ამ ონავარი ჩიტისა.

შარშან ქოში მოუპარავს,
მოსწონდა ძლიერ რაკია,
მას შემდეგ ამბობს ბებია –
ჯაფარა ავაზაკია.

კოდალა

მიყვარს ხეებზე კაკუნი,
რა დამრჩენია ქალაქსა,
იქ შაშვი თურმე ტაქსისტობს,
კონცერტი მიჰყავს დალაქსა.

პირდაპირ ვეტყვი მეუღლეს –
იქნებ მოუხმოს ჭკუასა,
ქალაქურ ხეში სად ნახავს,
გემრიელ ჭია-ღუასა.

ეგეც არ იყოს, ქალაქში
მე რაღა უნდა ვაკეთო,
სოფელს კი მუშა სჭირდება,
ჯობს, ჩამოვიდნენ აქეთო.

პატრონი არ ჰყავს ბაღ-ვენახს,
ნაკვეთი აღარ ნაკვეთობს,
თუ კოდალასი არ გჯერათ'
ე, თქვენი თვალით ნახეთო.

ციკლიდან – „ბავშვობა“

ორღობე

ორღობეში მორბის გოგო –
მზეზე უფრო კაშკაშა,
წკეპლით მოსდევს დედამისი –
დიდი ქალი, ფაშფაშა.
ქალის შემდეგ მურიაა,
უკან – იხვი ვახვახით,
ჩემი სოფლის ის ორღობე,
გულში ჩამრჩა ამ სახით.
კვლავ ჩამესმის ფოთლებს მიღმა
ბელურების ხორხოცი,
აქაური ათი წელი
ტოლი იყო ოთხმოცის.
ჰეი, ჩემო ორღობუნა,
ასე ტკბილი რამ გშობა,
აქ დავიწყე ჯირითი და
აქ დასრულდა რაშობა.
გახსოვს? როცა მაცილებდი,

ყელში რაღაც მაღრჩობდა,
ოცნებები გაგიმხილე,
მოგაბარე ბავშვობა.
იქვე, შაშვი სევდას სტვენდა
მოწმე იყო კუნელი,
მოშორებით ცრემლს იწმენდნენ
კოდალა და ურთხმელი.
ოი, როგორ გამიჭირდა,
ოი, როგორ სულ გელი,
სიხარულიც მანდ დავტოვე,
შემრჩა დარდი უთქმელი.
შენი სუნის მონატრებით
მძიმედ ვიყავ ავადა,
ის ბავშვობა დავიბრუნო,
ჩამოვედი თავადა,
იქნებ ვნახო ჩემი გოგო,
ვნახო იხვის ვახვახიც,
მაგრამ ვიღაც უცხო ჟამი
გულშემოყრილს ჩამძახის:
– აქ რა გინდა, შე საბრალო,
რას დაეძებ სულელი,
მოკვდა შენი ორღობე და,
დარდს გადაყვა კუნელიც.

ძაღლი

სულ პირველი ხუთი წელი
ბედმა მარტო მატარა,
მარტი ცრიდა, რომ მაჩუქეს
ლეკვი ჩემზე პატარა.
სიხარულმა დამიარა –

ლეკვი ჯერ არ მყოლია,
მოაცილეს ძმაკაცებმა
ჯულბარსმა და ბროლიამ.
თეთრი იყო, უფრო თეთრი
ვიდრე მთაში თოვლია,
შემეხვეწა და დავარქვი
კუდქიცინა თოლია.
ხშირად ერთად ვიძინებდით,
ერთად ვჭამდით საჭმელსაც,
ჩოჩორს ჭკუას არიგებდა
თან მწყემსავდა ქათმებსა.
უცნაური რაღაც მადლი
დაჰყვა თითქოს ზეციდან
ანგელოზი მიყურებდა
პაწაწინა მხეციდან.
გაიზარდა ჩემი ლეკვი,
შეიფერა როლია,
ერთხელ, მტრისგან დასაცავად,
ჩუმად გამომყოლია.
ღამე იყო ძველ წისქვილთან,
ჩამოიფქვა საფქვავი,
მთვარე უკვე დაღლილიყო,
აღარაფრის აქვს თავი.
გზაზე კაცი გადამიდგა
ძაღლმა მტერი გაკაწრა,
მეორე დღეს ტყვიით დაჭრა
უსულგულო ნაკაცმა.
სამი დღე და სამი ღამე
მის საწოლთან ვყმუოდი:
– ღმერთო, მონად დაგიდგები,
სიკვდილს უთხარ, ნუ მოდის.

არ დაინდეს სიყვარული
გულში რომ ჩაკირულა,
კვნესაც კი არ დასცდენია,
შეხვდა სიკვდილს გმირულად..
სულ ბოლო ჟამს შემომხედა,
ხელზე ენა ამისვა,
წამწამიდან ცრემლი მოსწყდა
ნიშნად ბოლო წამისა.
***
ვერ მოვკალი ის ტკივილი
მაშინდელი ღამისა,
ძაღლი მეტი არ მყოლია
შემდგომისად ამისა.

აღარა მაქვს დარდი

გაიზარდა სანდრო,
დრო რა ჩქარა გადის,
უკვე ორ ლექსს ამბობს,
თან საქმეზე გარბის.

კითხვები აქვს ჭარბი,
მეკითხება სულ მე,
თამაშსა მთხოვს ნარდის,
ხვალ მატჩი აქვს თურმე.

მხატავს მუდამ ცალკე,
არსად ვგავარ უნდილს,
ან ვარ დიდი ბუდა,
ან ვატარებ მუნდირს.

აღარა მაქვს დარდი,
რადგან ჩემი სანდრო,
კეთილი და კარგი,
მოდის კაცი სანდო.

ელენეს

ჩემო დილის ნიავო,
ჩემო სულის ნატეხო,
მოდი-სიცილ კისკისი
ძველებურად
ავტეხოთ.

ძველებურად ვითამაშოთ
აჩუ-აჩუ, ბუტე-ბუტე,
ძველებურად „დამახრჩე“ და
ძველებურად
ჩამეხუტე.

ჩემო ცელქო იმედო,
ჩემო გულის ნაგლეჯო,
მაგ პაწია თითუნებით
მამას ლოყებს რად
გლეჯო?

კიდევ კარგი ცუგა არ ხარ –
თამაშ-თამაშ დამგლეჯო!
შენებურად თუ მაკოცებ –
გულში დარდებს
ამგლეჯო.

ანის

პაემანზე მოგელოდი,
ღამეები არ მაძინე,
იმ დილას კი, მზედ რომ გაჩნდი,
რა ვილხინე, რა მაცინე!
პირველად მე გამიღიმე,
არცა მსურდა სხვა!
ბაგეებად ვარდი გქონდა,
თვალებში კი – ზღვა.
სურნელებით იას ჰგავდი,
ხასიათით ცხვარს,
ეგ პატარა, ტკბილი ენა
გვიან გამოცხვა:
წყალს ეძახდი „დაიანას“,
პური იყო „ხვა“,
მე გიგებდი ჩიტბატონას,
ვერ გიგებდა სხვა.

ერთხელ მკითხეს,
ლექსებს სიყვარულზე რატომ არ წერო?
ვერაფერი ვუპასუხე, იძულებული გავხდი დამეწერა.

გამხელილი სიყვარული.

მაისის პირს, ჯერაც ნორჩი,
აფეთქებულ ქალწულს ჰგავდი,
მზესთან ალერსს როცა მორჩი,
ფეხშიშველი წყაროს სვამდი.

ვნების ღამით.– მთვარე სრული,
თუ ვენერა, გულზე ვარდით,
ზღვის ქაფიდან ამოსული,
აფროდიტე? – უფრო კარგი!

ტანი, წელი – ლერწმის დისა,
თვალი – მსგავსი გიშრის თვლისა,
სურნელება – ბადაგისა,
სხვა ღირსებებს ვინ მოსთვლისა.

ჰაეროვანს, მარწყვის დარსა,
ტრფობის მწველი ალი აგდის,
გაზაფხულის ფიფქზე ნაზსა,
მონუსხული, თვალით გჭამდი!

უცხო რაღაც ელდა მეცა,
შემომცინე – ყვავილს ჰგავდი,
მივხვდი მეხი რაც დამეცა –
უიმედოდ შემიყვარდი.

ადრე თრთოლვა გქონდა წესად,
უტურფესი ნუკრზე შველის,
ეგ საყურე ჯერ არ გესხა,
ღმერთო ჩემო, როგორ გშვენის!

მხოლოდ ნესტანს შეგადრიდი,
გავიჭრები ალბათ ველად,
გადავიქეც ერთ დროს მშვიდი,
ცეცხლმოდებულ ტარიელად.

მინდა თუნდაც ვეამბორო,
დავუკოცნო ორივ თვალი,
გავგიჟდები მგონი ბოლოს,
შემიბრალეთ მე საწყალი.

მოვიტაცებ, რაღას ველი,
ვით ვაჟკაცი ლამაზ ცხენსა,
მაგრამ წესი ძველისძველი,
არ მასვენებს, მიშლის ხელსა.

„ხელს ნუ ახლებ მეზობლისას“–
ნათქვამია ჩემდა ჭირად,
დაო შინდის, დაო ბლისა,
ლხინს ნუ მიქცევ გასაჭირად.

სულ გვაშორებს ერთი ღობე,
არც მაღალი, არც დაბალი,
გული ძგერს და მადა გოდებს,
ფიქრები მაქვს სულმდაბალი.

ერთი ტოტი არის ახლოს,
დახუნძლული კუნწულებით,
ხის პატრონი აქ არ სახლობს,
ალუბალი მიმზერს ვნებით.

ვუჩურჩულე – ბინდში გნახავ,
ვიცი, მოვა განცდა ბრალის,
გეხვეწებით, ნუ დამძრახავთ, –
რა ვქნა, მიყვარს ალუბალი!

სხვანაირი ხარ, ქალაუ

(ერთ ჩემს ყოჩაღ სტუდენტს,
რომელიც ხშირად იცვლიდა ფერს)

გუშინ მზისფერი გიხილე,
გუშინწინ – მაყვლისფერია,
გიმზერ და ვერ დავადგინე,
ერთი ხარ თუ ხარ ბევრია.

სხვანაირი ხარ, ქალაუ,
ვერ გამიგია, ვინა ხარ,
ხატივით კალმით ნახატი,
ნინუცა ხარ თუ თინა ხარ.

ვფიქრობ, ეს ბავშვი ოდესღაც,
ალბათ სადღაც თუ მინახავს,
ყოჩაღ შეგირდთა სურათებს
ფიქრი ხომ დიდხანს ინახავს.

თვალთა კუთხეში ღიმილებს
შევატყე, რომ შენც ინახავ,
ძველი დრო გამახსენდება,
გარჯაშიც თუ დაგინახავ.

სიტყვები ბევრი დავხარჯე,
ყველაზე მთავარს ვინახავ –
დაფასთან მინდა გიხილო,
ერთ კარგ მაგალითს გინახავ.
***
მოფრინდა გოგო დაფასთან,
დაფას ეცვალა ფერიო,
მაგალითს ნეკა თითით ხსნის,
არ უხმარია ცერიო,
აღმართს შეუყვა უშიშრად,
გადაიქროლა სერიო,
გზად ზღვრები მიბერტყ-მობერტყა,
თითქოსდა არაფერიო.
ახლა კი გიცან ქალაუ,
სიხარულისგან ვმღერიო,
ფუჭად ვიგლოვე ამდენი,
ცრემლები ვღვარე ბევრიო,
ყოფილხარ ჩემი სტუდენტი –
გვარ-ტომის შესაფერიო,

რა ვუყოთ თუ ხან შავი ხარ,
ხან კიდევ ატმისფერიო,
როცა მაგალითს კარგად ხსნი,
გიხდება ყველაფერიო.

ფიქრნი ჩემი სტუდენტისა გამოცდის პირას

საწყალ სოფლიდან მოვსულვარ, გამოვეცალე ბნელსაო,
ვიფიქრე, წავალ, ვისწავლი, პურს აღარ შევჭამ ხმელსაო.
ზოგი რამ სხვებმა გამანდეს, მე თვითონ მივხვდი ერთსაო –
კედელი თუ არ აშენე, სახლს ვერ დაადგამ ჭერსაო.

ღარიბი კაცის მემკვიდრე, მინდობილი ვარ ბედსაო,
ხან შუქი არ მაქვს, ხან წყალი, ვსვამ მარტო დარდის წვენსაო,
ახლაც მშიერი დავწექი, ფული სჭირდება ყველსაო,
პურის ნაჭერი ვიყიდე, მეტზე არ გამწვდა დღესაო.

წინ კიდევ დიდი გზა მელის, აღმართიანი, ხვეული,
განა მინდოდა ეს მეთქვა – წუწუნს არა ვარ ჩვეული,
ჯიბეში გროში არ მიდევს, გახვრეტილია წყეული,
სახარებაზე ძვირი ღირს ერთი უბრალო რვეული.

ქალაქმა შემიყოლია, ვერ მოვერიე თავსაო,
ლექტორი შემხვდა აჯამი, საქმეს მპირდება ავსაო,
მითხრა, ერთი თუ დაკარგე, ვეღარ მიაგნებ კვალსაო,
აღმა და დაღმა ყიალით ვინ მოიპოვებს ხვავსაო.

სადღაა ტკბილი ცხოვრება, დავდივარ დაზაფრულია,
გულით ვერ გავინავარდე, ჩამმწარდა გაზაფხულია,
ყველა გამიგებს ჭირ-ვარამს, ვისაც ამავ გზით უვლია,
დღესაც რომ დავაგვიანო, თუ მიხსნის სასწაულია.

ერთი ურემიც არსად ჩანს – ტრანსპორტი გაწყვეტილია,
კარს ვეღარავინ შეუღებს, თუ უკვე დაკეტილია.
დაგვიანებულს არ სწყალობს, არსია არ კეთილია,
ვშიშობ, ვაითუ ეს ჩემი ბოლოა გაკვეთილია.

უფალო გადამარჩინე, ვეხვეწებოდი ღმერთსაო,
დღეს კიდევ ერთხელ დამტუქსავს – ყმაწვილო, აცდენ ბევრსაო,
ტყუილსაც ვერ ვეუბნები, არა ვარ ბიჭი ქლესაო,
ღმერთი კი ცნობას არ მაძლევს, სამართალია ესაო?!

მაგრამ ყველაზე ვერაგი, გამოცდა არის მაგისი –
გულში გაყრილი სადგისი, ტკივილი გაუსაძლისი,
გადამცემი თუ „შპარგალკა“ არცერთი არის ვარგისი,
ვაიმე, გვერდზე არ დამრჩეს თბილისიცა და მანგლისიც.

„მეზობელს მზერაც არ ჰკიდო, არ გაატოკო თავია,
თვალიც არ უნდა გაინძრეს, თორემ დაიძვრის ზვავია,
ვერ გიხსნის გვარიშვილობა, ვერცარა კილო-კავია,
სულ მთლად უქულოდ დარჩები, ამ დროს ვარ ავზე ავია“.

გულს დარდი ვერ ავაგლიჯე, ასე გავიდა კვირაო,
ბინის პატრონიც მომადგა, ჩქარა მომეცი ქირაო,
სოფლიდან გზავნილ მჭადს ვჭამდი, ლუკმა ყელს გამეჩხირაო,
ჩემს თავზედა ვთქვი – ეს ბიჭი ახლა კი ჩაიძირაო.

სოფელი მომნატრებია, წავალ მოვწყდები მტვერსაო,
დედ-მამას ჩავეკონები, რუხს გავაჭენებ ცხენსაო,
მინდორ-ველს მივუალერსებ, მოვეფერები ტყესაო,
სწავლას ორშაბათს დავიწყებ – პარასკევია დღესაო.

ვემშვიდობები
ჩემს 42-ე გამოშვებას

მაღლივური შემოდგომა

გაფრენილა ლაღი გედი,
ავაზა თუ მარდი კვიცი,
აქ ვიპოვე ჩემი ბედი,
უბედობაც, - ესეც ვიცი

ყველაფერი მარტივია,
ყველაფერი არის რთული –
შემოდგომა მიხარია,
აქ სევდას მგვრის გაზაფხული.

აქ მოვედი თითქმის ბავშვი,
აქ ვიარე საუკუნე,
ხან ვიცურე სუფთა ზღვაში,
ხან ვებრძოლე სენს უკურნელს.

ბევრი იყო შემოდგომა,
იმდენივე გაზაფხული,
შემოდგომა – წლის დადგომა,
გაზაფხული – დასასრული.

მეჩვენება თითქოს ვქრები
გულიც არ მაქვს ისე სრული,
ცარიელი ოთახები,
დაფანტული სიხარული.

და იწყება სულში თოვა,
თუმცა ერთი ზუსტად ვიცი,
შემოდგომა ისევ მოვა,
შემოდგომა ისევ მიცდის.

ზაფხულობით მაღლივს სძინავს,
ასვენებს დაღლილ ღირსებას –
ფოთოლცვენის დაწყებამდე
ახლიდან გახალისდება.

გვერდით უბრად ვერ ჩავუვლი,
ამას ვამბობ არა ქებით,
ბევრი ვნახე სასწაული,
და ვისმინე არაკებიც.

ბევრი იქცა აქ რაინდად,
ბევრიც კიდევ გზად გავლილა,
შემოდგომა ისევ მინდა,
არც ფიქრებით არ დავღლილვარ.

მაღლივია სიყვარული,
ხან წიგნიც კი უკავია,
ვერ მოკვდება ჩემი გული –
სიყვარული უკვდავია!

ჩემი სტუდენტის სემესტრის დასასრული

მამალმა ადრე იყივლა,
გამოაღვიძა კვიციო,
თვალების ფშვნეტით წამოჯდა –
დღეს რომელია რიცხვიო?
კრუხმა ქოთქოთი ატეხა,
შეიქმნა ფაცი-ფუციო,
აქეთ ვარიკას ეძგერა –
ადექ, შენ რაღას უცდიო,
ლექცია მალე გეწყება,
ჩემს მოთმინებას ნუ ცდიო!
– დედი, ცოტა ხანს მაცალე,
საბანი არ გამიციო,
გეტყვი, ყურს თუკი დამიგდებ,
გიამბობ, თუ დამიცდიო:
აწ ძილი ბევრი მექნება,
დაწყნარდი, ნუ განიცდიო,
ცხრილი არ დამვიწყებია
ფიცის შენახვაც ვიციო,
მაგის ლექცია აღარ მაქვს,
მოვრჩი მაგ საგანს, იციო?!

სოფლის სურათები

ზამბახმა იას აკოცა,
იას უარი ეძნელა,
ბუჩქის ქვეშ ეჭვით დაჭრილი
თავს ძლივს იკავებს ენძელა.

***

ჩოჩორი ურემს შეება,
არა აქვს მეტი ჩარაო,
მეურმედ კოფოს დასკუპდა
ბეღურა მეტიჩარაო.

***

ყვავმა ვარდს ოდა უმღერა,
კოშკი ოცნების აუგო,
ვარდმა ღიმილი აჩუქა -
მთვრალი იყო და გაუგო.

***

ოფოფი მერცხალს უყურებს,
გულში ცუდი არ უდევსა,
უბრალოდ თვალს ვერ აშორებს,
ქალწულის მაცდურ უბესა.

***

ფიალა ჭიქას ლანძღავდა,
აბა, – ვინ მე და ვინ ისა,
დალევის ხიბლის რა იცის,
რა გაეგება ღვინისა?!

***

ნამგალმა უთხრა ცულსაო:
რატომ არ მიგდებ ყურსაო,
ვერ ხედავ, შენი კაკუნი
საწყალ ხეს როგორ სძულსაო?

***

ჩოჩორი უხსნის რუსაო:
განა მაკლია ყურსაო,
ხმამაღლა რადგან ვყროყინებ
კვიცი მეძახის ყრუსაო.

***

ნაკადული გაწიწმატდა :
– უსაქმურო ხეო,
ხელში მაინც ამიყვანე,
ზღვა დამანახეო!
***

დათვო, მათხოვე ცოტა ხანს
შენი ფუმფულა ბელიო,
მხოლოდ ერთს ჩავეხუტები,
დაგრჩები მადლობელიო.
***

ტყიურებს გაზაფხული აქვთ,
ტურამ შეცვალა აფთარი,
მე არ დამადგა საშველი,
ზამთარს კვლავ მოსდევს ზამთარი.

ეი, შენ!

სადღაც, ახლოდან, ჩექმის ხმა მესმის,
ბრახუნით მოდის კვლავ დიდი ღამე,
საჩუქრად მოაქვს ტყვია და გესლი,
სალოცავებო, გვიშველეთ რამე!
იყო აპრილი, იყო ვარდები,
მუდამ იმედის მოლოდინში ვართ,
ახლა წარსულში ისევ ვვარდებით,
სადაც ვყოფილვართ, იქვე მივდივართ.
ჩვენო მფარველო, მშობელო ღვთისა,
იქნებ შენს გვერდით ისევ გვიახლო,

იქნებ გვასწავლო ცნობა იმ „ძმისა“,
ღალატს რომ გეგმავს აქ, შორიახლოს.
ეი, შენ, ბიჭო, გვარით ქართველო,
გაბრიყვებული ერის მმართველო,
ორსახოვანო, გულით არ მრთელო,
ცრუმოძღვარო და ვითომ სანთელო!
საჭურჭლით სავსეს რაღა გობოძო –
შემომრჩა მხოლოდ მონის საყელო,
მაგრამ სიტყვა მაქვს მე შენთვის ერთი,
ცუდი მინდოდეს? – ღმერთმა დამწყევლოს!
რომ გინდა ერი ფარად აქციო,
კომბალი ურტყა, პარსო, თან წველო,
ფარამაც იცის ზოგჯერ აწყვეტა,
უფრთხილდი, ემანდ, გზად არ გაგთელოს!

ერთი ნაბიჯი

ძროხა რომ მოწველო – უნდა აბალახო,
ჯამბაზს გადაუხდი – აცეკვებ შალახოს,
ოღონდ აჭამონ და თუნდაც გალახონ,
ვინც არ მეთანხმება, აბა მანახონ!

ძღვენს არ ვენდობი, ქრთამი დამისჯია,
დღესაც დავრწმუნდი – სწორად განმისჯია:
ქველმოქმედებიდან ბნელმოქმედებამდე
ხელის გაწვდენა და ერთი ნაბიჯია!

ნიკორა

წინაპრისეულ მარანში
კუთხეში ეგდო ტიკჭორა,
პაპამ მიამბო ზღაპარი
მოსიარულე იქ ჭორად:
„იყო და არა იყო რა,
ძლივს რომ გაჰქონდა ზამთარი,
იყო ბოჩოლა ნიკორა.
სოფელშიაც და ქალაქშიც
ნიკორამ ბევრი იქორა,
გასუქდა, ფული იშოვა,
იღრუტუნა და იღორა.
დიდი კაცობა მოუნდა,
სად არ იარა, იგორა,
თავი ღმერთკაცი ეგონა
ძალაუფლება იგდო რა.
გალაღდა, ფეხქვეშ გაიგდო
აქეთ ბარი და იქ გორა,
მდინარესა სვამს ერთ ყლუპად,
ვარსკვლავებს ცაში ჭრის ორად.
ღრუბლებისაკენ მიმავალს
დაუცდა ფეხი ნიკორას,
ბილიკზე რქები დაუტყდა,
ვეღარ იცნობდი იყო რა.
ნახირს სიცილი აუტყდა,
ვინც ელაქუცა, ის ჭორავს.
იყო და არა იყო რა,
იყო ყოჩაღი ნიკორა,
უღელში ავ ზნის აღმოჩნდა,

სოფელმა არა ირგო რა,
დაკლეს, ატყავეს, გაახმეს,
იყო და არა იყო რა.
ერთ დროს სახარე ბოჩოლა
მარანში გდია ტიკჭორად“.

ჩოკინა

მინდა უყურად ვიარო,
არ მინდა ვინმეს წყენაო,
მაგრამ ქართული გამრუშდა,
ძნელია ამის თმენაო.
ჩოკინას ასე ჰგონია
კაცი გინებით ფასდება.
ბრიყვი, გონების დანაკლისს
ბილწსიტყვაობით ავსებდა,
პირიდან ტურტლი ამოსდის,
ჭკუას არ უსმენს ენაო,
სირცხვილიც ხურმა ჰგონია,
ალბათ განუდგა ზენაო.
ქარაგმას ის ვერ გაიგებს,
მე გეუბნები შენაო:
ჩოკინა ჰქვია ვირის ზრდილს,
კაცი – თუ ზრდიდა ნენაო.

სიკეთე

ჩემო კეთილო სიკეთე,
როცა სიკეთე გვიკეთე,
უმადურებმა მიგთეთქვეს,
სიკეთე ამოგიკვეთეს.

მაგრამ გულებმა იქვე თქვეს –
მაშ გული რაღას გვიკეთებს,
თუკი გულშია სიკეთე,
სიკეთე ისევ იფეთქებს.

ვირუკა
(ფელეტონი)

ერთ უსახელო სოფელში ჭკუა სულ ჩამოქცეულა,
მეზობლის ანცი ჩოჩორი თავლიდან გამოქცეულა,
გამგებელს ძღვენით ეახლა – უჭკუოდ არ მოქცეულა,
სათათბიროში მიიღეს, მალე ლოტბარად ქცეულა.

ბრძენის იერი ჩაიცვა, აზრი აშენა ხვეულად,
გასუქდა, გამოიწკეპა, გამოკოხტავდა სხეულად,
გუშინ ჯერ კიდევ ჩოჩორი მუტრუკად გადაქცეულა,
მეგობარ-ბიძაშვილებში თავსა გრძნობს ერთობ ჩვეულად.

ტკბილი ოცნებით დამთვრალი ჩოჩორი გადარეულა,
მამასახლისად დანიშნეს, სოფელი მთლად დაქცეულა,
უწინ ჯანმრთელი მიდამო იმზირებოდა სნეულად,
ცოცხალი ყველა გაიქცა, მკვდარნიღა დარჩნენ ეულად.

ერთ დღეს მოვიდნენ ახლები, ძველი აცხადეს წყეულად,
ძღვენი ახლებსაც აძლია, გაეცნო ხალხის რჩეულად,
მაგრამ ეს ჩვენი ვირუკა ყროყინს ვერ გადაჩვეულა –
სიმღერით იცნეს, გასკვანჩეს, დასაჯეს გამორჩეულად.

კატათაგვობანა

თაგვი ნიგოზს ეპარება,
კატა ამბობს ვიციო,
დაეუფლა ნეტარება –
მოდი ბიჭო, გიცდიო!

უცებ, ხაფანგმა დაიტკაცუნა,
მტერმა ხმამაღლა ჩართო რაცია,
იწყინა თაგვმა –
ეგ რა კაცია
კაცს სადილობას
აღარ გაცლიან,
კატა კი არა
ნაღდი ნაცია –
დაუგეგმია
პროვოკაცია!

თაგვმა შეკრიბა უმრავლესობა,
არც აცხელა და არც აცია –
ეს კატა ყველას გულზე გვესობა
მოდი დავადოთ რამე სანქცია!

მე გადავწყვეტ

ცოტა ხნის წინ დაგვემართა
საქმე ცუდი-აუგია:
დათვმა მეფე დაგვიტორა,
ურჩობს, თურმე! გაუგია.

ტახტზე დაჯდა თეთრი მელა,
თითქოს თავში ჭკვა უგია,
მაგრამ მერე ნელა-ნელა,
მელას საქმე წაუგია.

მელაკუდას გამოზრდილი,
სასახლეში, ერთი ვარდით,
შემახილით „გადადექი!“–
შეუვარდა ბიჭი მარდი.

ყავლგასული ედუარდი.
ჩაის არ სვამს, ისე გარბის!
გაციებულ ჩაის ულევს,
მწყურვალია, განა ხარბი.

მიდი-მოდის, გარბის, დარბის –
ნამეტანი მაღლა არბის,
ხან იქცევა როგორც ვაცი.
ხან მუქია, ხანაც ბაცი,
აგებს, არბევს, გასძვრა ქანცი,
დაღვინებას დრო არ აცლის!
მაჭრად დარჩა ბიჭი-კაცი.

იმედებით სავსე ბოცით,
აურაცხელ ჭურჭლეულით,
ნაცს აძევებს კაცი ქოცი,
დაპირებებს ვერ ასრულებს –
მეუბნება – ნუ გაოცდი!
შვიდი წელი არა კმარა,
იქონიე ძალა მოცდის,

ოცნებების ასრულებას
სდომებია წელი ოცი.
თანაც ნაცი ნერვებს მიშლის,
ვერ ვოცნებობ მაგის შიშით,
ახლა მოგცემთ ცოტა ქიშმიშს,
მომავალში –კოშკებს გიშრის.

ნაცმა: ქოცო მორჩი ვიშვიშს,
იოცნებე, მე რას გიშლი,
ვერ ივარგებ? – თუ არ გიკბენ,
ყეფას მაინც ვინ დამიშლის.
***

ამ პატარა იგავისთვის
არც ტაშს ვითხოვ, არცა ოქროს,
ძმაო ნაცო, ძმაო ქოცო,
უნდა გთხოვოთ რაღაც მომცრო –
მშვიდობიან მოქალაქეს
ნუ დამინთებთ შუღლის კოცონს,
თქვენ ნაღვაწი დამანახეთ –
მე გადავწყვეტ, თუ ვინ მომწონს.

ციკლიდან – „მივლინება ჯოჯოხეთში“
***

როგორ შევრჩი ჯოჯოხეთს, ანუ მირჩიეთ რამე

(ოდნავ იუმორისტული მოთხრობა)

I. პროლოგი

მაღლა, ზეცაში მეფობს არწივი,
დაბლა დაბზუის ოთახის
ბუზი,
ზოგჯერ ჭინჭველა სპილოს ერევა,
ხშირად მეფეზე მაღლა დგას
ტუზი,
ადამიანი ზოგი გონჯია,
თუმც აქლემივით არ უჩანს
კუზი,
ყველა არსებას იქ, სადღაც შიგნით,
ცოტაოდენი ეშმაკი
უზის.
არც ხილვებია ჩემი მორჩილი,
აღარ მიჯერებს აღარც
ზმანება,
ორეული მყავს ამოუცნობი,
ვერ გაუგია თავად რა
ნებავს,
სახედარივით გაუგონარი,
ონავარი და ქარზე
თავნება,
დღეს რომ ღრუბლებში გაინავარდებს,
ხვალ უფსკრულისკენ
მიექანება.

ეშმაკმა ევა მაშინ აცდუნა,
როცა ეძინა უფალს
რატომღაც.
განრისხდა ღმერთი – შვილმა, ადამმა,
ქალს უნებართვოდ როგორ
აკოცა?!
დაკარგა რწმენა – ოდეს მე მძინავს,
აბა ვიღასღა უნდა ვანდო
ცა
და რეპრესიებს, ცოდვილთა გარდა,
ემსხვერპლა თურმე ბევრი
სანდოცა.

დაწყნარებულა შემდგომში ღმერთი,
ღვთის საკადრისად ისევ
განსაჯა,
უცოდველთათვის სამოთხე შექმნა,
ღირდა ნამდვილად ცოტა
გარჯადა,
ჯოჯოხეთი კი ცოდვილთ აუგო,
ღმერთმა ისინი მკაცრად
დასაჯა,
მშენებლებს მაინც მოუპარიათ,
ვერვინ გაიგო საქმე რა
დაჯდა.

II. გამგზავრება

ორი სოფლიდან რომელი ჯობდა,
დიდი ხანია მსურდა

გამეგო,
უკან მოსული კაცი ვერ ვნახე,
მეკითხა, ვიზა რომლის
ამეღო,
ბოლოს ვიფიქრე, ცოდვილთა ხათრით,
ცოტაოდენი მსხვერპლი
გამეღო,
ცოდვების დარგში სიახლეები
ჯოჯოხეთშიაც იქნებ
დავნერგო.

და აი მალე, ერთ ტკბილ სიზმარში
ასეთ ამბავში ნებით
გავები:
ავტობუსების გასვლას ელოდნენ
ნადიდკაცარი უფრთო
სვავები,
შიშით მოღრეცილ ნასუქ სახეებს
ჩამოეყარათ დონდლო
მკლავები,
ზოგს მხოლოდ ვერცხლის ქოშები ეცვა,
ზოგს წამოეღო ოქროს
ავეჯიც.

მძღოლი გაჰყვირის – ერთი კაციც და
ჯოჯოხეთისკენ უკვე
გავედით!
ვიფიქრე, ვნახავ, მოდი, ჯოჯოხეთს,
გზაც იქით მქონდა, ჰოდა
ავედი.

სახეკეთილი მძღოლი დაგვთანხმდა –
სამოთხის გავლით, შორით
წავედით.
სამოთხისაკენ ავტობანია,
ვერც კი გავიგეთ ისე
ჩავედით.

გზისპირიდანვე მომტაცეს თვალი
ულამაზესმა ტურფა
ბაღჩებმა,
ბაჭია შვლის ნუკრს ეთამაშება,
გალობა დასცხეს ხიდან
შაშვებმა.
შემომაფრქვიეს ჟივილ-ხივილი
თვალებციმციმა ლაღმა
ბავშვებმა,
ქარვით ნაგები სახლი აუზით,
წასვლა არ მინდა, გული აქ
მრჩება.

ჩაწკრიალებულ ქუჩაბანდებში
ხელკავით დადის მამალ-
დედალი,
მრავალშვილიან ყველა კრუხ დედალს
გმირი დედისა შვენის
მედალი,
მაგრამ, უეცრად ხმა გავიგონე:
„ის პროკურორი მგონი ეგ
არის!“–

სუპერმარკეტში გამოიჭირეს
ბოტასის ქურდი
არალეგალი.

თუმც მომეწონა, მაგრამ წესია –
ვიზის გარეშე ვერვინ
დარჩება,
სამოთხისათვის კანდიდატურებს,
კონკურსის წესით, ღმერთი
არჩევდა,
დათქმულ ვადაზე მეტად დარჩენა
ადგილობრივთა ეჭვს
გააჩენდა
და წამოვედით ჯოჯოხეთისკენ,
ტირილი მორთეს ზორბა
ლაჩრებმა.

ცოდვილთ ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე
ცოცხებჩადგმული ორმოა
ბევრი,
ერთ მოხერხებულს ერთ ღრმა
ორმოში მამაპაპური ჩაედგა
ქვევრი,
ხასიათზეა მოსული მძღოლი,
„დონ კარლოსიდან“ არიას
მღერის,
წინა ბორბლებით ქვევრში რომ ჩავრჩით,
ყმაწვილს მაშინღა ეცვალა
ფერი:

– ინსპექტირება ძლივს გავიარე,
ღმერთო, რას იტყვის ქალაქის
მერი,
ჩემზე ისედაც აღრენილია –
ტაქსი რომ არ მყავს
სპილოსძვლისფერი!
წავედით ფეხით, რადგან ავტობუსს
მთელი არ შერჩა
აღარაფერი.
ჯოჯოხეთიდან ყორანი ყეფდა
და მთვარე იყო წუპაკი
ფერის.

III. ჯოჯოხეთის სენატში

სენატორების ყალბად მცინარი
სტუმართ-დახვედრა ცოტა
მაგიჟებს,
ეშმაკთა შორის ურჩეულესნი! –
ზოგიერთები ჰგვანან
ნაგიჟრებს,
უტიფრად მითხრეს – უნდა ელოდო,
სანამ უფროსი მოვა
საგიჟეთს,
და ჯერჯერობით ზედა სენატის
მთავარ დარბაზში
მიმიპატიჟეს.

სენატში დიდი მოლოდინია,
ეშმა-ბელადის მოსვლას
ელიან,

ქვორუმი არის – აქ გახლავთ ყველა:
სვავი, მაჩვ-ზღარბი, ჭრელი
გველია,
განიხილება საკითხი ბევრი,
პრინციპული და მეტად ძნელია,
დღესვე ტურები ბრალს წარუდგენენ
დათვის ხაფანგში გაბმულ
მელიას.

წილის საქმეზე დებატი იყო,
სიტყვას ითხოვდა ეშმაკი
ორი,
ცრუ კენჭისყრაზე გამოდიოდა
რკოს მოპოვების პროექტი
ღორის,
ტენდერებს იგებს სულ მუდამ ქორი,
თქვა დედა-ღორმა ეს
სხვათაშორის,
ზღაპრებს ყვებოდა არხი „იმედი“ ,
ბილწსიტყვაობდა „რუსთავი
ორი“.

რწყილი იბრძოდა, ფართო კანონი
დაეჭრათ უფრო ვიწრო
ნაჭრებად,
აპროტესტებდა ყველის ვაჭარი:
ვაჭრებს რად გვთვლიან ისევ
ვაჭრებად,
ვაზის მუხლუხო პირობას დებდა –
ღვინოს უკუღმა
დაამაჭრებდა.

მძინარე მაჩვი, ხმას რომ აძლევდა,
მწვანეს მაგივრად წითელს
აჭერდა.

ესეც მომიყვნენ: – აი, იმ დედალს
თეთრი მამალი ჩხუბში
აჰყვაო,
უთხრა – დედალო, შენთან კამათი
მართლა წყლის არის ფუჭი
ნაყვაო,
შავმა დედალმა დაიგრუხუნა –
ბიჭი თუ გქვია „მოდი
აქაო!“,
მამალს კისერზე შემოაფრინდა,
პატრიოტულად
წაუთაქაო.

IV. დიად ეშმასთან

მაღალ მთის წვერზე დაედგა ტახტი,
წვრილთვალებიანს, სამკუთხა
სახის,
მრავალი იდგა წყალობის რიგში,
ანდა მსურველი უბრალოდ
ნახვის,
სიის მიხედვით ყველას იძენდა –
თითოეულის იცოდა
ფასი,
ხუთიოდ წუთში მამცნო იმდენი,

ვერ მასწავლიდა ბრძენკაცი
ასი:

„ნაზირ-ვეზირად ის უფრო გიჯობს,
ვისი ცხოვრებაც არის
ყალბიო,
ქერა სატანას თუ არ ეფერე,
ჯოჯოხეთს იქით – გეტყვის –
წადიო.
უკვდავებაც კი დროებითია,
ცვალებადია ბედის
ნარდიო,
ერთ უიღბლო დღეს წყალი ჩარეცხავს,
რაც გაგიღია რამე
ხარჯიო.

უნდა მოქრთამო, ოდეს მოშივდეს,
თუ საჭიროა, ზოგჯერ
არბიო,
რასაც აშენებ მარჯვენა ხელით,
მარცხენა ხელით ისევ
ანგრიო,
შენი მონა-სპა დაანაყრე და
დანარჩენები ... აი
დარდიო!
ჭურჭლით მდიდარი დააჯილდოვე,
თუ გინდაც იყოს სულით
მდაბიო“.

მითხრა – ძმობილო, გასწავლე ბევრი,
უსასყიდლოდ და ყველა

კარგიო,
ამ ჯოჯოხეთში ერთიც არ არის,
ვისაც ჩემსავით ესმის
დარგიო,
ჰოდა, აქ რჩება ვინც ჩემზე იცის
თუნდაც სულ მცირე რამე
ჭარბიო,
აბა რა გიყო, სამოთხის ვიზა
რომ გაგიფორმონ, მერე სად
გდიო?

თუკი ერთგულად მემსახურები,
პარლამენტს მოგცემ, დაგსვამ სულ
თავში,
ბროლის სასახლეს ჩაგადგმევინებ,
ერთს შეკვეთილში, ორსაც
სუფსაში.
ხარკი დროულად უნდა მიხადო,
ვასალის ვალი – ხოტბა, სულ
ტაშით,
ქერის ორმოსაც არ დავინანებ,
დაგაბინავებ ღრმა და
სუფთაში.

არ გაიკარო კაცი სინდისით,
არც ანცი ვინმე ნაცის
ულვაშით,
რწმენის ღალატში ბრალს თუ დაგდებენ,
„ენა-მამული!“ იყვირე
მაშინ,

მადლობა შენით გამომიგზავნე,
ასე, სულ ცოტა, სამჯერ
„სუტკაში“
და კიდევ – ღმერთი რომ ჩამოივლის,
არ დაენახო, შედი
„ბუტკაში“.

V. ეპილოგი

სამყარო სრულად შემომივლია,
სხეულით არა, უფრო
ფიქრებით,
მართალი სიტყვა ბევრი მინახავს,
მომისმენია ტონა
ლიქნებიც,
ოცნება მქონდა – მამულის ლხენით
ოდესღაც მაინც
გავიტიკნები,
სამოთხისათვის ვემზადებოდი,
ეშმაკის მონა თურმე
ვიქნები.

ჰეი, ბრძენკაცნო, ანგელოზებო,
წუთისოფელის ყმა და
მსახურნო,
ნებაყოფლობით მონად ყოფილნო,
დედალ-მამალნო, ხარნო და
ფურნო,
აწ გარდაცვლილო მამა-პაპანო,
ზღვაში თევზებო, ცაში

სატურნო
მშვიდობიანი მირჩიეთ რამე,
ჩემი სამშობლო როგორ
განვკურნო!

ციკლიდან – „ქრონიკები“

ნაცქოციანი ანუ ნაცაბრექია და ქოცატყუილა

მიმქრალ წარსულში ხეტიალისას წიგნი რამ ვნახე გაყვითლებული.
მემატიანე წერდა უცნობი, კოჭლი ჟამთასვლით დამწუხრებული.
ყოფილა თურმე ეპოქა მცირე, ბედით და იღბლით არც თუ ქებული,
წარსულმკვნესარე, აწმყომტირალი და მომავლისგან დავიწყებული.

მეუცნაურა „ნაცქოციანი“, მალე ვიეჭვე – ალბათ ის არის,
ნაცებისა და ქოცთა ძიძგილში როცა კვლავ ჩაქრა სხივი ცისკარის,
როცა გაყიდულ ნამამლუქარებს ამოეგლიჯათ ქართვლის ჯიგარი,
როცა მაჭარი არ ღვინდებოდა და სოფლად დარჩა მხოლოდ ჭინჭარი.

ვერ გავარჩიე ტყუილ-მართალი, ზოგან ცრემლები აჩნდა მიმხმარი,
ვინმე ოსტატის ნათქვამს არ ჰგავდა, ენამდაბიო გახლდათ იმგვარი,
წარსული ბევრჯერ გადავიარე, იქ აღარ დამხვდა უცხო ყმის გვარი,
ოდნავ გავლექსე, ზღაპრად მოგართვით, როგორც ნანახი ცხადში სიზმარი:

***

იყო, არა იყო რა, იყო ტურფა ქვეყანა,
ტურფა ჰქონდა მთა-ბარი, ტურფა ჰქონდა ტყე-ყანა,
კაცნი – თბილნი, ამაყნი, ლამაზი და მკერდგანა,
საყვარელი სამშობლო ჰქონდათ მხოლოდ ერთგანა.

ამ ქვეყანას მეფობდა დიდი თეთრი მელია,
საქმის ხლართვის ოსტატი, შიგნით მეტად ბნელია,
ინაცვალა ხელმწიფე პირველი და ძველია,
ყოფა იყო დუხჭირი, სიცოცხლე კი ძნელია.

ქურუმებმა, დიადმა, არჩევნებზე გვანიშნეს,
ღმერთებს მსხვერპლი შეწირეთ – სხვათაშორის აღნიშნეს,
ერთი ბიჭი, ბრექია, ახალ მეფედ დანიშნეთ,
ვარდის რევოლუცია ნოემბერში ჩანიშნეთ.

ეჩქარება მეფობა, ცმუკავს, დიდხანს ვერ ელის,
ბიჭი იყო მაღალი, ცელქი, მოუთმენელი,
მოაგროვა მომხრენი, საბურთალო-ვერელნი,
იქით წალენჯიხელნი, აქეთ არაგველელნი.

უთხრა, ჩვენ ვართ ნაცები, მელიებზე მარდები!
რა ვქნა, მეტს ვერ მოვიცდი, დაგვიჭკნება ვარდები,
პარლამენტში ვესტუმროთ, დღესვე მივუვარდები,
აღარ გვინდა ქვეყანა შამბნარ-ეკალ-ბარდების.

მსწრაფლ მიეჭრა მელიას „გადადექის“ ძახილით,
მელა სიტყვას ამბობდა, სურს მიჩქმალოს სამხილი,
ცივი ჩაი შეუსვა, ვერ იპოვა სხვა ხილი,
გააქცუნეს მელია დაჯავშნილი მარხილით.

ბიჭმა მიყარ-მოყარა ძველი ნაზირ-ვაზირნი,
მოიყვანა ნორჩები, უცხოურად დაზრდილნი,
ხელფასები მიართვა ასჯერ მეტად გაზრდილი,
პატრულებად დანიშნა ახლებურად აღზრდილნი.

ცდილობს მეფე მეფობას, დარბის, გარბის, ქაქანებს,
ბიჯი ისე დიდი აქვს, ტოლს არ უდებს მანქანებს,
დღეს რომ ვენახს აშენებს, კლდისას ბურღავს ხვალ ქანებს,
საქმე თუ არ გაკეთდა, თავს მუქარით აქანებს.

ხან კი: – სუში მომინდა, მივალ, მალე ვბრუნდები,
ბიუჯეტი გაავსეთ, დაიფრინეთ ქურდები,
ზოგი დააწიოკეთ, ზოგს დაადეთ ხუნდები –
საქმე როგორ ვაკეთო, ამათ დევნას ვუნდები.

გაიზარდა ხელფასი, გაიზარდა პენსია,
თქვა – ქვეყანა არ ვარგა, როცა თუნდაც ერთს შია,
ისეთებიც იკადრა, არ ეკადრა ერჩია,
ვერავინ ვერ ბედავდა რამე ბრძნული ერჩია
(ზოგი ტირანს ემახდა, ზოგს ეგონა მესია).
***

ქედებს იქით ნარჩენია დიდი ოქროს ურდოდან,
ამა ქვეყნის ხელმწიფე ბიჭს უყურებს უნდოდა,
ჩვენი მეფე გულყრუას თავის ვასლად უნდოდა,
ხარბი იყო ნამეტანი, სხვა ქვეყნებშიც ქურდობდა.

შეუთვლია ბრექიას – ვერ მიყიდი მონადა,
არ ვარ ნაცარქექია, გაზრდილი ვარ ვარ ლომადა,
შენისთანის მონისად თავი არ ღირს ქონადა,
მამულს არვის დავუთმობ, თუნდ დამიჯდეს ომადა.

ურდოშივე ცხოვრობდა კაცი ვინმე ქველია,
წითლები და შავები შველას მისგან ელიან,
ქონება აქვს ურიცხვი, თვითონ კი უჭმელია,
ურდოს ხალხმა დაარქვა მახრჩობელა გველია.

მონტე-კრისტო არ გახლავთ, არც აბატი ფარია,
ფული აქვე იშოვა, განა მოუპარია,
ქართული აქვს სახელი, ქართული აქვს გვარია,
მასთან ახლოს ვერ მივა პაბლო ესკობარია.

დაიბარა ხელმწიფემ – პურს რად გაჭმევ ტყუილად,
იმ ქვეყანას წაბრძანდი მრჩეველ-ქოსატყუილად,
იქნებ ცოტა დაუცხრეს სულელს დიდი გულია,
თუ არა და მომიწევს ავუწიო ყურია.

ქოსა დაჯდა მრჩეველად, დადო ტონა ფულია,
ზამთარს უკვე გაევლო, იდგა გაზაფხულია,
შექმნა ქოცა-ოცნება, რაღაც ჩიქორთულია,
მართალის და ტყუილის გამოცნობა რთულია.

მოთაფლა და მოიმხრო, დააპურა ელიტა,
შემწეობა არიგა საკუთარი ხელითა,
წარსული აქვს მოსილი იდუმალი ბნელითა,
ხალხს სამოთხეს დაჰპირდა ბრძენის სახით ხმელითა.

მრევლს გაუჩნდა იმედი, უკვე დავლურს უვლიან,
შეიძინეს ყავარი, ანტენა და ცულია,
რძალი მრჩეველს აღმერთებს, მას კვერს უკრავს მულია,
მეფე ამას ვერ ამჩნევს, გზებზე გადართულია.

ხალხი მეფეს განუდგა, მეფე ძალზე გაბრაზდა,
მიტინგები დაიწყო, საქმე ერთობ გაბაზრდა,
მიდგა, ააწიოკა პატარა და ძველგაზრდა,
ჰოდა, მეამბოხენი ერთიორად გაზარდა.

მეფე-ბიჭის ეს მარცხი ზოგს გულწრფელად ეწყინა,
ხელებს იფშვნეტს გულღძუა ტრამალების ქვეყნიდან,
ტურფა ქვეყნის მოძულეს თვალებღია ეძინა,
მიხვდა – უკვე დრო იყო ბრექიასთვის ეკბინა.

ახალგაზრდა ხელმწიფე ჯერ ურდოში იწვია,
მერე დიდი ჯარებით აქეთ გამოიწია,
უსაშველოდ ვერაგი ხალხს იპარავს მიწიან,
გააბრიყვა ბრექია, ომში გამოიწვია.

იქმნა ომი ფიცხელი, ზარბაზნები ყმუოდა,
ცოცხლებს ასამარებდნენ, გმირი თურმე ტყუოდა,
გადაბუგეს სოფლები, ქართულს ჰგავდა თუ ოდნავ,
მეფეს ცეცხლი ეკიდა, ქოსა გულში ცრუობდა.

მტერი ქალაქს მოადგა, ბიჭმა ხალხი დარაზმა,
უცხო პრეზიდენტებიც ჩამოფრინდნენ ანაზდად,
შეიკრიბა მრავალი – ინდო, სპარსი, ხვარაზმა,
ჩვენი მიწა მაინც ყლაპა ავზნიანმა ნაგაზმა.

ბიჭი დადარდიანდა, ზურგზე კი არ დაეცა,
სამნაირი მტრისაგან თავი უნდა დაეცვა,
არ ფიქრობდა რას ჭამდა, აღარც იმას – რა ეცვა,
ჰოდა, ცოტა ხნის მერე თავი ისევ გაექცა.

დოღში გამობრძმედილი ბედაური წაექცა,
„ერთგულ“ მოღალატეებს ზურგში დანა ჩაეცათ,
საყვარელი მრჩეველის მოსყიდული ზღვა ეცა,
რაც კი შერჩა გონება, იქაც სისხლი ჩაექცა.

ერთ დროს დიდი ბრექია საბოლოოდ წაიქცა,
ყველაფერი წაართვეს, ცხრა მთას იქით გაიქცა,
მისი დაპატიმრების ბრძანებები გაიცა,
ტახტზე დაჯდა მრჩეველი, ფულში უფრო ჩაიქცა.

მინისტრებად დანიშნა სახლის ხელის ბიჭები,
დაუძახა ახლობლებს – მხოლოდ თქვენ გაქვთ ნიჭები,
ქვეყნის გამოსახრავად მოამზადეთ კიჭები,
ყმობა-ძმობის ამბავში ოღონდ ნუ ჩაიჭრებით.

დაასაქმა სულყველა, ვინც კი ჰყავდა მსახური,
ჭკვიანი და უჭკუო, უცხო და უსახური,
შექმნა ბანდა-კლანები, ქართლური თუ კახური,
ამბობს – საქართველოა, წესები მაქვს ხალხური.

გაცვეთილი სიტყვებით სამართალთან რაინდობს,
თუმცა, მიუღებელ კაცს წამითაც არ დაინდობს,
პროკურორი ჩაიგდო, პოლიცია აიგდო,
შარვლის წინა ჯიბეში სასამართლოც ჩაიდო.

წაკითხული ჰქონია კალიგულას ტომები,
ახლა ნიცშეს კითხულობს, ვითარდება გონებით,
არჩევნებში ჩააბა მოჭიდავე ლომები,
პარლამენტში მოაწყო სულ ნასუქი მონები.

მოთხოვნები დიდი აქვს, სურვილები ჭარბადო,
ტურფა ქვეყნის მიწა-წყალს დაეწაფა ხარბადო,
თავისი რომ მიიღო, აღარაფერს არ დარდობს,
ზეცა ქუდად მოირგო, საქართველო ნაბდადო.

შეისყიდა საბადო, ქარი, ზღვა და ტყეები,
საყდრისის და გარეჯის დაითვალა დღეები,
თავის ბაღში გადარგო წინაპართა ხეები,
თავი მარსი ჰგონია, მალე მზესაც შეებმის.

მის ყმებს ჩამოურიგა სასახლე და ვილები,
ხალხისათვის გაზარდა ფასები და ნიხრები,
ათ საათზე იძინებს, ამბობს, ადრე ვიღლები,
როცა ხალხი გაბრაზდა, დაუშინა წიხლები.

წესიერი გაიქცა, კრიმინალი დაბრუნდა,
მოქცეული ემიგრანტი ისევ უკან გაბრუნდა,
ღრუბლებიდან მომზირალს უკვირს, ამ ხალხს რა უნდა,
ნამოღვაწარს, შვიდწლიანს, ჯერ თვლის პირველ
რაუნდად.

ნატვრის წელი, დათქმული, ორჯერ სამიც გავიდა,
მხოლოდ გრამი შესრულდა, რაც დაგვპირდა თავიდან,
საქმე უკან წავიდა, ლარი სამზე ავიდა,
და ვირთხები გარბიან მისი შუშის ნავიდან,

ერს რიყეზე აბალახებს, მაგრამ ნახეთ, რას წველის!
ესიზმრება ბრექია, დღესაც ისევ მას წყევლის,
შვიდი წელი იძახის - „წინა მიშლის ცხრა წელი“,
მაინც ედემს გვპირდება, ოღონდ ცოტა გაწელილს.

ტრამალთ მეფის გარეშე იცის, აღარ აცლიან,
დაღუპული გმირების ნეშტიც არ გააცია –
პარლამენტშიც მოაწყო ქვეყნის ოკუპაცია,
ვერ მოზომა ამჯერად – ფეხზე დადგა ნაცია.

მხოლოდ თავის უფლებას ითხოვს ისევ ერია,
გოგო, ბიჭი, ჭარმაგი, ქალი, კაცი, ბერია,
უზარმაზარ მიტინგში ზოგი მტერიც ერია,
ქოცას დაუქადნია – ახლა ჩემი ჯერია!

დასარბევად მიუშვა ნიღბიანი ხარები,
დაიბრუნა უკლებლივ გაცემული ვალები,
ყიდის თავისუფლებას, მოპოვებულს წვალებით,
ერის მამინაცვალმა ერს დასთხარა თვალები.

ტრამალების მეფესთან გააგზავნა პატაკი –
ყველას ციხეს მივუსჯი, მაქვს ტყვია და მაქვს ტანკიც,
თუ ვერაფერს გავხდები, შენც წამოდი „ატაკით“,
ყველა ფეხქვეშ გავიგდოთ, მდიდარიც და ღატაკიც.

შავი გახდა ღრუბელი, დაიხურა ცისკარი,
ღრუბელს მოჰყვა გულღრძუა, მგონი იცნობთ, ვინც არის,
ქოცამ უთხრა ქართველებს – თქვენ ცოლი და ის ქმარი.
ღმერთო, შემწეობას გთხოვ, არ ამიხდეს სიზმარი!

მცირე პროზა

ვიოლეტა და ლაზარე

კათედრაზე გოგონამ შემოყო თავი. როგორც ჩანს, ძალიან ერიდებოდა. რაღაცას ვწერდი – საჩქარო იყო, ამიტომ მხოლოდ ერთი წამით გავხედე და ისე გავძახე – მობრძანდით!

ფეხაკრეებით შემოვიდა და გაჩერდა.

– დაბრძანდით – კალმიანი ხელით ვანიშნე იქვე მდებარე სკამისკენ.

ცოტა ხანში ავწიე თავი და დავინახე სკამზე მჯდარი მობუზული ბელურა, რომელსაც მღელვარებისგან ვერ გადაეწყვიტა სად წაეღო ხელები და ბოლოს მუხლებზე მიუჩინა ადგილი.

– გისმენთ!

– მასწავლებელო, თქვენს ჯგუფებში მინდა ჩაწერა – როგორც იქნა წარმოთქვა გოგონამ საგულდაგულოდ ნამეცადინები ფრაზა.

სიამოვნებით მივიღებდი ამ სათნო არსებას ჩემი სტუდენტების რიგებში, მაგრამ ეს ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ავუხსენი:

– სტუდენტები თვითონ ირჩევენ პედაგოგს ელექტრონული ბაზის მეშვეობით.

– ვიცი, მაგრამ ვერ მოვასწარი. ბაზა გაიხსნა თუ არა, ყველა ადგილი მაშინვე შეივსო.

მივუსამძიმრე:

– რას ვიზამთ, როგორც ერთ ფილმში ამბობენ – „ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა“, სამწუხაროდ ვერაფრით დაგეხმარებით – მე ბაზასთან წვდომა არც კი მაქვს!

გოგონა მორჩილად წამოდგა, ოთახიდან გასვლისას კართან შეჩერდა და გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა.

– არადა, როგორ მინდოდა! მშობლებმა მითხრეს აუცილებ-ლად მასთან ჩაეწერეო.

– მშობლებმა?

– დიახ, ორივე თქვენი სტუდენტი იყო.

ვინაობა ვკითხე.

გოგონამ თავისი გვარი მითხრა და დააყოლა:

– დედას ვიოლეტა ჰქვია, მამას – ლაზარე.

კინაღამ შევხტი! – ვიოლეტა და ლაზარე?! ჩემი ვიოლეტა და ლაზარე!

– დამარიგეს, ასე უთხარი, კარგი სტუდენტი ვიქნები – ნი-ჭით მამას ვგავარ, ბეჯითობით კი დედასო – ღიმილით დაამატა ჩემი რეაქციით შეთამამებულმა.

გოგონას სახელი ვკითხე. მშობლებს თავიანთი სახელებიც გაუერთიანებიათ და ვიოლა დაურქმევიათ.

***

ვიოლეტა და ლაზარე პირველივე ლექციაზე გავიცანი – ერ-თად შემოვიდნენ აუდიტორიაში. აუდიტორია ერთბაშად განათდა, ჭერმაც აიწია თითქოს. ასმა წყვილმა თვალმა აქეთ-იქით ყურება შეწყვიტა და მათ მიაჩერდა. და-ძმა გვეგონა, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს – მეგობრები აღმოჩნდნენ. საშუალოზე ოდნავ მაღლები, გამხდრები, ორივე ნუშისფორმის თვალის ჭრილით. ოღონდ ვაჟს ცისფერი თვალები ჰქონდა, გოგონას კი უფრო მუქი – ზღვისფერს რომ იტყვიან, ისეთი.

ამ დღის მერე ისინი ცალ-ცალკე აღარავის უნახავს. სულ ერ-თად დადიოდნენ. ამას ისე მიეჩვივნენ თანაკურსელები, რომ მარტო ერთ მათგანს აღარც მოიხსენიებდნენ. მაგალითად, გამო-თქმები:- „ვიოლეტა და ლაზარემ თქვა“ , „ვიოლეტა და ლაზა-რეს რვეულია“ – ჩვეულებრივ გამოთქმებად იქცა.

ცხადია, მალე ყველა მიხვდა, რომ ისინი შეყვარებულები იყვნენ – კურსს საკუთარი თანამედროვე რომეო და ჯულიეტა ჰყავდა. თუმცა მიჯნურები ცდილობდნენ სხვებს არ შეემჩნიათ,

მაგრამ მათი ერთი გამოხედვაც კი მაშინვე გასცემდა ამ საიდუ-მლოს. ყოველ შემთხვევაში, მათ ეგონათ, რომ ჩვენ ვერაფერს ვხვდებოდით.

მათი ეს ურთიერთობა იმდენად ლამაზი იყო, რომ მთელს კურსზე იქონია გავლენა. თითქოს რაღაცნაირად ყველა უფრო ფაქიზი და კეთილი გახდა. მთელი წლის განმავლობაში თანა-კურსელებს შორის ურთიერთობაში ერთი პატარა ხინჯი არ შე-მიმჩნევია, უსიამოვნო სიტყვა არ გამიგონია. მათ გვერდით ყოფნა, ვატყობდი, მეც უკეთესს მხდიდა. ზოგჯერ მინდოდა შევხუმრებოდი, მოვფერებოდი მათ ლამაზ სიყვარულს, მაგრამ ვერ გავბედე – იმდენად მალავდნენ მას, უფრო ზუსტად ეგო-ნათ, რომ მალავდნენ. მერე ისიც გავიგე, რომ ჯერ ერთმანეთსაც არ გამოსტყდომოდნენ თურმე.

ძირითად გამოცდაზე არ გამოცხადდნენ.

დამატებით გამოცდაზე ერთად გამოვიდნენ.

საერთოდ, სიის მიხედვით უნდა შემოსულიყვნენ, მაგრამ ამჯერად რატომღაც არ გამჭირვებია გამონაკლისის დაშვება და ნება დავრთე დაერღვიათ წესი –კიდევ კარგი!

აიღეს ბილეთები.

თითოეულ ბილეთში სამი თეორიული საკითხი და ორი ამოცანა შედიოდა. შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, არც მარტო თეორიის ცოდნა და არც მარტო ამოცანების ამოხსნა არ იყო საკმარისი დადებითი შეფასების მისაღებად.

საპასუხო მერხი გამომცდელის მერხზეა მოდგმული. დიდი მერხია, ოთხადგილიანი. ორივე ერთად გამოვიყვანე საპასუ-ხოდ. დავათვალიერე მათი ნაშრომები.

გული გამისკდა.

გოგოს მხოლოდ თეორიული საკითხები უწერია და რომ ჩა-ვეკითხე – ისიც არ ესმოდა.

ბიჭს არცერთი თეორიული საკითხი არ უწერია, ამოცანები კი სწორად აქვს გაკეთებული – ისეთები შეხვედროდა, თეო-

რიის ცოდნა რომ არ სჭირდება.

ვიღუპები. მეტი ცდა აღარ ექნებათ. თუ ვერ ჩააბარეს – გაირიცხებიან.

აშკარად ინგრევა ჯერაც არშექმნილი ლამაზი ოჯახი.

ინსტიქტურად ვეძებ რაღაც გამოსავალს, უფრო ზუსტად – საბაბს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. გოგოს ვერ ვსაყვედურობ – რაც შეეძლო, ისწავლა. მაგრამ უღმერთოდ აქვს დაზეპირებული – ნებისმიერ ფორმულას კი გიწერს, მაგრამ რას წარმოადგენენ ფორმულაში შემავალი სიდიდეები, წარმოდგენა არ აქვს.

ვეუბნები:

– ბევრი გიშრომიათ, მაგრამ ფუჭად. თქვენი ცოდნა აბსოლუტურად გამოუსადეგარია!

გოგონამ თავი ჩაღუნა.

– რატომ, მასწავლებელო, ზოგჯერ ეგეთი ცოდნაც შეიძლება გამოდგეს – მთელი თავისი გამბედაობა მოიკრიფა და გოგონას გამოესარჩლა იქვე მჯდომი გაფითრებული ლაზარე.

– მაგალითად? – ჩავეჭიდე ხავსს მე.

– მაგალითად, მე ამოცანების კეთება შემიძლია, მაგრამ ფორმულები არ ვიცი. ეგ მეტყვის ფორმულას, მე კი ამოვხსნი ამოცანას.

– ოჰო! საინტერესო იდეაა! – შორს, ჰორიზონტზე, იმედის ნამცეცს მოვკარი თვალი – ვნახოთ!

შევამოწმე.

მართალი აღმოჩნდა. საინტერესო თამაშივით გამოვიდა. რამდენი ამოცანაც მივეცი, გოგო ეუბნება ფორმულას, ბიჭი ხსნის ამოცანას. ეუბნება ფორმულას – ხსნის ამოცანას. ასეთი უცნაური და საყვარელი დუეტი ჯერ არ მინახავს! დიდხანს გაგრძელდა გამოცდა. გადაწყვეტილება თითქმის მიღებული მაქვს, მაგრამ ჩემზე უფრო ჯიუტმა მეორე "მე"– მ უკანასკნელად გაიბრძოლა:

– კი მაგრამ, მთელი ცხოვრება ერთად ხომ არ იქნებით?

– ვიქნებით, მასწავლებელო, ვიქნებით! – ორივემ ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წამოიძახა, მერე ერთმანეთს შეხედეს და გაწითლდნენ. მიხვდნენ, რომ ამით ფაქტიურად სიყვარულში გამოტყდნენ.

მგონი, კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ შეყვარებული წყვილი პირდაპირ საგამოცდო მერხზე გამოუტყდა ერთმანეთს სიყვარულში, ისიც გამომცდელის თანდასაწრებით.

ისევ ლაზარემ იპოვა გამოსავალი ამ უხერხული მდგომარეობიდან.

– დავურეკავ ხოლმე, მასწავლებელო!

იმ ეპოქაში ტელეფონი ყველას არ ჰქონდა. გადავამოწმე – ვიოლეტას ვეკითხები:

– თქვენ გაქვთ ტელეფონი?

– დიახ.

– კარგი, მაშინ ასე მოვიქცეთ: ორივეს ერთად ფრიადი გეკუთვნით, ცალ-ცალკე კი – ორები. თუ ფრიადს გავყოფთ შუაზე და დავამრგვალებთ, გამოვა დამაკმაყოფილებელი. – ვუთხარი და ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი სოლომონ ბრძენად.

ბავშვებს სახე გაუბრწყინდათ.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მე საგამოცდო რეგლამენტი დავარღვიე. ამას დიდი ხნის განმავლობაში განვიცდიდი, მაგრამ არასდროს მინანია. უფრო მეტიც, მოგვიანებით ჩემი თავი ამის გამო კინაღამ შევაქე კიდეც.

***

კარში შეყოვნებულ ვიოლას ტელეფონის ნომერი გამოვართვი – იქნებ ჯგუფებში ადგილები დაუმატონ და ვეცდები დაგეხმაროთ-მეთქი.

იღბლად ორი ადგილი დაუმატეს. გოგონამ ამჯერად იყოჩაღა და ერთი მათგანი დაიკავა.

მართლაც, საუკეთესო სტუდენტი აღმოჩნდა.

მოგვიანებით, ერთ ბიჭთან ვხედავდი ხოლმე. სულ ერთად დადიოდნენ. მასავით მორიდებული და საყვარელი ჩანდა.

ძალიან მომინდა, რომ ამათი მომავალი შვილის მასწავლებელიც მე ვყოფილიყავი.

ვინ იცის!

ერთი პატარა ლექსის ისტორია

გამორჩეული თვისების მქონე სტუდენტი უამრავი მყოლია. რა თქმა უნდა, მყავდა გასულ სემესტრშიც. ერთ-ერთი მათგანს სახელიც გამორჩეული ჰქონდა – თეკა. თუმცა, სახელში მაშინვე შევნიშნე ნაკლი – არ ირითმებოდა. დამეთანხმა. სხვა ბავშვებმაც „ბიბლიოთეკას“ მეტი ვერაფერი მოიფიქრეს.

მაღალი გახლდათ, მოდელის აღნაგობის. განსაკუთრებულ ყურადღებას სათუთად გამოზრდილი უმშვენიერესი გრძელი ფრჩხილები იქცევდა, რომლებიც სასკოლო ასაკის თუ არა ორი-სამი წლისანი მაინც იქნებოდნენ.

ჰო, კიდევ, ძალიან ბავშვური, უჩვეულოდ თავმდაბალი სიცილითაც გამოირჩეოდა.

დაფასთან პირველად როცა გამოვიყვანე და მისი ფრჩხილები დავინახე, შეგნებულად გრძელი ცარცი მივეცი. მაგრამ მალევე შუაზე გადაუტყდა და მოხდა ის, რისიც ფატალურად მეშინოდა – ცოტა ხანში ლითონის დაფაზე ფრჩხილის ღჭრიალის საშინელი ხმა გაისმა. ჯგუფში ზოგმა შეჰკივლა, მე კი პირველად მივხვდი, რეალურად რას ნიშნავდა ტანში ჟრუანტელის დავლა – აქამდე მხოლოდ ხატოვანი გამოთქმა რომ მეგონა.

დაწყებული მაგალითის ამოხსნა, რომ იტყვიან, „შიშის კანკალით“ ჩავამთავრეთ. დასრულების შემდეგ ვეუბნები:

– სამწუხაროდ, დაფასთან მე თქვენ ვეღარ გამოგიყვანთ ხოლმე, – მიზეზიც ვუთხარი –კატეგორიულად მაქვს აკრძალული გულზე ასეთი ძლიერი ემოციური დატვირთვის მიღება.

გოგონამ მოიწყინა.

აშკარა იყო, რომ მას დაფასთან გამოსვლა ძალიან უყვარდა.

გადავწყვიტე, დამემზადებინა ცარცის დამაგრძელებელი მოწყობილობა, მაგრამ ასეთი რამეებისთვის მხოლოდ ზაფხულობით ვიცლი ხოლმე.

მომდევნო სემინარზე ვერიდები მისკენ გახედვას, თუმცა ვგრძნობ, თავად როგორ ცდილობს ჩემი მზერის დაჭერას. ბოლოს, თავი ჩემს მხარეს მდებარე ხელს დააყრდნო – ვითომ ფიქრობს. სინამდვილეში კი უნდა ფრჩხილები დამანახოს.

შევხედე, მიღიმის!

თვალებს არ ვუჯერებ – სადღაა ფრჩხილები!

ისეთი განცდა დამეუფლა, მუზეუმში რომ შეხვალ და გეტყვიან – წუხელ ყველაზე ლამაზი ექსპონატი მოიპარესო. გოგონას ფრჩხილები დაეჭრა და ცდილობდა, ჩემთვის ეს ეხარებინა!

გამიხარდა კი არა, გულს შემომეყარა! მაგრამ შანსს ხელიდან ხომ არ გავუშვებდი – ერთდროულად მივუსამძიმრე და მივულოცე კიდეც და ... სასწრაფოდ დაფასთან გამოვიყვანე.

ამჯერად დაფიდან მხოლოდ ცარცის რბილი კაკუნისა და სრიალის სასიამოვნო ხმა ისმოდა.

გამოხდა ცოტა ხანი. ჩატარდა პირველი საკონტროლო წერა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გოგონა უმაღლეს შეფასებას მიიღებს. სხვა შედეგზე ფიქრიც კი არ მინდა – ამხელა მსხვერპლია გაღებული!

ძალიან ვღელავ. მადლობა ღმერთს! – ოთხი საკითხი გავასწორე და ყველაფერი წესრიგშია. დარჩა მეხუთე, ყველაზე ადვილი – აღარ მეშინია!

მაგრამ . . .

ახლა უკვე მჯერა, რომ ადამიანის შესაძლებლობები მართლაც უსაზღვროა და გამოუცნობი – მეხუთე საკითხში ისეთი წარმოუდგენელი შეცდომაა დაშვებული!! არა, კარგად ვერ ვთქვი, შეცდომა კი არა – საერთოდ ვერ მივხვდი რას წერდა. მოგვიანებით რომ ვისაუბრეთ, ვერც თავად მიხვდა. უცხოპლანეტელის ნაწერს ჰგავდა, დედამიწელის ლოგიკისთვის მიუწვდომელს.

ისეთ მძიმე ხასიათზე დავდექი, რვეულების გასწორება ვეღარ გავაგრძელე. ვიჯექი და ვგლოვობდი. ჰოდა, ამ გლოვისას მისი სახელი ძალაუნებურად შემომერითმა:

თეკა

(ჩემს სტუდენტს, არველაძე თეკას)

გოგოვ, შენმა ამონახსნმა გული გამიხეთქა,
დაემართა არითმია, სწორად ვეღარ ფეთქავს,
ძაძებშია სამეგობრო, გლოვის ზარი რეკავს,
რამე ხომ არ დაგიშავა? რას ერჩოდი ნეტავ?!
თითქოს საქმე კარგად იყო, დასაწყისში, ერთხანს,
საფიქრალი გამიჩინე, დარდის მოდის სეტყვა,
შვილო, რამე სატკივართან ხომ არა ხარ კენტად?
ფრჩხილით დაფას რომ სერავდი, იქნებ გტკივა ნეკა?
ახლა რა ვქნა, სად ვიშოვო თავსსახლელი მე ქვა,
მატრიცები ვერ გაიგე? დროზე უნდა გეთქვა!
იმედი მაქვს მომავალში გულს არ მატკენ მეტად,
წარმოებულს და ინტეგრალს ტყავს გავაძრობთ
ერთად!

ორი მეგობარი

მათ უნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამს შევხვდი – გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ვასწავლიდი.

ძალიან განსხვავებულები იყვნენ. არჩილი, რომ იტყვიან, ყველაფრით შემკული იყო, მეორე კი – მისი სრული ანტიპოდი. ვერაფრით ვხვდებოდი, რა ჰქონდათ საერთო. არადა საკონტროლოებზე სულ ერთად ისხდნენ, უფრო ზუსტად, ცდილობდნენ ერთად დამსხდარიყვნენ.

იმ პერიოდში მათი სპეციალობა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული იყო. ჩვეულებრივი მოკვდავები აქ ვერ ხვდებოდნენ. ან განსაკუთრებული ცოდნითა და ნიჭით გამორჩეული უნდა ყოფილიყავი, ან გავლენიანი და ფულიანი მფარველები უნდა გყოლოდა. ჯგუფში საუკეთესო არჩილი გახლდათ, უფრო მეტიც, ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ათასობით სტუდენტს შორის, ვინც ოდესმე მყოლია.

იმ ნაკადთან პირველი გამოცდა მქონდა. გამოცდაზე სტუდენტები სიის მიხედვით შემოდიოდნენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლებოდა ერთმანეთში რიგის გაცვლა, ოღონდ ჩემთან შეთანხმებით. არჩილი სიის ზედა ნაწილში იყო. კარზე მორიდებით დააკაკუნა და იკითხა:

– პატივცემულო, ჩემი გვარი დურგლიშვილია. რიგმა მომიწია, შეიძლება შემოვიდე?

თავი დავუქნიე და ვანიშნე ბილეთი აეღო. რვეულთან და ჩათვლის წიგნაკთან ერთად ბილეთიც გამომიწოდა. მე რვეულზე დავაწერე საჭირო მონაცემები და უკან დავუბრუნე:

– მარჯვენა რიგში, ბოლოდან მეორე მერხზე დაბრძანდით.

მოსაფიქრებელ მერხებზე სტუდენტები ერთი მერხის გამოტოვებით სხდებოდნენ.

მისი მეგობარი სიით შორს იყო და ჯერ არ ველოდი, მაგრამ

კარი თამამად გააღო, ნებართვის გარეშე აიღო ბილეთი და გაე-მართა მოსაფიქრებელი მერხისკენ. შევაჩერე.

– თქვენი რვეული?

– რა რვეული?

– საგამოცდო, თორმეტფურცლიანი, თავისუფალი რვეული, რაც უნდა მოგეტანათ გამოცდაზე და რაშიც უნდა დაწეროთ პასუხები თქვენი ბილეთის საკითხებზე – ძალიან დაწვრი-ლებით ავუხსენი ის, რასაც მგონი კვირაში ერთხელ ვუცხა-დებდი.

– დურგლიშვილი, გაქვს ზედმეტი რვეული?– შორიდან გას-ძახა მეგობარს.

არ მესიამოვნა.

– გვარით რატომ მიმართავთ? მგონი თქვენ მეგობრები ხართ.

– ჰო, რა, ვძმაკაცობთ.

– მაინც, ვფიქრობ, გვარით მიმარვა არც ამ ურთიერთობას უხდება.

– ბატონო, გვარით არ მივმართავ, მამამისი დურგალია და რა ვქნა?!

რაღაც უსიამოვნო გრძნობამ დამიარა მთელს სხეულში. აღა-რაფერი მითქვამს. მივხვდი, აზრი რომ არ ჰქონდა.

დურგლიშვილს მართლაც აღმოაჩნდა ზედმეტი რვეული და უცბად მოურბენინა.

გამოვართვი რვეული, რათა ყდაზე სტუდენტის მონაცემები დამეწერა.

მისი გვარიც ვიცოდი და ისიც, რომ ქვეყანაში ერთ-ერთი გავ-ლენიანი და უმაღლესი თანამდებობის პირის პირმშო გახლ-დათ, მაგრამ მაინც ფორმალობა დავიცავი და ვკითხე:

– გვარი?

– უჩა გრიგორის ძე ლომიაური – თითქმის დამიმარცვლა.

უკვე მეორედ, ჯიუტად ცდილობდა ჩემთვის გაეგებინებინა, ვისი შვილიც იყო.

ჯერ კიდევ სწავლის დასაწყისში, სანამ დეკანატი ჟურნალებს მოგვცემდა, აღრიცხვისათვის ჯგუფების სიების შედგენა ვთხოვე სტუდენტებს. ამასთან, ხაზგასმით ვუთხარი მამის სახელები არ ჩაეწერათ. მან, ერთადერთმა, არად ჩააგდო ჩემი თხოვნა. მე, რა თქმა უნდა მაშინვე მივხვდი ყველაფერს, მაგრამ არ ვიმჩნევდი.

***

ერთხელ მამამისმა დარეკა. უფრო სწორად, პირად მდივანს დაარეკინა:

– ბატონი ზერეკიძე ბრძანდებით?

– დიახ!

– თქვენთან საუბარი სურს ბატონ გრიგორს – დაასახელა მისი უზარმაზარი თანამდებობა.

მცირე პაუზის შემდეგ ყურმილში ბოხი ხმა გაისმა:

– ბატონო თამაზ, ჩემი ვაჟი თქვენი სტუდენტია, მაინტერესებს როგორ სწავლობს, რაიმე პრობლემა ხომ არ არის?

დღეს ჩემს მაშინდელ საქციელს ნამდვილად ვერ დავარქმევდი საუკეთესოს.

ვკითხე:

– ღამე გვიანობამდე ხომ არ მეცადინეობს ხოლმე?

– არა ...– გაუკვირდა.

– რა გითხრათ, მეგონა რომ ღამით მეცადინეობდა ბევრს, რადგან ლექციებზე ძირითადად სძინავს.

შემდეგ მოვუბოდიშე მოსასმენად არცთუ სასიამოვნო სიტყვებისთვის და ვთხოვე, მეტი ყურადღება მიექციათ ბიჭისთვის, რადგან, დიდი ალბათობით, შეიძლება სემესტრის ბოლოს ძალიან უხერხული ვითარება შექმნილიყო.

– გავითვალისწინებთ – დამემშვიდობა ცივად.

თავი რომ ავწიე, ახალგაზრდა ლომიაურის მზერას შევეჩეხე. მომეჩვენა, რომ ოლიმპოს მთიდან თვით ნორჩი ზევსი დამცქეროდა მოწყალე ღიმილით.

რვეულზე დავაწერე მისი სახელი, გვარი, ბილეთის ნომერი და დავუბრუნე:

– დაბრძანდით ერთი მერხის გამოტოვებით, – ვანიშნე მარცხენა რიგისკენ.

ჩემი სიტყვები ვითომ არ გაუგონიაო, მარჯვენა რიგის ბოლო მერხისკენ გაეშურა. გზად დურგლიშვილს მხარზე ხელი წამოარტყა და უკან მიუჯდა.

ვიგრძენი, რომ აშკარად კონფლიქტზე მიწვევს. როგორც მერე გავიგე, სინამდვილეში ასეც იყო დაგეგმილი. მიზანი – დამეშვა რაიმე შეცდომა და შემდეგ მოეთხოვა, რომ გამოცდა ჩემი მონაწილეობის გარეშე ჩატარებულიყო.

მაგრამ მე, ინსტიქტურად, მისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მივიღე. მას არაფერი ვუთხარი და მის მეგობარს მივმართე.

– არჩილ, თუ შეიძლება, გადმოჯექით წინა მერხზე!

მარტოდ დარჩენილმა ცოტა ხანს მიყურა, როგორც ლენინმა ბურჟუაზიას, მერე ჩამაბარა ცარიელი საგამოცდო რვეული და დატოვა გამოცდა.

მასთან მსგავსი პროცედურის გავლა კიდევ ოთხჯერ მომიწია. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტს კანონით გამოცდის ჩაბარების მხოლოდ ორი უფლება ჰქონდა, მას ხუთჯერ დაუნიშნეს.

მესამე გამოცდის წინ მამამისმა დამირეკა, ამჯერად თვითონ – მდივნის გარეშე.

ამ დიალოგის გახსენებაზე ახლაც გულისრევის შეგრძნება მეუფლება. არაერთი თავმოყვარეობაწაშლილი ადამიანი მინახავს, მაგრამ ასეთს მაინც ვერ წარმოვიდგენდი:

– ბატონო თამაზ , შვილს ნუ გამირიცხავთ და ნუ დამიღუპავთ, ყმად დაგიდგებით!

უნდა ვაღიარო, რომ მამა აშკარად უფრო ნიჭიერი გამოდგა, ორიგინალური სვლა მოიფიქრა – სტუდენტი გადაიყვანეს სხვა

სპეციალობაზე, იქ წარმატებით „ჩააბარა“ ეს საგანი და მეორე წელს, როცა მე უკვე აღარ ვასწავლიდი, ისევ დააბრუნეს ძველ სპეციალობაზე. ამ ილეთს დავარქვი „სვლა ცხენით“. ეტყობა ეს იდეა გავრცელდა და შემდგომში კიდევ რამდენიმე ძლიერმა ამა ქვეყნისამ მიმართა ამ ხრიკს.

წლების მერე ისიც გავიგე, რომ ის დანარჩენ საგნებსაც ასე „სწავლობდა“. მისმა ყოფილმა ჯგუფელებმა მითხრეს:

– თავისით ერთი საგანიც არ ჩაუბარებია. ზოგს მამამისი „აბარებდა“, ზოგს კი დურგლიშვილი.

როცა წუთისოფლის სამართალზე ვფიქრობ, ეს შემთხვევა ხშირად მახსენდება ხოლმე.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა ბატონი უჩა ძალიან დიდი საწარმოს გენერალურ დირექტორად მოგვევლინა, ხოლო როცა საპარლამენტო არჩევნებისას ჩემი კორპუსის კედლები მისი სურათებით ვნახე აჭრელებული, ვიფიქრე, რომ ღმერთი უშუალოდ მე მიგდებდა მასხარად.

ერთხელ, მისი ზეობის პერიოდში, პატივსაცემი ხალხის წრეში შევხვდით – უნივერსიტეტში იყო მოსული. უკვე ჩამოყალიბებულმა უტიფარმა, მისი აზრით, გონებამახვილურად გამკენწლა:

– ბატონო თამაზ, წელს ერთმა ახლობელმა ჩააბარა აქ და მშობლებმა სუფრა გაშალეს თქვენთან რომ არ მოხვდა.

გამეღიმა და მშვიდად მივუგე:

– ალბათ თქვენ გგავთ. კარგი სტუდენტების მშობლები ამას არ აკეთებენ.

უნდა ითქვას, რომ ურმით მიმავალმა სამართალმა მოგვიანებით მაინც ჭამა პური – რა წამს მამამისმა ძალაუფლება დაკარგა, ქარის მოტანილი ქარმავე წაიღო.

***

შრომას ბავშვობიდანვე მაჩვევდნენ მშობლები, მაგრამ ხელოსნობა 90-იანი წლების გაჭირვებამ მასწავლა. ბინა გაუ-

რემონტებელი და მოუწყობელი იყო, იძულებული ვიყავი ყველაფერი თავად მეკეთებინა. დროთა განმავლობაში „ჩხირკედელაობა“ გატაცებად მექცა. ოჯახში ნივთების დიდი ნაწილი ჩემი ხელითაა დამზადებული.

მასალებისა და იარაღების შესაძენად ხშირად მიწევდა „ელიავას“ ბაზრობაზე სტუმრობა. წლების მანძილზე სამეურნეო იარაღების საკმაოდ კარგი კოლექცია დამიგროვდა – კიდევ კარგი, შვილიშვილები მაინც რომ მყავს ბიჭები.

ახალი საუკუნე ჯერ სამი-ოთხი წლის იქნებოდა. ერთგული მეგობარი, ჩემი საყვარელი ელექტრობურღი შეუძლოდ გახდა – უკვე მოხუცებულს საკისარი ჩაეშალა. მითხრეს ელიავას ბაზრობაზე, „დახლებში“ იშოვიო.

„დახლები“ ორი გრძელი რიგია. ძირითადად ძველი, მეორადი ნივთები იყიდება. მათ შორის ჟანგიანებიც, გამყიდველები რომ იქვე აპრიალებენ. ვინც ნარდს არ თამაშობს, დროს ამით კლავს.

თავჩარგული ვათვალერებ დახლებს. ცოტა ძნელია უამრავ წვრილმანსა და ძველმანს შორის საჭიროს პოვნა. ერთ დახლთან შევჩერდი და საკისარების ყუთში ჩემთვის საჭიროს დავუწყე ძებნა.

– რას ეძებთ, ბატონო თამაზ?

ავწიე თავი – გამყიდველი ახალგაზრდა ბიჭია, საოცრად ნაცნობი ღიმილითა და ნაცნობი კეთილი თვალებით, კიდეებში ღიმილისას ოდნავ რომ უნაოჭდებათ ხოლმე. ასე, ალბათ ათიოდე წლის წინ თუ ვასწავლიდი. მაშინ ბავშვი იქნებოდა, ახლა უკვე კაცი ეთქმის და, ცხადია, გარეგნულად საგრძნობლად შეცვლილია.

სახელის გახსენებას ვცდილობ – არ მინდა შემეშალოს. თავად სცადა შეხსენება, მაგრამ დავასწარი:

– არჩილ?

უზომოდ გაუხარდა, რომ გავიხსენე.

ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი – ჩემს ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო. ბევრგან შემეძლო მისი წარ-მოდგენა – დოქტურანტურაში, ბანკის მმართველად, არც მინი-სტრობა გამიკვირდებოდა, მაგრამ აქ?

გულჩათუთქულმა შევავლე თვალი საკანცელარიო რეზინე-ბით კონებად შეკრულ ნახმარ და გასწორებულ-გაპრიალებულ ლურსმნებს, ქანჩებსა და ჭანჭიკებს.

თუმცა მალევე მოვედი გონს. საკუთარ თავს ვუთხარი – რა გიკვირს, მის ადგილას ხომ შეიძლება შენც ყოფილიყავი-მეთქი. ერთხელ, როდესაც აღარაფრის იმედი არ მქონდა, სერიო-ზულად ვფიქრობდი ურიკის შეძენას და უნივერსიტეტისგან თავისუფალ დროს მტვირთავად მუშაობას. ჩემი ერთი დო-ცენტი მეგობარი ხომ პურის ქარხანაში მუშაობდა ღამის დარა-ჯად და ცოტა ხელფასის გარდა დღეში ორ ცალ პურსაც აძლევდნენ. რა მექნა, მაშინ ბევრმა ვაჭრობით ან ქვეყნიდან გაქცევით იპოვა გადარჩენის გზა, მაგრამ მე არც ერთი შემეძლო და არც მეორე.

ასე, რომ არჩილის აქ ნახვას გულისტკივილით, მაგრამ მალე-ვე შევეგუე.

***

ფიქრებიდან მისმა ხმამ გამომიყვანა:

– ბატონო თამაზ, ჩემი ჯგუფელი უჩა გახსოვთ ?

–კი, მგონი მეგობრობდით.

– ჰო, ყველაზე ახლოს ჩვენ ვიყავით,– გაიღიმა და დაამატა, – ერთხელ ცოტა ხნით თქვენ დაგვაშორეთ მხოლოდ ერთმანეთს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი მალე საერთოდ დავშორდით. დიდი საქმეები დააწვა და სამეგობროდ ვეღარ იცლიდა.

– არ გიცდიათ ნახვა?

– კი, ძალიან რომ გამიჭირდა, ვიფიქრე რამე სამსახურს ვთხოვ-მეთქი. ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ტელეფონზე არ

პასუხობდა. მივედი, მაგრამ მდივანმა – არ სცალიაო. მომერიდა და მეტი აღარც მიცდია.

მერე უცბად შეწყვიტა ამ თემაზე საუბარი და საკისარი გაახსენდა.

– თქვენ რომ გინდათ ისეთი საკისარი ვიცი ვისაც აქვს, დამელოდეთ, ახლავე მოგიტანთ.

კი არ წავიდა – გაიქცა. მალევე დაბრუნდა გაბრწყინებული სახით.

– სულზე მივუსწარი, წასვლას აპირებდა!

ფული არაფრით არ გამომართვა, იფიცებოდა ნაცნობია და მეც ისე მომცაო. ის კი არა, მეუბნება:

– მასწავლებელო, თუ გაგიჭირდათ, მომიტანეთ თქვენი ბურღი და მე ჩაგიყენებთ, – და იქვე თავისი განუმეორებელი, კეთილი და ამჯერად ცოტა ეშმაკური ღიმილით დაამატა – თუმცა თქვენ ხომ ყველაფერი გეხერხებოდათ.

გამეღიმა.

ღირსეულ შეგირდს მადლობა გადავუხადე.

ნამდვილად ვიცი, საფასურთან დაკავშირებით რომ მატყუებდა, მაგრამ ისე გულწრფელად იყო გახარებული, წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე.

ამ წუთში კი კარგი აზრი დამებადა – ჩემი მოგონებების წიგნი რომ გამოვა, რომელშიც ამ პატარა მოგონებასაც შევიტან, მოვძებნი არჩილს და ვაჩუქებ.

ეშმაკუნა

უნივერსიტეტში ერთ დროს ასეთი ტრადიცია იყო: თუ სტუდენტი პედაგოგთან გამოცდაზე ორჯერ გასვლით ვერ მიიღებდა დადებით შეფასებას, გარიცხვამდე სტუდენტს ეძლეოდა დრო და ენიშნებოდა კიდევ ერთი გამოცდა კომისიასთან.

ჩატარდა მორიგი ასეთი გამოცდა.

როგორც ყოველთვის,ზოგი კვლავ არ იყო გამოცდისთვის მომზადებული.

არ მომითმინა გულმა და ვუსაყვედურე:

– აი თქვენმა სიზარმაცემ სადამდე მიგიყვანათ! რატომ არ მეცადინეობდით?!

– თქვენი ბრალია მასწავლებელო! – მაშინვე მომახალა ერთმა ტანმორჩილმა გოგონამ. აქამდე მისი ხმა, არც ავად და არც კარგად, არ გამეგონა.

– ჩემი? – მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი რაში მადანაშაულებდა. ცოტა მეწყინა კიდეც, რადგან სავალდებულოს გარდა, ჩემი ინიციატივით, არაერთ დამატებით მეცადინეობასა და კონსულტაციას ვატარებდი.

– დიახ, სექტემბერში, ცხრილში თქვენი გვარი რომ წავიკითხე, მას მერე ვეღარ ვმეცადინეობ.

ვერ მივხვდი!

ამიხსნა:

– წაკითხულს ისე ვერ ვიგებ თუ მერე თვალები არ დავხუჭე ხოლმე. რაწამს თვალს დავხუჭავ, თქვენ გხედავთ – თითქოს გამოცდაზე ვარ და ორიანს მიწერთ. ჰოდა, შეშინებული როგორღა ვიმეცადინებდი?!

მისმა ლოგიკურმა მსჯელობამ ერთი წამით დამაბნია, მაგრამ დროზე მოვედი გონს.

– კი მაგრამ, რაღა ორიანს წარმოიდგენდით ხოლმე?! ფრიადი

წარმოგედგინათ, ფრიადებსაც ხომ ვწერ?!

არაფერი მიპასუხა – ჩაღუნა თავი.

კითხვა გავუმეორე.

თავჩაღუნულმა ჩაიჩურჩულა:

– ეგ ვერ მოვიფიქრე!

გამოცხადდა შედეგები. გოგონამ ვერ მიიღო დადებითი შეფასება, დახუჭა თვალები და იატაკზე დაეშვა.

მივცვივდით, ვასულიერებთ.

კომისიაში ქალიც გვყავდა, ქალბატონი ქეთევანი. ის უფრო გამოცდილი იყო ასეთ საქმეებში, მაგრამ ვერც ის გახდა ვერაფერს – ბავშვი თვალს არ ახელს. სასწრაფო გამოვიძახეთ. როგორც იქნა, გამოგვხედა, ოღონდ ჯერ ცალი თვალით. მეორე ცოტა მოგვიანებით გაახილა.

ექიმმა – სერიოზული არაფერია, გააყოლეთ ვინმე და სახლში წაიყვანეთო.

ცოცხალმკვდარი ვზივარ.

ერთი საათი ვერ გამოვედი მდგომარეობიდან. ქალბატონი ქეთევანი გოგონასთვის განკუთვნილ წამლებს მე მასმევს.

ვთხოვე:

– დეკანატში ტელეფონის ნომერი ექნებათ და მოდი სახლში დაურეკეთ, გაიგეთ, როგორ არის.

დეკანატი იქვე იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ რამდენიმე წუთში ნახევარი სიცოცხლე გავიდა.

როგორც იქნა შემოდის ქალბატონი ქეთევანი.

გაღიმებულია:

– ბებიამისმა თქვა, ამ წუთას გავიდა სახლიდან, დღეს ძალიან ძნელი გამოცდა ჩააბარა და მეგობართან ერთად კინოში წავიდა, ბებო ენაცვალოსო!

მას მერე, კარგა ხანს, შიშით ორივე თვალს ერთდროულად აღარ ვხუჭავდი.

სულ ის სცენა წარმომიდგებოდა ხოლმე.

მასწავლებელი

ის წელი ტირძნისის სკოლაში ჩემი სწავლის ბოლო წელი აღმოჩნდა.

მეშვიდე კლასში ვიყავი. სკოლის გარეთ ძალიან ცელქი, სკოლაში სანიმუშო მოსწავლედ ვითვლებოდი.

იმ დროს მამა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე იყო. დედა ქიმიას ასწავლიდა.

ჩემთვის არცერთს უსწავლებია და საერთოდაც, ჩემი სწავლის საქმეებში არ ერეოდნენ. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მამას, უბრალოდ, „მარტივი“ პრინციპი ჰქონდა: „ოთხიანს მიიღებ? – სახლში არ მოხვიდე!“ მაშინ ცოდნის შეფასება ხუთბალიანი სისტემით ხდებოდა.

ჰოდა, ერთხელაც მივიღე ოთხიანი და არ მივედი სახლში – ღამე სოფლის ბოლოს, სათივეში გავათენე. გაგიხარია, ამბავი ატყდა! ჩემზე უფრო მეტად შეშინებულმა მამამ მითხრა:

– შვილო, ოთხიანი კი არა, თუ გინდა სულ ორები მიიღე, ოღონდ ეგ აღარ გააკეთო!

გამოგიტყდებით, ამ თავისუფლებით არ მისარგებლია.

ყველა საგანს ვსწავლობდი, მაგრამ სიყვარულით ერთი მიყვარდა გამორჩეულად – ისტორია. უფრო ზუსტად, ისტორია კი არა, ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები.

ვის გვერდით არ მიბრძოლია – სპარტაკიდან დაწყებული გარიბალდის ჩათვლით. ვყოფილვარ ბურების ომში, მონტესუმასთან – კორტესის წინააღმდეგ. აღარაფერს ვამბობ დიდგორსა და ერეკლეს ომებზე. რამდენჯერ გამომიწვევია ხმალში ჩინგიზ ხანი და ჯალალედინი. მოკლედ, ასეთ წიგნებზე მაბოდებდა და ხელიდან არ ვუშვებდი. ყდიანად ვკითხულობდი.

სასწავლო წლის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო. კლასმა ე.წ.„შატალო“ გააკეთა. მე არ მინდოდა ეს, მაგრამ უარი

ვერ ვთქვი – მასწავლებლების შვილობა ტვირთად მაწვა, მეგობრებს შეიძლება სხვანაირად გაეგოთ.

მეორე დღეს, ბოლო გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, კლასში სასწავლო ნაწილის გამგე, რუსულის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი შემოვიდნენ. დამრიგებელი მათემატიკას გვასწავლიდა. მოღუშული და შეშფოთებული ჩანდა.

სასწავლო ნაწილის გამგეს ხაზგასმულად ამაყი, ტრიუმფატორის სახე აქვს, წინასწარ რომ ტკბება მომავალი გამარჯვებით.

– ზერეკიძე, გუშინ რუსულის გაკვეთილი გააცდინე! რატომ? – ყოველგვარი მომზადების გარეშე დამირტყა თერთმეტმეტრიანი. თან გვარი ისეთი ინტონაციით წარმოთქვა, თითქოს თვითონ სხვა გვარისა ყოფილიყო.

დავიბენი, ასეთ მუხანათურ თავდასხმას არ ველოდი. რა ვუპასუხო? იმას ხომ არ ვეტყვი, რომ მე „შატალოს“ წინააღმდეგი ვიყავი.

დამრიგებელს შევეცოდე:

– ბატონო შალვა, არა მგონია თამაზი ყოფილიყო წამომწყები.

– ქალბატონო ნათელა, თქვენ კარგად არ იცნობთ ამ ვაჟბატონს, – ეტყობა გუშინწინდელი ოინი გაახსენდა მამას. ბაღში სამუშაოდ რომ მივდიოდით, ლაპარაკით გავართე და გზიდან გამოვეპარე – ლიახვზე წავედი საბანაოდ.

– მიპასუხე, რატომ გააცდინე რუსულის გაკვეთილი!

უკვე ცრემლები მახჩობს:

– რა ვიცი, წავიდა კლასი და მე ხომ არ დავრჩებოდი?

– კლასი რომ ხრამში გადაეშვას, შენც მიჰყვები? – ძალიან შაბლონური კითხვა დამისვა პატივცმულმა.

– კი.

– გესმის მაინც, რაც ლაპარაკობ? – მეტი ვერაფერი მოიფიქრა.

– რა ვქნა, შენ არ მასწავლიდი, მეგობრებს არასოდეს უღალატოო?!

მამას , რომ იტყვიან, ენა ჩაუვარდა. ტრიუმფატორი კი არა, ასე გაწბილებული კაცი არასდროს მინახავს. სიმართლე ვთქვი და რა ექნა – ვერ უარყო.

არაფერი უპასუხია. კლასიდან თავჩაღუნული გავიდა.

რუსულის მასწავლებელიც გაჰყვა.

მათემატიკის მასწავლებელს აშკარად შეებრალა მამა, ტკივილიანი მზერა მესროლა და დღემდე რომ მახსოვს, ისეთი ხმით მითხრა:

– შენგან ამას არ ველოდი. ის თამაზი, მე რომ მიყვარდა, აღარ არსებობს!

აღმოჩნდა, რომ ეს ცარიელი სიტყვები არ იყო. გამებუტა.

გამებუტა სამუდამოდ.

ზედ აღარ მიყურებს. გაკვეთილს აღარ მაყოლებს, დავალებებს არ მიმოწმებს, ჩემს აწეულ ხელს ყურადღებას არ აქცევს. მხოლოდ საკონტროლო წერების ნიშნებით მაფასებს.

ერთხელ, რთულ გეომეტრიულ ამოცანას ხსნის დაფასთან. კითხვა დასვა – ვერავინ პასუხობს. მე კი ვიცი პასუხი, მაგრამ ხელის აწევას რა აზრი აქვს. კითხვა კიდევ გაიმეორა. დაფასთან ახლოს, მეორე მერხზე ვიჯექი და ჩემთვის ჩავიბურტყუნე პასუხი.

არ მოტრიალებულა. იმანაც ჩაიბურტყუნა:

– უჰ, შენ კი გენაცვალე!

ამ წამიდან ისტორიის სიყვარულმა მეორე ადგილზე ჩაიჩოჩა და პირველობა მათემატიკისას დაუთმო.

სიტყვების გარეშე შევრიგდით.

მოახლოვდა მოსწავლეთა ზონალური ოლიმპიადა. ოლიმპიადა გორში ტარდებოდა. დაიჟინა, მონაწილეობა უნდა მიიღოო. მე ეს სასტიკად არ მინდოდა. როგორც ჩანს, მეშინოდა არ შევრცხვენილიყავი.

ოჯახური საქმეებიდან ყველაზე მეტად ხბოს საბალახოდ წაყვანა მეჯავრებოდა. არა, განა ხბო არ მიყვარს. მასზე საყვა-

რელი არსება ბარე ორი არ ვიცი – მარტო თვალები რად ღირს. უბრალოდ, ძალიან ცელქია, ერთი წუთით უყურადღებოდ ვერ დატოვებ. ძროხას მიაბამ ბაღში ხეზე და გადახვალ იქვე სტადიონზე ფეხბურთის სათამაშოდ. ის კი, უჭკუო, შეიძლება თოკით დაეხვეს და უნებლიედ თავი ჩამოიხრჩოს. მინდორშია და სულ დევნა უნდა, როდის რომელ ყანაში შეკუნტრუშდება, კაცმა არ იცის.

იმ დილით უთენია ავდექი, ჯერ კიდევ მძინარე ხბოიანად ტირიფონის არხისკენ, შორეულ მინდორში გავიპარე.

გზაში დაგვათენდა.

თავი უკვე სამშვიდობოს მეგონა, რომ ძველი „მოსკვიჩის“ ტრახ-ტრახი მომესმა. გულმა რეჩხი მიყო – მათემატიკის მასწავლებლის ქმარს ჰყავდა ასეთი მანქანა, ხველებ-ხველებით რომ დადიოდა. მეზობლის ბიჭიც წამოეყვანათ.

ხბო ბიჭს დაუტოვეს, მე მანქანაში ჩამსვეს.

არც შიმშილის მომიზეზებამ მიშველა – საჭმელიც წამოეღოთ.

გვაგვიანდებოდა და პირდაპირ მენახირის ტანსაცმლით გავედი ჩემს პირველ ოლიმპიადაზე.

ცოტა ხანში გავიგე, სკოლაში თბილისიდან ორი კაცი ჩამოსულიყო – მათემატიკური სკოლისთვის შესაფერის ბავშვებს ეძებდნენ.

მათემატიკის მასწავლებელმა აქაც გადალახა მშობლებისა და ჩემი წინააღმდეგობა – მიმიყვანა გასაუბრებაზე.

მერვე კლასიდან უკვე კომაროვის სკოლაში გავაგრძელე სწავლა.

მას მერე ჩემი პირველი მათემატიკის მასწავლებელი პირისპირ აღარ მინახავს, თუმცა, მშობლებისგან ვიგებდი, რომ სულ კითხულობდა ჩემს ამბებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ჩავაბარე, საიდანაც სასწავ-

ლებლად საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში გამგზავნეს.

იმაზე მეტად ნოსტალგიამიდრეკილი ამოვჩნდი, ვიდრე მეგონა. თუ არა ქართველ ასპირანტთა სათვისტომო, ალბათ ვერ გავუმკლავდებოდი ამ ნაცრისფერ ტკივილს. მენატრებოდა ყველაფერი ქართული.

ოჯახიდან პერიოდულად მიგზავნიდნენ პროდუქტებს ამანათით და ცოტა ფულს, რომელიც ასპირანტის სტიპენდიასთან ერთად მყოფნიდა საცხოვრებლად.

ერთხელაც მარტო ამანათი მოვიდა. ჩემების გამოგზავნილს არ ჰგავს. გამომგზავნის ვინაობაც არ ჩანს.

გავხსენი.

ხელით ნაქსოვი ქუდისა და თბილი წინდების გარდა ზუსტად ჩემი საყვარელი ნუგბარია – ჩურჩხელები, ნიგვზიანი ატმის ჩირი და ალექსანდრიული მსხლის ტყლაპი.

ყუთში კიდევ ცისფერყდიანი თხელი სასკოლო რვეული იდო. ყდაზე ჩემი გვარი და სახელი ეწერა. მეშვიდე კლასის დროინდელი საკონტროლოს რვეული აღმოჩნდა. მომეწონა ჩემი თავი ახალგაზრდობაში – აშკარად ბეჯითი მოსწავლის შთაბეჭდილებას ვტოვებდი.

ბოლო ფურცელზე რაღაც ვრცელი ჩანაწერი იყო, წითელი პასტით დაწერილი. ვიფიქრე სავალდებულო დასკვნა ან დახასიათება თუ არის-მეთქი და, მართალი გითხრათ, დიდი ინტერესით შევუდექი კითხვას.

წერილი აღმოჩნდა, ძველად დაწერილი. უფრო ზუსტად, ეს იყო ლამაზი ჩანახატი მასწავლებლისა, რომელიც ერთხელ მოსწავლეს გაებუტა.

წერილი ზუსტად იმ ფრაზით მთავრდებოდა, მეშვიდე კლასში ჩემი მომავალი სამუდამოდ რომ შეცვალა.

ოსტატი

პედაგოგების ოჯახში გაზრდილს პეგაგოგების მხრივ ნამდვილად გამიმართლა. პირველი შვიდი კლასი ტირძნისის საშუალო სკოლაში ვისწავლე. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე ბედნიერი ხანა იყო, რადგან ჩემს მშობლიურ ბუდეში თავს მყუდროდ ვგრძნობდი და, რაც მთავარია, მშობლები გვერდით მყავდა.

მერვე კლასიდან გადამიყვანეს თბილისში, ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში – ასე ერქვა მაშინ. სწორედ იმ წელს მიანიჭეს სკოლას ახლად დაღუპული კოსმონავტის, კომაროვის სახელი.

ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ბავშვობიდან პირდაპირ კაცობაში გადავედი. ამის გამო ვხუმრობდი კიდეც – ბავშვობიდან არ გამოვსულვარ, გამომაგდეს-მეთქი.

***

როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში ბევრი დიდებული პედაგოგი მარგუნა იღბალმა. მაგრამ მათ შორისაც იყვნენ გამორჩეულები. ერთი მათგანი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მასწავლებელი-ლეგენდა, თვით ბატონი სიმონ სხირტლაძე იყო.

ამ ადამიანს მრავალი აღფრთოვანებული წერილი, წიგნი თუ სატელევიზიო გადაცემა მიეძღვნა. თავადაც არაერთი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი გახლდათ. ძალიან ძნელია მის დიდებულ პორტრეტს რამე შევმატო. მინდა, მხოლოდ ორი პატარა ეპიზოდი გავიხსენო მასთან შეგირდობის ძვირფასი პერიოდიდან.

მეცხრე კლასში რომ რომ გადავედით, სკოლაში ხმა გავარდა, რომ ჩვენთან სამუშაოდ ის სიმონ სხირტლაძე მოდიოდა – მხატვრული სიტყვის ჯადოქარი, მთელს საქართველოში გან-

თქმული თამადა, რომელსაც თქმაც შეეძლო და სმაც, მაგრამ სუფრას პირველ რიგში სიბრძნითა და ლექსით ათრობდა.

გაგვიმართლა – გვითხრეს, რომ სიმონ მასწავლებელი ჩვენს კლასში შემოვიდოდა. გაფაციცებით ველოდებით ღმერთკაცის გამოჩენას.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა.

გაიღო კარი და შემოვიდა ხელჯოხიანი, ნახატიდან გადმოსული მითოსის გმირი – ღმერთთან ერთად გალაკტიონსაც რომ ჰგავდა – ოღონდ ცოტა უფრო ახოვანი მეჩვენა.

მისი პირველი ფრაზა იყო:

– მე მოვედი თქვენთან, რომ მაგ ჭკვიანი თავებიდან ცოტა ფორმულები გამოვბერტყო და მშობლიური ენის ბადაგი ერთად დავაგემოვნოთ!

მისი ორი ერთნაირი გაკვეთილი არ მახსოვს. მგონი თვითონაც არ იცოდა, იმ დღეს როგორ გაკვეთილს ჩაატარებდა – რასაც გული ეტყოდა, იმას აკეთებდა. არადა ისეთი გულმართალი იყო, მისი ნაკეთები საქმე ყოველთვის სწორი გამოდიოდა. დისციპლინაზე არასდროს ზრუნავდა. ზოგჯერ მიგვიშვებდა კიდეც, მაგრამ საკმარისი იყო წამომდგარიყო და პირი გაეღო, ოცდახუთი ალქაჯი მყისიერად ოცდახუთ ფართოთვალება პირდაღებულ ანგელოზად გადაიქცეოდა.

ფანჯრიდან შორეთში გახედვა და ჩაფიქრება უყვარდა. ერთხელაც დიდი ხნით ჩაფიქრდა.

კლასი ატორტმანდა.

საერთოდ, სკოლის გარეთ ძალიან ცელქი ვიყავი, მაგრამ სკოლაში უაღრესად მოწესრიგებული გახლდით, მგონი ზედმეტადაც კი. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ათასში ერთხელ ანგელოზსაც შეუჩნდება ეშმაკიო და მეც ასე დამემართა.

ქაღალდის თვითმფრინავების კონსტრუირებით ვიყავი გატაცებული, მინდოდა, ქაღალდისგან დამზადებულ ჩიტს დიდხანს ეფრინა, არ გამომდიოდა. არც ბოლო მოდელის იმედი

მქონდა მაინცა და მაინც. ყოველი შემთხვევისთვის მომენტით ვისარგებლე და მაინც გავუშვი კლასში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ჩიტმა მასახელა, რამდენიმე წრე გააკეთა.

კლასი აღფრთოვანებილია, მე – ამაყი!

მაგრამ „მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა“ – წყეულმა ჩიტმა იფრინა, იფრინა და ფანჯრის რაფაზე მასწავლებელს ზედ ცხვირწინ დაუსკუპდა.

შემობრუნდა.

დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ვინ იყო ამ ოინბაზობის ავტორი – მთელ კლასს გაღიმებული სახე აქვს, ერთი მე ვარ გაფითრებული. თუ გავითვალისწინებთ კომაროვის სკოლის მაშინდელ რეჟიმს, ეს საშინელი დანაშაულია – შეიძლება გამრიცხონ კიდეც.

შეუძლებელია ღრუბლებიდან მომავალი იმ ხმისა და ინტონაციის დავიწყება, რომლითაც მან ეს ფრაზა მითხრა:

– ყმაწვილო, შენ როდიდან დაიწყე გაფრენა?

აქ იყო, საყვედურიც, მოფერებაც, ხუმრობაც და გაფრთხილებაც – ყველაფერი ერთად, ინტონაციაში!

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ვცდილობდი, აღარ გამეფრინა ხოლმე.

მეორე ეპიზოდი მეგობარს ეხება – ჯენერი არქანიას. ძალიან წესიერ, პატიოსან და სამაგალითო მოსწავლეს.

ბატონ სიმონს ასეთი არასტანდარტული ჩვევაც ჰქონდა: კლასში შემოსვლისას ზოგჯერ ჩაიბურტყუნებდა ხოლმე: „დღეს გეგმაში მაქვს ხუთი ფრიადი“ ან „დღეს სამი მოყმე გაშავდება“. როგორც წესი, სიტყვას ასრულებდა. მოგვიანებით, ამ ქმედების უკან რაღაც პედაგოგიური ფანდი დავინახე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია და ამაზე არ შევჩერდები.

მეოთხედის ბოლოა, ერთი-ორს ნიშნის გამოსწორება უნდა, მათ შორის არქანიასაც.

საგულდაგულოდ აქვს გაკვეთილი ნასწავლი. დასვენებაზე

გაიკითხა და გაკვეთილის საპასუხოდ გასვლის მსურველი ვერავინ აღმოაჩინა – სიხარულით მეშვიდე ცაზეა.

სამწუხაროდ, ბიჭმა ვერ გაიგონა მასწავლებლის მიერ ჩაბურტყუნებული მუქარა სამი მოყმის გაშავების თაობაზე. სწევს ხელს. მასწავლებელი ვითომ ვერ ხედავს. არქანია არ ისვენებს, აწეული თითი ლამის თვალში ატაკოს მასწავლებელს.

– რა გინდა, არქანია?

– გამოვალ, მასწავლებელო!

– სად გამოხვალ?

– დაფასთან, მასწავლებელო!

– დაფასთან რა დაგრჩენია?

– გაკვეთილს მოვყვები, მასწავლებელო!

– რომ არ იცი გაკვეთილი?!

– ვიცი, მასწავლებელო!

– დარწმუნებული ხარ?

– დიახ, მასწავლებელო!

ჩვენ ვცდილობთ ვანიშნოთ ჯენერის, რომ გაჩერდეს, მაგრამ ის უკვე მომსახურების ზონიდანაა გასული.

– იქნებ კიდევ დაფიქრებულიყავი?

– ვიცი, მასწავლებელო!

– კარგი, იყოს ნება შენი!

გავიდა კი არა, გაფრინდა ჯენერი გაკვეთილის მოსაყოლად. მაგრამ მასწავლებელმა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ერთ წუთში „გააბითურა“.

დაუწერა ორიანი და ჩაილაპარაკა:

– ესეც პირველი მოყმე! აბა კიდევ ვის უნდა გამოსვლა?

არქანია კარგი ვაჟკაცი ბიჭი იყო, მაგრამ ამხელა უსამართლობა მთასაც აატირებდა – ცრემლი მოადგა.

ბატონი სიმონი ნელი, რიტუალური ნაბიჯით მივიდა მასთან, მხარზე ხელი დაადო:

– ეჰ, არქანიუს, არქანიუს! მე შენ კაცი მეგონე, ბრიყვი ყო-

ფილხარ. მე დღეს ახსნის მუზა დამაჯდა მხარზე, შენ კი, უგუნურმა, მუზა დამიფრთხე.

– მასწავლებელო....

– ჯენერიუს! გამოსწორება არ მიხსენო, თორემ ბრიყვს არ დავჯერდები და დიდი ბრიყვის ტიტულს გიბოძებ! ნუთუ დღემდე ვერ გაიცანი შენი სიმონიკა მასწავლებელი?! დაგიწერ ას ორიანს და შენისთანა ბიჭს ბოლოს მაინც ფრიადს გამოვაყოლებ.

ასეც გააკეთა.

რა თქმა უნდა, ამას ვერ გაბედავდა ვერცერთი სხვა პედაგოგი და არც ხელმძღვანელობა აპატიებდა, მაგრამ ის ხომ სიმონ სხირტლაძე იყო!

მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ სიმონ სხირტლაძის ორი ნამოწაფარი სუფრაზე ერთმანეთს შეხვედროდეს და მისი სახელის დღეგრძელობისა არ შეესვას.

დიდი ხანია, ჩემს კლასელებს აღარ შევხვედრივარ. გადავწვყვიტე, ასეთი ფორმით მეთქვა მისი სადღეგრძელო.

მამა

1961 წლისათვის, ნიკიტა ხრუშჩოვის ფუქსავატი პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირში სასურსათო დეფიციტი შეიქმნა, განსაკუთრებით ხორბლის დეფიციტი. ხალხი პურიდან მჭადზე გადავიდა, ბევრს ესეც არ ჰქონდა, მათ შორის – ჩვენც.

მესამე კლასში ვიყავი, ძმა მხოლოდ ორი კლასით იყო წინ. და – სულ პატარაა, ტირის. იმიტომ კი არ ტირის, რომ ლაპარაკი ჯერ კარგად არ იცის, არა! – შია და იმიტომ ტირის. ჩვენც გვშია, მაგრამ არ ვტირით. კაცები ვართ და ამიტომ. მხოლოდ ვწკმუტუნებთ – მგლის მშიერი ლეკვებივით.

არც დედა ტირის, უბრალოდ თვალზე ცრემლი ადგას და ზღაპარს გვიყვება, რადგან არ იცის, სხვა რა გააკეთოს.

მამას ტირილისთვის არ სცალია – „დიდ ოთახში“ ზის, რვეულებს ასწორებს, საატესტატო გამოცდის რვეულებს.

მაშინ ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოსაშვები გამოცდა ყველაზე ძნელად ჩასაბარებელ გამოცდად ითვლებოდა.

ამ პერიოდში კორუფცია ჯერ მთლად არ იყო გათავხედებული, მაგრამ გამატარეთო – უკვე ითხოვდა.

საღამო დაიწრიტა, შემოალაჯა დაბღვერილმა ღამემ და თავის კუთვნილ ადგილას გაიშოტა. აგრილდა თანაც. ღია კარიდან ჩანს მამა – მხრებზე პიჯაკი აქვს მოსხმული. ჩვენგან ზურგშექცევით ზის მაგიდასთან.

ჭიშკარზე ხმა გაისმა:

– შალვა მასწავლებელოო! ანა მასწავლებელოო!

გავიდა დედა და მალევე შემობრუნდა მოზრდილი ჩანთით ხელში. რაღაცნაირად აწურული იყო. მთლად სიფრიფანა არ ეთქმოდა დედაჩემს, მაგრამ საკმაოდ ნაზი ქალი იყო და ამ დიდი ჩანთის გვერდით აშკარად შესაბრალისად გამოიყურებოდა.

მკაფიოდ გავარჩიე ჩანთიდან ამომავალი ხაჭაპურისა და სულ ახლახან მოხარშული დედლის სუნი. რა თქმა უნდა, ერთი სული მაქვს, როდის ჩავძვრები ჩანთაში და მგელივით ავახევ ბარკალს იმ დედალს, მაგრამ ის უფრო მიხარია, დედის თვალზე ცრემლს რომ აღარ დავინახავ.

– ვინ იყო? –იკითხა მამამ და მხოლოდ თავი მოაბრუნა, ისიც ნახევრად.

დედამ დამნაშავესავით ამოიჩურჩულა:

– ზემოუბნელი გოგია იყო, აი ეს ჩანთა დატოვა.

პატარა პაუზის შემდეგ მამამ კბილებში გამოსცრა:

– ქალო! როგორც გამოართვი, მოკიდე ხელი მაგ ჩანთას და ახლავე წაუღე უკან!

გამაჟრჟოლა – ქალოო?!

მსგავსი მიმართვა მამისგან პირველად გავიგონე. მათი სიყვარული და ურთიერთთანადგომა დღემდე სამაგალითოა ჩემთვის, იმდენად, რომ მგონი ცოტა მშურდა კიდეც.

ზემოუბანი შორს იყო, სოფლისგან მოწყვეტილი, ძაღლებით სავსე. წარმოვიდგინე დედაჩემი ღამით იმ გზაზე ამ ჩანთით ხელში!

მეორე გრძნობას, რაც დამეუფლა, მაშინ არ ვიცოდი რა ერქვა, ახლა ვიცი – ნამდვილად სიძულვილი იყო! არადა რა უცბად შეიცვალა ყველაფერი! ვიგრძენი, რომ ჩემი სიამაყე, რომლის გვერდით სიარული ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, მძულდა.

დედას სიტყვა არ უთქვამს, მოჰკიდა ხელი ჩანთას და ეზოში ჩავიდა. ცოტა ხანში ჭიშკრის ჭრიალი გაისმა.

მამა ოთახიდან გამოვიდა, მტირალი ბავშვი ხელში აიყვანა და ისე, რომ ჩვენთვის არც შემოუხედავს, გვითხრა ძმებს:

– გაყევით დედას!

თითქოს ცოტა მომეშვა.

მალე წამოვეწიეთ. ჩანთა გამოვართვით და დიდხანს მივდიოდით ოღროჩოღრო გზით, კუნაპეტ ღამეში. პერიოდულად ძაღლების ყეფა და ჭოტის კივილი გვაფრთხობდა. ჩანთიდან ისევ უბერავდა ეშმაკისეული სუნი.

გოგიას უზარმაზარი სახლი ჰქონდა. პირველი სართულის დიდი დარბაზიდან გაჩახჩახებული ჭაღის სინათლე გამოდიოდა.

დედამ ჩანთა შესასვლელ კართან დაგვადებინა, კარზე დააკაკუნა და გაღებას არც მოუცადა, უკან გამობრუნდა.

ისევ ჩუმად ვიარეთ.

მხოლოდ ჩვენი სახლის ჭიშკართან შეჩერდა დედა, ძმები მიგვიხუტა და ცრემლიანი ხმით გვითხრა:

– ბიჭებო, მამას არ გაუბრაზდეთ, ის მართალი იყო – მე და-

ვუშვი შეცდომა.

თითქოს რაღაცას მივხვდი, მაგრამ რატომ იყო მამა მართალი, მაინც ვერ გავიგე. მითუმეტეს, რომ ისევ მშიოდა.

საბედნიეროდ, სიძულვილმა მალე გაიარა და წლების მერე პირიქით, სიამაყეში გადაიზარდა. ხოლო 1977 წელს, როდესაც მე თვითონ პირველად დავდექი მსაგავსი არჩევანის წინაშე, მივხვდი, რა გავლენაც მოუხდენია მამის მაშინდელ საქციელს ჩემზე.

მამის გვერდით მუშაობა ძალიან მიყვარდა. საინტერესო, გულახდილი საუბრები გვქონდა, კარგად გვესმოდა ერთმანეთის. თუმცა, ზოგჯერ მეჩვენებოდა ხოლმე, რომ სულაც არ ვიცნობდი მას. ერთხელ შანდორ პეტეფი ვახსენე – იმ პერიოდში „აღმოვაჩინე " და თავის მოწონება მინდოდა. მისგან ამ პოეტის გვარი არასდროს მსმენოდა და ბრიყვული კითხვა დავუსვი – იცნობ-მეთქი? გაჩერდა, ბარს დაეყუდა და დაიწყო – ერთი ლექსი, მეორე, მესამე. აღარ ჩერდება. ვუსმენ პირდაღებული.

ერთხელაც „ის" შემთხვევა გავახსენე. არ ამყვა, მოკლედ მითხრა:

– წუწკი კაცი იყო გოგია. ბიჭი კი ნორმალური ჰყავდა. გამოცდაც ნორმალურად ჩააბარა.

ყველა ცოცხალ არსებას თავისი სავალი ბილიკი აქვს. მე ჩემი შემხვდა. სხვებსაც უკითხავთ და მეც მიფიქრია, მაინც ვინ ან რამ მკრა ხელი და შემაგდო ამ ბილიკზე? ადრე ვფიქრობდი, რომ ეს იყო ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია.

ახლა რას ვფიქრობ იცით? – მგონი ყველაფერი ზემოუბნელი წუწკი გოგიას ბრალია!

დირექტორი

ერთ-ერთი იმათგანი, ვინც დიდი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში და ალბათ ჩემი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ფორმირებაზეც იქონია გავლენა, კომაროვის სკოლის პირველი დირექტორი ვალერიან მელაძე იყო.

უმკაცრესი, შეუვალი.

ჩვენ ასე ვიცოდით, რომ მას ვერც დიდი თანამდებობის პირები უბედავდნენ პროტექციასა და უკანონო თხოვნებს. მისთვის არ არსებობდა გამონაკლისი. იმ პერიოდში კი ეს დიდი იშვიათობა იყო, რადგან „ზარი ზემოდან“ ფაქტობრივად ცხოვრების წესი გახლდათ.

მისი ყველას ეშინოდა, მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. დერეფანში რომ ჩამოივლიდა, სად დავმალულიყავით არ ვიცოდით.

ამბობდნენ, მხოლოდ ორ მასწავლებელს არ ეშინიაო მისი. ერთი, ქართულის მასწავლებელი, მთელს რესპუბლიკაში ცნობილი ფილოლოგი და შეუცვლელი თამადა, სიმონ სხირტლაძე იყო, მეორე კი ისტორიის მასწავლებელი, ჯუანშერ ჯურხაძე – ფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“ ზვიად სპასალარის როლს რომ თამაშობს, აი ის.

რა თქმა უნდა, მოსწავლეობისას არ მოგვწონდა ასეთი სიმკაცრე და არც ის გვესმოდა, რა საჭირო იყო იგი. მაგალითად, ერთხელ ჩემი თანაკლასელი ძლივს გადაურჩა გარიცხვას იმის გამო, რომ დასვენებაზე, დერეფანში რაღაც მელოდია დაუსტვინა.

კომაროვის სახელი სკოლას მისი დაარსებიდან მეოთხე თუ მეხუთე წელიწადს მიენიჭა – ტრაგიკულად დაღუპული რუსი კოსმონავტის პატივსაცემად. მახსოვს ეზოში, მოედანზე დაგვამწკრივეს და ისე გამოგვიცხადეს ეს ამბავი.

სკოლას ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი ერქვა. მასში მთელს საქართველოში საგანგებოდ მოძიებული ბავშვები სწავლობდნენ – ფიზიკისა და მათემატიკის ნიჭით დაჯილდოვებულები. აქ იყვნენ ყველა კუთხიდან, ბიჭებიც და გოგონებიც, ქალაქელებიც და სოფლელებიც.

სკოლა კარგად დაცულ ტერიტორიას წარმოადგენდა თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით. სასწავლო, სამეცადინო, საძილე, სასადილო კორპუსებით. სპორტული დარბაზითა და მოედნებით, საშხაპეებით, ტალავერებითა და დასასვენებელი ფანჩატურებით.

მშობლებს მხოლოდ სპეციალური საშვით შეეძლოთ სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლა. მათ ძირითადად შაბათ-კვირას ვხვდებოდით და შეგვეძლო ეს ორი დღე სახლში გაგვეტარებინა. რა თქმა უნდა, არათბილისელებს ვგულისხმობ – თბილისელებს შეეძლოთ, როგორც ჩვეულებრივ სკოლაში, ისე ევლოთ, ოღონდ საშვით.

ერთი სიტყვით, ეს იყო ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ მყუდრო ადგილას მდებარე პატარა სახელმწიფო.

და ამ სახელმწიფოს თავისი დიქტატორი ჰყავდა.

როდესაც ჩაგაბარებენ ერის ნაღებს, პასუხისმგებლობა უდიდესია და არც მკაცრი წესრიგისა უნდა გაგვიკვირდეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ იმ წლებში სკოლას უმაღლესი რეიტინგი ჰქონდა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთ ლიდერ სკოლად ითვლებოდა.

მაშინ სკოლები ათწლიანი იყო.

მეათე კლასში გვითხრეს, რომ ალგებრა დირექტორს უნდა ესწავლებინა. დავიზაფრეთ. გეომეტრიაში კვლავ ძველი, რბილი და დინჯი პედაგოგი გვყავდა.

როგორც მასწავლებელი, დირექტორი არ აღმოჩნდა ისეთი მკაცრი, მაგრამ დისციპლინის დარღვევისა მაინც ძალიან გვეშინოდა – პატიებისა და დანდობის არავითარი ილუზია არ

გვქონდა.

დირექტორი ჩემდამი ძალიან კეთილგანწყობილი იყო. ვფიქრობ იმაზე მეტად, ვიდრე ვიმსახურებდი. მგონი უფრო იმიტომ, რომ ხელს ვწევდი არა ალალბედზე, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული ვიყავი პასუხის სისწორეში. ამდენად, საიმედოდ მივაჩნდი.

მათემატიკაში საქართველოს ნაკრებ გუნდშიც მისი რეკომენდაციით მოვხვდი.

მახსოვს, ერთხელ, დასვენებაზე, თანაკლასელებს რაღაც ამოცანას ვუხსნიდი. თურმე კართან იდგა და მისმენდა. რომ დავამთავრე, შემოვიდა, მკერდზე გაშლილი საჩვენებელი თითი დამადო და მითხრა:

– შენ კარგი მასწავლებელი გამოხვალ!

ცხადია, ხმამაღლა ვერ ვიტყოდი, რაც მაშინ ვიფიქრე – ეს კაცი კარგად ვერ არის-მეთქი. მე მხოლოდ მეცნიერებაში წარმომედგინა ჩემი თავი.

მაგრამ, მეათე კლასის მიწურულს ისეთი რამ ჩავიდინე, მგონი მეცნიერებაც და მასწავლებლობაც ოხრად მრჩებოდა. ვერავითარი კეთილგანწყობა ვერ უშველიდა ჩემს მდგომარეობას. სასწაული იყო საჭირო.

აი, რა მოხდა:

საძინებელ კორპუსში ყველა კლასს გამოყოფილი ჰქონდა ოთახი, სადაც ჩვენს პირად ნივთებს ვინახავდით. ნივთები ჩემოდნებში გვეწყო. ამ ოთახს გასახდელს ვეძახდით.

ერთხელ, ერთმა კლასელმა ნივთი დაკარგა. ცოტა ხანში მეორემაც დაკარგა ნივთი გასახდელიდან. ცხადი გახდა – კლასში ქურდი გვყავს! გამოძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. მალე იგივე განმეორდა.

კლასში საშინელი სიტუაციაა, ერთმანეთს თვალებში ვეღარ ვუყურებთ. ისიც კი ვიფიქრე, თუ ასე გაგრძელდა, სკოლიდან წავალ-მეთქი.

იმ პერიოდში ზოგჯერ ცხვირიდან უნებლიე სისხლდენა მქონდა ხოლმე. ერთხელ გაკვეთილზეც დამემართა და პერანგი დამესვარა. მასწავლებელმა გასახდელში გამიშვა გამოსაცვლელად. ვხედავ, კარი ღიაა და შიგნით თანაკლასელია, რომელიც სხვის ჩემოდანში იქექება. ჩვენ ისე ვიცოდით, რომ ის ავად იყო და იზოლატორში უნდა წოლილიყო.

სასტიკად ვიჩხუბეთ. სიმართლე ჩემს მხარეს იყო და დავჯაბნე. სახეზე ლურჯი ლაქები დააჩნდა.

კლასში არაფერი მითქვამს, მაგრამ თანაკლასელებმა რაღაც იეჭვეს – მე მუშტი მქონდა გადატყავებული, მას კი სახე დალილავებული.

ახლა მთავარია დირექტორმა არაფერი გაიგოს, თორემ სკოლიდან გარიცხვა არ ამცდება.

მეორე დღეს მისი საკონტროლო გვაქვს. მაგიდასთან ცხვირწინ ვუზივარ. რამდენჯერმე ხელზე შემომხედა. თითო შემოხედვაზე თითო სიკვდილი მეწვია, ცელით ხელში. ვიფიქრე, გაკვეთილების შემდეგ დამიბარებდა თავის კაბინეტში, საიდანაც მოსწავლეები, როგორც წესი, უკვე გარიცხულის სტატუსით გამოდიოდნენ ხოლმე.

სასწაული მოხდა – გადავრჩი, თუმცა მოლოდინმა ბოლო მომიღო, მგონი გარიცხვა მერჩივნა.

კლასში ქურდობა შეწყდა.

***

ამ ამბიდან 15 წელი იქნებოდა გასული.

უნივერსიტეტში, მათემატიკაში მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვარ. დამავალეს კომისიის წევრობის რამდენიმე კანდიდატის შერჩევა. უკეთესს ვის ვნახავ-მეთქი და სხვებთან ერთად ჩემი დირექტორიც დავასახელე.

მიუხედავად სტატუსისა, ჩემი მისდამი დამოკიდებულება ოდნავაც არ შეცვლილა – ისევ ის შიში და მოწიწება.

ერთხელ, შესვენებისას, სასადილოში ერთ მაგიდასთან დავ-

სხედით ჩვენ, ორნი.

შუა საუბარში მეკითხება:

– ჰო, მართლა 1969 წლის 22 აპრილს რატომ სცემე ჯიხვა-შვილი?

მე კოვზი ხელიდან გამივარდა.

– თქვენ...თქვენ იცოდით?!

– ვიცოდი! შენ მთელი გეგმები ჩაგვიშალე.

– როგორ?

– ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა ქურდის ვინაობა, მხოლოდ დამტკიცებას ველოდით. შენ კი მაინცადამაინც იმ დღეს წაგსკდა სისხლი ცხვირიდან.

– და,– დამება ენა, – როგორ მაპატიეთ?!

გაეღიმა – არ ვიცოდი, ასეთი უნარი თუ გააჩნდა. მეუბნება:

– არ არსებობს ადამიანი, ერთხელ მაინც რომ არ დაეშვას გამონაკლისი. შენ რა, არ დაგიშვია?

– არა! – მივუგე თამამად.

დირექტორმა უფრო გაიღიმა:

– ჰოდა, როგორც ჩანს ვგრძნობდი, ასეთი ბიჭი რომ დადგებოდი და ალბათ ამიტომაც დავუშვი მაშინ გამონაკლისი – მხარზე ხელი მეგობრულად დამარტყა კაცმა, რომელიც მანამდე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ დიქტატორად მიმაჩნდა.

ლაზო

ლაზარე ერქვა, მაგრამ ყველა ლაზოს ეძახდა, ან კიდევ ბატონ ლაზოს. მისი ნამდვილი სახელი ბევრმა არც კი იცოდა. ის ადამიანი იყო, ვინც ჩემი სავალი ბილიკი საბოლოოდ ისე დაა-ბეტონა, რომ არასოდეს ატალახდებოდა და ფეხიც არ დამიცურდებოდა.

გარედან არ ჩანდა, რომ ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. ვითარება მოითხოვდა ასე.

ჩვენი შეხედულებები სამართლიანობასა და წესიერებაზე აბსოლუტურად ემთხვეოდა ერთმანეთს, ამიტომ მასთან ერთად მძიმე და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს მხოლოდ ენთუზიაზმზეც კი სიამოვნებით ვაკეთებდი. ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ ის საერთო საქმეს უღალატებდა.

მთელი 27 წელი იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. მოგვიანებით, იმავდროულად, – კათედრის გამგეც. დეკანი იმ ფაკულტეტისა, სადაც არაერთ კორიფესა თუ ლეგენდას უმოღვაწია.

ვისაც წაკითხული აქვს ჩემი პატარა მოთხრობა უსინათლო გოგონაზე – „ჩითისკაბიანი ანგელოზი“, შეიძლება მიხვდეს – იქ რომ დეკანია, სწორედ ისაა. ისიც იმ ადამიანთა შორის იყო, რომელთა მოწადინებითაც მე მეცნიერებათა აკადემია დავტოვე და მთლიანად უნივერსიტეტში გადავედი სამუშაოდ.

როცა სტუდენტი გავხდი, ის უკვე ასწავლიდა, მაგრამ ჩემთვის არ უსწავლებია. იმ საგანს ჩვენს ჯგუფსაც ასევე ახალგაზრდა, სიმპათიური და საკმაოდ ეგზოტიკური მასწავლებელი ასწავლიდა, მაგრამ ცოტათი მაინც გვშურდა იმ ჯგუფებისა, რომელთაც მასწავლებლად ლაზო ზამბახიძე ჰყავდა – რაღაც სხვანაირად დახვეწილი და ელეგანტური იყო.

ჯგუფელებისგან არაერთხელ გამიგონია:

– ზამბახიძის ჯგუფში მინდა გადასვლა.

კაცმა რომ თქვას, გადასვლა მეც მინდოდა, მაგრამ სად იყო არჩევანის საშუალება და კარგი ცხოვრება.

უნივერსიტეტში მიწვევისას თავდაპირველად მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ის ჩემი გულშემატკივარი იყო, უფრო სწორად – ჩემი პოზიციის გულშემატკივარი.

ჩვენი ახლო ურთიერთობა ცოტა გვიან დაიწყო – როცა ის მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. რო-

გორც ვიცოდი, რექტორმა ამაზე არცთუ ადვილად დაითანხმა.

მისი თავმჯდომარეობის პირველ წელიწადს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რიგით ზედამხედველად და გამსწორებლად ვმუშაობდი. მანამდე, ორ სხვა თავმჯდომარესთან უკვე მქონდა ამის გამოცდილება.

საგამოცდო ბილეთები გამოცდების მთავარი საკითხია, შეიძლება ითქვას – ხერხემალიც. ბილეთების კვალიფიციურად შედგენისა და კონფიდენციალობის დაცვის გარეშე გამოცდებს არავითარი აზრი არ აქვს. მეტიც, ის ბოროტების წყაროდ იქცევა ხოლმე. არაკეთილსინდისიერი ადამიანის ხელში ბილეთები მძლავრი კორუფციული იარაღია, მითუმეტეს იმ წლებში, როცა მისაღები გამოცდები ერის ცხოვრებაში ლამის წლის მთავარ მოვლენას წარმოადგენდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ უნივერსიტეტის ოცდაორი ფაკულტეტიდან მათემატიკა თორმეტ მათგანზე ბარდებოდა და იმას, რომ მათემატიკაში ყველაზე მეტი აბიტურიენტი იჭრებოდა, გასაგებია, რამდენად დიდი იქნებოდა მათემატიკის ბილეთებისადმი ინტერესი.

მაფია კარგად მუშაობდა. იყო შემთხვევები, როცა თავმჯდომარეების კეთილსინდისიერება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ინფორმაცია მაინც ჟონავდა და ქალაქში არასასიამოვნო ხმები ვრცელდებოდა.

სამწუხაროდ, პირველ წელიწადს, მიუხედავად მის მიერ გამოჩენილი მანამდე უპრეცედენტო სიფრთხილისა, ხმები ინფორმაციის გაჟონვის შესახებ კვლავ გავრცელდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დროულად მიიღო კონტრზომები და გამოცდებს რეალური ზიანი არ მისდგომია. ამ ამბავს მაინც ძალიან განიცდიდა. ცოტა მოგვიანებით, საუბრისას ვკითხე:

– მართალია რასაც ლაპარაკობდნენ?

– კი, ასე იყო.

– კი მაგრამ როგორ? ამბობდნენ, რომ თქვენ და თქვენი გუნ-

დი ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტეთ და ფაქტობრივად ნებაყოფლობითი შინაური პატიმრობის პირობებში ადგენდით ბილეთებს.

ამოიოხრა:

– ეჰ, ჩემო ძმაო, ღალატს ვერც ციხე-სიმაგრე აკავებს.

მერე გაეცინა:

– გინდა ამაზე რაღაც მოგიყვე?

– დიახ.

და მოყვა ანეკდოტი, რომელიც შემდგომში ძალიან გამომადგა. ანეკდოტი ბრეჟნევისდროინდელ პოლიტბიუროზეა, რომელიც შვიდი თუ ცხრა წევრისგან შედგებოდა და საბჭოთა იმპერიას მართავდა. ამ დროს ბრეჟნევი უკვე ხშირად ავადმყოფობდა.

ანეკდოტის მიხედვით:

– ყველა საიდუმლო გადაწყვეტილება, რომელსაც პოლიტბიურო დახურულ კარს მიღმა იღებდა, იმავე დღესვე უცხოეთის დაზვერვისთვის ხდებოდა ცნობილი. ცხადი გახდა – პოლიტბიუროში მოღალატეა.

ბრეჟნევმა სანდო ხალხს შეამოწმებინა დარბაზი. მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა არ აღმოჩნდა. გასცა განკარგულება – ჩაეკეტათ კარი, გარეთ არავინ გაეშვათ, არც შიგნით შემოეშვათ და ისე ჩაეტარებინათ სხდომა.

შუა სხდომის დროს ბელადი ცოტა შეუძლოდ შეიქმნა. ისის იყო ექიმის დაძახებას აპირებენ, რომ კარზე კაკუნი გაისმა. თეთრხალათიანი ქალბატონია:

– მაპატიეთ, მე ექიმი ვარ. ვიცი შემოსვლა არ შეიძლება, მაგრამ „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა, ბრეჟნევს წნევამ აუწიაო და აი, წამალი მოვიტანე.

გამეცინა და ვთქვი ფრაზა, რომელიც ასეთი ტიპის საქმიანობაში პრინციპად იქცა:

– თუ საიდუმლო, შენს გარდა, ერთზე მეტმა იცის, ვერ გაიგებ, ვინაა გამცემი.

თავმჯდომარეობის მომდევნო წელიწადს გამოცდების დაწ-ყებამდე დიდი ხნით ადრე დამიძახა. იანვარი იყო.

– უნდა დამეხმარო.

– ჯერ ძალიან ადრეა მაგაზე საუბარი, ზაფხულამდე ძალიან შორია, ბატონო ლაზო.

– პირიქით, მგონი ცოტა დაგვიანებულიც არის. ბილეთების შედგენაში უნდა დამეხმარო,– გაეღიმა და დაამატა – მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით.

უკიდურესად გავოცდი:

– მე? რანაირად? თქვენ ხომ ფაქტობრივად არ მიცნობთ.

– გიცნობ! შარშან კარგად გაგიცანი. მანამდეც გაკვირდებო-დი.

– ბატონო ლაზო, მე თვითონაც არ ვიცი რა შემიძლია და რა არა. ვცადე ეს ყველაფერი ხუმრობაში გამეტარებინა და დავიწ-ყე:

– არის ხალხი, მაგ საიდუმლოს ხელში ჩასაგდებად ყველა-ფერზეა წამსვლელი. ზეწოლებს ალბათ გავუძლებ, მაგრამ...

შემაწყვეტინა:

– აბა, სხვა რაღა გინდა, მათემატიკა, მგონია, რომ იცი.

– სხვა? – დავფიქრდი და მოვიფიქრე. ისევ ხუმრობის ტონით ვეუბნები:

– მაგალითად, მალე ცოლს მოვიყვან, მეყოლება შვილი. ვთქვათ, გაიტაცეს და სანაცვლოდ საიდუმლოს გაცემა მომ-თხოვეს, რა ვქნა?

ისიც ხუმრობით მპასუხობს:

– შენ ისეთი კერკეტი ქართლელი ხარ, მაგასაც გაუძლებ.

საერთოდ, ჩემს ქართლურ სიჯიუტეს ხშირად უსვამდა ხაზს, მაგრამ ამასაც ამბობდა ხოლმე:

– ტყუილად ჯიუტობ, მაინც გაჯობებ.

მეც ავყვებოდი:

– დარწმუნებული ხართ?

– ქართლური სიჯიუტე გურულ ეშმაკობასთან რა მოსატანია. – იქვე დაამატებდა – თუმცა, გორელმა თუ გაიწიაა...მერე მტრისას! – გასაგები იყო ვისაც გულისხმობდა.

არადა, სულაც არ იყო ეშმაკი.

ამ საქმეში ჩემი მონაწილეობის ამბავს დიდხანს საიდუმ-ლოდ ვინახავდით. წლების მანძილზე ჩემმა ოჯახმაც კი არ იცოდა ამის შესახებ.

ცხადია, ზოგი ხვდებოდა, რომ რაღაც მსგავს ამბავში ვიყავი გარეული, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდების დონეზე რჩებოდა. ამოცანებს ხან ერთობლივად ვადგენდით, ხან კი ცალ-ცალკე და მერე ერთად ვიხილავდით. რამდენჯერმე განმეორდა ასეთი სცენა: შევადგენდი ულამაზეს ამოცანას და ერთი სული მქონდა, როდის ნახავდა. ისეთი შექება იცოდა, რომ მზად ვიყავი ორი იმდენი მემუშავა, მაგრამ მერე ნაღვლიანი ხმით მკითხავდა:

– ამას სადახლოელი კარგი მოსწავლე, რომელსაც რეპეტი-ტორი არ ჰყოლია, გააკეთებს?

კიდევ ერთხელ გავიაზრებდი ამოცანას და ვაღიარებდი:

– ვერა.

– მაშინ არ გვინდა.

მერე პერიოდულად მეუბნებოდა:

– აფსუს, რა ამოცანა იყო!

ხშირად ადამიანები ისე ახდენენ ჩვენზე გავლენას, რომ ვერც კი ვხვდებით. მეტიც, ზოგჯერ მათ თვისებებს პირდაპირ ვი-ძენთ ხოლმე. მომავალში შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ფრაზას სადახლოელი მოსწავლის შესახებ მეც არცთუ იშვიათად ვი-ყენებდი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სადახლოს ნაცვლად რატომღაც ბარისახოს ვამბობდი.

ამ ყველაფერს ვყვები იმიტომაც, რომ ის გარკვეული გამოც-დილებაა. ყოველ შემთხვევაში, ამ პრინციპებით მუშაობამ ის შედეგიც მოიტანა, რომ ერთად მუშაობის დიდი ხნის მანძილზე და მერეც, კონფიდენციალურ ინფორმაციას არ გაუჟონავს და

არც არასასიამოვნო ხმები დარხეულა ქალაქში.

და ეს ყველაფერი მე პროფესორმა ლაზო ზამბახიძემ მასწავ-ლა.

ერთხელ რექტორმა სთხოვა, გაგვეზიარებინა გამოცდების ჩატარების ჩვენეული გამოცდილება.

დეტალურად დავწერეთ. თაბახის შვიდი ფურცელი გამ-ოვიდა. რა თქმა უნდა, სისტემის დიდი ნაწილი მანამდეც არსე-ბობდა, მაგრამ ზამბახიძემ თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა იგი. მე მხოლოდ რამდენიმე დეტალი დავუმატე.

რექტორის რეაქცია ასეთი იყო:

– თქვენ, მგონი, ლავრენტი ბერიასაც გადააჭარბეთ.

ხანდახან თავი სათავგადასავლო ფილმის მონაწილე მეგონა. შეხვედრები საიდუმლო უნდა ყოფილიყო. შეხვედრამდე წრეს ვაკეთებდი, რომ სავარაუდო კუდი ჩამომეშორებინა.

ერთხელ, დასაწყისში, სერიოზული საყვედურიც მივიღე: გადასაგდები ფურცელი, რომელზეც ცოტაოდენი მათემატიკა ეწერა, დავანაკუწე, საფერფლეში ჩავყარე და ცეცხლი წავუკიდე. ჯერ მაცალა და რომ ნახა, მეტს აღარაფერს ვუპირებდი ნამწვს, პინცეტით აიღო ერთი ნაჭერი და შუქზე გამახედა – ორი ასო ჩანდა.

– ასე არ შეიძლება დატოვება! აი როგორ უნდა გაკეთდეს, – ნამწვი საფერფლეში ჩაფშვნა, მერე კი გამდინარე წყალს გაატანა. შეიძლება ეს სიგიჟე იყო, ან ჩემთვის იგონებდა ამ სიგიჟეებს, მაგრამ ისინი მე ძალიან გამომადგა მაშინაც და მერეც.

მის ბინაზე მაქსიმალურად იშვიათად ვმუშაობდით. პირველ წლებში, როცა მარტო ვცხოვრობდი, ზოგჯერ ის მოდიოდა ჩემთან. მას იქ არავინ იცნობდა და არც მე გახლდით ჩემს უბან-ში მაინცადამაინც ცნობადი სახე. ჩემი სამუშაო ადგილი და პროფესია მეზობლების უმრავლესობამ არც კი იცოდა.

ძალიან პუნქტუალური იყო, არასდროს დაუგვიანია.

ბილეთების საიდუმლოობის საკითხიც მარტივად გადაწყდა.

ბილეთებს მესამე თვალი ან მესამე ხელი არ უნდა შეხებოდა. მაგრამ იქვე შეფიქრიანდა:

– წესით, ბილეთები რექტორატის სეიფში უნდა იქნეს შენახული. ამას რა ვუყოთ?

– არ ვიცი, თუ ეს პრინციპი არ იქნება დაცული, მე არ მივიღებ მონაწილეობას. უფრო მეტიც, არც შემდგომ, ბეჭდვისა და დაჭრისას და საერთოდ, აბიტურიენტამდე ვინმე უცხოს ხელი არ უნდა შეეხოს.

დამეთანხმა:

– კარგი, თუ ხელმძღვანელობა ამაზე უარს მეტყვის, ე.ი. მათ წესიერი გამოცდების ჩატარება არ უნდათ. მაშინ არც მე მესაქმება გამოცდებზე არაფერი.

საბედნიეროდ, პრორექტორს, რომელიც რეალურად წყვეტდა მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებს, არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, ეს იდეა მოსწონებია კიდეც და უთქვამს:

– თქვენი ტვინებიდან მე მაინც ვერ ამოვშლი ბილეთებს, ამიტომ ჩემგან უნდობლობას უბრალოდ აზრი არ აქვს. მოიტანეთ რაიმე ძველი ბილეთები, დავლუქოთ და სეიფში ისინი შევინახოთ.

არ გამკვირვებია, რადგან პრორექტორი გურამ ჭილაშვილი გამორჩეულად გონიერი, პატიოსანი და ღირსეული პიროვნება გახლდათ.

ბილეთები ჩემთან ინახებოდა. ლაზო ზამბახიძემ იმდენად მაღალ დონეზე ასწია ჩემში პასუხისმგებლობისა და სიფრთხილის გრძნობა, რომ მოგვიანებით ჩემს საქციელზე ეცინებოდა ხოლმე:

– აფსუს, ძველმა ბოლშევიკებმა შენი სახით რა კადრი დაკარგეს!

– რატომ?

– აბა ის რა იყო, ავლაბრის არალეგალური სტამბასავით რომ მომიწყვე რაღაც.

აი, რას გულისხმობდა:

ჩემი ბინა – პატარა ოთახი შუშაბანდით, თბილისის ერთ ძველ უბანში, კერძო სახლის პირველ სართულზე იყო.

ოთახის ყრუ კედელი კლდეს იყო მიბჯენილი. ძველ მეპატრონეს კედელში კარი გაეჭრა და კლდეში პატარა სათავსო გაეკეთებინა – ასე ოთხი კვადრატული მეტრი. ჩხირკედელაობა მაშინ უკვე დაწყებული მქონდა და ამ საკუჭნაოში მედგა პატარა მაგიდაში ჩამონტაჟებული ელექტროხერხი. საკუჭნაოს კარი მოხერხებულად შევნიღბე, ხერხის ყუთს გავუკეთე ორმაგი ფსკერი, რომელიც დაფარული ხრახნებით იხსნებოდა. ბილეთებს ფაკულტეტების ჩვენეული კოდები ეწერა. ყოველი შემთხვევისთვის, მოვაშორე ეს კოდები და ჩემი მშობლიური სოფლისა და მიმდებარე სოფლების სახელები დავაწერე: ტირძნისის საშუალო სკოლა, მარანა, შინდისი, მერეთი, მეღ-ვრეკისი, კარალეთი ...

მოვიდა. დასაბეჭდად უნდა წავიდეთ. კითხულობს:

– ბილეთები სად გაქვს, საიმედოდაა?

– თუ თქვენ ვერ მიაგნებთ, ე. ი. საიმედოდაა.

სახლში ავეჯი თითქმის არაფერი მედგა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ შენიღბულ კარს კი მიაგნო, მაგრამ ვერ გააღო –კარის საკეტი არსად ჩანდა. ვუთხარი, რომ უგასაღებოდ იღებოდა, მაგრამ ვერ მიხვდა პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამჭრიახი ადამიანი იყო და დეტექტივები ბევრი ჰქონდა ნა-კითხი.

შემდგომ ეტაპზე მაინც გამომიჭირა შეცდომაში:

– სოფლების სკოლების სახელების გამოყენება კარგი იდეაა, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ყველა ამ სოფელში არის სა-შუალო სკოლა ?

შევრცხვი, ამაზე არც მიფიქრია. არადა, ვიცოდი, რომ მზვე-

რავები სწორედ ასეთი წვრილმანების გამო ჩავარდებიან ხოლმე.

– მეორეც, ტყვიავი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სოფელია თქვენკენ. რატომ გამოტოვე? – აქაც მართალი იყო.

საერთოდ, მახვილი თვალი და ალღო ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ეპიზოდის გახსენება მინდა, მით უფრო, რომ ის აგრეთვე ეხება ჩემთვის და ბევრისთვის ძვირფას კიდევ ერთ გამორჩეულ პიროვნებას.

წერითი გამოცდები, არსებული სისტემის შესაძლებლობების ფარგლებში, ასე თუ ისე, რაღაც ჩარჩოებში იყო მოქცეული. აწუხებდა, რომ ზეპირ გამოცდებზე თანასწორობის დაცვა ძნელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფრო სუბიექტურია,– შეფასება გამომცდელების მომთხოვნელობის დონეზე დიდად არის დამოკიდებული. სურდა, ფრიადების საკითხი მაინც მოეწესრიგებინა. მარტო თავმჯდომარე ამ საქმეს ვერ აუდიოდა, ამიტომ გადაწყვიტა, შეექმნა მცირე კომისია, რომელიც გააკონტროლებდა ამ საკითხს. საგამოცდო წყვილი ვალდებული იყო ამ კომისიისგან მიეღო ფრიადზე დასტური. კომისიასთან უნდა წარდგენილიყვნენ ფრიადების კანდიდატებიც და ისინიც, ვისაც თავად ჰქონდა პრეტენზია.

– ბატონო გიორგი, აირჩიეთ ორი ახალგაზრდა და უხელმძღვანელეთ ამ კომისიას,– მიმართა მთელ საქართველოში თავისი მოუსყიდველობით ცნობილ ღვაწლმოსილ პროფესორს.

ბატონმა გიორგიმ თავისი ყოფილი ასპირანტი და მე დაგვასახელა.

შესვენებაზე, სასადილოში ჩავედით. ბატონი გიორგი არ წამოვიდა. მაგიდასთან ჩვენ ორნი ვართ მხოლოდ.

ქალბატონი მოგვიჯდა უცერემონიოდ. თავი გაგვაცნო, როგორც ერთ-ერთი სხვა საგნის კომისიის წევრმა. შორიდან ვიცნობდი, ამბობდნენ რაღაც ძლიერი, ფარული გავლენები აქვს და ამ გავლენებს არცთუ კარგი საქმეებისთვის იყენებსო.

– ბიჭებო, ხვალ თქვენი დახმარება დამჭირდება.

– რაშია საქმე? –ავიჯაგრე თავიდანვე.

– ხვალ თქვენთან ჩემი ახლობელი მოვა ფრიადზე.

– იქნებ არ მოიყვანონ?– ეუბნება ჩემი მეწყვილე.

– მოიყვანენ! – ამბობს დარწმუნებით.

– ქალბატონო, იმ კომისიაში ბატონი გიორგია და ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? – მშვიდად ეკითხება მეწყვილე.

მე თავს ვიკავებ, არ ვიცი, როდემდე მოვახერხებ ამას და როდის ავფეთქდები – ადამინთა ეს კატეგორია ყველაზე მიუღებელია ჩემთვის.

– და თუ ბატონი გიორგი არ იქნა?

– როგორ თუ არ იქნა?! – ვიკითხეთ ერთდროულად.

ცბიერად გაეღიმა.

– რა ვიცით, ყველაფერი ხდება. ხომ შეიძლება ხვალ ვერ მოვიდეს, ან მოვიდეს, მაგრამ, მაგალითად, ცუდად გახდეს, ან იყოს, მაგრამ არ ჩაერიოს გამოცდაში?

ვიფიქრე, ეს ოხრები რამე ცუდს ხომ არ უპირებენ იმ პატიოსან კაცს-მეთქი. სანამ საჭირო სიტყვებს მოვიფიქრებდი, აბიტურიენტის გვარის თქმა მოასწრო, წამოდგა და სიტყვაც დაგვიტოვა:

– აბა თქვენ იცით, ბიჭებო.

დეკანმა კომისიისთვის თავისი კაბინეტი გამოყო. შიგნით შემოსვლა აკრძალულია. გამომცდელმა პრეტენდენტი მხოლოდ კარამდე უნდა მოაცილოს და გაგვაცნოს საწყისი მდგომარეობა. ვმუშაობთ ჩვეულებრივ, გარკვეული სისტემით. ყველა პასუხს ბატონი გიორგი დიდი ყურადღებით ისმენს.

შემოვიდა მორიგი გამოსაცდელი. დავხედე გვარს – ნამდვილად ის არის!

ვღელავ, რა მოხდება?

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – ყმაწვილმა ვერ მიიღო დაუმსახურებელი ნიშანი. სწორედ ამ დროს ოთახში ჩქარი ნაბიჯით შემოდის დეკანი. გაჩერდა და დაძაბული იყურება

ჩვენკენ.

– ლაზო, მოხდა რამე?

– არაფერი, ბატონო გიორგი. ყველაფერი ისეა, თქვენ, მე და ამ ბიჭებს რომ გაგვიხარდება – გაუღიმა მოძღვარს დეკანმა.

პატარა ტანის, ხმელი კაცი იყო ბატონი გიორგი, ძალიან ენერგიული. თაობათა რისხვა და კერპი. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მხრებით რომ ატარა მათემატიკის ფაკულტეტის სიწმინდე და ნამუსი.

ძველი გვარდიის წარმომადგენელი გახლდათ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ზოგჯერ ისევ „შინსახკომად“ მოიხსენიებდა. დიდი დაკვირვება არ სჭირდებოდა იმას, რომ პროფესორ გიორგი ლომაძეს ლაზო ზამბახიძე გამორჩეულად უყვარდა.

დეკანი რომ გავიდა, ბატონი გიორგი ამბობს:

– ოჰ! მართლაც რა კარგია ლაზო! არის მასში რაღაც შინსახკომური! სულ ფხიზლად არის.

ნებისმიერ, ნამუსის მქონე ადამიანს, უნდა სწყინდეს წესიერ ადამიანზე აუგს რომ იტყვიან. კოლეგას ვესაუბრებოდი. არცთუ ისე ახლო ურთიერთობა გვქონდა, ხოლო მის სულში საერთოდ არასოდეს ჩამიხედავს. ჩემზე ცოტა უფროსი იყო.

ამბობს:

– ზამბახიძეს რა ენაღვლება. რამდენიმე მილიონი უკვე აქვს. დაჯდება და მშვიდად შეჭამს.

– რა მილიონი? – ვეკითხები ტვინში უკვე სისხლჩაქცეული.

– რა, არ იცი, რომ კომისიის თავმჯდომარეობა მილიონიანი საქმეა? ამ შანსს ხელიდან ვინ გაუშვებს!

შენობით მხოლოდ ახლობლებს და უღირსებს მივმართავ ხოლმე. სილის გაწვნა მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე და მხოლოდ ეს ვუთხარი:

– შენ რომ პატიოსანი ვერ იქნები, ამას ვხედავ. მაგრამ ის მაინტერესებს, უფრო რომელი ხარ – ბრიყვი თუ ბოროტი?

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ამ სუბიექტთან ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტე.

ვერაზე ცხოვრობდა, მამისეულ ბინაში. სამ ოთახიანს ამბობდა, მაგრამ ერთი ოთახი იმდენად პატარა იყო, ოთახად პირობითად თუ ჩაითვლებოდა. ეტყობოდა, რომ მამამისიც პატიოსანი ადამიანი გახლდათ. ძალიან დიდ თანამდებობებზე იყო ნამუშევარი. ძველისძველი რემონტი და კიდევ უფრო ძველი, უბრალო ავეჯი. ბოლოს რომ ვიყავი, ისევ ის ხის კარი ჰქონდა, საკეტის რამდენჯერმე გამოცვლისგან დაკემსილ-დაკერებული რომ იყო. უკვე შეხუმრებულები ვიყავით და ვუთხარი:

– ბატონო ლაზო, ამ კარს რომ გამოცვლით, არ გადააგდოთ.

– რატომ?

– შეიძლება მუზეუმი დაინტერესდეს.

მაგრამ, მგონი, მისი ცხოვრების ეს მხარე მისმა ექვსიოდე წლის გოგონამ უფრო კარგად გადმოსცა:

ვერის პარკში შევხვდით, ვისაუბრეთ და ფეხით გავუყევით მისი სახლისკენ. გზად მოხუცი ქალისგან მზესუმზირა იყიდა, ქაღალდის სამკუთხა პარკით.

კარი ნინიკომ გაგვიღო. მამა მოეფერა შვილს და მზესუმზირით მუჭი აუვსო. გახარებული ბავშვი გულუბრყვილოდ ეკითხება:

– რა მოხდა მამა, ხელფასი აიღე?

ბატონ ლაზოს გაეცინა, მე ჩავბჟირდი. უწესო ქვეყანაში წესიერი კაცის ცხოვრების ასე მოკლედ აღწერა თუ შეიძლებოდა, ვერც წარმოვიდგენდი.

ამანათი

მგონი ერთხელ უკვე გითხარით – ასპირანტურის წლების მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში გავატარე-მეთქი. მაშინ გავიგე,– ნოსტალგია ხატოვანი სიტყვა კი არა, სერიოზული დაავადება ყოფილა თურმე. ერთხელ, ისე ცუდად ვიგრძენი თავი, რომ შემეშინდა. ვერ მივხვდი რა მემართებოდა. საშინელი განცდა მეძალებოდა, თითქოს სულში მაჯლაჯუნა შეპარულიყო და იქაურობას ხრავდა.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. ამასაც არ მოვერიდე და ჩემს ახალგაზრდა მეგობარ ექიმს დავურეკე:

– ანტონ, მიშველე!

– რა მოხდა?

– მგონი ვგიჟდები! –აღვუწერე ჩემი მდგომარეობა და დავამატე, – ალბათ გადავიღალე.

– არა, ეგ აქაური ქართველების ყველაზე პოპულარული დაავადებაა – ნოსტალგია.

– რა წამალი მივიღო?

– მაგას მხოლოდ ერთი წამალი აქვს. ხვალვე დაჯექი თვითმფრინავზე და თუნდაც ერთი დღით გადაფრინდი იმ შენს საქართველოში. გადაგივლის.

ორ დღეში ძალიან მნიშვნელოვანი სემინარი მქონდა ლომონოსოვის უნივერსიტეტში, მაგრამ გათენებასაც ვერ დაველოდე და მაშინვე წავედი აეროპორტში.

ბილეთი ძვირი არ იყო – ჩემი ერთი თვის სტიპენდიის მესამედი ღირდა, დაახლოებით.

თბილისში აეროპორტიდან ვაგზლის მოედნამდე ავტობუსები დადიოდა, „იკარუსის“ ტიპის. მგონი 37 ნომერი იყო. ღამენათევს ჩამძინებოდა და პირდაპირ ბოლო გაჩერებაზე გამეღვიძა. შევშფოთდი – სანამ გონს მოვიდოდი, მეგონა გზა ამერია

და უცხო ქალაქში ამოვყავი თავი, იმდენად ლამაზი მეჩვენა იქაურობა. თვალებს არ ვუჯერებდი, ნუთუ ეს ის ვაგზლის შენობაა, სიმახინჯის ეტალონს რომ ვეძახდი-მეთქი. შენობები, ხალხი და ყველაფერი საოცრად ლამაზი და მშობლიური იყო.

ანტონი მართალი აღმოჩნდა.

სულ რაღაც ერთ საათში იმ საშინელი განცდის მხოლოდ ავი მოგონებაღა დარჩა.

სოფელშიც კი აღარ წავედი – სემინარის გაცდენა არ მინდოდა. თან მშობლები უფრო ინერვიულებენ-მეთქი, იმავე 37 ნომერზე დავჯექი და უკან გამოვფრინდი.

ეს ეპიზოდი მხოლოდ იმიტომ მოვყევი, რომ როგორმე მიმეხვედრებინა მკითხველი, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩემთვის უცხო ქვეყანაში ყოველგვარი მშობლიური, ყოველგვარი ქართული.

მოსკოვში ქართველ ასპირანტთა სათვისტომოს გარეშე ნამდვილად გამიჭირდებოდა ამ განცდებთან გამკლავება.

და მაინც, უპირველესი წამლის ფუნქციას ოჯახთან კავშირი ასრულებდა.

***

სოფელში ტელეფონი არ იყო, ამიტომ მამა ცხინვალში გადადიოდა და შეკვეთით მირეკავდა ტელეგრაფიდან. საყვედურის თემა უცვლელია – რატომ არ ვწერ წერილებს.

– მამა, აი ახლა ყველაფერი მოგიყევი, სანამ წერილი ჩამოვა, ტელეფონით კიდევ ვილაპარაკებთ, წერილში რაღა მოგწეროთ?

გამოგიტყდებით, მიზეზი მარტო ეს არ გახლდათ – გრძნობების გამჟღავნება უფრო გოგონების საქმედ მიმაჩნდა.

– დედაშენს სჭირდება!

– ჰოდა, წამოიყვანე ხოლმე და იმასაც დაველაპარაკები.

– შვილო, თუ ასე გიჭირს ორი სიტყვის დაწერა, ცარიელი ფურცელი ჩადე კონვერტში და ის გამოგვიგზავნე. ოღონდ გარედან მისამართი შენი ხელით დააწერე.

აზრი მომეწონა. თან კვიმატი ხუმრობის მშვენიერი საბაბი მომეცა და ცოტა ხანში მართლა გავგზავნე ასეთი წერილი.

თვეში ერთხელ ოჯახი ცოტა ფულს და პროდუქტების ამანათს მიგზავნიდა. ამანათში ის პროდუქტები იყო, რასაც გადახვეწილში მონატრებული ვიყავით. ტრადიციად გვქონდა მეგობრებს, ამანათს რომ მივიღებდით, პატარა ქართულ სუფრას ვამზადებდით და ერთმანეთს ვეპატიჟებოდით.

ერთ-ერთ მათგანს ვთხოვე, გამყოლოდა ამანათის გამოსატანად. ორი მეგობარი საღამოს შემოგვიერთდებოდა. ნუგბარების გარდა, კარგი მინდვრის ლობიო და შებოლილი შაშხი მქონდა მქონდა მშობლებისთვის საგანგებოდ შეკვეთილი.

გზაში მეგობარს ცარიელი წერილის ამბავი მოვუყევი. სიცილი აუტყდა:

–აუ, რა მაგარი იქნება თუ შალვა ბიძიასაც მოეძალა იუმორი და ცარიელი ამანათის ყუთი გამოგიგზავნა!

გამაჟრჟოლა.

გამოვიტანეთ ამანათი. მძიმეა – გადავრჩი.

ყუთში ყველაფერი იყო, რაც შევუკვეთე და კიდევ ტრადიციული, მშობლების ერთობლივი წერილი.

წერილის ბოლოს მამა მწერდა:

– ცარიელი ყუთის გამოგზავნა მინდოდა, მაგრამ დედაშენმა არ დამანება!

სინდისმა შემაწუხა და მეორე დღესვე დავწერე ვრცელი წერილი, რომელშიც მთელს ჩემს შეკავებულ გრძნობებს მივეცი გასაქანი.

***

ამ ამბიდან სამ ათეულ წელზე მეტი იყო გასული.

მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ.

მათ პატარა არქივს ვალაგებდი. არქივში ბევრი წერილი იყო – ძირითადად მოსწავლეების გამოგზავნილი.

ერთი წერილი ცალკე იდო – ცელოფანის პარკში, გამორჩეუ-

ლად, სათუთად შეხვეული.

კონვერტზე ჩემი ხელწერა ვიცანი.

კონვერტი კარგად იყო შენახული, თავად წერილი კი ეტყობა ყოველდღიური კითხვისაგან გაცვეთილიყო.

ერთ ადგილას კი მელანი იყო გადღაბნილი.

ალბათ რამე წვეთი თუ დაეცა.

კეისარი და ბრუტუსი

შესავალი –„მასწავლებლობის მოთვინიერება“

იმ დროს ძირითადი გამოცდა ზეპირი იყო. დამატებით გამოცდებს წერით ვატარებდი. ეს ის პერიოდია, ტოტალური სიყალბითა და ფარისევლობით უიმედოდ დასნეულებული საბჭოთა კავშირი ძლივსღა რომ ფეთქავს და გარდაცვალებისთვის ემზადება.

წესით, დამატებითი გამოცდა ერთხელ უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ხშირი იყო ოთხჯერ, ხუთჯერ დანიშვნის შემთხვევები. არაერთხელ კი ჩემთან გამოცდაზე სტუდენტი მეტჯერაც გამოუშვიათ.

ასე მეგონა, გამოცდის ჩასაბარებლად კი არ უშვებდნენ, არამედ ჩემს ნებისყოფას ამოწმებდნენ და ელოდნენ როდის დავუშვებდი შეცდომას.

რეკორდი თორმეტჯერ გამოსვლა იყო.

ვაგროვებდი ცარიელი საგამოცდო რვეულების კოლექციას, რომლებშიც ხშირად მხოლოდ ბილეთის საკითხების სათაურებს თუ ნახავდით გადაწერილს.

მიმდინარე პროტექციებზე რომ არაფერი ვთქვათ, მასწავლებელთა მოთვინიერების პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე იყო

აყვანილი – მანამდე დაგინიშნავდნენ გამოცდებს, სანამ დადებით ნიშნებს არ ჩამოწერდი. თუ ვინმე გაჯიუტდებოდა – ჯვარცმა ელოდა.

ჩამოყალიბდა მთელი რიგი სოციალური ჯგუფებისა, რომელთათვისაც უარყოფითი შეფასების დაწერა ფაქტობრივად ტაბუდადებულად ითვლებოდა. არსებობდა სხვადასხვა სიები: სპორტსმენების, ინგილოების, ავღანეთში ნამსახური ჯარისკაცების და სხვა. რაკი სახელმწიფოს ამ ხალხისათვის რეალური დახმარება არ შეეძლო, ან არ სურდა, „ეხმარებოდა“ იმით, რომ აძლევდა ორად გაკეცილ მუყაოს ქაღალდს, რომელსაც ერთ მხარეს „დიპლომი“ ეწერა.

ზოგჯერ ამ სიებში მოხვედრაც იყიდებოდა.

რა, თქმა უნდა, ნორმალურმა პედაგოგებმა დროზე აუღეს ალღო შექმნილ რეალობას და, ბუნებრივია, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. ძირითად გამოცდაზე თუ არა, პირველივე დამატებით გამოცდაზე უწერდნენ სტუდენტს დადებით ნიშანს და ყველა იყო ბედნიერი: სახელმწიფოც, პედაგოგიც და სტუდენტიც.

თუმცა იყვნენ „შერეკილებიც“.

იყვნენ პედაგოგები, რომლებსაც უჭირდათ ამ სპექტაკლში მონაწილეობა და ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ადრე თუ გვიან ნებდებოდნენ, რადგან ადამიანის შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი.

მხოლოდ რამდენიმე „სულელი“ ფართხალებდა ბოლომდე.

ვიღაცამ ხელი მკრა და პედაგოგად მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან მე პირდაპირ იდიოტთა ფლიგელში მოვადინე ზღართანი, როგორც გამოირკვა – სამუდამოდ.

ექიმთა დიაგნოზი თავზარდამცემი იყო - "მკურნალობას არ ექვემდებარება!"

საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა.

სისტემა კიდევ კარგა ხანს მუშაობდა.

ნაწილი პირველი –„ორი ჩემპიონი“

ჯვარს მაცვა! „შპარგალკის“ გამო უკვე მეოთხედ ვაძევებ გამოცდიდან. ესეც არ იკმარა.

– მაინც გადავიწერ!– მეუბნება უტიფრად.

– რატომ ცდილობთ? ხომ ხედავთ, ვერ ახერხებთ.

– მე ჩემპიონს მეძახიან!

ვერ გავიგე, ეს რა შუაში იყო – მაინც ჩავეკითხე:

– ჭიდაობთ? – ზორბა იყო ტანით.

– არა.

– შაში? – ვეხუმრე.

– არა ბატონო!

– აბა, რაში ხართ ჩემპიონი?

– გადაწერაში! – მომიგო დაუფარავი სიამაყით.

– კოლეგები ვყოფილვართ, მეც ჩემპიონს მეძახიან.

გაუხარდა.

– თქვენც იწერდით ხოლმე?

– არა ბატონო!

– აბა რაში ხართ ჩემპიონი? – წამოეგო ანკესზე.

– ორების წერაში! – ვუთხარი და გავუფორმე მეოთხე ორიანი სტუდენტის “თანამდებობისთვის” აშკარად შეუფერებელს.

ნაწილი მეორე –“შენც, ბრუტუს?! “

2018 წლის თებერვალში ზამთრის უსაშველოდ გრძელი არდადეგების გადატანა რატომღაც ჩვეულებრივზე მეტად გამიჭირდა. როგორც ჩანს, წლებმა უფრო გამიძლიერა ნოსტალ-გია.

ვიფიქრე, ქაღალდს გავატანდი მოწოლილ ფიქრებს და დავ-წერე ჩემი პირველი პროზაული ხასიათის „ნაწამოები“. ეს არის

პატარა მოგონება სტუდენტ გოგონაზე, რომლის ერთადერთი ოცნება მათემატიკის გამომგონებლის პოვნა და სიკვდილით დასჯა იყო. მაგრამ შევცდი – განელების ნაცვლად წერის საღერღელი უფრო ამეშალა და მცდელობის მიუხედავად, ვეღარ გავჩერდი, როგორც ოცი წლის წინ, როცა პირველი ლექსი დავწერე, ოჯახში ამასაც ირონიით შეხვდნენ – თავიდან არც კი წაიკითხეს, მითხრეს, ლექსები რომ გაპატიეთ, იმაზეც მადლობელი იყავი, ეს უკვე ნამეტანიაო.

ჩემდა გასაკვირად, რამდენიმე მეგობარმა, რომელთა ლიტერატურულ გემოვნებაში მანამდე ეჭვი არ შემპარვია, სერიოზულად მითხრა, რომ აუცილებლად უნდა თავმოყრილიყო ეს ყველაფერი და წიგნის სახით გამოცემულიყო.

ახლა მე შევხედე ამ საკითხს ირონიულად. ოჯახს კი პირიქით, ამჯერად ჩემი ირონია გაუკვირდა და მეგობრების აზრი მოიწონა. სულ დავიბენი, ამიტომ ამ წამოწყების კატეგორიულად წინააღმდეგი წავედი. მაგრამ, ხომ იცით, შეძახილმა ხე გაახმოო და ნელ-ნელა გამიქრა აგრესია.

ოჯახში კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ ამ თემას. დიალოგი სამზარეულოში შედგა. ვიფიქრე, სადილი არ ჰქონდათ მომზადებული და ჩემთვის მადის დაკარგვას ამ მეთოდით ცდილობდნენ:

– რა წიგნი, ხალხო! სად მაქვს მე გამომცემლობებში სირბილის დრო და ნერვები! – გავაპროტესტე მე.

– შენ გაამზადე და ჩვენ ვირბენთ!

– შემეშვით, სათაურიც კი ვერ მომიფიქრებია! – წამოვროშე დაუფიქრებლად

– რატომ, აი ის დაარქვი, ერთ შენს ნოველას რომ ჰქვია, „რვეულში ჩარჩენილი სიყვარული“ – მეუღლეს ყველაზე უფრო ეს პატარა მოთხრობა მოსწონდა.

– კარგი აზრია! – მხარი აუბა უმცროსმა ქალიშვილმა.

აშკარად რაღაცას ვერ ხედავენ!

ვუხსნი:

– კი ბატონო, ბეჯითი სტუდენტებისთვის ალბათ მისაღები სათაურია, მაგრამ შეხედეთ ამას ასეულობით გარიცხული სტუდენტის თვალით! მათ ხომ გაეცინებათ ამ სათაურზე!

მეუღლე დამეთანხმა, ჩაფიქრდა და ვერაფერი მოიფიქრა.

ისევ შვილის იმედი მაქვს. სულიერად ახლოს ვართ ერთმანეთთან, შეხუმრებულებიც. თუმცა, საერთოდ არ მგავს – თვინიერი და კეთილი ადამიანია. მუქი ფერისა და ტკბილი ხასიათის გამო ბავშვობაშივე „შავი პრინცესა“ და „სნიკერსა“ დავარქვი. მსგავსი კრიზისების დროს არაერთხელ დამხმარებია.

უთქმელად ესმის ჩემი.

შვილი ადგა, სკამზე მჯდომარეს უკნიდან ყელზე მომხვია ხელები, ლოყა თავზე დამადო. ჩანს, რომ აშკარად ვეცოდები. ცხადია, ვფიქრობ, ახლა დამაწყნარებს და მეტყვის:

– ნუ განიცდი მამა, ხომ იციან, რომ შენი ბრალი არ არის. შენ რა უნდა გექნა, თუ ისინი ზარმაცობდნენ. – ის კი მეუბნება:

– არაუშავს, მამა, თუ მხოლოდ ეგ გაწუხებს, გამოსავალი არის! ორ წიგნად დაწერე – ბეჯითების წიგნს „რვეულში ჩარჩენილი სიყვარული“ დაარქვი, ზარმაცებისას კი – „ჯალათის მოგონებები“ ან „კანიბალი“ – ასეთი მოთხრობაც ხომ გაქვს?!

ალბათ მიხვდებით, ამის შემდეგ, რა ძნელი იქნებოდა წიგნის დაწერაზე ჩემი დაყოლიება.

ბატონი ლევანი

ამასწინათ ერთი ღირსეული კაცი გამაცნეს. ჩემი ჩანახატები წაუკითხავს თურმე.

მეკითხება:

– აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილს თუ იცნობდით?

– რა, თქმა უნდა. მის ხელში, მის კათედრაზე გავიზარდე.

– მერე, არ გრცხვენიათ?

შევცბი, ბავშვობის მერე ასეთი რამ ჩემთვის არავის უკადრებია.

– ამდენ მოგონებას წერთ და ასეთ დიდებულ კაცზე არაფერი გაქვთ სათქმელი?

გულწრფელად გამოვუტყდი:

– მინდოდა, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა. მისნაირების აღწერას ცოტა უფრო მაღალი რანგის ტალანტი სჭირდება.

– თქვენც ნუ აღწერთ, უბრალოდ გაიხსენეთ რამე.

ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა და გავბედე.

მაშინ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ცალკე ფაკულტეტად იყო. სამეცნიერო ჯგუფებში კათედრებზე განაწილება მესამე კურსიდან ხდებოდა.

კათედრებზე ადგილების რაოდენობა ლიმიტირებული გახლდათ. ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრაზე მოხვედრა, უფრო ზუსტად, ბატონ ლევანთან მოხვედრა ბევრს უნდოდა, ამიტომ ამ კათედრაზე დიდი კონკურენცია იყო. ფრიადოსნობაც არ კმაროდა და დამატებით გასაუბრება უნდა გაგევლო.

გასაუბრებას ღიად, დაფასთან აწყობდა ხოლმე. სამწუხაროდ, დაფასთან საერთოდ ვერ ვაზროვნებდი – მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ხალხი რომ მომჩერებოდა. სკოლაშიც ასე იყო. ალგებრის მასწავლებელი, ცეცხლივით სწრაფი გრიშა მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, რომ სწავლაში კარგი შედეგები მქონდა და ოლიმპიადებშიც ვიმარჯვებდი, დაფასთან აღარც მიძახებდა:

– ბიჭო, სანამ შენ პირს გააღებ, გაკვეთილი დამიმთავრდება! – მომცემდა ფურცლებს და მაწერინებდა მოსაყოლს.

სამაგიეროდ, გეომეტრიის დინჯ, რაჭველ აჩიკო მასწავლებელს უყვარდა დაფასთან ჩემი გაყვანა, რადგან, როგორც თავად ამბობდა, ამ დროს თვითონაც მშვენივრად ასწრებდა აზ-

როვნებას.

– აი, საჩემო კაცი! – იტყოდა ხოლმე.

ბატონი ლევანის სტანდარტულ საპროგრამო კითხვებს ადვილად ვუპასუხე. დაიწყო მთავარი – სააზროვნო ამოცანები. მივჩერებივარ დაფას და თავში არაფერი მომდის, უფრო ზუსტად, არც ვცდილობ აზროვნებას, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მოლოდინით მომჩერებიან.

– მასწავლებელო, თუ შეიძლება დავჯდები და ისე მოვიფიქრებ!

– რა მნიშვნელობა აქვს, არ გაჩქარებ, აქვე იფიქრე რამდენიც გინდა.

მინდა, მაგრამ ვერ ვფიქრობ.

– ვერ ვფიქრობ, თუ შეიძლება დავჯდები.

– კარგი, ბატონო, დაჯექი, თუ ეგ გიშველის. – მითხრა ცოტა არ იყოს გაღიზიანებული ტონით.

დაჯდომა და ამოხსნის ულამაზესი გზის დანახვა ერთი იყო.

მოეწონა ძალიან.

– ახლა უფრო მაგარი ამოცანა უნდა მოგცე – მეუბნება უკვე გულშემატკივრის ტონით.

სცენა გამეორდა. დაფასთან ვერაფერი მოვიფიქრე, დაჯდომა და ამოხსნა ერთი იყო.

მესამე ამოცანა, მისივე თქმით, უკვე განსაკუთრებულია.

– ამასაც თუ გააკეთებ, ულაპარაკოდ მოგცემ თანხმობას.

– დაჯდომის უფლება მექნება? – ცოტა გავთამამდი მე.

სიცილით მეუბნება:

– ოღონდ გააკეთე და თუ გინდა, წამოწოლის უფლებასაც მოგცემ.

ცოტა დიდხანს მომიწია ჯდომამ. გავაკეთე, წამოწოლა არ დამჭირვებია.

მეუბნება:

– ძალიან საინტერესოა! ადამიანები, როგორც წესი, თავით

აზროვნებენ. შენთან მგონი ცოტა განსხვავებულადაა საქმე. მოგვიწევს ამის გამოსწორება.

მართალი გითხრათ, ამ სიტყვების აზრს მაშინ ვერ მივხვდი.

უნდა ვთქვა, რომ თუ არა ის, დაფის კომპლექსი ალბათ მთელი ცხოვრება გამყვებოდა და მომავალში აუდიტორიაშიც ვერ გავბედავდი პედაგოგად შესვლას – მთელი მომდევნო ერთი წელი დაფასთან გამატარებინა, სულ მე მიძახებდა.

გავიდა წლები. მართალია ასპირანტურაში მეცნიერებათა აკადემიაში ჩავაბარე და ძირითადი სამსახურიც იქ მქონდა, მაგრამ უნივერსიტეტთან და ბატონ ლევანთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. საერთოდ, უნივერსიტეტში, როგორც მიწვეულ პედაგოგს, ლექციები მქონდა ხოლმე. ცოტა მოგვიანებით აკადემიიდან მთლიანად უნივერსიტეტში გადავედი. მენანებოდა აკადემიის დატოვება, მაგრამ რამდენიმე ადამიანის, მათ შორის მის სურვილს ხათრი ვერ გავუტეხე.

ერთხელ ბატონმა ლევანმა მის კათედრაზე სპეციალური კურსის წაკითხვა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი, რადგან ჯერ ერთი, ეს დიდი პატივი იყო და, რაც მთავარია, პერსპექტიულ სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფთან შემოქმედებითი მუშაობის საშუალება მეძლეოდა.

– ყველა კარგია, მაგრამ მათ შორის ერთი განსაკუთრებულია. კარგა ხანია ფაკულტეტს ასეთი სტუდენტი არ ჰყოლია.

ამ სტუდენტის შესახებ მსმენოდა. დარწმუნებული ვიყავი, მას ასპირანტად ბატონი ლევანი აიყვანდა.

მართლაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. ბიჭი ძალიან დაინტერესდა ჩემ მიერ შეთავაზებული თემატიკით. ლექციების შემდეგაც ვაგრძელებდით მუშაობას. ბატონმა ლევანმა მალევე შენიშნა ეს.

ბევრი მის ადგილას იეჭვიანებდა, რადგან ცხადზე ცხადი იყო, რომ ყმაწვილი მისი მომავალი ასპირანტი უნდა ყოფილიყო, ეს ფაქტობრივად დაუწერელი კანონია – საუკეთესო მო-

თამაშეები დიდი მწვრთნელებისკენ ილტვიან და პირიქით, კარგი ოსტატები ნიჭიერ შეგირდებს ჰკიდებენ ხელს.

სამი წელი ვასწავლიდი იმ ჯგუფს ამ სპეცკურსს. ბიჭი ძალიან გაძლიერდა. მეხუთე კურსზე უკვე სერიოზული ნაშრომი გამოაქვეყნა და ასპირანტურაში ჩააბარა ბატონ ლევანთან.

ჩვენ ჩვეულებრივ ვაგრძელებდით მუშაობას.

მომცრო აუდიტორიაში ორნი ვართ. იღება კარი და შემოდის ბატონი ლევანი. ვიცოდით, რომ პირველ კორპუსში იყო წასული, მისი თქმით, რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე. როგორც ჩანს, საქმე დადებითად გადაწყდა – აშკარად გახარებულია.

– ესეც ასე, თქვენი საქმეც მოგვარდა – იფშვნეტს ხელებს.

– რა საქმე, ბატონო ლევან?

– გიორგის მეცნიერ-ხელმძღვანელი დღეიდან საბუთების მიხედვითაც იქნები. აბა თქვენ იცით, – ორივეს მხარზე მოგვხვია ხელი და დაამატა – ასე გააგრძელეთ.

ვინც ჩახედულია ამ „სამზარეულოში“, მას არ გაუჭირდება ბატონი ლევანის ნაბიჯის ღირსების შეფასება.

მომავალშიც, ჩვენ ერთი წუთით არ მოგვკლებია მისი ყურადღება და წარმატებაც შთამბეჭდავი იყო – ყმაწვილმა გამორჩეულ მეცნიერულ შედეგებს მიაღწია რეკორდულად ახალგაზრდულ ასაკში.

ამ პერიოდში არაერთხელ მომიწია ბატონ ლევანთან ბინაზე სტუმრობაც.

ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ კვარტალში სტანდარტულ მომცრო ბინაში ცხოვრობდა. უბრალო საწერი მაგიდა და ასეთივე უბრალო საწოლი, მხოლოდ აუცილებელი საოჯახო ნივთები – ეს იყო მთელი მისი მატერიალური ავლა-დიდება. დანარჩენი სივრცე წიგნებს ეკავა. კედლიდან, ისევე როგორც სამსახურში, ვაჟა-ფშაველა იმზირებოდა. უყვარდა ძალიან. მგონი არამარტო იმიტომ, რომ მისი კუთხიდან იყო, არამედ სულით ნათესაობა ჰქონდა. ცხოვრების სტილითა და უბრალო-

ებითაც ხომ ჰგავდა და ჰგავდა.

მაღალი და გამხდარი იყო, სასიამოვნო იერ-სახის. პირველ რიგში უბრალოებით მოგხიბლავდა. შორიდანვე ხელის აწევით ესალმებოდა ყველას:

– გაუმარჯოს!

იმის შიშით, არ გამომრჩესო, შეიძლება დღეში რამდენჯერმე მოგსალმებოდა.

ერთი შეხედვით რბილი ხასიათისა მოგეჩვენებოდათ, სინამდვილეში უაღრესად პრინციპული იყო და სიმართლეს არავის დაუთმობდა. ხოლო თუ გაჯიუტდებოდა, კაცი არ იყო მომრევი. თავშეკავებული გაბრაზება იცოდა, ისიც იშვიათად, თუმცა ამბობდნენ, ერთხელ მოსკოვში, ასპირანტობისას, ისე გაგიჟებულა, ერთი იქაური მათემატიკოსი ძლივს გაუგდებინებიათ ხელიდან – ქართველებზე რაღაც უთქვამს ირონიულად.

ბედმა უამრავ კეთილშობილ და პატიოსან ადამიანს შემახვედრა. ის ამ მხრივაც გამორჩეული იყო.

იმ პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებში პროტექცია ნამდვილ ეროვნულ უბედურებად იქცა. გაჩენის დღიდან მძულდა ეს სისაძაგლე და, რაც შემეძლო, ვებრძოდი. ძალიან რთული აღმოჩნდა ეს ბრძოლა. ცუდ კაცებს ადვილად ვუმკლავდებოდი. უფრო ძნელი იყო იმ ჩემთვის პატივსაცემ ადამიანებთან ურთიერთობა, თავად რომ არ უნდოდათ, მაგრამ იძულებული იყვნენ გადაედგათ ასეთი ნაბიჯი. ბევრი მათგანი დავკარგე კიდეც. ამ საქმეში იგი ჩემი დიდი გულშემატკივარი იყო, მაქებდა და მამხნევებდა. ფატალურად მეშინოდა, ისიც არ გამხდარიყო იძულებული, რაიმე მსგავსი თხოვნით რომ მოემართა.

და აი, ერთხელაც, ამბავი მომიტანეს, რომ ძალიან გავლენიან ხალხს მისთვის დახმარება უთხოვია – თქვენს მეტს არავის დაუჯერებსო, უთქვამთ ჩემზე, დაელაპარაკეთო.

– მერე, რა უთხრა? – ვიკითხე შიშისკანკალით.

– თავიდან შორს დაიჭირა, მე ასეთ რამეს ვერ ვთხოვ – წესიერ ახალგაზრდა კაცს გზიდან ვერ გადავჩეხავო და რომ გაწყრეს ღმერთი და ვთხოვო კიდეც, მაინც არ გააკეთებსო.

– მერე?

– მერე აიჩემეს, დაელაპარაკე მხოლოდ, სხვა არაფერი გვინდაო და რომ აღარ მოეშვნენ, ცოტა უცნაურად ჩაიცინა და უთხრა: კარგი ბატონო, ბოლოს და ბოლოს დალაპარაკება რა პრობლემაა, ისედაც ვაპირებდიო. მართალი გითხრა, ცოტა დაბნეულები წავიდნენ.

მეც დავიბენი, შევშფოთდი.

წინასწარ არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. ერთი რამ კი ცხადია – შევუსრულებ ამ თხოვნას თუ არ შევუსრულებ, ორივე შემთხვევაში წავალ უნივერსიტეტიდან.

იმავე საღამოს დარეკა.

პირდაპირ, შესავლის გარეშე მეუბნება:

– უნდა დაგელაპარაკო.

– გისმენთ, ბატონო ლევან!

– შენთვის ჯერ ხომ არაფერი მითხოვია?

– არა.

– ჰოდა, ახლა უნდა გთხოვო. ვიცი, ისედაც ასე გააკეთებ, მაგრამ მაინც.

– ბატონო ლევან...– უკვე მივიღე გადაწყვეტილება. ვაპირებ ვუთხრა, გავაკეთებ, მაგრამ უნივერსიტეტში ვეღარ დავრჩებიმეთქი.

გამაწყვეტინა.

– მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია!

– დიახ!

– ღმერთმა ყოველ ადამიანს თავისი სავალი ბილიკი არგუნა. შენ შენი გერგო. ჩემი თხოვნაა, არასდროს გადაუხვიო ამ ბილიკიდან!

– ბატონო ლევან!

– არაფრის შეგეშინდეს, ყოველთვის შენ გვერდით მიგულე! – თქვა და სხვათაშორის დააყოლა – ჰო, კიდევ, ის სტატია დროზე მომიტანე წარსადგენად, ნუ აჯანჯლებ!

ყელში ბურთი მომაწვა.

– გაუმარჯოს! – თქვა და ყურმილი დაკიდა. ზოგჯერ ასე იცოდა ხოლმე დამშვიდობება.

იმ წუთას ჩემზე ბედნიერი ორფეხა არსება მწვანე პლანეტაზე არ დაიარებოდა.

ერთი საჩუქრის ისტორია

მართალი გითხრათ, საჩუქრებით არასდროს ვყოფილვარ განებივრებული.

როცა წამოვიზარდე და მივხვდი, რომ სინამდვილეში საჩუქარი შეიძლება ტროას ცხენიც ყოფილიყო, ყოველგვარ საჩუქარს ბოიკოტი გამოვუცხადე. ერთხელ, ლექციის დასასრულს, სტუდენტებმა ჩემს ოცნებებზე მკითხეს. არ დავუმალე.

– ბავშვობისას ორი ოცნება მქონდა – ჯინსი და ველოსიპედი. მაგრამ მშობლებმა ერთიც არ ამისრულეს.

– რატომ მასწავლებელო?

– მამამ, ჯინსი რომ ვუხსენე, შეიცხადა – მეგონა კაცს ვზრდიდი და ხულიგანი გამიზრდიაო. მაშინ ჯინსი ახალი შემოსული გახლდათ და ძველი თაობა ალმაცერად უყურებდა.

– ველოსიპედი?

– ველოსიპედი ჯანსაღი ცხოვრების სიმბოლო იყო და არც ძვირი ღირდა. მისი წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ მგონი ეშინოდათ, ამიტომ მეხუთე კლასიდან დაწყებული ასპირანტურის ჩათვლით მამა ასე მატყუებდა:

– აი, ეს წელიც ფრიადებზე დახურე და გიყიდი!

მერე, ხარისხი რომ დავიცავი, გამომიცხადა: შვილო, ახლა

მეცნიერ კაცად გიცნობენ და უხერხულია, ხალხი რას იტყვისო.

სტუდენტებმა თანაგრძნობა გამომიცხადეს და მკითხეს:

– ახლა?

– ახლა, ერთი ოცნებაღა მაქვს – ისეთ დაფაზე ვოცნებობ, რომ ნორმალურად იწერებოდეს. – გაწამებული ვიყავი უხაროსხო დაფებით.

მეორე დღეს, იმავე ჯგუფთან სემინარი მქონდა. ბოლოში რაღაც ჩუმი ჩოჩქოლია. ერთ-ერთ გოგონას ეჩურჩულებიან, უფრო სწორად ეჯიკავებიან – მიდი, ნუ გრცხვენია, არ ეწყინება.

გოგონა ჯიუტობს.

სანამ მე გავერკვეოდი ვითარებაში, მერხის ნაპირას მჯდომმა მეორე გოგონამ ჯიუტს მერხიდან რაღაც დიდი, სქელი ფურცელი ააცალა და ჩემკენ გამოემართა:

– მასწავლებელო, ანას თქვენთვის საჩუქარი აქვს!

დავხედე, ჩემი შარჟია, ძალიან ნიჭიერად შესრულებული. ნახატიდან სიმკაცრეში გადაცმული სითბო იმზირება. დახეული ჯინსები აცვია და ველოსიპედზე ზის. იღლიაში ფორმულებით სავსე დიდი დაფა უჭირავს.

ამ ნახატის ნახვისას ყველაზე მეტად მამამ იმხიარულა.

ნახატს დღესაც სათუთად ვინახავ, როგორც მტკიცებულებას იმისა, რომ სადაც სიყვარულია, იქ ოცნებებიც სრულდება.

***

გამოხდა ხანი. ეს ნახატი სოციალურ ქსელში დავდე. მალევე ვნახე ერთი ასეთი კომენტარი:– ,,ვერ წარმოვიდგენდი, ჩვენი ჯგუფის ამ პატარა საჩუქარს თუ შეინახავდით". მაშინვე, ცხელ კვალზე, დავწერე პასუხი:

– დიდი სიყვარულით გაკეთებული არაფერია პატარა!

ცოტა ხნის მერე რომ ვნახე ეს ჩანაწერი, მომეწონა და ავტორით დავინტერესდი. გამიკვირდა – ჩემი ყოფილა!

მგონი, ცხოვრებაში ამაზე ჭკვიანური ჯერ არაფერი დამიწერია.

ბიჭი

ბოლო წლებში უნივერსიტეტში ერთიანი გამოცდები ტარდება – ყველა სტუდენტი მოცემულ საგანს ერთად წერს. ჩვენს საგანს ათასზე მეტი სტუდენტი გადის. სხვადასხვა პედაგოგის ყველა სტუდენტი რამდენიმე მოზრდილ დარბაზში ნაწილდება და დაშიფრულ რვეულებში წერს.

ყოველ სექტორს თავისი ზედამხედველი ჰყავს.

მე ზოგადად ვაკონტროლებ ვითარებას – პერიოდულად ჩამოვივლი ხოლმე დარბაზებს. ერთ ადგილას დიდხანს არ ვჩერდები.

საერთოდ, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ გამოცდაზე იდეალური სიწყნარე უნდა იყოს. არავითარი ზედმეტი სიტყვა! ეს წესი უნდა დაიცვას სტუდენტმაც და პედაგოგმაც. ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ წესის დარღვევას აუცილებლად მკაცრი სასჯელი მოჰყვებოდა, ამიტომ იშვიათად თუ ვინმე არღვევდა.

მე თვითონაც ფეხაკრეფით დავდიოდი ხოლმე გამოცდის მიმდინარეობისას და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში თუ დაველაპარაკებოდი ვინმეს, ისიც ჩურჩულით.

იმ დღეს რა დამემართა, არ ვიცი.

თითქოს ჯადო გამიკეთეს.

***

გამოცდა ახალი დაწყებული იყო. ერთ-ერთ სექტორში ზედამხედველი აკლია. მეზობელი სექტორის ზედამხედველს ორი სექტორის გაძღოლა უჭირს. დახმარება გადავწყვიტე და უპატრონო სექტორში დავრჩი.

ის პირველ მერხზე იჯდა – თეთრი პირსახის, თეთრი პერანგით, კეთილი გამომეტყველების მაღალი და ზორბა ტანის ბიჭი. გოლიათ ბავშვს ჰგავდა. აქეთ-იქით წრიალებს, მაგრამ მეზობელი სკამები ცარიელი იყო და ვერავის დაელაპარაკა.

მეკითხება:

– რვეული თუ არ მეყო, დამატებით ფურცელს მომცემთ?

მინდა შევუღრინო, რადგან ბილეთს მოყვება ინსტრუქცია, რომელშიც , ყველაფერთან ერთად, ამ კითხვაზე პასუხიც გარკვევით წერია, მაგრამ თავი შევიკავე და მოკლედ მივუგდე:

– მოგცემთ!

– ისიც რომ არ მეყოს, მერე რა ვქნა?კიდევ მომცემთ? წერის დრო რამდენია? თუ არ მეყო, დროს არ დამიმატებთ?

პასუხებს არც დაელოდა, ისე ჩაილაპარაკა:

– უჰ, რამდენს ვლაპარაკობ,– თქვა ეს და ბილეთს მიუბრუნდა.

ორიოდ წუთში ისევ ჩაირთო, გახარებულია.

– რა კარგი ბილეთი შემხვდა! მეორე საკითხი ყველაზე კარგად ვიცი. შეიძლება მაგით დავიწყო? – პასუხს კვლავ არ დაელოდა, თვიონვე უპასუხა – თუმცა, რატომაც არა, ინსტრუქციაში წერია, შეიძლებაო!

კიდევ კარგი, მისი საუბარი სხვებამდე ვერ აღწევდა და ხელს არავის უშლიდა, თორემ ნამდვილად გავაძევებდი.

ჩაწყნარდა და ამოცანებში ჩაეფლო. კარგა ხანს აღარ უქოთქოთია.

– დრო რამდენია დარჩენილი?

ერთი საათი-მეთქი რომ ვუთხარი, სახე გაუბრწყინდა:

– დროშიც რა კარგად ჩავეტიე! საერთოდ ვერ ვეტევი ხოლმე. დღეს კარგი დღე მაქვს.

ვატყობ, მისი ტიკტიკი კი აღარ მაღიზიანებს, უკვე მართობს კიდეც, მაგრამ ჩემთვის მაინც გავიფიქრე:

– რა ცუდია, აბიტურიენტებს ჯანმრთელობის ცნობას რომ აღარ სთხოვენ. რისი მსწავლელია ახლა ეს?!

მაგრამ ყველაფერს ისე ალალად, ყოველგვარი ყალთაბანდობის გარეშე აკეთებს, ვერაფერს ვეუბნები.

– ვაიმე თქვენ რა კარგი დამკვირვებელი ხართ. ყველა გამოც-

დაზე მეჩხუბებიან, რამდენს ლაპარაკობო!

მერე კარისკენ გაიხედა და ამბობს:

– ჯობია წავიდე, თორემ თუ ზერეკიძემ შემოგვისწრო, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე.

ვიგრძენი, რომ ცხოვრება უკვე საინტერესო ხდება და ვეუბ-ნები:

– დრო კიდევ ბევრია. მე თქვენს ადგილას დავრჩებოდი და გადავამოწმებდი ამოხსნებს.

– ვაიმე! მართლა რა კეთილი დამკვირვებელი ხართ. რა გვა-რი ბრძანდებით?

წარმოვიდგინე მისი შემცბარი სახე, პატარა პაუზა გავაკეთე და ვუთხარი ჩემი გვარი.

მოსალოდნელი რეაქცია ვერ მივიღე.

აბსოლუტურად მშვიდი სახით მეუბნება:

– შანსი არ არის! ზერეკიძე აქამდე თხუთმეტჯერ მისვრიდა გამოცდიდან. აუ, რას გადავრჩი, ლექციებზე მაგასთან რომ არ მოვხვდი!

წასვლისას უკვე შინაურულად გამიღიმა და ერთი ფრაზაც დამიტოვა:

– თქვენი ხუმრობა მომეწონა!

ერთი კვირის თავზე იმ გამოცდის ნაშრომების აპელაციები გვქონდა კათედრაზე.

ისიც მოვიდა.

მე კართან ვდგავარ და პროცესს ვარეგულირებ.

როგორც კარგი ძველი ნაცნობი, ისე მომესალმა.

– ეტყობა, დღესაც იღბლიანი დღე მექნება, რადგან თქვენ შემხვდით.

– რა გაგჭირვებიათ?

– ერთი ქულა მაქვს დაკლებული. დიდი არაფერია, მაგრამ იყოს მაინც, უფრო მრგვალი სემესტრული შეფასება გამომივა – მეუბნება მხიარულად.

მივუთითე, კომისიის რომელ წევრთან მისულიყო.

– როგორი კაცია?

– გადასარევი! – დავაწყნარე ღიმილით.

– არა, სამართლიანი თუ არის? ზოგს ძალიან უჭირს შეცდომის აღიარება. შეცდომის აღიარება ხომ სიმართლის აღდგენაა და ეს ადამიანს, პირიქით, ღირსებას მატებს. ხომ ასეა? რა ვიცი, მე ასე მგონია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– აბსოლუტურად გეთანხმებით, მეც ასე ვფიქრობ!

გაუხარდა.

– აი, ხომ გეუბნებოდით, ძალიან კარგი ადამიანი ხართ-მეთქი. ლექციებზე ნეტავ თქვენთან მოვხვედრილიყავი!

მათი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. კომისიის წევრს შეფასებაში დაშვებული შეცდომა უკვე აღმოჩენილი ჰქონდა და მაშინვე დაეთანხმა სტუდენტს. თუმცა სტუდენტმა მაინც მოასწრო და მასაც გააცნო თავი ბევრი ლაპარაკით.

ამასობაში ბიჭმა ნახა, რომ აპელაციებს მე ვხელმძღვანელობ და ეჭვი გაუჩნდა.

– პატივცემულო, ეგ კაცი რა გვარია? – ჩემამდე მოაღწია ჩურჩულით ნათქვამმა.

კომისიის წევრს რაღაც სხვანაირად გაეღიმა. მგონი მასაც ის ძველი დრო გაახსენდა, აბიტურიენტებს ჯანმრთელობის ცნობას რომ სთხოვდნენ.

დასმულ კითხვაზე ხმადაბლა უპასუხა.

ამჯერად რეაქცია უკვე ბუნებრივი იყო:– არაა!

ცნობისმოყვარეობა მკლავს. მივუახლოვდი და კოლეგას ვეკითხები:

– როგორი ბიჭია?

– ცოტა უცნაური კაცია!

– ეგ ვიცი. მათემატიკაში როგორია?

– ოოო, მანდ კი დიდებულია! – ამბობს გაბადრული კოლეგა.

ნაწერში ჩავიხედე – მართლაც დიდებული ნაშრომი იყო.

შეფასებაც – უმაღლესი. გვარს შევავლე თვალი და გამეცინა – დიდებულიძე იყო გვარად.

– სემესტრული შეფასება რა გამოგდით?

– 100, იმიტომ მინდოდა დამრგვალება, – ჩაილაპარაკა დამნაშავესავით

ეტყობა, იმ დროებითმა შეცბუნებამ უკვე გადაუარა და ისევ დაიწყო:

– მასწავლებელო, მაპატიეთ, რომ ძალიან ბევრს გელაპარაკებით ხოლმე. მამაჩემი სულ იმას მეუბნება – შვილო, როდის უნდა გაიზარდოო? რა ვიცი, მე თუ გაზრდა მაკლია, თითქმის ორი მეტრი ვარ უკვე, რა ვქნა, განა მე არ მინდა, რომ ვნერვიულობ, მაშინ მემართება ასე. მახსოვს, მეცხრე კლასში....აუ! ისევ დავიწყე!

თუ სტუდენტი კარგად სწავლობს, მასთან, მინდა არ მინდა, უჩვეულოდ რბილი ვხდები.

– არაუშავს! – მხარზე ხელი მეგობრულად დავარტყი და დავემშვიდობე.

კართან მისული მოტრიალდა და მე მომმართა:

– მასწავლებელო, შეიძლება ხანდახან შემოგიაროთ ხოლმე?

მე და ჩემს კოლეგას გაგვეცინა. კოლეგა ეკითხება:

– ლაპარაკის საღერღელი რომ აგეშლება, მაშინ?

ამჯერად სტუდენტს აუტყდა საოცრად კეთილი სიცილი.

– არა, როცა სანერვიულო არაფერი მექნება, მხოლოდ მაშინ შემოგივლით.

რომ იტყვიან, სიამოვნებით ჩავყლაპავდი ამ უცნაურ ბიჭს, მაგრამ ნამეტანი დიდი იყო.

ჯინსი

დეკანატმა სტუდენტთან გასაუბრება მთხოვა. სხვა ფაკულ-ტეტიდან გადმოსვლა უნდოდა და თავსებადობის შესახებ დას-კვნა უნდა დამეწერა.

სტუდენტი სამდივნოში მელოდებოდა, მოკრძალებული გა-მომეტყველების სიმპათიური ვაჟია. მაღალი, გამხდარი. ორი მდივანი გოგონა ბიჭს, უფრო სწორად მის ჩაცმულობას, ცნო-ბისმოყვარეობით ათვალიერებს.

სადა პერანგი და საკმაოდ შელახული ჯინსის შარვალი აც-ვია.

ჩემი სტუდენტობისას ჯინსი მოდური ჩასაცმელი გახლდათ, ხოლო გახეხილი ჯინსი დელიკატესად ითვლებოდა და მხო-ლოდ ერთეულების ხვედრი იყო. ზოგიერთი, ვისაც ამაზე ხელი არ მიუწვდებოდა, აგურით ან პემზის ქვით თავად ხეხავდა მუხ-ლებთან.

საჭირო დოკუმენტაცია ავიღე და სტუდენტს მივმართე:

– კათედრაზე წავიდეთ!

გრძელ მაგიდასთან გვერდიგვერდ დავსხედით. ელდა მეცა და გული შემეკუმშა – ჯინსი მუხლთან გადაიხსნა და ბიჭს შიშ-ველი მუხლი გამოუჩნდა, შარვალი გახეული ჰქონია! ეტყობა, პატრონიც არ ჰყავს საბრალოს, რომ დაუკეროს. საერთოდ, უსამართლობა ჩემი სუსტი წერტილია და გული ყელში მო-მეგჯინა – ღმერთო, ნუთუ ამ მშვენიერი ყმაწვილისთვის მეტი ვერ გაიმეტე-მეთქი?!

პირველივე შეკითხვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მისი ცოდ-ნა ძალიან შორსაა იმისაგან, რაც აუცილებელი იყო დადებითი დასკვნის დასაწერად. ჩვეულებრივ შემთხვევაში ალბათ მალევე ვეტყოდი:

– ვწუხვარ, მაგრამ საუბრის გაგრძელების აზრს ვერ ვხედავ. –

აქ კი აშკარად ფეხს ვითრევ, უფრო ზუსტად, ჩემი ქვეცნობიერი მექაჩება უკან. ვატყობ, უნებლიედ ისეთ კითხვებს ვეძებ, რომ იქნებ როგორმე მიპასუხოს. არაფერი გამოვიდა.

გულდათუთქულმა დავწერე უარყოფითი დასკვნა და წავიღე სამდივნოში. იმდენად ვარ დამწუხრებული, რომ ვერ შევიკავე თავი და ჩემი განცდები მდივან გოგონებს გავუზიარე.

– ძალიან შემეცოდა საბრალო, მაგრამ ვერაფრი მოვახერხე – მგონი ცოტა დანაშაულის გრძნობაც მქონდა და სინამდვილეში საკუთარ სინდისთან თავის მართლებას ვცდილობდი.

გოგონებმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგეს. განსაკუთრებით დააბნია ჩემგან შეცოდებაზე საუბარმა – მე ხომ ცოდნის შეფასების საკითხში უგრძნობი რობოტის სახელი მქონდა.

– რატომ შეგეცოდათ, ბატონო თამაზ?

– ვერ ნახეთ როგორი შარვალი ეცვა?

– მერე რა?

– ვინ იცის, როგორ უჭირს, შეიძლება წიგნისა და რვეულის შეძენის საშუალებაც არ აქვს!

გაკვირვებულმა გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და გაეღიმათ. შედარებით თამამი მეუბნება:

– ბატონო თამაზ! ეგ შარვალი დახეული ჯინსია – უახლესი მოდა. ჯერ ორს თუ სამს აცვია ქალაქში.

მართალი გითხრათ შემრცხვა – როგორ ჩამოვრჩენილვარ!

მას შემდეგ ჭკუა ვისწავლე და ჯინსების მოდას ძალიან ყურადღებით ვადევნებ თვალს. უკვე თავისუფლად ვცნობ ჯინსების სხვადასხვა კატეგორიას: დაგლეჯილს, დაფლეთილს და დაცხრილულსაც.

მხოლოდ ამასწინათ გამიჭირდა ცოტა.

სტუდენტი გამოვიყვანე დაფასთან. ისეთი ჯინსი ეცვა, არცერთი სახელი რომ არ ერგებოდა – მუხლის ცოტა ზემოთ, მთელს პერიმეტრზე, მორღვეული იყო, ქვედა ნაწილი მხოლოდ რამდენიმე ძაფზე ეკიდა.

არ მინდა კვლავ ჩამოვრჩე ცხოვრებას და ვეკითხები:

– შვილო, მაგ ჯინსს რა ჰქვია?

– არ ვიცი, მასწავლებელო. – მპასუხობს ღიმილით.

ახალგაზრდას ჯინსი ისე უხდებოდა, რომ მეც მომინდა ასეთივე, მაგრამ პედაგოგის სტატუსი ამის უფლებას არ მაძლევდა. გამოგიტყდებით, შემშურდა და პირველად ვინანე პედაგოგობა. გულდაწყვეტილმა ჩემს თავს ნიშნისმოგებით ვკითხე:– აბა, ახლა ვინ არის საბრალო?

ჯგუფში სახელდახელოდ გამოცხადდა კონკურსი ჯინსისათვის საუკეთესო სახელის შესარჩევად. ასე ამაყი არასდროს ვყოფილვარ – ჩემმა შერჩეულმა სახელმა უპირობოდ გაიმარჯვა:

დაკიდული ჯინსი!

ასე, რომ ჩემო მეგობრებო, მომავალში, როცა პედაგოგობას თავს დავანებებ, სადმე სკვერში სეირნობისას, დაკიდული ჯინსით თუ მნახავთ, არ გაგიკვირდეთ!

ციკლიდან – „ბავშვობა“

სისხლი

მაშინ მეოთხე კლასში ვიყავი, ძმა მეექვსეში იყო. ხშირად ვკამათობდით. ზოგჯერ ვჩხუბობდით კიდეც.

მიზეზი ყოველთვის ერთი იყო. მას, როგორც უფროსს, მიაჩნდა, რომ ჩემზე უფროსობის უფლება ჰქონდა, მე კი ამას ვერ ვეგუებოდი.

აი, ახლაც, მეუბნება:

– დღეს ხბოს შენ წაიყვან საბალახოდ.

მეწყინა.

– რატომ? დღეს შენი რიგია!

– მე საქმე მაქვს!

ვიცოდი რა საქმეც ჰქონდა.

იმ დღეს ტირძნისის სტადიონზე დიდი ბიჭები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს საუკუნის მატჩი იყო: გოგონაშვილ-ზერეკიძეების უბანი ბროწლეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ეთამაშებოდა.

მატჩის ყურება, ცხადია, მეც მინდოდა. დიდი ხანია ველოდი ამ დღეს, ამიტომ არ დავემორჩილე.

წამითაქა.

უეცრად, მამა დაგვადგა თავს.

მამა მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი. თუმცა, ამჯერად, გაბრაზებულმა, ვფიქრობ, უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო.

– არცერთი არ წახვალთ სტადიონზე. ბაღში ხბოს ორივე წაიყვანთ!

სხვა რა გზა მქონდა, ბედს შევეგუე.

ჩვენთან ერთად მისი მეგობარიც წამოვიდა. მასზე ოდნავ უფროსი. ხბო, გრძელი თოკით, ძმას მოჰყავდა. მართალი გითხრათ, ეს ცოტა მიკვირდა.

ჩვენი ხილის ბაღი პაპაჩემს გაეშენებინა. ლამაზად ჩამწკივებული ვაშლისა და მსხლის ვეებერთელა ხეებით იყო სავსე. ხეებქვეშ ხბოს სამყოფი ბალახი ყოველთვის მოიძებნებოდა.

მამა ხბოს დაბმას კატეგორიულად გვიკრძალავდა, რადგან თუ თოკი ხეზე დაეხვეოდა, შეიძლება ხბო გაგუდულიყო.

ბაღი სტადიონთან ახლოს მდებარეობდა. იმდენად ახლოს, რომ იქაური ყიჟინა ჩვენამდე თავისუფლად აღწევდა ხოლმე.

ადგილზე რომ მივედით, ძმამ თოკი მომაჩეჩა და მეუბნება:– აქამდე ხომ მე ვატარე, ახლა შენ მიხედე.

– წავედით – უთხრა მეგობარს და სტადიონზე წასასვლელად გაემზადა

ყელში ბურთი მომებჯინა. საცაა ტირილს დავიწყებ – ასეთ მუხანათობას არ ველოდი.

არ შევეპუე.

– მიდი და მიხედე, სულაც შენი რიგი იყო დღეს!

– მიხედე-მეთქი, გითხარი! – მითხრა და ისევ წამითაქა.

ვეღარ მოვითმინე და ამოვანთხიე:

– რით ვარ შენზე ნაკლები? ნაკლებად არ ვსწავლობ, სირ-ბილში გჯობნი, ფეხბურთს უკეთესად ვთამაშობ!

მართლა ასე იყო.

ერთადერთი, რაშიც მჯობნიდა, ცურვა იყო. უფრო ზუსტად, კი არ მჯობნიდა, უფრო ლამაზი მკლავური იცოდა. თუმცა არა, ცოტა ტყუილი გამომივიდა: კალიგრაფია ჰქონდა კიდევ ძალიან კარგი, უფრო ზუსტად, განსაკუთრებული. მას შემდეგ მსგავსი არაფერი შემხვედრია – აბსოლუტურად თანაბრად დახრილი, მოგრძო, მამაკაცური ასოები. მართალი გითხრათ, ჩემს კალიგ-რაფიასაც რომ ცოტა არაუშავდა, მისი დამსახურება იყო – ჩუმ-ჩუმად ვბაძავდი.

რახან ამდენი ვთქვი, ბარემ ბოლომდე ავჯანყდი.

– ვინ დაგნიშნა ჩემს ბატონად?! დიდი ამბავი, ამქვეყნად ორი წლით ადრე რომ მოხვედი. ამის გამო მთელი ცხოვრება შენი მონა უნდა ვიყო?

თვითონ სულ უფროს ბიჭებთან უნდოდა მეგობრობა, მე კი, თუ მათთან დამინახავდა, მაშინვე გამომაგდებდა:

– მოუსვი აქედან, აქ შენი ტოლი ვინ არის?!

რას ვიზამთ, ჯერ პატარა ვიყავი და მხოლოდ ჩაგრულის ჭუჭრუტანიდან ვუყურებდი სამყაროს. ცხოვრებისეული სუ-ბორდინაციისა ჯერ არაფერი გამეგებოდა.

– თუ კარგია, მე წავალ და შენ დარჩი! – მივახალე და გამო-ვიქეცი.

თვითონ ვერ დამეწეოდა, მაგრამ მეგობარი მიეხმარა.

დამიჭირეს.

ჩემდა ჭირად ვაშლის მაღალ ხეზე კავიანი თოკი იყო შემორ-ჩენილი – ხილის კრეფისას ვიყენებდით ხოლმე.

ხეზე მიმაბეს იმ თოკით, მეზობელ ხეზე კი ხბო დააბეს და სიცილ-ხარხარით გამშორდნენ.

გიჟს ვგავარ.

არც მანამდე და არც მერე ასეთი ტკივილი არ განმიცდია.

ყველაფერი აიზილა ჩემში – სიბრაზე, დამცირების გრძნობა, სიძულვილი. მზად ვარ არა თუ ორივე მივახრჩო, არამედ ყველა გადავბუგო, ვინც ამის გამო გამამტყუნებს.

თამაში დაიწყო. ეტყობა, უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მაყურებლის რეაქციის მიხედვით ვხვდები, რომ ჩვენები დაწინაურდნენ, მაგრამ აღარაფერი მახარებს. ერთადერთი რაც მინდა, შურისძიებაა.

დიდი წვალების შემდეგ თავი გავითავისუფლე და გავვარდი სტადიონისკენ. გზად მოზრდილი ქვა ვიპოვე, ორს სხვანაირად ვერ გავუმკლავდებოდი.

მატჩის პირველი ნახევარი ახალი დამთავრებული იყო. ფეხბურთელები კაკლის ჩრდილში ისვენებდნენ. მოედნის ცენტრში კი რაღაც ჩოჩქოლია. მიწაზე ვიღაც ფართხალებს, მეორე კი, გაცილებით დიდი, ზემოდან გადასჯდომია და სახეში დაუნდობლად ურტყამს. ქვედას სახე სისხლით აქვს მოთხვრილი. დანარჩენები სეირს უყურებენ.

ვიღაცამ იყვირა:– გააშველეთ, მოკლავს!

მე ჩემი გამჭირვებია, ძმას ვეძებ. მოსაკლავად, რა თქმა უნდა.

უეცრად მისი ხმა მესმის:– ვაიმე, დედა!

ახლაღა ვიცანი – ის დასისხლიანებული ჩემი ძმა იყო, ზემოდან მჯდომი კი – უკვე სკოლადამთავრებული ჯეელი. ცუდი ბიჭი იყო ეს ჯეელი, აცვენილს რომ იტყვიან, ისეთი. მასთან საქმის დაჭერას ყველა ერიდებოდა.

გონება გადამეკეტა. დარჩენილი მანძილი სირბილით გავიარე.

ერთი კი ვიყვირე:

– გაუშვი ხელი! – და ძმისთვის გამზადებული ბრტყელი ქვა

პირდაპირ იმ მუდრეგის კეფაზე დავუშვი.

მისი მომჩვარებული სხეული ქვეშ მყოფს დაესვენა. მე გვერ-დზე გადავაგორე, ძმას ჩავეკონე და ავქვთინდი.

***

ამის შემდეგ ძმებს კი გვიკამათია, მაგრამ აღარ გვიჩხუბია, ხოლო ის ცუდი ბიჭი, თქვენ წარმოიდგინეთ, ფრიად პატი-ვისცემით მექცეოდა.

ბებია

ის იყო, მზის გულზე მთვლემარე კატისთვის კუდზე ფეხი უნდა დამედგა, რომ ვიღაცამ ყურში მტაცა ხელი.

– ჰაიტ, შე პატარა ავაზაკო!

ავიხედე – ბებიაა, დედის დედა. ეტყობა მითვალთვალებდა და დაინახა, როგორ ფეხაკრეფით მივიპარებოდი მუქთახორა კატისკენ.

არც მტკენია და არც მწყენია, მაგრამ საბაბს ვეძებდი და მო-შორებით მდებარე კუნძზე ჩამოვჯექი გაბუტული.

– გუშინდელივით არხზე არ გაიპარო და მათიკოს ბალზე არ აძვრე. ჩვენი ჭამე,– ხელი დახუნძლული გოგრა ბლისკენ გაიშ-ვირა და დააყოლა:

– ნახე როგორ ასხია – დაბლიდანაც მიწვდები. თუ ჭკვიანად არ იქნები, ხომ იცი, ხვალ მამაშენი მოდის. მოვუყვები შენს ოი-ნებს და წაგიყვანს აქედან.

ზაფხულის მოსვლა მხოლოდ იმიტომ მიხარია ხოლმე, რომ ერთ თვეს დედულეთში, ჩემს მკაცრ, მაგრამ მთელს დუნიაზე ყველაზე კარგ ბებიასთან გავატარებ.

და მაინც ვეუბნები:

– არხზეც წავალ, ლიახვზეც. მერე მათიკოს ბალზე ავალ და

შიოს კიტრებსაც შევუვლი.

მრავლისმნახველი მოხუცები ამბობდნენ, ამ ბავშვზე მგონი ბუნების კანონები არ ჭრისო, უზომოდ ცელქი და ნამდვილი ხათაბალა ვიყავი. სასოწარკვეთილმა მშობლებმა ერთხელ მკითხავთანაც წამიყვანეს. მკითხავმა თქვა – მეშვიდე კლასამდე ამისი სინდისის გაღვიძების იმედი არ ჩანს ჭიქაშიო.

გამიხარდა! იქამდე ორი წელი კიდევ მქონდა.

სოფელში კვიმატ ხალხს რა გამოლევს და ერთი ცნობილი არაკი მეც მომაწერეს.

– შალვა მასწავლებელს ყაჩაღებმა ბიჭი მოსტაცეს და გამოსასყიდი მოსთხოვეს. შალვას უთქვამს, მაგ თემაზე ერთი კვირის მერე ვილაპარაკოთო. ერთი კვირის თავზე გამტაცებლებს შემოუთვლიათ, ოღონდ წაიყვანეთ და ფულს ჩვენ გადაგიხდითო.

პარადოქსი ის იყო, რომ ამ ყველაფერთან ერთად ბევრი წიგნის კითხვას და კარგად სწავლასაც ვასწრებდი. მაგალითად, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ უკვე ზეპირად ვიცოდი. არადა, ერთადერთი მწერალი, რომელიც მამაჩემს არ უყვარდა, სწორედ მარკ ტვენი იყო – მაგან გამიოხრა შვილიო.

მეორე დღეს ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მქონდა ნათქვამი. უფრო მეტიც, ცოტა ზედმეტი დრო დამრჩა და მათიკოს უსახელო ხბოსთვისაც მოვიცალე – მთელ ფერდზე, დიდი ასოებით, „იამზე“ დავაწერე, ზეთოვანი საღებავით.

იამზე მათიკოს შვილიშვილი იყო, ჩემი კბილა. კეთილი ღიმილი და იმ ხბოსავით ლამაზი თვალები ჰქონდა.

საღამოს ჩუმად შევიპარე ოთახში და მაშინვე ლოგინში ვდურთე თავი. ძილ-ბურანში ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ფრთხილად შემოაღო კარი და დამზვერა. ჩურჩულიც გავიგონე:– ვაიმე, მშიერს დაუძინია!

მამა დილაადრიან მოვიდა.

გაფრთხილებული ვყავდი, თუკი ერთ პატარა საყვედურს

მაინც მეტყვიან შენზე, აღარ გაგაჩერებ და სახლში წამოგიყვანო.

როგორც უნდათ დამსაჯონ, ოღონდ ეგ არა!

მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა.

– აბა, რას შვრება ყმაწვილი?

გავისუსე.

– ყმაწვილი კი არა, კაცია უკვე!

– კაცი?! – გაოცდა მამა.

– ჰო, თანაც სიტყვის კაცი. გუშინ რასაც შემპირდა, იმაზე მეტი გააკეთა. – ეღიმება ბებიას.

ახლა კი მართლა დავიღუპე – მეგონა ხბოს ამბავი ჯერ არ ეცოდინებოდა.

მამა ცოტა დაიბნა.

– მაინც, ხომ არ ჯობია წავიყვანო?! – ჰკითხა დაეჭვებულმა.

ბებია ამჯერად ღიმილის გარეშე პასუხობს:

– რას ამბობ, შვილო, უმაგისოდ ზაფხულს რა ფასი აქვს. მარტო მე კი არა, მთელ უბანს ეხმარება, უხალისებს ცხოვრებას.

ასეთი გულაჩუყებული არასდროს მინახავს ჩემი მკაცრი მამა.

მხარზე ხელი მომხვია, მიმიხუტა და თვალცრემლიანმა მითხრა:

– ყოჩაღ, შვილო!

მისი ცრემლების მიზეზს მგონი მივხვდი. მხოლოდ ის ვერ გავიგე, მე რატომ ავტირდი.

ეტყობა მკითხავი შეცდა და ჩემი სინდისის გაღვიძების დრომ ორი წლით აქეთ გადმოიწია.

დედა

ნაზი და სათნო ეთქმოდა დედაჩემს. ქიმიას ასწავლიდა ანა ციმაკურიძე. სინამდვილეში ყველა ანოს ეძახდა – ანო მასწავლებელს.

ათასში ერთხელ მორიდებით წაიტრაბახებდა ხოლმე თავისი აზნაურული წარმოშობით და იმით, რომ იაკობ გოგებაშვილის ძმისშვილი, ლიზა გოგებაშვილი მისი ბებია იყო. ყველაზე მეტად პაპაჩემის ის სურათი მოსწონდა, სადაც მამამისი, ულვაშებაპრეხილი აზნაური ქაიხოსრო ციმაკურიძე მეფე ნიკოლოზ მეორის არმიის ოფიცრის ფორმაში იყო გამოწკეპილი.

დედულეთი ახლოს მქონდა. წყალთხელობისას შეიძლებოდა პირდაპირ ლიახვზე გადასვლა და ერთ-ორ კილომეტრში უკვე ჩემს მკაცრ, მაგრამ მაინც უსაყვარლეს ბებიას, მარგალიტა დადიანიძეს ჩავეხუტებოდი.

დღესაც არ ვიცი, რა ჯადო ჰქონდა ბებიაჩემს – ყველას ანდამატივით იზიდავდა. ზაფხულობით მთელი სანათესაო მის ოჯახში იყრიდა თავს. ხმელი და არისტოკრატული გარეგნობის იყო მარგალიტა ბებია, სოფლის ქალების თავი და თვალი. მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად თუ მომეფერებოდა, მასზე ვაბოდებდი და ზაფხული ამის გამო ჩემი ყველაზე საოცნებო ხანა იყო.

მეორე ბებია, ნუცა ხაჭაპურიძე, მარგალიტას სრული ანტიპოდი, ჩვენს ეზოში, ოღონდ ცალკე პატარა სახლში, გაუთხოვარ მამიდასთან ერთად ცხოვრობდა. ფაშფაშა, კეთილი ქალი იყო. შვილიშვილებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, სულ ჩვენ დაცვაფერებაში იყო, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, ისე ძალიან არ მიყვარდა. დღესაც არ ვიცი, რატომ.

შეიძლება იმიტომ, რომ მარგალიტასავით სამართლიანი არ გახლდათ, ან დედაჩემით რომ არ იყო აღფრთოვანებული –

თურმე რძლად მსუქანი და ღაჟღაჟა ქალი უნდოდა, შეგუ-ლებულიც ჰყოლია, მაგრამ მამაჩემმა დედაჩემი მოიყვანა – გამხდარი და ფერმკრთალი.

დედაჩემი, განსხვავებით დედამისისაგან, ლიდერი და ძლი-ერი პიროვნება არ იყო, მაგრამ მას სხვა ხიბლი ჰქონდა – რაღაც განსაკუთრებული სინაზითა და მოკრძალებულობით მიგი-ზიდავდა. სულ იმის შიში მქონდა, ვინმემ არ აწყენინოს- მეთქი. ერთხელ ძალიან მეტკინა გული. მეხუთე კლასში გავიგე, რომ მეათეკლასელებს მასზე „ლექსი“ დაუწერიათ – გაკვეთილებზე ერთ ფრაზას ხშირად რომ ხმარობდა, იმასთან დაკავშირებით:

ანო ციმაკურიძეზე აბა ცუდი ვინ სთქვას,
ყოველ გაკვეთილზე – „იბადება კითხვა“!

საშინლად განვიცადე – როგორ გაუბედეს-მეთქი!

ერთხელ იყო კიდევ, მსგავსი უსიამოვნო განცდა რომ დამე-უფლა. ოღონდ ეს დიდი ხნის შემდეგ მოხდა. დედა უკვე აღარ მუშაობდა – პენსიაზე იყო გასული. ერთმა ჩემმა მეზობელმა და ბავშვობის მეგობარმა, რომელსაც კეთილი გული და ცუდი სიმ-თვრალე ჰქონდა, მორიგი წარმოდგენა მოაწყო და უბანი შეა-წუხა. ვინც კი რამე უთხრა, არავის არაფერი შეარჩინა, თან არცთუ დაწმენდილი სიტყვებით. დედასაც უცდია შეგონება, ჩვეულებრივ, ძალიან ფრთხილად. ნასვამი მეზობლის პასუხზე მეორე დღეს მთელი უბანი იცინოდა.

– ანო მასწავლებელო, მეყოფა რაც სკოლაში მასწავლე. ახლა პენსიაში ხარ და დროა დაისვენო!

ისე მეწყინა, კინაღამ მივუვარდი იმ ჩემს ბავშვობის მეგო-ბარს. მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ მეორე დღეს ძალიან დარ-ცხვენილი გამოიყურებოდა. სიმართლეს გეტყვით და მთელი ცხოვრება სულ შიში მქონდა – არ ვიცოდი რას ჩავიდენდი, ვინმეს რომ დედა შეეგინებინა. ამაზე ფიქრიც კი მზარავდა.

მოფერებაშიც და დატუქსვაშიც მოკრძალებული იყო, უფრო ზუსტად, მორიდებული. ძალიან ფრთხილად იცოდა ხოლმე

თქმა:–თამაზ, მამამ თქვა, ჯერ დაისვენოს, ისადილოს, გაკვეთილები ისწავლოს და მერე ბაღში წამოვიდეს, ცოტა მომეხმაროსო.

მშვენივრად ვხვდებოდი, რომ დასვენება, სადილი და სიტყვა „ცოტა“ მისი ჩამატებული იქნებოდა, თორემ მამა ალბათ ასე იტყოდა:– იმ ვაჟბატონს გადაეცი, დროზე ისწავლოს გაკვეთილები და დიდი ბარი წამოიღოს – გუშინდელივით არ გადამიჩიჩქნოს კვლები!

ბაღში ჩემი წასვლის შემდეგ ცოტა ხანში დედაც დაგვადგებოდა თავს. არა მარტო იმიტომ, რომ ზედმეტად მშრომელი მეუღლისთვის ხელი შეეშველებინა, არამედ ყოველ ნახევარ საათში რომ ეთქვა:

– კარგი კაცო, ცოტა დაასვენე ბიჭი!

ყველაზე ცუდ დღეში მაშინ იყო, როცა მამა ძმებს გვტუქსავდა. ცელქები ვიყავით, განსაკუთრებით მე. ამის გამო, მკაცრ მამას, შიგადაშიგ, აღმზრდელობითი ხასიათის ლექციების ჩატარება უწევდა ხოლმე. ამ დროს დედაზე უფრო ვდარდობდი, ვიდრე საკუთარ თავზე. ერთი მხრივ, ზუსტად იცავდა იმ წესს, რომ როცა ერთი მშობელი ტუქსავს, მეორე არ უნდა გამოესარჩლოს შვილს. მითუმეტეს, რომ მამა მართალია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. მეორე მხრივ კი გული ეთუთქებოდა და ცდილობდა ეს დაემალა. საყვედურების მთავარი თემა ის იყო, რომ ჯერ მესწავლა გაკვეთილები და მერე მეთამაშა იქვე, ახლო მდებარე სკოლის ეზოში ფეხბურთი. თავს სულ იმით ვიმართლებდი, ნასწავლი მაქვს-მეთქი, თუმცა ვცრუობდი. მართალია, მერე სწრაფად ვსწავლობდი ხოლმე.

ერთხელაც, პროჟექტორების შუქზე შუაღამემდე ვითამაშე. მეორე დღეს ხუთი გაკვეთილი მაქვს სასწავლი – არც ფიზკულტურა, არც სიმღერა და ეგეთები. როგორც ჩანს, მამამ სპეციალურად მიმიშვა და არ ჩამომაკითხა სკოლის ეზოში. რაღაც აქვს ჩაფიქრებული.

მატჩი კი მოვიგეთ, მაგრამ გონს რომ მოვედი, დავიზაფრე – სახლში მისვლა არ გინდა?!

შევიპარე ჩემს ოთახში. მამა მაშინვე შემომყვა და ერთადერთი ფრაზა მესროლა :

– წიგნს ხელი არ ახლო!

დავიღუპე! ვიცი, რაც მოხდება. ხვალ ხუთივე მასწავლებელს გააძახებინებს ჩემს თავს და ხუთი ორიანი მაქვს გარანტირებული. ხუთი ორიანი კი არა, სხვა დროსაც მითქვამს, წესად ჰქონდა გამოცხადებული:

– ფრიადის გარდა სხვა ნიშანს მიიღებთ – სახლში არ მოხვიდეთ!

საწრაფოდ მოვაგროვე წიგნები და ლეიბის ქვეშ თხლად გავანაწილე.

ეტყობა გულმა უგრძნო. მეორე ოთახიდან ხმა მესმის – დედას ეუბნება.

– მიდი შეამოწმე, ბალიშის ქვეშ არ ჰქონდეს წიგნები!

დედამ შეამოწმა, ბალიშის ქვეშ არაფერია. მერე აწეწილი ლოგინი ცოტა შეასწორა და მიხვდა ჩემს ეშმაკობას!

არ შეიმჩნია.

– რა ქენი, შეამოწმე?

ჩვენს ოჯახში ტყუილის თქმა აკრძალული იყო. დედას ხომ უბრალოდ არ შეეძლო ეს.

გულს ბაგაბუგი გაუდის. პატარა, მძიმე პაუზის შემდეგ მესმის:

– შევამოწმე, ბალიშის ქვეშ არაფერია!

წარმომიდგენია, რას განიცდიდა – მან ხომ ამ წუთში ჩემი გულისთვის ფაქტობრივად ქმარს უღალატა. როგორც ჩანს, ამის გამო იყო რომ, მომავალში ასეთ მდგომარეობაში მე იგი აღარასოდეს ჩამიყენებია.

იმ ღამეს გაკვეთილები ისე ვისწავლე, როგორც არასდროს.

როგორც ველოდი, მამამ მეორე დილით ყველა მასწავ-

ლებელი გააფრთხილა ჩემთვის გამოეკითხათ გაკვეთილი.

ხუთი ფრიადი მივიღე, საუკეთესო ხარისხის.

მასწავლებლები აშკარად დაბნეულები იყვნენ, ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა.

ბოლო გაკვეთილი გეოგრაფიისა გვქონდა. დამთავრებისას კლასში მამა შემოვიდა და ჟურნალი აიღო ხელში.

თანაკლასელი, რომელიც სიაში ჩემ გვერდით ეწერა, აგრეთვე კარგად სწავლობდა. აყოლებს კაცი გრაფას თითს – უკან ბრუნდება, აყოლებს – უკან ბრუნდება. ფიქრობს, რომ გრაფები ეშლება – კვირის ბოლო დღე იყო და ნიშნები შორს, გრაფის ბოლოში ეწერა. მერე თანაკლასელს ეკითხება:

– ზურაბ, ეს ნიშნები შენია?

– არა, მასწავლებელო, თამაზისაა!

გეოგრაფიის მასწავლებელმაც დაუდასტურა.

შეცბა კაცი, მაგრამ ერთი წამით დაიბნა მხოლოდ და იქვე მდგომ გეოგრაფიის მასწავლებელს ჩაულაპარაკა:

– ეს ბავშვი მგონი მართლა სიზმრებში სწავლობს გაკვეთილებს!

მერე იხტიბარი არ გაიტეხა და ჩემი სიამაყე ცოტა გააგრილა, დაამატა:

– ისე, ქალბატონო ქეთევან, დებულებით არ შეიძლება ერთ დღეში მოსწავლის შეფასება სამზე მეტ საგანში – თითქოს გეოგრაფიის მასწავლებელი ყოფილიყო დამნაშავე.

ამის შემდეგ მისი საყვარელი კითხვა – გაკვეთილები ისწავლე? – მამამ რეპერტუარიდან ამოიღო, თუმცა, მალე აღარც ჰქონდა ამ კითხვის დასმის შესაძლებლობა – თბილისში, მათემატიკურ სკოლაში გადავედი სასწავლებლად.

ეს პერიოდი ჩემთვისაც და დედისთვისაც ალბათ ყველაზე მძიმე იყო. პატარა ვიყავი. ოჯახის მონატრების მაშინდელი განცდა დღესაც კი სევდას მგვრის. ამან ძალიან შემცვალა. მგონი ჭაბუკობა გამოვტოვე და ბავშვობიდან პირდაპირ ჭარმაგობაში

გადავხტი. დედაჩემი ვერ ხვდებოდა ჩემი ასეთი მკვეთრი დადინჯების მიზეზს და სიცხეს ხშირად მისინჯავდა,

უთქმელი ქალი იყო დედა და გუმანით ვხვდები რა ხდებოდა მის გულში. მამა თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა ჩემს სანახავად და ამბების გასაგებად. დედას მგზავრობა უჭირდა და მამას ყოველთვის ვერ მოჰყავდა. მამისგან განსხვავებით, იგი არასდროს მეკითხებოდა სწავლაში ჩემი წარმატების ამბებს. დავსხდებოდით კომაროვის სკოლის ეზოში ტალავერის ქვეშ, მორცხვად დაიწყობდა მუხლებზე ხელებს და მიყურებდა: მგონი არც მისმენდა ხოლმე, მხოლოდ მიყურებდა.

მოგვიანებით, უკვე მე თვითონ ვახერხებდი დამოუკიდებლად სოფელში ჩასვლას. მთელი კვირა იმ მომენტზე ვფიქრობდი, სახლის ხის ჭრაჭუნა კიბეებს ფეხაკრეფით რომ ავივლიდი და მის ჩურჩულს გავიგონებდი.

– მგონი თამაზი მოვიდა!

დიდობაში აღარ მკოცნიდა. მე რომ ნაზად მივიხუტებდი, ეს უყვარდა ყველაზე უფრო.

მის ტირილს, ერთის მეტს, ვერ ვიხსენებ. მხოლოდ მაშინ წამოსცვივდა დამალული ცრემლები, როცა პირველ შვილზე ვუთხარი, შენი სახელი უნდა დავარქვათ – მოგვწონს-მეთქი. იმ დროს, ახლანდელისაგან განსხვავებით, მისი სახელი იშვიათობა იყო. მის გარდა, მგონი მხოლოდ ანა კარენინას ვიცნობდი ამ სახელით. რამდენიმე წლის წინ კი სტუდენტთა მხოლოდ ერთ ჯგუფში ექვსი ანა მყავდა. ასეა, ყველაფერი იცვლება.

ერთხელ განსაკუთრებით შემეცოდა.

სამკურნალოდ გვყავდა ჩამოყვანილი თბილისში. ვისარგებლე მომენტით და ორი თვე აღარ გავუშვი. ამ დროს უმცროსი შვილი ჯერ თვეების იყო.

სასახურიდან დავბრუნდი, ქალი ცახცახებს. ჩემი მეუღლე თავს დასტრიალებს.

– რა მოხდა?

– არაფერი, კარი ჩაგვეკეტა და ცოტა შეშინდა – მპასუხობს მეუღლე ღიმილით.

სინამდვილე კი ასეთია: მეუღლე საქმეზე გასულა და ბავშვები მისთვის დაუტოვებია. უმცროსი, ელენე, სახლშია და სძინავს. უფროსი აივანზე თამაშობს.

ჩემთან ბინაში რომ მოხვდეთ, ჯერ ეს დიდი აივანი უნდა გაიაროთ. ბინას ლითონის კარი აქვს. აივანზე მოთამაშე ანასთან გამოსულს კარი ჩაჰკეტვია. საშველად ვერც ვერავის უხმობს – დაიბნა, თან უცხოდ არის. ძალიან მორიდებული იყო-მეთქი, მგონი ზემოთ ვთქვი. დგას აივანზე და საცოდავად ტირის. ბედად, ქუჩიდან ვიღაც ღვთისნიერ ახალგაზრდას დაუნახავს. სპეციალური ამწე გამოუძახია და მეოთხე სართულზე ფანჯრიდან შევიდნენ ბინაში. ბავშვს უშფოთველად ეძინა. ამასობაში მეუღლეც მოსულა.

ერთი მხრივ ძალიან უნდოდა ჩვენთან ყოფნა. ჩემი მეუღლე და ის კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს. მეორე მხრივ კი ადარდებდა სოფელში დატოვებული მამა:

– რას ჭამს ნეტავ ის კაცი?

– წამიყვანეთ, ის კაცი მარტოა.

მე ვეხუმრებოდი ხოლმე:

– ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს შენს შეყვარებულს! – მართლა ახალი შეყვარებულებივით სულ ერთად დადიოდნენ, სკოლა იქნებოდა თუ ბაღი.

სანამ ცოცხალი იყო, არცერთი ზაფხული ჩემს ცოლშვილს სხვაგან არ გაუტარებია.

სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლოს იღბალმა დაჩაგრა. ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა – ინსულტი დაემართა. თითქმის ერთი წელი იწვალა. მოძრაობის და კომუნიკაციის უნარი საერთოდ წაერთვა. მხოლოდ თვალები და უმწეო მზერა... იმაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, მცნობდა თუ არა, მგონი კი, რადგან ოთახის რომელ კუთხეშიც არ უნდა ვყოფილიყავი,

თვალს არ მაშორებდა.

ეს მზერა ახლაც სულ თან დამდევს.

თავს ცოტა იმით ვინუგეშებდი, რომ რაღაცით მისი მდგომარეობა ჩემსას ჯობდა – ის ხომ ჯანმრთელს და კარგად მყოფს მხედავდა.

უსახლკარო

თითქოს ჯიბრზე, იმ დღეს ამინდიც ცუდი იდგა. არა, ცუდი კი არა – უჟმური, კიდევ უფრო ზუსტად კი – საძაგელი. მთებზე უკვე ჩამოეთოვა და ყინვა შორიდან იმუქრებოდა. ჯერ ნოემბრის ნახევარიც არ იყო გასული, მაგრამ ძალიან ცივად სცრიდა უკვე. ისე მრუდედ წვიმდა, ქოლგის ქვეშაც დასველდებოდა კაცი – ქარი წვიმას აქეთ-იქით ფარდასავით აქანავებდა.

სწორედ იმ დღეს გამომაგდეს სახლიდან ჯერ კიდევ უსახელო ლეკვი.

მშობლები ადრე დავკარგე. მხოლოდ დედა მახსოვს, ისიც ბუნდოვნად. მამიდა მზრდიდა. მამიდა ძალიან კარგი იყო, მაგრამ ქმარი ჰყავდა ცუდი – ნამდვილი ბოროტი ქოფაკი. იმ დღეს ჭაჭანაჭამი ინდაურივით გაბრუებული მოვიდა. პირში ლუკმა რომ დამინახა, გამხეცებული დამაცხრა თავს:

– საჭმელი ჩემებისთვისაც არ მყოფნის და ვიღაცის უსაქმური ნაშიერი მე რატომ უნდა ვარჩინო?!

მამიდა ჩემს დაცვას შეეცადა.

– ჯერ პატარაა, რა ქნას?!

– არ მაინტერესებს, თავის თავს თვითონ მიხედოს. ბევრი მაგის ტოლია ქუჩაში და ოჯახსაც არჩენს! – ღრიალებდა დუჟმორეული.

– ამ ავდარში სად უნდა წავიდეს. ასეთ ამინდში ძაღლსაც არ

აგდებენ გარეთ.

– ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, ის არ გაგიგია? – გაიღრიჭა თავისი სიბრძნით აღფრთოვანებულმა და დაამატა:

– ქალო, თუ ბევრს იტლიკინებ, შენც მიგაყოლებ მაგ შენს ძაღლისგაგდებულს და ეგ იქნება.

მამიდა კუთხეში მოიკუნტა და ცრემლები დამალა – ცრემლის დანახვაზე შეიძლება უფრო გაგიჟებულიყო.

მე შემეშინდა, მართლა ისიც არ გამოეგდო და წამოვედი. ჩემს თავს არ ვჩიოდი, მამიდა მეცოდებოდა იმ ნადირის ხელში.

იქვე, ეზოში პატარა ხუხულა იდგა, შეშა ინახებოდა. ცოტა თივაც ეყარა შიგ. შევძვერი და თივაზე დავწექი, მაგრამ თივა დასველებულიყო და მალე ერთიანად კანკალმა ამიტანა. გადავწყვიტე, ზემოთ ავცოცებულიყავი, შეშებზე.

პირველივე მიკარებაზე შეშის ზვინი ჩამოინგრა და კინაღამ ქვეშ მომიყოლა. ხმაურზე ის მხეცი შემოვარდა, ყელში მწვდა.

– შენ კიდევ აქა ხარ, შე უჯიშო, შენა! ვერ უნდა მოგიშორო?!

ძლივს დავუსხლტი ხელიდან, დამახრჩობდა ნამდვილად.

ცალკე შიმშილი მჭამდა შიგნიდან. მამიდამ რომ პურის ნატეხი მომცა, იმის შეჭმაც ვერ მოვასწარი – ქოფაკი სწორედ მაშინ დაბრუნდა სახლში.

გამოვეცალე იქაურობას, არც კი ვიცი, სად მივდივარ, თავიდან ბოლომდე სველი ვარ და მაძაგძაგებს. მერე მოვიფიქრე, სირბილზე გადავსულიყავი – უფრო არ შემცივდებოდა.

ერთ ძველებურ ეზოს მივადექი. იტალიურ ეზოს რომ ეძახიან, ისეთს. მეორე სართულზე გარედან მიდგმული კიბე ადიოდა. კიბის ქვეშ შევძვერი. ბედმა ამჯერად გამიღიმა – სიმშრალე იყო და მომყუდროვებულიც. პურისა და ძეხვის სუნი ვიგრძენი. ვიფიქრე, შიმშილისგან მოჩვენებები თუ დამეწყომეთქი. მაგრამ არა, ნამდვილი იყო.

ბებიაჩემის საყვარელი ანდაზა გამახსენდა. ზღაპრებს რომ მიყვებოდა, მაშინ მეუბნებოდა ხოლმე:

– ობლის კვერი ცხვაო, ცხვაო, გვიან გამოცხვაო.

პურს პირი წავატანე თუ არა, კიბის სიღრმიდან ღრენის ხმა მომესმა. თვალი სიბნელეს უკვე შეჩვეოდა და ვეებერთელა ნაგაზის დაღრჭენილი ქათქათა კბილები და წითელი ღრძილები დავინახე. დაზაფრული გამოვვარდი უკან.

– უკვე აღარაფრის მჯეროდა. დავრწმუნდი, რომ ობლის კვერიც ზღაპარი ყოფილა.

გადავწყვიტე, სადმე სადარბაზოში გამეთია ღამე, მაგრამ აქაც პირველივე მცდელობა მარცხით დამთავრდა, ვიღაც ხელჯოხიანმა მიღრიალა:

– აბა, ახლა შენღა გვაკლდი! – მომიქნია ჯოხი და დააყოლა – ყველა მაწანწალა აქ უნდა შემოეხეტოს!

გადავწყვიტე, ხალხს მოვრიდებოდი. ვიცოდი, აქ სადღაც პარკი უნდა ყოფილიყო – ერთხელ დედამ გამომატარა იმ პარკზე. მივაგენი და გამიმართლა კიდეც. პარკში უზურგო გრძელი სკამები იდგა და ერთ-ერთზე გარდიგარდმო ბევრი ფიცარი ეყარა, ამიტომ სკამის ქვეშ სიმშრალე შემორჩენილიყო. დაღლილს ცოტა ხნით ჩამეძინა. მალევე გამეღვიძა. მაკანკალებდა. შეიძლება სიცხეც მაქვს. ჩემს თავს ველაპარაკები.

– ვაგზალზე წავიდეთ. იქ ათასი ჩვენნაირი დადის თურმე, თავს უფრო გავიტანთ.

ვაგზალს ადვილად მივაგენი. მართლც ბევრი ჩემნაირი დამხვდა. მაგრამ ჩემი დანახვა არ გახარებიათ. ყველაფერი განაწილებული იყო და უცხოს გამოჩენას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

თუმცა, ერთი ღვთისნიერი მაინც გამოჩნდა. ბორჯომის ვაგზლის უკან, მიტოვებულ საწყობში ცხოვრობდა, მუყაოს დიდ ყუთში. წამიყვანა, ერთი ყუთი ჩემთვისაც მოათრია და თავისი ყუთის გვერდით დადგა.

ღიმილით მეუბნება:

– ცხელ ჩაიზე ცოტა უკაცრავად ვარ, მაგრამ კაი რბილი ღვე-

ზელი შემიძლია შემოგთავაზო.

ღვეზელის მარტო ხსენებაზეც კი გამაჟრჟოლა. შიმშილმა ახალი ძალით იფეთქა ჩემში, მაგრამ მომერიდა და მაშინვე არ ვეცი.

– ღვეზელი? საიდან?

– დილას ავწაპნე ორი ცალი.

– ქურდი ყოფილა – გავიფიქრე და შემეშინდა,– მაგრამ, შიმშილმა შიშს სძლია და ღვეზელს ხარბად დავუწყე ჭამა.

ძალიან გამხდარი იყო, ნიკაპი მუხლებზე მოხერხებულად ჩამოდო და ნაღვლიანი თვალებით მიყურებდა.

– მეორეც ჭამე, მე არ მშია.

– არა რას ამბობთ, მეტი არ მინდა ეგ თქვენ მიირთვით.

– ჭამე შვილო, ჭამე.

მერე ადგა, თავზე თათი ნაზად გადამისვა და მეუბნება:

– ჩემს შვილს მაგონებ.

– სად არის თქვენი შვილი? – ვკითხე მექანიკურად.

– მოკვდა. შიმშილისგან მომიკვდა. მაშინ ძალიან ჭირდა, მეც ჩავვარდი და ვერ ვუპატრონე.– ცრემლი მოეძალა.

დედა გამახსენდა და გავიფიქრე:

– ეტყობა ყველა ცრემლიანი დედა ერთმანეთს ჰგავს.

უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.

დილით რომ გამეღვიძა, მას ჯერ კიდევ ეძინა. შუბლზე ვაკოცე დედობილს და გამოვიპარე.

იმ დღეს პირველად ვიქურდე. ბაზარში ძეხვეულის დახლიდან თითქმის ჩემსიგრძე ძეხვი ისე ავწაპნე, ვერავინ გაიგო.

ჩემს პირველ ნადავლს ცოტა მოვატეხე, დანარჩენი დედობილს წავუღე ბორჯომის ვაგზალზე. იქ არ დამხვდა. მის მუყაოს ყუთში დავტოვე და წამოვედი.

ამ საქმეში მალე დავოსტატდი. ცოტა მიმართლებდა კიდეც. ტოლებში ავტორიტეტი მოვიპოვე და მეგობრებიც მომიმრავლდნენ, თუმცა გული მიგრძნობდა, რომ კოკა წყალზე გატყდებოდა.

ასეც მოხდა.

ერთ-ერთი ქურდობისას გამომიჭირეს და ცემით კინაღამ სულ ამომხადეს.

სიკვდილს ძლივს გადავურჩი. მეგობრებიც სადღაც გაქრნენ. სწორედ მაშინ მიპოვა ჩემმა მფარველმა ანგელოზმა.

ხის ძირას ვეგდე ცოცხალ-მკვდარი. ის სკოლიდან მოდიოდა. ჩემი წკმუტუნი რომ გაიგონა, გზიდან გადმოუხვია, ჩანთა მიწაზე დადო და ხელში ამიყვანა.

– ვაიმე, შე საბრალო, ვინ ჩაგაგდო ამ დღეში?!

მაშინ პირველად მივხვდი რას ნიშნავდა ადამიანური სითბო. ვერ შევიკავე თავი და ენა ლოყაზე ავუსვი.

ხატია ერქვა, მაგრამ მე ფიფქია დავარქვი.

მამასთან ერთად ცხოვრობდა, ღარიბულად. დედა არც მას ჰყავდა. მეშინოდა, ჩემს გამო მამა არ გაუბრაზდეს-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად – ისიც კეთილი ადამიანი აღმოჩნდა.

– შვილო სად ნახე? რა საყვარელი ლეკვია!

– ჰო, ძალიან საყვარელია, მაგრამ ნახე, ვიღაცას როგორ უცემია. ასე პატარა როგორ გაიმეტეს?

სულ მალე დავდექი ფეხზე. სიყვარულმა მალამოზე უკეთ მიმკურნალა.

მალე სკოლაში ერთად დავიწყეთ სიარული. მივაცილებდი და გაკვეთილების შემდეგ შესასვლელთან ვხვდებოდი. ცოტა ხნით მისი ჩანთის ტარებასაც ვახერხებდი. ბევრი ნივთის სახელი ვისწავლე და რასაც მეტყოდა, მოვურბენინებდი ხოლმე. ცდილობდა, ყველაფერი ესწავლებინა. რამდენიმე თვეში ახლო-მახლო ჩემზე განათლებული ძაღლი არ დაიარებოდა.

რატომღაც ფერნანდო დამარქვა.

გოგონამაც ისწავლა ჩემი ენა. ერთხელაც, მომეფერა და მითხრა:

– ფერნანდო, რაღაც გაწუხებს და არ მეუბნები!

რა ვქნა, როგორ ვუთხრა რომ მამიდა მენატრება. რომ ვუთ-

ხრა, ვიცი წამომყვება მის სანახავად, მაგრამ მეშინია იმ მხეცმა მამიდას ქმარმა გოგოს რამე არ დაუშავოს.

არ მოისვენა და მაინც გამომტეხა. იმავე დღეს წავედით, მაგრამ ნეტავ არ წავსულიყავით. ჩვენი ქოხმახი აღარსად იყო. იმ ადგილას ახალი კორპუსის მშენებლობა დაეწყოთ.

– ვიპოვით მამიდაშენს, ფერნანდო, არ იდარდო!

მე გული ამიჩუყდა და ვიტირე. ხელში აყვანა მომინდა.

დედობილზე კი არაფერი ვუთხარი. არ მინდოდა ჩემი წარსულის ეს მხარე გაეგო, არადა ისიც მენატრებოდა.

ბორჯომის ვაგზალზე ჩუმად გავიპარე.

მიტოვებული საწყობი და ორი მუყაოს ყუთი ისევ ისე დამხვდა, მაგრამ ახლა იქ სხვა ძაღლები ცხოვრობდნენ.

ჩემი დედობილის შესახებ ვიკითხე. ერთმა არაფერი იცოდა – ახალი მოსული ვარო. მეორეს ჰკითხა.

– რომელი, მაგდალინა? მოკვდა საწყალი. დარდისგან მოკვდა. ლეკვი უპოვია, ჩემს შვილს ჰგავდაო, ძლივს ვიპოვე და დავკარგეო ისევ, სიკვდილის წინ უთქვამს.

– ძეხვი მოეტანა ვიღაცას. ნამდვილად ის იქნებოდა, ვაითუ ჩემ გამო იქურდაო!

სასოწარკვეთილი წამოვედი. დედამიწის ზურგზე ჩემზე უბედური არსება არ მეგულებოდა. მეტეხის ხიდთან დიდხანს ვუყურე მტკვრის მღვრიე ტალღებს. მინდოდა ჩემი ძაღლური სიცოცხლე მათთვის მიმებარებინა, მაგრამ ვერ გავბედე. კიდევ კარგი!

სახლს რომ მივუახლოვდი, ხალხმრავლობა და ჩოჩქოლი შევნიშნე. მის სკოლის მეგობრებსაც მოვკარი თვალი. თვითონ კიბის საფეხურზე იჯდა, ცრემლიანი.

აწყნარებდნენ.

– ნუ გეშინია, შენ ისე უყვარხარ, არ მიგატოვებს, დაბრუნდება.

გულმა ბაგაბუგი ატეხა.

– ნუთუ ჩემ გამო ტირის?

უცბად, ვიღაცამ დაიძახა:

– აი, მოვიდა შენი ფერნანდო!

სანამ ის წამოდგებოდა, გავქანდი და კალთაში ჩავუხტი. ოი, როგორ ჩამიხუტა! მე კვლავ ვერ მოვითმინე და ლოყაზე პირ-დაპირ ხალხში ავუსვი ენა.

მივხვდი, რომ უბედური არ ხარ, ერთ სულიერს მაინც თუ სჭირდები.

...ბიჭს გაეღვიძა – კიბის ქვეშ ჩასძინებოდა თურმე, ოფლში ცურავდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, არც გოგონა ჩანდა არსად. ბიჭმა თვალი ისევ დახუჭა და ინატრა:

– ეჰ, ნეტავი მართლაც ლეკვი ვყოფილიყავი.

სალომე

გასული საუკუნის 90 – იან წლებში ფიზიკურ შიმშილს სუ-ლიერიც დაერთო – უნივერსიტეტში მუშაობამ თითქმის აზრი დაკარგა. წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ კარგი სტუდენტების ჯგუფი მოვიდა და დამემუქრა – ღალატად ჩაგითვლითო.

რა მექნა, დავრჩი.

ამასთან, ვისარგებლე შემოთავაზებით და ერთ პატარა კერძო სკოლაში დავთანხმდი პარალელურად მუშაობას.

უნდა გითხრათ, რომ ძალიან საინტერესო ექვსი წელი გავა-ტარე იქ. სულ სხვა სამყარო აღმოვაჩინე. მაშინდელი მოგონე-ბები ჩემს გონებაში დღემდე რაღაც ცალკე ნაკრძალივითაა. ლექსების წერაც იმ ბავშვებმა დამაწყებინეს. რა თქმა უნდა, იყო მარცხიც, მაგრამ მგონი იყო გამარჯვებებიც. ერთ-ერთ მათგანზე მინდა გიამბოთ.

***

სალომე მაშინ მეშვიდე კლასში იყო. მაღალი და გამხდარი, ყველას თავზე დაგვყურებდა. იშვიათად თუ იტყოდა რამეს, ისიც ძალიან ცოტას. მისი საუბრის წყნარი ტონი და მშვიდი სახე საოცრად დადებითად მოქმედებდა ჩემზე. ყოველთვის სერიოზული და ოდნავ სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. ამიტომაც მის იშვიათ ღიმილს სულ სხვა ფასი ედო. ბავშვობიდან უკვე გამოსულიყო. რაღაცნაირად გავფაციცდებოდი ხოლმე, როცა შევატყობდი, რომ რაღაცის თქმას აპირებდა. წინასწარ ფიქრი უდგებოდა თვალებში. თვალები ღია ჰქონდა, ცაცხვის თაფლისფერი.

სერიოზული შიშით ვიყავი შეპყრობილი.

ვფიქრობდი, რომ სამწუხაროდ, განშორება მოგვიწევდა – მათემატიკასთან ძალიან მწყრალად იყო. კი, მე მზად ვიყავი გაკვეთილების შემდეგაც დავრჩენილიყავი და დავხმარებოდი, მაგრამ ჩავარდნა ძალიან დიდია და არც განსაკუთრებული უნარისა ემჩნევა რამე.

მისი კლასი საკმაოდ ძლიერი იყო. განსაკუთრებით სამი გოგონა გამოირჩეოდა, ნუცას თამადობით. მათზე მთელი თავით მაღალი სალომე კი იჯდა და ისეთი საცოდავი თვალებით შესცქეროდა მათ, გული დაგეთუთქებოდა.

საკუთარ თავს ვლანძღავდი, რომ გავები დირექტორის მახეში და დაბალ კლასში შესვლას დავთანხმდი.

სერიოზულად ვნერვიულობდი.

დედამისიც იმავე სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. ერთი ხანია ვატყობ, რაღაცის თქმა უნდა ჩემთვის.

როგორც იქნა გადაწყვიტა.

– ბატონო თამაზ, ძალიან გთხოვთ არ ინერვიულოთ. ჩემი შვილი იდიოტია და მაინც არაფერი გამოგივათ. მალე სხვა სკოლაში გადავიყვან.

გავუბრაზდი.

– ქალბატონო ნინო, მეც ძალიან გთხოვთ, ეს სიტყვა ჩემთან აღარ წარმოთქვათ – არ მიყვარს. მეორეც, თუ ამას შვილთანაც იტყვით ხოლმე, რომც არ იყოს ასეთი, შეიძლება მართლა გახდეს, მოვიცადოთ ცოტა!

– რის იმედი გაქვთ?

– დედის გონიერების, ბავშვის სერიოზულობისა და ფიქრიანი თვალების,– ვეხუმრე, სანახევროდ!

როგორც ჩანს, ეს საუბარი ჩვენ შორის არ დარჩენილა.

მომდევნო გაკვეთილზე ვხედავ – გოგოს ახალი რვეული უყიდია და საგანგებოდ ლამაზად დაუწერია ყდაზე საგნის სახელი, რვეულის ნომერი, გვარი და სახელი. რაღაც ბუნდოვანი იმედი გამიჩნდა. უფრო ზუსტად, წყლის ნაპირას ხავსი დავინახე.

გაკვეთილების შემდეგ ეზოში ცოტა ხნით შევყოვნდი.

დედა-შვილი ერთად გამოვიდა.

– ბატონო თამაზ, გაკვეთილები დამთავრდა, არ მიდიხართ?

– თქვენ გელოდებით.

– მე თუ სალომეს?

– უფრო თქვენ, მაგრამ თუ სალომეც დარჩება, გამიხარდება.

სალომე დარჩა.

– აბა, გისმენთ, ბატონო თამაზ, რა რჩევა-დარიგებებს მოგვცემთ? – მეკითხება კეთილი ღიმილით.

ხუმრობაში ავყევი.

– ქალბატონო ნინო, ჩემთვის რა მაქვს, რომ თქვენ მოგცეთ?! უბრალოდ, ერთი ეპიზოდის მოყოლა მინდოდა ჩემი ბიოგრაფიიდან.

კარგი ამინდი იყო. იქვე, სკოლის ეზოში, გრძელ სკამზე ჩამოვსხედით.

– ზუსტად სალომეს ასაკში სკოლა შევიცვალე. სოფლის სკოლიდან თბილისში, სპეციალიზებულ მათემატიკურ სკოლაში გადამიყვანეს. მოვხვდი კლასში, სადაც მოსწავლეთა უმრავ-

ლესობა თბილისის უძლიერესი სკოლებიდან მოსული საუკეთესო მოსწავლეები იყვნენ. განაკუთრებით სამი გამოირჩეოდა. კითხვის დასმა და ხელის აწევა ერთი იყო. შოკში ჩავვარდი. ამათ გვერდით რა უნდა მეკეთებინა? მათი დამთრგუნველი გავლენით დავმუნჯდი, შიშით ხელს აღარ ვწევდი. არადა, ძველ სკოლაში სანიმუშო მოსწავლედ ვითვლებოდი. პანიკამ შემიპყრო. უკან ცოცხალი თავით ვერ დავბრუნდებოდი, ძალიან თავმოყვარე ვიყავი. არ ვიცოდი რა მექნა.

ერთხელ, ფიზიკის მასწავლებელმა ჯამის აღმნიშვნელი ახალი სიმბოლო დაწერა დაფაზე. ერთ-ერთმა მაშინვე წამოიძახა – „სიგმა“!

– აი, კლასში პროფესორიც გვყოლია! – თქვა მასწავლებელმა, თურმე ხუმრობით, მაგრამ მაშინ ამას ვერ მივხვდებოდი.

მორჩა, გადაწყდა! აქ მე არაფერი მესაქმება. უნდა გავიქცე აქედან, მაგრამ სად?

ტომ სოიერი გამახსენდა. მეტი ჭკუის არც მე ვიყავი. ვიფიქრე, როგორმე ჩავაღწევ ბათუმამდე, შევიპარები გემის ტრიუმში და გადავიხვეწები სადმე უცხოეთში, ჩემებს წერილს იქიდან გამოვუგზავნი-მეთქი.

ბედად, ორ კვირაში საკონტროლო ჩატარდა. როგორც იქნა, საკუთარ თავთან მარტო დავრჩი.

სულ ორი ფრიადი დაიწერა. ერთი ჩემი იყო.

– მერე? მერე რა მოხდა? – სალომეს თვალები უელავდა.

– არაფერი უჩვეულო, საკუთარი თავისა რომ ვირწმუნე, ორმაგი ძალით დავიწყე სწავლა, ის წელი ფრიადებზე დავამთავრე და ოლიმპიადებშიც გავიმარჯვე.

რაც მთავარია, იმას მივხვდი, რომ ზოგჯერ ოდნავი ჩამორჩენაც კი ადამიანს უსაშველოდ დიდად ეჩვენება. არადა, სინამდვილეში წინ მიმავალი სულ რაღაც ერთი ხელის გაწვდენაზეა. ოღონდ ეგ არის, რაც არ უნდა ახლოს იყოს იგი, ვერასოდეს დაეწევი, თუ ნაბიჯს არ აუჩქარებ.

***

მომდევნო დღეებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ველოდები ახალ მასალაზე გადასვლას, რომელიც წარსულზე დიდად არ იყო დამოკიდებული.

მოვიდა ამის დრო. ფრთხილად ვხსნი ახალ მასალას და ძირითადად სალომეს ვუყურებ.

საერთოდ, გამიგო თუ არა მსმენელმა ახსნილი, ყველაზე კარგად მისი მზერით ვგრძნობ.

ვხედავ, თვალებში სინათლე ჩაუდგა, თითქოს მეძახის.

ახალ მასალაზე კლასს დამოუკიდებელი სამუშაო მივეცი. მივყვები მერხებს და ვამოწმებ ამოხსნებს. სალომე ყველაზე მაღალი იყო-მეთქი და ბოლო მერხზე იჯდა. ლიდერები წინ ისხდნენ:

– ნუცა! – არ არის სწორი.

– ქრისტინე! – არ არის სწორი.

– მარიამ! – არ არის სწორი.

– გიორგი! – არ არის სწორი.

.....

– სალომე! – სწორია!

მთელი კლასი უკან მოტრიალდა. ყველას დაუჯერებლობა აწერია სახეზე.

ექსპერიმენტი გავიმეორე – შედეგი იგივეა!

გინახავთ ოდესმე ჭეშმარიტად ბედნიერი სახე? არა მგონია! მაშინ მეც პირველად ვნახე!

კლასში ძალიან კეთილი ბავშვები იყვნენ, ყველა სიყვარულით შეჰყურებდა მის მომღიმარ და დაბნეულ სახეს, თითქოს ცოტა რცხვენოდა კიდეც – ბოდიში, არ მინდოდა ასე გამოსულიყო. თვალები ჟუჟუნა წვიმისთვის ემზადებოდნენ. მოკლედ, გაბადრული მზე პირს იბანსო, რომ იტყვიან, კლასში ისეთი ამინდი იდგა.

ცოტა ხანში ქალბატონი ნინო ყასიდად გაბრაზებული სახით

მეკითხება:

– რა უქენით ჩემს შვილს ?

ვერ მივხვდი.

– სახლიდან აღარ გადის, ღამე ხშირად სანთლის შუქზე მეცადინეობს, შარშანდელ მაგალითებსაც კი აკეთებს.

მივხვდი და გავუღიმე:

– ალბათ მაგანაც გადაიფიქრა გემით გაპარვა.

***

როგორც ჩანს, ზაფხულშიც იმეცადინა და სექტემბერში ყველაზე კარგ ფორმაში ის იყო. პირველივე საკონტროლოში უმაღლესი ნიშანი მიიღო და სკოლის დამთავრებამდე, ერთი შემთხვევის გარდა, სხვა შეფასება აღარც მიუღია.

მაშინ სკოლა ათწლიანი იყო. ბევრს ვმუშაობდით და კლასი საკმაოდ გაძლიერდა, განსაკუთრებით გეომეტრიაში. გადავწყვიტე რიგგარეშე საკონტროლოს ჩატარება – ისეთის, გამოცდა რომ ეთქმის. მაინტერესებდა რა დონეზე იყვნენ. შევუდგინე უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების სირთულის ბილეთი. ოღონდ მეხუთე, სტერეომეტრიული ამოცანა კიდევ უფრო გავართულე – ჩახლართული გამოვიდა, არასტანდარტულ კვეთზე.

შედეგზე მაინცა და მაინც არ მიფიქრია, რადგან ეს ნიშნები სასკოლო შეფასებაზე არ იმოქმედებდნენ. თუმცა აღმოჩნდა, რომ რაღაც ვერ გავთვალე.

გამოცდის მერე გავიგე, რომ სალომეს, რომელსაც უკვე მთელი სკოლა გულშემატკივრობდა, უთქვამს:

– თუ ამ გამოცდაში ათიანს არ მივიღებ, საერთოდ აღარაფერს ვისწავლი და არც მისაღებ გამოცდებზე გავალ.

გულს შემომეყარა. წყნარი კია, მაგრამ ხასიათი აქვს! არ გამოვრიცხავ, რომ უბრალოდ ნათქვამს აღარ გადავიდეს და მართლა შეასრულოს თავისი სიტყვა. არადა, იმ ბილეთში ათიანის მიღება ძალზე რთულია.

ყველა დანარჩენის ნაწერი გავასწორე. უშეცდომო არცერთი არაა, ძირითადად მეხუთე ამოცანაა პრობლემა. მისი ნაწერი ბოლოსთვის მოვიტოვე. რვეულის გადაშლის მეშინია. ჯერ ცალი თვალი მეხუთე ამოცანისკენ გავაპარე. ამოხსნა არც მინახავს, პირდაპირ პასუხს დავხედე – სამწუხაროდ, არასწორია!

ეს რა ჩავიდინე! მგონი წყალში მეყრება მთელი ოთხი წლის ნაშრომი!

ემოციები მომაწვა. დავანებე გასწორებას თავი და შევუდექი ამ ისტორიის გადმოცემას, ლექსად. მაშინ ჯერ ორი – სამი ლექსი თუ მექნებოდა დაწერილი. ლექსის შინაარსი სათაურიდანაც იკითხებოდა – „ბალადა მეოცნებე ბავშვებსა და ვერაგ მასწავლებელზე“. ცხადად ჩანდა, რომ ძალიან ვნანობდი ჩემს უგუნურ საქციელს. დიდი ლექსი იყო. იყო-მეთქი ვამბობ, რადგან, სამწუხაროდ, ერთ მშვენიერ დღეს ჩავთვალე, რომ მე და ლექსი ძალიან შეუფერებელი წყვილი გახლდით და გადავწყვიტე ჩემი ლექსების მეთოდური განადგურება. ეს ლექსიც რეპრესირებულთა შორის მოყვა.

გოგონამ ვერ მიიღო ათიანი – ცოტა დააკლდა. მეხუთე ამოცანაში მთავარს კი მიხვდა, მაგრამ მერე დაუშვა შეცდომა და ჯანმრთელი ცხრიანი დაიმსახურა.

ჯერ დავაპირე ცალკე დავლაპარაკებოდი და ამეხსნა, რომ ესეც ძალიან კარგი შედეგი იყო. მაგრამ შემეშინდა – თავის მართლება გამოვიდოდა. მონანიება ვამჯობინე.

ავდექი და მთელს კლასს წავუკითხე ეს ბალადა, თითოეულ მათგანს ეხებოდა რაღაც ნაწილი. სალომეზე, როგორც მახსოვს, ასეთი რამ ეწერა:

თუმცა არ ჰქონდა შუქია,
რვეულებს ღამე უთია,
მასწავლებელს რომ უქია,
სალომეს ასე უთქვია:
არ მსურს ნაღარა, ბუკია,

მაგრამ სიმართლე თუკია,
შრომას შედეგი თუკი აქვს,
ათი მეკუთვნის მუქია,
ნამდვილი, არ მსუბუქია.
და თუ ვერ ვპოვებ ათსაო,
ვერ მოვერევი კვეთსაო,
შემოვუწყრები ბედსაო–
აღარ ვისწავლი მეტსაო.

ვხედავ, გაკვეთილების შემდეგ სამასწავლებლოსთან მელოდება.

– მაპატიეთ მასწავლებელო. ვიხუმრე, არ ინერვიულოთ,– მითხრა და ისევ ვიხილე ჟუჟუნა წვიმა.

***

სკოლის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლდა, ცუდი ამბავი რომ მითხრეს – სალომეს ერთ-ერთ მასწავლებელთან კონფლიქტი მოუვიდა და პრინციპულად აღარ შედის მის გაკვეთილებზეო. მასწავლებელი კი ამბობს – თუ გაკვეთილებზე არ ივლის, მე შეფასებას ვერ დავწერ და ატესტატს ვერ აიღებსო.

ცოტა ხანში დედამისი და სკოლის დირექტორი მოვიდნენ ჩემთან თხოვნით.

– ბატონო თამაზ, თქვენ ბოლო იმედი ხართ, უნდა დაგვეხმაროთ. ვინ აღარ სცადა, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. რა ეწყინა, მასწავლებელიც ვერ ხვდება!

მეც გამიკვირდა, რადგან ბავშვი საკმაოდ სამართლიანი იყო და მასწავლებელსაც კარგი პედაგოგის სახელი ჰქონდა.

არადა, მაშინ თავადაც რთული პერიოდი მედგა. დათასი არ იყოს, თუთაშხიასი, გადაწყვეტილი მქონდა, რაც ჩემი საქმე არ იყო, არ ჩავრეულიყავი.

ქალბატონმა ნინომ ჩემი ფიქრები გამოიცნო.

– ვიცით, ბატონო თამაზ, მაგრამ სალომეზე თქვენ ხომ ვერ იტყვით, რომ ის თქვენი საქმე არ არის.

გამოვუტყდი:

– მარტო მაგაში არ არის საქმე ქალბატონო ნინო, მეც რომ არ დამიჯეროს, მერე რა ვქნა? თქვენი შვილი თითქოს ჭიას არ გაა-ღვიძებს, მაგრამ როცა საქმე პრინციპებს ეხება, ის ჩემზე უფრო ჯიუტია.

– სხვა გზა რომ გვქონოდა, არ შეგაწუხებდით. იქნებ ვცა-დოთ?

გავრისკე.

არ ჩავძიებივარ, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ მე მჯეროდა მისი და რომ ეს ყველაფერი ალბათ რაღაც გაუგებრობა იყო.

– ჩათვალეთ, რომ გაკვეთილზე შესვლას მხოლოდ ერთი მიზნით გთხოვთ – მინდა გავიგო რამდენად გაქვთ ჩემი ხათრი. თანაც, მასწავლებელს უთქვამს – ოღონდ მოვიდეს და სხვა არა-ფერი მინდაო.

გვერდზე იყურებოდა. მხოლოდ ცოტა ხნით მოაბრუნა ჩემ-კენ ლამაზი გრძელი წამწამები და წამიერად მესროლა თავისი განუმეორებელი წყნარი მზერა – ცაცხვის თაფლისფერი.

ხმა არ გამცა, სიტყვაც არ მითხრა, ისე გამშორდა. დერეფნის კუთხეს რომ მიეფარა და არც მოიხედა, მკერდის მიდამოებში აქამდე უცხო ტკივილი ვიგრძენი.

მართალი გითხრათ, ძალიან მეწყინა. თავჩაქინდრული სხვა კლასისკენ გავემართე – გაკვეთილი მქონდა. ვატყობ, გაკვე-თილზე შესვლა აღარ მიხარია.

დერეფანში მოვუხვიე თუ არა, ზარიც დაირეკა.

ვხედავ, თავისი კლასის კართან დგას და მასწავლებელს ელოდება. ისიც მოდის.

გავიგონე:

– მასწავლებელო, ყველაფრისთვის ბოდიშს გიხდით. შეიძ-ლება გაკვეთილზე შემოვიდე?

მასწავლემელმა არაფერი უპასუხა, უბრალოდ გადაეხვია, მე-რე მხარზე ხელი მოხვია და კლასში შეიყვანა.

მომეჩვენა, რომ კარში შესვლისას უკან გამოიხედა – მე თუ მეძებდა.

მე კი ვიდექი, როგორც დავითი დიდგორის შემდეგ.

გინახავთ ოდესმე ჭეშმარიტად ბედნიერი მასწავლებელი? არა მგონია! თქვენ ხომ იმ მომენტში მე ვერ მხედავდით.

ალქაჯები

სკოლაში რომ მივედი სამუშაოდ, უნივერსიტეტში მუშაობის უკვე თვრამეტი წლის სტაჟი მქონდა.

დირექტორს მხოლოდ იმ პირობით დავთანხმდი თანამშრომლობას, რომ მხოლოდ ერთ კლასში შევიდოდი – მაღალკლასელებთან.

აქებდა ამ კლასს დირექტორი. მართალიც აღმოჩნდა. უაღრესად მეგობრული და კარგად აღზრდილი ბავშვები იყვნენ. ერთ რამედ ღირდა მარტო იმის მოსმენა, როგორ ლამაზად წარმოთქვამდა თითოეული მათგანი სიტყვას: – მასწავლებელო!

მათი გავლენით იყო, რომ მომავალში, როცა სტუდენტები მეკითხებოდნენ, როგორ მოგმართოთო, მე ყოველთვის მიმართვის ამ ფორმას ვუწევდი რეკომენდაციას.

მართალი გითხრათ, ცოტა მეშინოდა კიდეც. არ ვიცოდი, ამ ასაკის ბავშვებთან როგორ გამომივიდოდა ურთიერთობა. ერთ კვირაში უკვე ნათელი გახდა, რომ მდგომარეობა იმაზე კარგად იყო, ვიდრე შეიძლება წარმომედგინა – საქმეც გამოდიოდა და ურთიერთობაშიც რაღაც ლამაზი, ამაღლებული გაჩნდა.

დირექტორს ძალიან უნდოდა სხვა კლასებშიც შევსულიყავი. მე კატეგორიულად წინააღმდეგი გახლდით – ნამეტანი პატარები არიან-მეთქი. მაგრამ ის ჩემზე ეშმაკი იყო, ასე ადვილად არ დანებდებოდა.

– მერვე კლასში თქვენც არაფერი გამოგივათ, მაგ ალქაჯი ბი-

ჭების მორჯულება შეუძლებელია, — წარამარა მაგონებდა.

კლასში ორი გოგო იყო მხოლოდ, ამიტომ ბიჭების კლასად მოიხსენიებდნენ.

ეტყობა, ჩემს პატივმოყვარეობას თავმოყვარეობა შეელახა – უნივერსიტეტში ასოც კაციან აუდიტორიაში როგორც თევზი წყალში ისე ვგრძნობდი თავს და ეს თოთხმეტი მერვეკლასელი რა გამიხდა-მეთქი.

ერთი სიტყვით, ანკესზე წამოვეგე და ჩემი ფეხით მივედი დირექტორთან:

– როდის შევიდე მერვე კლასში?

ჩაეცინა.

– შეგიძლიათ უკვე ხვალ შეხვიდეთ.

– კარგი, ოღონდ არ მინდა რომ ამის შესახებ ბავშვებმა წინასწარ იცოდნენ – მინდოდა მოულოდნელობის ეფექტი ჩემ სასარგებლოდ გამომეყენებინა.

ვიცოდი, რომ შორიდან მიცნობდნენ. ვატყობდი, ჩემი რიდი ჰქონდათ და ჩვენი შეხვედრა ასე წარმომედგინა: კარს გავაღებ თუ არა, მაშინვე მერხებისკენ გაცვივდებიან, ხოლო რომ ვეტყვი ამიერიდან მათემატიკა მე უნდა გასწავლოთ-მეთქი, ალბათ დაიზაფრებიან.

მეორე დღეს შევაღე მერვე კლასის კარი, ვერაფერი დავინახე, ისეთი ბუღი იდგა. მომეჩვენა, რომ რაღაც კუდიანი არსებები ცოცხზე შემჯდარიყვნენ და ჰაერში საშინელი სისწრაფით დაქროდნენ.

კლასი ისე გავიარე, ვერც შემნიშნეს. მასწავლებლის წაქცეული სკამი წამოვაყენე და მოვთავსდი. მტვერი ნელ-ნელა რომ დაჯდა, როგორც იქნა, ერთმანეთი დავინახეთ. არსებები დაბლა დაეშვნენ, ცოცხები მერხებთან მიაყუდეს და ადამიანის სახე მიიღეს.

– უკაცრავად, ეს მერვე კლასია?

– დიახ, მასწ! – ვერ ვიტან ამ გამოთქმას.

– მათემატიკის გაკვეთილი უნდა გქონოდათ?

– დიახ მასწ!

– ბავშვები სად არიან?

დაიბნენ, ერთმანეთს გადახედეს.

კითხვა გავუმეორე.

– ჩვენ ვართ მაასწ! – მპასუხობს ერთ-ერთი გოგონა, გაოცებული.

– ხუმრობთ? – ვუთხარი რაც შეიძლება მკაცრი ტონით.

– არა მასწავლებელო...– ამბობს უკვე ჩურჩულით.

– მე გამომგზავნეს მერვე კლასში მათემატიკის მასწავლებლად. მითხრეს კლასში თოთხმეტი ბავშვიაო. როგორც ჩანს, მომატყუეს.

– რატომ მოგატყუეს მასწ?

– მე აქ ვნახე თოთხმეტი ცოცხზე გადამჯდარი კუდიანი უცხოპლანეტელი არსება. მე მათი ენა არ ვიცი, მათემატიკა როგორ ვასწავლო?! – აქ ცოტა გამეღიმა და კარისკენ გავიწიე.

– მაშასადამე, მგონი ჯობია წავიდე!

– არა მასწ, დარჩით – მითხრა ყველაზე მაღალმა, რომელიც, როგორც მივხვდი, სწორედ ის ყმაწვილი იყო, სკოლაში ონავართა ატამანის სტატუსი რომ ჰქონდა.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა – მომთხოვნელობაზე, სამართლიანობასა და გულწრფელობაზე, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უცნაური მეგობრობა.

ერთხელ, მათთან დავიტრაბახე:

– უნივერსიტეტში ჯერ ლექცია არ გამიცდენია და არც დამიგვიანია!

მართლა ასე იყო.

ამასაც არ დავჯერდი.

– საერთოდ, სტუდენტებთან გამოცხადებული მქონდა, რომ თუ ლექციაზე არ მოვედი, ე.ი. ცოცხალი აღარ ვარ-მეთქი.

– ჩვენთან? – მკითხეს გამომცდელად.

– რადგან პატარების ღალატი უფრო დიდი დანაშაულია, ამის გამო თქვენთან მკვდარიც მოვალ, – ვუთხარი და მერეღა მივხვდი, რომ სისულელე წამოვროშე, ამიტომ იქვე გავეხუმრე.

– ოღონდ არ შეგეშინდეთ!

– არა მასწ, მკვდარი მასწავლებლების მეტი რა გვინახავს– იოხუნჯა ყველაზე ონავარმა.

– მოდი, ერთ რამეში კიდევ შევთანხმდეთ. არსებობს სოლიდარობის განცდა, მათ შორის პროფესიულიც, ამიტომ მე ვერასოდეს მოგიწონებთ მასწავლებლის კრიტიკას და ვერც ამ სახელის შემოკლებას. სხვათაშორის, უფროსკლასელები ძალიან ლამაზად წარმოთქვამენ ამ სიტყვას.

– ჰო, ყველა მაგას ამბობს.

– ჰოდა, ხვალინდელ დავალებას ერთი ამოცანაც დაუმატეთ – თქვენმა კლასმა ეგ სიტყვა კიდევ უფრო ლამაზად უნდა წარმოთქვას.

შედეგმა დიდხანს არ მალოდინა – კლასი ამუშავდა. ბიჭები დასვენებებზე ცელქობდნენ, მაგრამ გაკვეთილზე ძალიან სერიოზულები იყვნენ. განსაკუთრებით ის მომწონდა, რომ იმ ორ გოგონას ხელის გულზე ატარებდნენ.

***

მაგრამ ერთხელ ძალიან შემეშინდა. წლების მერეც კი გავურბივარ იმაზე ფიქრს, იმ დღეს სხვა, უფრო ბუნებრივი გადაწყვეტილება რომ მიმეღო და სკოლაში არ წავსულიყავი! რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი მაშინდელი ტრაბახი რა ძვირი შეიძლება დამჯდომოდა.

მარტის თვე იყო. რიცხვი აღარ მახსოვს, მაგრამ ის დღეა, თბილისში არანორმალური, საუკუნის წვიმა რომ მოვიდა.დილით მეხის გავარდნის ხმამ გამაღვიძა. სავარაუდოდ, მახათას მთისკენ ჩამოვარდა სადღაც. სახლში გუბეები დგას – დაკეტილი ფანჯრის ღრიჭოებიდან შემოუსხამს. ისეთი მსხვილი და ხშირი წვიმაა, სუნთქვა ჭირს. თითქოს სამგანზომილებიანი სივ-

რცე წყლითაა სავსე და ჰაერისთვის ადგილი აღარ დარჩენილა.

პირველი გაკვეთილი მერვეკლსელებთანაა. ჯერ ადრეა – გუ-ბეები მოვწმინდე. იმედი მაქვს, გადაიღებს. ქუჩაში მხოლოდ ორ მანქანას მოვკარი თვალი. ისინიც გაჩერდნენ – ხილვადობა საერთოდ არ არის – საქარე მინის საწმენდები ვერ ასწრებდნენ მინების გაწმენდას.

სკოლამდე კილომეტრზე ცოტა მეტია. ფეხით დავდიოდი ხოლმე. ახლა, მითუმეტეს, სხვა გზა არ მაქვს – ტრანსპორტს სად ნახავ! ბავშვები სკოლასთან ახლო-მახლო ცხოვრობდნენ. დრო გადის, წვიმა არ ჩერდება.

საკუთარ თავზე ვბრაზობ – რა მალაპარაკებდა, ესაო, ისაო, ცოცხალი თუ ვარო..., მკვდარიც მოვალო...

– იდიოტი!

მერე გამახსენდა, რომ ერთხელ უკეთესი სალანძღავი სიტყვა ვიპოვე საკუთარი თავისთვის – ერთუჯრედიანი კრეტინი, მაგ-რამ ამ შემთხვევისთვის უფრო სხვა იყო საჭირო და ზეპირ-სიტყვიერებაში ცოტაოდენი ძიების შემდეგ მივაგენი.

– ტრიპაჩი!

კარგი, ვთქვათ, მე წავედი. რომელი ბავშვი მოვა იქ?! ან, ვთქვათ, ბავშვი წამოვიდა კიდეც, რომელი მშობელი გამო-უშვებს შვილს ამ წარღვნა-მეორედ მოსვლაში?! კარგი, მე ლიახვისა და ტირიფონის არხის პირზე ვარ გაზრდილი და ცურვა კარგად ვიცი. ქალაქელი ბავშვების უმრავლესობამ ხომ ცურვა არ იცის, მითუმეტეს მთის მდინარეში – გარეთ, ქუჩაში უკვე მდინარე მოდიოდა.

– ჯანდაბას, უნდა წავიდე. მერე ხომ ვერ მოვატყუებ, ვიყავი-მეთქი! – უკვე საკუთარ თავთან დავიწყე ლაპარაკი და ცოტა შე-მეშინდა კიდეც – ადრე ეგეთი საგანგაშო სიმპტომები არასდროს შემიმჩნევია.

ავიღე ჩემი ბებერი იაპონური შავი ქოლგა და წავედი.

თავიდან მდინარეების გადალახვისას ფონს ვპოულობდი

და კუნძულ-კუნძულ ხტუნვა-ხტუნვით მივდიოდი. მაგრამ მერე მივხვდი, აზრი არ ჰქონდა, რადგან ცოტა ხანში უტვინო თავის გარდა მაინც აღარაფერი დამრჩა მშრალი. გადავედი ცურვის სხვა რეჟიმზე – წვივამდე წყალში უკვე პირდაპირ მივაბოტებ.

წყალმა ზუსტად სკოლასთან გამრიყა.

სკოლის კარი ღია იყო.

მაინცა და მაინც არ გამკვირვებია – დარაჯი იქვე ცხოვრობდა. ალბათ დირექტორმა დაურეკა – ის გადარეული კაცი შეიძლება მოვიდესო და გააღებინა კარი.

მამაჩემის არ იყოს, ცარიელ კლასებში ხეტიალი და ფიქრი მიყვარდა. ახლაც მიყვარს.

ბარემ, ვალი ბოლომდე მოვიხადო-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს და მერვე კლასისკენ გავემართე. მეორე სართულზე იყო მათი ოთახი – დიდი და ნათელი. მერხებს ოთახის მხოლოდ ნახევარი ეკავა. უკანა მხარე, კარის პირდაპირ, თავისუფალი იყო. აქ აწყობდნენ ხოლმე დასვენებებზე წარმოდგენებს ჩემი ალქაჯები.

შევაღე კარი და ვხედავ: კარის პირდაპირ – გაშლილი ქოლგების გამოფენაა, წინა მხარეს კი თოთხმეტი გალუმპული წიწილა ზის.

ფილმი “ფესვები“ უკვე გადაღებული იყო.

მაუგლი

იმ კლასში ახალი შესული ვიყავი. წინა წელს არ მისწავლებია.

ბოლო მერხზე იჯდა, მარტოდ-მარტო, ფანჯრების საწინააღმდეგო მხარეს. რიგებს შორის ვიწრო გასასვლელი იყო,

ამიტომ მის მერხთან ადვილად ვერ მოხვდებოდით. არც თვითონ აწუხებდა სხვას და არც სხვები მას. არასოდეს ხმას არ იღებდა. იჯდა თავისთვის, გაბურძგნული.

როგორც გვიან გავიგე, სხვა გაკვეთილებზეც ასე იყო. მასწავლებლებს ხელი ჰქონდათ ჩაქნეული და უწერდნენ ნიშნებს, მაგრამ ჩემს წესებში ეს არ იყო გათვალისწინებული – თუ არ ისწავლიდა, დადებით ნიშანს ვერავინ მიიღებდა.

ვატყობ, საქმე უიმედოა. ბავშვი აბსოლუტური უცოდინარია, თითქოს სკოლაში საერთოდ არ უვლია.

ერთხელ, გაჭირვებით, მის მერხთან მოვხვდი. გვერდით მივუჯექი და მისი რვეული ავიღე ხელში – ვნახო ნეტავ რას წერს-მეთქი. გეომეტრიის გაკვეთილი გვქონდა. რაღაც უცხო, არაამქვეყნიური ფიგურები ეხატა. შევხედე დაფას, სინათლე ისე ურტყამდა, რომ საერთოდ არაფერი ჩანდა. ეს ბიჭი კი ზის და ხმას არ იღებს.

მივხვდი, რომ მას თავისი მყუდრო ადგილი უკვე ნაპოვნი ჰქონდა ამ ბობოქარ სამყაროში.

გულმა არ მომითმინა და მყუდროება დავურღვიე.

– ბიჭო, დაფაზე რომ ვერაფერს ხედავ, რატომ ხმას არ იღებ?

შემომხედა, მაგრამ არაფერი მითხრა. ეჭვი შემეპარა, იქნებ ამ ბავშვმა ლაპარაკი საერთოდ არ იცის-მეთქი.

ჯუნგლებში გაზრდილი მაუგლი გამახსენდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამას ბალუ და ბაგირაც არ ჰყოლია და არც ვეფხვ შერხანთან აპირებდა ბრძოლას.

წინ ადგილი იყო თავისუფალი.

– გადაჯექი წინ და დღეიდან ჩემს გაკვეთილებზე მანდ დაჯექი ხოლმე.

ენთუზიაზმი არ გამოუხატავს, გადაჯდა.

ერთი კვირის შემდეგ მის რვეულში რაღაც ნაცნობ ფიგურას მოვკარი თვალი. ცნობისმოყვარეობამ მძლია.

– ეს რა არის?

– სამკუთხედი.

გაოგნებული ვარ – ლაპარაკი სცოდნია! თან მართლაც სამ-კუთხედს ჰგავს.

– იცი, რა არის სამკუთხედი?

– კი, ვისწავლე.

– აბა?

ადგა, წელში გაიმართა და რიხიანად დაიწყო:

– სამკუთხედი ეწოდება ისეთ ოთხკუთხედს, რომელსაც აქვს სამი კუთხე და ოთხი გვერდი.

კლასი ახარხარდა.

მე არ გამღიმებია. ვგრძნობ, რომ რაღაც რევოლუციური ხდება და შეცდომას ვჩივი?!

კლასისთვის სათქმელი უცბად მოვიფიქრე:

– სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რადგან ასეთი პა-სუხი უფრო დიდებისგანაც მსმენია. თან ამ შეცდომასაც შეიძ-ლება მოეძებნოს თავისი ახსნა.

– რა ახსნა მასწავლებელო?

– მე ვფიქრობ, მას უბრალოდ შეეშალა ის, რომ მრავალ-კუთხედის ნაცვლად თქვა ოთხკუთხედი.

– კი მაგრამ, ოთხი გვერდიო?!

– ეგ უკვე ლოგიკური გაგრძელებაა:– მან იცის, რომ მრავალ-კუთხედს ზუსტად იმდენი გვერდი აქვს რამდენიც კუთხე და რადგან ოთხკუთხედი ჰქონდა ნათქვამი, ოთხი გვერდიც აღარაა გასაკვირი.

კლასმა მგონი დამიჯერა. ბიჭი გაბადრულია.

ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო.

ბიჭი ნელ-ნელა თავის მეგობარ პანტერა ბაგირას ემსგავსება და ეტყობა, მალე ვეფხვსაც შეებრძოლება.

ერთი თვე კიდევ გავიდა. კლასის წარჩინებული მოსწავლე დაფასთან ამოცანას აკეთებს. შეეშალა და ბისექტრისისათვის გამოიყენა მედიანის თვისება. მაუგლი ბურტყუნებს:– აკი ბისექ-

ტრისაო?

– ამ შემთხვევაში იგივეა – იხტიბარი არ გაიტეხა წარჩინებულმა.

– რათა, ტოლფერდაა რო?!

მოკლედ, ბიჭი ასფურცელასავით დღითიდღე იზრდება და წლის ბოლოს სულ ცოტაღა დააკლდა უმაღლეს შეფასებამდე.

„მაუგლი“, რა თქმა უნდა გაქრა.

ჩემთვის ის უკვე ერთაოზია, უფრო ზუსტად, ჩემი ერთაოზი „შერეკილებიდან“. თავისთავად, მე ქრისტეფორე გამოვდივარ.

კლასში რამდენიმე ბავშვს საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა. აგვისტოა. ჩამოვედი გამოცდის ჩასატარებლად. სამასწავლებლოში მასწავლებლები იცინიან:

– ბატონო თამაზ, სიურპრიზი გელოდებათ.

– რა სიურპრიზი? – ვიკითხე მოღუშულმა. გამოცდის წინ უფრო უსიამოვნო სიურპრიზებს ვიყავი მიჩვეული.

– თქვენი ერთაოზია მოსული, ბავშვებს კონსულტაციებს უტარებს.

კლასის კარი ღიაა. დგას დაფასთან, ცარცში ამოგანგლული, როლში შეჭრილი, ვერ მხედავს.

– იმაზე უფრო მაგარი კი, აი, ეს ამოხსნაა – უნდა შევავსოთ მართკუთხა ტრაპეციამდე და ორჯერ გამოვიყენოთ სამკუთხედის შუახაზის თვისება.

არადა, მე ეს გზა არ მისწავლებია. მართლა ლამაზია!

შევედი კლასში. დაიმორცხვა. გავუწოდე ხელი, როგორც თანასწორს და მივმართე ქრისტეფორე მგალობლიშვილის სტილში:

– ყმაწვილო! უფრო ზუსტად, ძვირფასო კოლეგავ! თქვენ უდიდესი სამსახური გაუწიეთ ჭეშმარიტებას!

შორიდან მორიდებით შემაგება ცარცით დასვრილი ხელი. ცდუნებას ვერ გავუძელი, მოვიზიდე და მაგრად ჩავიხუტე.

დიდი შიო

ჩემი საცხოვრებელი კორპუსის წინ მაგიდა დგას, გრძელი სკამებით, ლამაზად გადახურული. ძირითადად დომინოს სათამაშოდ ვიყენებთ.

მართალია, სათამაშო სეზონი კარგა ხანია გაიხსნა, მაგრამ რატომღაც სიწყნარეა – მაგიდასთან მხოლოდ მოწყენილი შიო ზის მარტოობაში. გვერდით უკვე ცხენზე ამხედრებული ინსტრუმენტები უწყვია – შავი დომინო და მამა-პაპური სანგარიშო.

დაახლოებით ჩემი ხნისაა. კაი წესიერი კაცია. ჩემს დანახვაზე სახე გულწრფელად გაუბრწყინდა.

– სად ხარ კაცო, რომ მოგვანატრე თავი?!

– რა ვიცი, ჩემო შიო, მგონი მართლა ვეღარ ვიცლი.

– შენ დომინოს თამაშიც დაგავიწყდებოდა, ხომ არ გავიხსენოთ? – ჩაებღაუჭა მცირე იმედს.

– კარგი იქნებოდა, მაგრამ, ხომ იცი, საქმე მელოდება.

– ნახევარი საქართველო საქმეს ელოდება და შენთან პირიქით ყოფილა. – სცადა საუბრის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა შიომ.

საერთოდ, ვცდილობ ხოლმე ასეთ დისკუსიებში არ ჩავება. თუმცა პოლიტიკაში არ შევდივარ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის – გინდა, არ გინდა, ის თავად შემოდის ჩემთან.

გზის გადაღმა, მაღაზიაა, ახლებურად – მარკეტი. იქამდე ასი ნაბიჯი მაინც იქნება, მაგრამ რატომღაც „ორი ნაბიჯი“ ჰქვია. მაღაზიიდან ჩვენი მეზობელი ჯუმბერა გამოვიდა. აი ის, სიზმარში ჩემი დაკრძალვის ცერემონიას რომ ხელმძღვანელობდა. დღემდე მისი დიდად მადლიერი ვარ. ქელეხის დიდებული სუფრა გააწყო. ყველაფერი ისეთ დონეზე გააკეთა, რომ სულ მის ქებაში იყო ხალხი. მიცვალებული ვიღას ახსოვდა.

დაგვინახა თუ არა, ჩვენკენ წამოვიდა. სხვანაირად არც იყო

მოსალოდნელი – სამეზობლოში ტრიალი და სიკეთის გაცემა მისი სტიქიაა.

ხელში გამჭვირვალე პარკით პური უჭირავს. ორი ცალია, ვითომ შავი, ლიტვურს ეძახიან და ნულპროცენტიანი აწერია.

– რა იყო ჯუმბერ, რაღაც გაბრაზებული ჩანხარ.

– გაბრაზებული ვიქნები, აბა რა! ამათი...– დაიწყო გინება ჯუმბერამ, მაგრამ მე რომ შემომხედა მკვეთრად დაამუხრუჭა. მართალია, გინება არ დაუმთავრებია, მაგრამ მაინც მომიბოდიშა:

– თქვენთან ბოდიში, ბატონო თამაზ!

– არა უშავს. მიდი, დაამთავრე!

– გაიხარეთ!

დაამთავრა და ცოტა მოეშვა. მართალი გითხრათ, მისი შემშურდა. ამბობენ, ხმამაღლა გინებას სულ სხვა შედეგი აქვს სამედიცინო თვალსაზრისით. დარდს უფრო სწრაფად აქარვებს და ნაოჭებსაც ნაკლებად აჩენსო. ახლა მეც დავინტერესდი, რა მოხდა ისეთი, ეს წყნარი, თავშეკავებითა და ზრდილობით სავსე კაცი ასე რომ გააბრაზეს.

– რა მოხდა ჯუმბერ? ძველად რომ ტაქსისტობდი, მაშინაც კი არ გამიგია შენი გინება.– პირველმა სწორედ მან ამიხსნა ერთხელ, რატომ იგინებიან ხშირად მძღოლები. სიმართლესთან ახლოს მეჩვენა მაშინ მისი ეს მოსაზრება.

– ჩვეულებრივ, ვიღაც რომ მიჰქარავს, გულის მოფხანის ბევრი საშუალებაა – გააჩერებ, წყნარად აუხსნი, ან შეეკამათები, ბოლო-ბოლო დაარტყამ, აქ კიდევ გარბის და მხოლოდ გინებას ასწრებ.

ისევ აღშფოთებულია:

– რაღა რა მოხდა, რას შვრებიან ეს ...,– აქ ჯუმბერამ მეტი წინდახედულება გამოიჩინა, ბოლო სიტყვის გამოცნობა ჩვენ მოგვანდო და ისე გააგრძელა:– აი, ამ პურს ხომ ხედავთ?

დავუდასტურეთ, რომ ვხედავდით.

– ერთ ნაჭერს სამასორმოცდაათი გრამი აწერია. ავწონე და სამასოცდაათი გამოვიდა!

ვერ მივხვდი – ის კაცი არ იყო, ოც გრამზე დაეწყო ლაპარაკი.

– მერე? - ვეკითხები აშკარად გაუგებრობაში მოყოლილი.

– რაღა მერე, ერთი კილო ხომ გამოდის სამი ცალი?

– ათი გრამი აკლდება,– დავუზუსტე მე. ვერაფერს ვიზამ, პროფესიული დაავადებაა.

– მითუმეტეს!

აქ უკვე შიო აფეთქდა:

– კაცო, ბოლოს და ბოლოს იტყვი თუ არა რა მოხდა?!

– დამაცადე! სამჯერ ლარსამოცდახუთი ხომ არის ოთხი და ოთხმოცდათხუთმეტი.

– ეგრეა.

– ე.ი. კილო პური თითქმის ხუთი ლარი გამოდის!

– იმ ათი გრამისასაც თუ დაუმატებ, თითქმის კი არა, მართლა ხუთი გამოვა, – ცეცხლზე ნავთი დავასხი მე.

– მერე, რას ფიქრობენ ეს...,– უკვე მიეჩვია სიტყვების გამოტოვებას ჯუმბერა, – თან ამბობენ წაგებაზე ვართო!

– ნულპრცენტიანი მაგდენი ღირს და ასპროცენტიანი რაღა იქნება – უხეიროდ ხუმრობით ვცადე სიტუაციის ბანზე აგდება.

– პატრონი არ ჰყავს ამ ქვეყანას! – ჩაერია საუბარში ახალგაზრდა მეზობელი იქითა სადარბაზოდან – მიშიკო. გახურებულ საუბარში ვერც კი შევნიშნეთ, როდის შემოგვიერთდა. მაგიდაზე იდაყვით დადებულ ხელზე ლოყა ჩამოედო და მოკრძალებით შემოგვყურებდა უფროსებს. სტუდენტი ბიჭია, მართალია საგანი დარჩენოდა ჩაუბარებელი, მაგრამ დომინოს გადასარევად თამაშობს. რომ იტყვიან, ასია, მის პარტნიორად აყვანაზე ტაციაობაა ხოლმე.

– რას ქვია პატრონი არ ჰყავს, აბა ესენი მაშ რიღასთვის არიან?!

– ძალიანაც კარგი პატრონი ჰყავს, მარა მეტი რა ქნას იმ კაცმა.

– სცადა „იმ კაცის“ დაცვა შიომ.

– როგორ თუ რა ქნას – არ უნდა, თორემ დავიჯერო, არ შეუძლია?! მარტო თავის მუცელზე ფიქრობენ!

ატყდა კამათი მარა რა ატყდა!

როცა რაღაცაში დარწმუნებული არ ვარ, იქ როგორც წესი, არ ვკამათობ ხოლმე. შევატყვე, აქ საჩემო სიტუაცია აღარ იყო და წასვლა დავაპირე, მაგრამ შიოს ნათქვამმა შემაჩერა:

– ეგრე მარტივად არ არის საქმე, ჩემო ჯუმბერიკო, იქნება მანდ სულაც დიდი შიოს ამბავის მსგავსია რაღაც. შეიძლება კაცი ქართულს ბრდღვნიდე, მაგრამ გერმანულის გაგებაში არ იყო.

მართალი გითხრათ, შემრცხვა და ვერ ვიკითხე, ვინ იყო დიდი შიო. ეჭვი ლაშა-გიორგის დროინდელ დიდვაჭარ შიოზე მივიტანე, ლიტერატურულ გმირზე, მაგრამ გერმანული რა შუაში შეიძლება ყოფილიყო, ვერ მივხვდი. ის ხომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ვაჭრობდა.

ისევ მიშიკო დამეხმერა სიბნელიდან გამოსვლში.

– ვინ დიდი შიო, ძია შიო?

– მოკლედ გითხრათ, თუ გრძლად?

– გრძლად იყოს, მეოთხე მოთამაშე მაინც არ ჩანს, – საინტერესო თხრობა იცოდა და გრძლად მერჩივნა.

რომ ნახა ვრჩებოდი, დაიწყო:

– სკოლა სოფელში დავამთავრე, სამოციანებში. მასწავლებელი გვყავდა ერთი, შიო ერქვა. ერთი – მეთქი, თორემ ბარე ორსაც უდრიდა, ისეთი მაღალი და ბრგე იყო, ნათელი პირსახითა და უზარმაზარი კეთილი გულით. ხალხი სიყვარულით დიდ შიოს უძახდა. ჯიბით სულ კანფეტები დაჰქონდა, ბავშვებს გვაძლევდა ხოლმე. ამის გამო მოსწავლეებმა მეორე ზედმეტი სახელიც მოუგონეს, მეცენატი შიო დაარქვეს.

დიპლომით ქართული ენის სპეციალისტი იყო, მაგრამ რაც თავი მახსოვდა, შრომას ასწავლიდა – ეგეთი საგანიც არსებობდა

მაშინ. ამისთვის სპეციალური სახელოსნო კლასიც ჰქონდა სკოლას.

დიდად დამსახურებული კაცი გახლდათ. ნაომარი, ნაფრონტალი, დაჭრილი და ორდენოსანი. ყოველ 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, რაიონულ ცენტრში იბარებდნენ და საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ საჩუქარს – მაღვიძარა საათს. როგორც თვითონ ყვებოდა, ერთხელ გუგულიანი კედლის საათიც მიუციათ.

– მთელ რაიონში მხოლოდ ორს მოგვცეს გუგულიანი! – დააყოლებდა ხოლმე სიამაყით

იმდენი მაღვძარა დაუგროვდა, რომ სკოლაში არასოდეს აგვიანებდა.

ცოტა უცნაურობაც სჭირდა. ფრონტზე ყველაზე მეტად ალუჩა მენატრებოდაო და ნახევარ ბაღზე ალუჩა გააშენა.

– სად გაგონილა, კაცო, ამდენი ალუჩა, გაგიფუჭდება. ალუჩა ერთი-ორი ძირი გამიგია,– ეუბნებოდა მეზობელი.

– ნუ გეშინია, არ გავაფუჭებ! – ეღიმებოდა თავისი დიდი ღიმილით.

ერთი კილოგრამიც არასდროს გაუყიდია.

ალუჩა უკვე სახრაშუნო რომ გახდებოდა, გაკვეთილების შემდეგ მთელ კლასს ბაღში წაიყვანდა ხოლმე.

– აბა, როგორია?! რამდენიც გინდა ჭამეთ, ოღონდ ტოტებს გაუფრთხილდით.

იქვე, მყნობასა და ბაღის მოვლაზე უყვებოდა.

რაც ბავშვებს გადაურჩებოდა, უბანში არიგებდა და წარამარა იმას იმეორებდა, ფრონტზე ყველაზე მეტად ალუჩა მენატრებოდაო.

ეგეთი კაცი მეორე აღარ მინახავს, სულ უბრალო რამეც კი აბედნიერებდა.

ჩემი სახელი რომ გაიგო, ბავშვივით გაუხარდა.

– ამ ხნის კაცი ვარ, ნახევარი დადამიწა შაშხანით მაქვს მოვ-

ლილი, მარუხის უღელტეხილიდან პოლონეთამდე ფეხით ჩავედი და ჩემი მოსახელე კაცი დღეს პირველად ვნახე. აგერ არ ყოფილა მერვე პირველ კლასში! – ყველა შემხვედრს ამას უყვებოდა იმ დღეს.

ცოტა ხნის მერე ამ საკითხზე სერიოზულად დამელაპარაკა.

– სეხნი, არ გეწყინოს და მოდი ასე ვქნათ – შენ ჯერჯერობით შიო-უმცროსი გერქვას. როცა გაიზრდები, მერე ჩემსას დაგითმობ.

ამის მერე, როგორც თავის მემკვიდრეს, ისე მექცეოდა.

ერთხელ კლასს გვკითხა:

– ბავშვებო, ჩემს მოსახელეს ერთი კანფეტით მეტი რომ მივცე , ხომ არ გეწყინებათ? – იქვე მიზეზიც აგვიხსნა, – უბრალოდ, მე ტკბილეული არ მეჭმევა და ერთ ცალს ჩემს სახელზე შეჭამს.

ბავშვებს ოდნავაც არ გაუპროტესტებიათ, ისე უყვარდათ დიდი მეცენატი.

სამასწავლებლოში დიდხანს არ ჩერდებოდა. არ უყვარდა, რომელიმე მასწავლებელი რომელიმე ბავშვზე აუგს რომ იტყოდა. მაგრამ ერთ შემთხვევას ყოველთვის ხალისით იხსენებდა.

– ვზივარ ჩემთვის სამასწავლებლოში და გაგიჟებული გრიშა არ შემოვარდა! აი, მათემატიკა – ჩვენს პითაგორას რომ ეძახიან ბავშვები. ხელს უცნაურად იქნევს და ყვირის.

– არა, არა მორჩა!

ძველი მეგობრები ვართ, შეხუმრებულები.

– რა იყო, გრიშა ფუტკარმა ხომ არ გიკბინა იღლიაში-მეთქი.

– ნეტამც ყოველდღე მიკბინოს და იმ კლასში აღარ შემიყვანა.

– რომელ კლასში? – დავინტერესდი.

– მერვე პირველში.

– ჩემი შიოს კლასში? რათა კაცო, მშვენიერი ბავშვებია.

– მოიცა, თუ ძმა ხარ, რა მშვენიერი?! მთელს კლასში ერთსაც არ უმოძრავებს ტვინი!

– ეეეე, ეგ როგორ?! ძალიანაც ცოცხალი გონის ბალღები არიან!

– რა ვიცი, შეიძლება შენთან მართლა ცოცხალ და მოსიარულე „ტაბურეტკებს“ ამზადებენ, მაგრამ მე მათემატიკის გაგებაში ვერ ჩავაგდე!

ეგრე რატომ ამბობ-მეთქი, ვკითხე.

– რაღა რათა, ორჯერ ავუხსენი, ვერ გაიგეს, მესამეჯერ – მეც კი გავიგე და იმათ მაინც ვერ გაიგეს! – ეგეთი ბაჯაღლო არ მითხრა იმ შეჩვენებულმა!

ერთი სიტყვით, ცხოვრობდა ლამაზი კაცი ლამაზ სოფელში. ცხოვრობდა ლამაზად და სიყვარულით გარშემორტყმული. თვითონაც ხომ პირთამდე იყო თავისივე ზომის ვეება სიყვარულით. შრომა არ ეზარებოდა, შვილივით მოვლილი პატარა მეურნეობა, დიდი თბილი ოჯახი ჰქონდა და თავს ძალიანაც ბედნიერად გრძნობდა. მარტო ერთი აუსრულებელი პაწია ნატვრა ჩარჩენოდა გულის სიღრმეში.

– რა იქნება, ქართულ ენაში ერთი კლასი მაინც გამოთავისუფლდეს?! – თავისი სპეციალობით მუშაობის საშუალება არა და არ მიეცა. მხოლოდ შრომის გაკვეთილებს ატარებდა.

არა, უბედურ კაცად არც ამ მხრივ გრძნობდა თავს, რადგან ხელმარჯვეობა უყვარდა და გამოსდიოდა კიდეც. ბავშვებს ხის საოჯახო ნივთების დამზადებას ასწავლიდა. როცა კარგ სკამს თუ ქვასანაყს გააკეთებდნენ, ბავშვებთან ერთად ბავშვივით უხაროდა.

მისი და სკოლის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა გერმანული ენის ერთადერთი მასწავლებელი გათხოვდა და შეუგნებელმა ქმარმა მალევე უთხრა – მე შენი გერმანული ტლიკინი არა მჭირდება, სახლში დაჯე და ოჯახს ქართულად მიხედეო.

მოგვიანებით, დიდი შიო მეზობლებთან ღვინოში გახსნილა და თვალცრემლიანს გაუმხელია დამალული დარდი.

– არადა, სულ ჩემი ბრალია ყველაფერი. მე ვუთხარი იმ მუტ-

რუკს, როდემდე უნდა უნდა იარო ცალუღელა კამეჩივით, აგერ ჩვენი გერმანულის მასწავლებელი, მშვენივრად თავშენახული ქალია, სანამ ვინმე უცხოს წაუყვანია, მოკიდე ხელი და მოიყვანე სახლში-მეთქი.

სოფლებში უცხო ენის მასწავლებლები მაშინ ძალიან ჭირდა. ქალაქელი ახალგაზრდა მასწავლებლები სავალდებულო ვადას მოიხდიდნენ თუ არა, გარბოდნენ. სოფლელები კი უცხო ენებზე ვერ ეწყობოდნენ.

სკოლა პანიკაში ჩავარდა. გაკვეთილები ხან ცდება, ხან გერმანულის მაგივრად ფიზკულტურის გაკვეთილებს უტარებენ. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

მოკლე ლადომ, სკოლის დირექტორმა, კაბინეტში დაიბარა დიდი შიო.

– შიო, ძმა ხარ და უნდა მიშველო!

– რა იყო ლადო, რა გაგჭირვებია?

– იმ შენს სახელოსნოში სკამებისა და ციცხვების კეთებას ცოტა ხანს უნდა მოეშვა და გერმანულის საათები აიღო.

– ვითომ რათაო? – ხუმრობა ეგონა შიოს.

– ხომ გინდოდა ენის გაკვეთილები?

– რას ამბობ კაცო, ქართულისა მინდოდა, გერმანულისა რა გამეგება, მე ქართული ენა ვიცი.

– ჰოდა, ენა ხომ იცი, ცოტა გერმანულიც დაუმატე და გამოვა გერმანული ენა, – უკბილოდ იხუმრა დირექტორმა.

– მაინცადამაინც მე რატომ?

– შენზე ვერაფერს იტყვიან, ისეთი დამსახურებები გაქვს. თანაც, გერმანია დაამარცხე კაცო და ვის გაუკვირდება, გერმანულიც რომ ასწავლო?!

– შენ წარმოიდგინე, ერთი სიტყვაც არ ვიცი გერმანული და საერთოდ, ცოცხალი გერმანელი არც მინახავს ახლო მანძილიდან.

– ეგ როგორ, ფრონტზე არ იყავი? აკი პოლონეთამდე მივე-

დიო?! – ცოტა სახიფათოდ შეეცვალა ინტონაცია დირექტორს.

– კაცო, რამდენჯერ უნდა გითხრა, სნაიპერი ვიყავი, დივიზიის ჩემპიონი, შორიდან ვისროდი-მეთქი. ახლო ბრძოლისთვის ვინ გამიმეტებდა.

დირექტორი მიხვდა, რომ შიოსთან მხოლოდ ალალი ლაპარაკი შეიძლებოდა და გულწრფელად გამოუტყდა.

– თუ სასწრაფოდ დროებითი შემცვლელი ვერ ვიშოვე, მომხსნიან. რაიონულ ცენტრში საჩივარი უკვე შესულა.

შიოს გული აუჩუყდა. გასაჭირში ჩავარდნილი კაცის მიტოვება მის ხასიათში არ იყო და ეგრევე დათანხმდა:

– კარგი, სანამ ვინმეს იშოვი, შევალ.

ახლა ლადოს შეეკუმშა გული:

– მართლა არცერთი გერმანული სიტყვა არ იცი, შიო?

– არა კაცო, რამდენიმე სიტყვა როგორ არ ვიცი: ჰენდე ჰოხ – ხელები მაღლაა, ფრაუ – ქალია, კიდევ ვიცი გუთენ თაგ, კაპუტ და შვაინ.

–აუ, მომეშვა გულზე! პირველი დღეების სამყოფი გცოდნია! აგაშენა ღმერთმა! მერე ნელ-ნელა ცოტ-ცოტას დაუმატებ და ეგ არის. თან შენი თავგადასვლები მოუყევი ხოლმე ბავშვებს და სანამ პოლონეთამდე ჩახვალ, ვიშოვი ალბათ გერმანულის მასწავლებელს, ისე როგორ გაწყრება ღმერთი.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისე მოუვიდა საბრალოს. პირველივე შესვლაზე მღელვარებისაგან სიტყვები აერია და გაკვეთილი ასე დაიწყო:

– ჰენდე ჰოხ, ბავშვებო!

– გუთენ თაგ, შიო მასწ! – უპასუხეს სიცილით ბავშვებმა და ყველამ ხელები მაღლა რომ ასწია, მხოლოდ მაშინ მიხვდა რა ორმოშიც ჩავარდა.

მაგრამ ბავშვებს ძალიან უყვარდათ დიდი შიო და გაკვეთილი არ ჩაუშალეს. სიამოვნებით უსმენდნენ მის ფრონტულ თაგადასავლებს. შიომ, ყოველი შემთხვევისთვის, თადარიგი

დაიჭირა და სულ თავიდან – მარუხიდან დაიწყო.

გაკვეთილი არ ჩაუშალეს, მაგრამ რად გინდა, მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა მისი ახალი ზედმეტი სახელები – ჰენდე ჰოხ და გუთენთაგა.

შიო მეცადინეობდა, ბავშვებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ უკვე იმ ასაკში იყო, ენის ათვისება ძალიან უჭირდა.

საფრონტო მოგონებებში ჯერ ხარკოვის მისადგომებთან იყო მისული, რომ ცენტრიდან პატარა კომისია მოვიდა. ბავშვების ცოდნაც შეამოწმეს. შიომ ცხოვრებაში პირველი საყვედური მიიღო.

მეცადინეობას მოუმატა, მაგრამ საქმე არ გამოსწორდა და ამჯერად ცენტრში თვითონ ის დაიბარეს განათლების განყოფილების გამგესთან.

ძალიან ღირსეული და მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი კადრი იყო პატივცემული ელიზბარი. ორ ათეულ წელზე მეტია უმწიკვლოდ ემსახურებოდა ხალხის განათლების საქმეს თავის რაიონში და სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული. მისი ცოტა ეშინოდათ კიდევ.

შიოს დამსახურებები ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, მანაც იცოდა. მიუხედავად ჩავარდნისა, თბილად მიიღო. დაუყვავა.

– არ იფიქრო, რომ სასაყვედუროდ დაგიბარე.

– აბა რისთვის?

– მინდა დაგეხმარო.

– თუ ეგრეა, გამათავისუფლეთ.

– არა შიო, ამ ეტაპზე შენზე უკეთესი კანდიდატურა არავინ გვყავს. კოლექტივს და ბავშვებს ძალიან უყვარხარ. ეს ცოტა არ არის. თანაც, შენს გათავისუფლებას ზემოთ კარგი თვალით არ შეხედავენ.

– აბა რა ვქნა, პატივცემულო ელიზბარ?

– აი, სწორედ მაგისთვის დაგიძახე. წიგნები და დამხმარე მეთოდური ლიტერატურა შეგიგროვე. საღამოობით, ბაღიდან

რომ მოხვალ, შენ და შენმა პატარა შვილიშვილმა ერთად იმეცადინეთ ხოლმე ცოტ-ცოტა, – გაუღიმა გამგემ.

– რომ ვერ შევძლო?

– შეძლებ! ჩათვალე, რომ პარტიული დავალებაა.

ვერ შეასრულა შიომ პარტიული დავალება და მშობლების მოთხოვნით მისი საკითხი პედსაბჭოზე გავიდა. პედსაბჭოზე დასასწრებად განათლების განყოფილების გამგეც ამოვიდა ოცი კილომეტრით დაშორებული რაიონული ცენტრიდან.

იმსჯელეს, იყაყანეს, კიდევ ერთხელ დაამუნათეს და უშედეგოდ დაიშალნენ.

მთელი სოფელი უკვე შიოზე ლაპარაკობდა. სადღა იყო ხალხის საყვარელი მეცენატი დიდი შიო. ყველა უკვე ჰენდე ჰოხ–გუტენტაგათი მოიხსენიებდა.

ერთ დღეს მისი საყვარელი შვილიშვილი სკოლიდან ნამტირალევი მოვიდა.

გულგახეთქილმა მიზეზი ჰკითხა.

– პაპი, ბავშვები პატარა ჰენდე ჰოხას მეძახიან.

ამის ეშინოდა ყველაზე მეტად.

მაშინვე გავარდა სკოლის დირექტორთან:

– ახლავე გამათავისუფლე!

– ცოტა კიდევ უნდა მოითმინო!

– მეტი რაღა მოვითმინი, შე ოჯახაშენებულო, სოფელში აღარ მედგომება.

– რა ვქნა, გენაცვალე, ეგ საქმე ეგრე მარტივი არ არის, ათას ადგილას არის შეთანხმებული – აშკარად ეშმაკობდა მოკლე ლადო.

გული მოუვიდა შიოს, წამოხტა და ცხელ გულზე მიახალა:

– ეგრე ძნელია ჩემი მოხსნა ხომ? მაშინ, როცა მოგინდებათ, მე ჩემი ნებით აღარ წავალ, ძალიანაც რომ მეხვეწოთ!

ცოტა რომ დაწყნარდა, შერცხვა თავისი საქციელის. გადაწყვიტა, დღე და ღამე გაესწორებინა და როგორმე ესწავლა გერ-

მანული, მაგრამ ცოტა ხანში უიღბლოს კიდევ უფრო დიდი შეცდომა მოუვიდა.

ვეღარ აიტანა ზოგიერთი ბავშვის ირონიული ღიმილი და ერთ გათავხედებულ მამიკოს ბიჭს ყური აუწია.

აუ, ამხელა კაცმა ბავშვს ყურიც აუწიაო?! აფრინეს საჩივარი მშობლებმა, სადაც საჭირო იყო.

ისევ გამოიყო კომისია, ისევ შეიკრიბა პედსაბჭო, ისევ ამოვიდა განათლების განყოფილების გამგე ოც კილომეტრზე დაშორებული რაიონული ცენრტიდან.

იმსჯელეს, დაამუნათეს, ამჯერად დაგმეს კიდეც, მაგრამ გადაწყვეტილებამდე ვერც ახლა მივიდნენ.

განათლების განყოფილების გამგე გრძნობს, რომ ყველა მისგან ელოდება საბოლოო სიტყვას. ორ ცეცხლს შუაა. შიო უკვე ნაწყენია და ჩემით არ წავალ, მომხსენითო, გაიძახის. მოხსნას? შეიძლება ამ საქმეს თვითონაც გადაყვეს.

პატივცემულმა ელიზბარმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, უძლურად ესღა ამოიკვნესა:

– შიო, რა ნახე კაცო, რატომ არ ასწავლი ბავშვებს ამ ოხერ გერმანულს?!

განრისხდა შიო. მანამდე ასეთი არავის უნახავს. ჰიტლერს მისი სახისთვის თავის დროზე თუნდაც ცალი თვალი რომ შეევლო, ნამდვილად ვერ გაბედავდა ომის დაწყებას.

წამოდგა ეს ვეებერთელა ადამიანი, უზარმაზარი ხელები გამგისკენ მიაპყრო და პედსაბჭოს მიმართა:

– გამაგიჟებს ეს კაცი! ვიცი და არ ვასწავლი?!

მეორე დღესვე ამ ფრაზას მთელი სოფელი იმეორებდა.

გაგვეცინა, მაგრამ ყველას გულით შეგვეცოდა დიდი შიო.

– ჰოდა, ჩემო ჯუმბერ, რა იცი, იქნებ იმ კაცის ამბავიც ეგრეა?! იცის ქვეყნის სწორად მართვა და არ აკეთებს?– დაასრულა შიოუმცროსმა.

გორილების ღამე

– არსად არ წახვალ, ხომ არ დაგავიწყდა, რა დღეა დღეს?!

– მერე რა, განა რა დღეა ასეთი?

– რას ქვია, მერე რა, შვილო, დღეს ხომ ოცი წლის ხდები, აქ სტუმრები მოვლენ და შენ აქციაზე მიდიხარ?!

– დედა, ყველა ჩემი მეგობარი იქ იქნება და აქ ვიღა მოვა! თანაც, იქ უფრო მეტი მომილოცავს. ნახე, რა დავწერე!

გოგონას ხელში სტანდარტული ფორმატის სახატავი ფურცელი ეჭირა. ფურცელზე ლამაზად გამოყვანილი ასოებით ეწერა: „ არა ოკუპაციას!“.

– მეშინია, სულ 9 აპრილი მიდგას თვალწინ.

– დედა, ესენიც უჯიშო გადამთიელები ხომ არ არიან. შენ არ ამბობდი, ქართული პოლიცია, პირიქით, ხალხს იცავდაო.

გოგონამ ფანჯრიდან გადაიხედა და რაღაც დაფარული სიხარული დაეწერა სახეზე.

– აი, უჩაც მოვიდა!

კიბეებზე ამომავალი ნაცნობი ფეხის ხმა გაისმა. ყველასაგან გამორჩეული, ერთი სული რომ აქვს ამოირბინოს სამნაწილიანი მოხვეული ძველი ხის კიბე, მაგრამ მაინც დინჯად მოდის, თუმცა ფეხს თითო საფეხურის გამოტოვებით ადგამს.

კარში ყმაწვილმა შემოანათა და სიკეთესთან ერთად სიდარბაისლე შემოიტანა. გოგოს ასაკისა იქნებოდა, მაღალი. არც გოგო იყო დაბალი, მაგრამ ბიჭი, როგორც იტყვიან, მთელი თავით მაღალი გახლდათ. მის ვაჟკაცურ გარეგნობას ოდნავ დატალღული ქერა თმა ცოტა სირბილეს ანიჭებდა.

დედას არ გამოჰპარვია, რომ რაღაც სხვანაირი სინაზით შესცინეს ერთმანეთს ბავშვობიდან შეზრდილებმა. არაერთხელ უოცნებია, მისი ერთადერთი შვილი ასეთი ბიჭისთვის ჩაებარებინა, მაგრამ ეს წარმოუდგენლად მიაჩნდა, იმდენად სხვა-

ნაირი იყო მათი ურთიერთობა, სხვანაირად ფაქიზი და სუფთა. მთლად და-ძმურსაც ვერ დაარქმევდი, რაღაც მეტი იყო, უფრო ამაღლებული. მაგრამ მერე თავადვე შერცხვებოდა ხოლმე ასეთი ფიქრებისა. თუმცა, ეს ბოლო ხანია, მათი მზერის შემყურეს რაღაც ეჭვი და იმედი გაჰკრავდა ხოლმე.

ორივე იასამნის ქუჩის ამ იტალიურ ეზოში დაიბადა. ფეხი რომ აიდგეს, მას შემდეგ ხელჩაჭიდებულები დადიან. ბაღშიც ერთად იარეს, სკოლაშიც და ახლაც უნივერსიტეტს ერთად ამთავრებენ. ცხონებულ მის მეუღლესაც შვილივით უყვარდა ეს ზრდილობიანი და მოკრძალებული ბიჭი. ბავშვების გამო ოჯახებიც ძალიან დაახლოვდნენ. გიორგისა და ნინოს თანადგომა რომ არა, ძალიან გაუჭირდებოდა იმ უბედურების გადატანა.

მაშინ კი დიდი შიში ჭამეს, მაგრამ მერე მხიარულად იხსენებდნენ უჩას დაკარგვის ამბავს. თეკლა და უჩა მესამე კლასში იყვნენ, რომ მშობლებმა ბიჭი ექსპერიმენტულ სკოლაში გადაიყვანეს, ძველი სკოლიდან საკმაოდ შორს. ბავშვი პირველივე გაკვეთილის შემდეგ გაუჩინარდა. კინაღამ მთელი ქალაქი დადგა ფეხზე. ბოლოს, ძველი სკოლიდან მასწავლებელმა დარეკა, არ ინერვიულოთ, უჩა აქ არის, გაკვეთილზე რომ შევედი, თეკლას გვერდით იჯდა. მითხრა, დავბრუნდიო.

ძალიან განიცადეს, უჩას ოჯახი ორიოდე წლის წინ დიღომში რომ გადავიდა საცხოვრებლად. ბიჭი ირწმუნებოდა, ხშირად მოვალ ხოლმეო. ხშირად კი არა, ყოველდღე მოდიოდა. დიღომიდან უნივერსიტეტში იასამნის ქუჩის გავლით დადიოდა. ლექციების შემდეგაც აუცილებლად მოაცილებდა გოგოს სახლში.

იასამნის ქუჩის მცხოვრებლები თავს სინანულით აქნევდნენ.

– ეჰ, მეგობრობას რა ვუთხარი, თორემ ამათი დაშორება იქნება? – არცერთი ემეტებოდათ სხვისთვის.

თეკლა განსხვავებული გარეგნობისა იყო. გაზაფხულს ჰგავდა, ჰაეროვანი. ხორბლისფერი სახითა და ლურჯი თვალებით.

ერთ ძველ, ლამაზ და ჭკვიან სტუდენტს მაგონებდა, ანანო ერქვა. მისმა მასწავლებელმა ანანოს გონებამახვილობაზე ძალიან თბილი ჩანახატი გააკეთა. თეკლა მასავით გონიერი იყო, მაგუფრო მორცხვი, უფრო ზუსტად, კდემამოსილს რომ იტყვიან, ისეთი. ერთხელ შეცდომით ანანო დავუძახე და ძალიან გაუხარდა – მასაც წაკითხული ჰქონია ის ჩანახატი. ვეხუმრე, შეიძლება ოდესმე შენზეც დაწერონ-მეთქი. რა ვიცოდი, რომ ჩემი სიტყვები ასე მალე ახდებოდა და ამას მე გავაკეთებდი.

ისეთი გადამდებად ხალისიანი იყო, თავის ჩამოსახრჩობად უკვე სკამზე რომ მდგარიყავი, შენი ხელით მოიხსნიდი ყულფს, სიცოცხლე ხელახლა მოგინდებოდა და იფიქრებდი, ღმერთო ჩემო, რა სისულელეს ჩავდიოდი, ამ არსების უნახავად ამ ქვეყნიდან როგორ მივდიოდიო. კიდევ, კეთილი იუმორის საოცარი უნარით დაეჯილდოვებინა ღმერთს. მაგრამ ყველაზე მომნუსხველი მაინც ღიმილი ჰქონდა – ცისარტყელასავით ლამაზი და მზეზე უფრო თბილი.

მოკლედ, ბავშვობიდანვე გამორჩეული და ძალიან არასტანდარტული იყო. ზოგჯერ ამით ცოტა აშინებდა კიდეც დედამისს. კარგა ხანს გამოყვა ბავშვობის ერთი ჩვევა – სარკის წინ საკუთარ თავთან ინტერვიუ:

– აბა, ამ ქვეყნად ყველაზე კარგი ბიჭი ვინ არის?

– უჩა!

– დედამიწაზე ყველაზე კეთილი ბიჭი?

– უჩა!

– ყველაზე ბედნიერი გოგო?

– თეკლა!

ყველაზე სულელი?

– მე!

მისი ამ ჩვევის შესახებ ბევრმა იცოდა, მათ შორის სკოლაშიც, მაგრამ ყველას ისე უყვარდა ბუნების ეს ორი მშვენება, რომ ხუმრობით დაცინვაც კი აზრად არავის მოსვლია თავში.

***

– დედა, ჩვენ წავალთ. აი, უჩაც მოდის!

– კარგი, შვილო, რადგან უჩაც მოდის, მშვიდად ვიქნები.

დედას ენიშნა, რომ ბავშვებმა ხელი აღარ ჩაჰკიდეს ერთმანეთს.

აქციის დაწყებამდე ჯერ ადრე იყო.

ბოტანიკურ ბაღში ავიდნენ.

აქაური სიწყნარე და მათ ფეხქვეშ გაშლილი ქალაქის ყურება უყვარდათ. გოგო სულგანაბული უსმენდა მეგობარს, რომელმაც ხანდახან, მისივე თქმით, „წაფილოსოფოსობა“ იცოდა ხოლმე.

– რამდენი ქუჩა, რამდენი სახლი! ყველას თავისი სიხარული და თავისი დარდი აქვს. ხან საერთო, ხან სრულიად განსხვავებული. ყველა თავის ოცნებას და სიყვარულს ეძებს. ზოგი პოულობს კიდეც. ზოგჯერ ერთმანეთში ვერ რიგდებიან, მაგრამ მაინც ერთად უნდათ ყოფნა და დიდი ქალაქებისკენ ილტვიან. ერთი კი ყველას საერთო აქვს – არავის უნდა სხვის ჭკუაზე ცხოვრება. თავისუფლებისთვის კვდებიან. მერე იბადებიან შვილები და იწყება ყველაფერი თავიდან. მონობასა და დამპყრობელს ვერავინ ეგუება.

– აი, ჩემი ქუჩაც ჩანს!

– შენი ქუჩა ახლა დიღომშია – ცოტა ტუჩები გაბუტა და ვითომ წყენით უთხრა გოგომ

– არა, ჩემი ქუჩა ყოველთვის იასამნის ქუჩა იქნება.

– როგორ გაგვიმართლა, რა ლამაზი სახელი ჰქვია ჩვენს ქუჩას!

– კი, მაგრამ, ჩემი ნება რომ იყოს, თეკლას ქუჩას დავარქმევდი! უფრო მოუხდებოდა.

ო, როგორ მოუნდა გოგოს, ძველებურად ჩახუტებოდა ბიჭს, მაგრამ ერთი ხანია, ამას ვეღარ ბედავს. მათ შორის რაღაც უხილავი ბარიერი აღიმართა.

ორი წლის წინადაც, ამ ადგილიდან უყურებდნენ ქალაქს,

ოღონდ მაშინ ქალაქში ლამპიონები ენთო და ვარსკვლავებით გადატენილ ჯადოსნურ ცას ჰგავდა ქალაქი. იმ დღეს პირველად შეხედეს ერთმანეთს ბავშვობიდან გამოსული თვალით. გოგომ ბიჭს ჩვეულებისამებრ რომ მოჰკიდა ხელზე ხელი, ბიჭს რაღაც უცხო განცდა დაეუფლა. თბილმა ელვამ ჩაურბინა მთელ სხეულში თითქოს, შეკრთა. გოგომ იგრძნო ეს და რაღაცით დამფრთხალმა სასწრაფოდ გაუშვა ხელი. მქრქალ შუქზე ბიჭმა ვერ დაინახა, რომ გოგოს ღაწვები ერთიანად აეფაკლა. სახლამდე ხმა აღარ ამოუღიათ. თითქოს რაღაც დანაშაული ჩაედინოთო, ერთმანეთის მზერას გაურბოდნენ.

იმ ღამეს არცერთს მოუხუჭავს თვალი. მათ გულებში სულ სხვა ცეცხლი აინთო.

– ალბათ ესაა ის სიყვარული. ღმერთო, ნუთუ უჩა?! განა ეს შესაძლებელია?

ბიჭს უფრო გაუჭირდა გამოსტყდომოდა ამაში თავის თავს. თეკლაში ის იმ პატარა, ცქრიალა გოგოს ვეღარ ხედავდა, ყელზე რომ დაუფიქრებლად ჩამოეკიდებოდა ხოლმე. მის ფიქრებში უკვე უცხო, მოწიფული ქალიშვილი შემოჭრილიყო, რომლის ყოველი ნაკვთი და ყოველი მოძრაობა ბიჭს გონებას ართმევდა.

– ყოველ შემთხვევაში, მე მას ვერასოდეს გავუმხელ, – ამაშიც ძლივს გამოუტყდა თავის თავს ბიჭი.

მართლაც, მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ამ საკითხზე სიტყვაც არ უთქვამთ. მხოლოდ მათი მზერა და ერთად ყოფნის გაუნელებელი სურვილი თუ გასცემდა მათ ამ უნებლიე საიდუმლოს.

ამ ფიქრებში იყვნენ, რომ ცოტა მოშორებით ორი ტურისტი გაჩერდა და ქალაქის თვალიერება დაიწყო. შუახანს გადაცილებული ქალი და მამაკაცი იყო, ცოლ-ქმარი. აშკარად ეტყობოდათ, რომ აღფრთოვანებული იყვნენ სანახაობით. უჩას და თეკლას პოლონელები ეგონათ. რუსები აღმოჩნდნენ. რამდენიმე კითხვა დაუსვეს ახალგაზრდებს ქალაქის შესახებ. უჩამ თავისი

დახვეწილი რუსულითა და ქალაქის ისტორიის ცოდნით გააოცა სტუმრები, რომლებიც გულწრფელი სინანულით დაემშვიდობნენ ამ ულამაზეს წყვილს.

უთხრეს კიდეც, ისე უხდებით ერთმანეთს, ცალ-ცალკე არასოდეს იაროთო.

გააწითლეს ბავშვები.

***

აქციაზე რომ მივიდნენ, მიტინგი ახალი დაწყებული იყო. პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხზე დასადგომი ადგილი ძლივს ნახეს, ისე იყო იქაურობა გადაჭედილი.

მიკროფონთან, როგორც ყოველთვის, რიგი იდგა. ყველა ჯურის ხალხს ნახავდით აქ. ახალგაზრდასა და ძველგაზრდას, პოლიტიკოსსა და სრულიად აპოლიტიკურს, მასწავლებელს და დიასახლისს, რომელსაც ბავშვიც ახლდა თან. გულანთებული პატრიოტებიც იყვნენ და ორაგულობას მოწყურებული კალმახებიც.

ნაცნობები ერთმანეთს ლოყაზე კოცნით ესალმებოდნენ, თბილისურად.

თავისი საყვარელი ლექტორიც დაინახეს – ბატონი კახაბერი. ერთი ცნობილი პოლიტიკოსი გამოელაპარაკა, ალბათ ისიც მისი ნასტუდენტარი თუ იყო.

– ბატონო კახაბერ, თქვენც გაგრიეს პოლიტიკაში?

– ბიჭო! სამშობლოს დაცვა როდის აქეთ ითვლება პოლიტიკად? – როგორც ყოველთვის, სიტყვისათვის ჯიბეში ხელი არ ჩაიყო პროფესორმა.

ბატონმა კახაბერმა თეკლა და უჩა შორიდანვე შენიშნა და ღიმილით და თავის ოდნავ დაკვრით მიესალმა. უცნაური კაცი იყო, უაღრესად მკაცრი, მაგრამ სამართლიანობის გამო მაინც ძალიან რომ უყვართ ხოლმე სტუდენტებს, ისეთი. თეორიებიც უცნაური ჰქონდა. ამბობდა, როგორ შეიძლება ადამიანის შეფა-

სება გვარიშვილობითა და თანამდებობითო, ღირსებით უნდა შეფასდესო. სტუდენტებსაც ასე ექცეოდა. ზარმაცებს არ ეძახდა სტუდენტებს და ამას ასე ხსნიდა –„სტუდენტი“ ლათინური სიტყვაა და ბეჯითად მომეცადინეს ნიშნავსო. ჩვენი მოთხრობის გმირები გამორჩეულად რომ უყვარდა, ამას არც მალავდა.

მიკროფონთან მორიგი გულანთებული გამოჩნდა.

– უჩა, ეს ჩვენი ჯგუფელი შალვა არ არის?!

– ის არის!

– ღმერთო, ამას ვერ წარმოვიდგენდი, ოთხი წელი მისი ხმამაღლა ნათქვამი არ გამიგია და რა ორატორი ყოფილა.

– ასეა, ადამიანები ომში ზოგჯერ ისეთ თვისებებს ავლენენ, თვითონაც რომ არ იციან ამის შესახებ.

აქცია პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას ითხოვდა, რადგან მან ოკუპანტი ქვეყნის დელეგაცია არათუ ქვეყანაში მოიწვია, პარლამენტის სხდომების დარბაზი დაუთმო და ერთი მათგანი თამჯდომარის სავარძელშიც მოაკალათა. ხალხს ბუნებრივად დაეუფლა განცდა, თითქოს კიდევ ერთხელ მოხდა ქვეყნის ოკუპაცია და ქუჩაში გამოვიდა. ბევრ მათგანს სახელდახელოდ დაწერილი პლაკატები ეჭირათ – „არა ოკუპაციას“. თეკლამაც გაშალა თავისი ფურცელი.

შენობის შესასვლელს პოლიციის რამდენიმე კორდონი იცავდა. შიდა ეზოც პოლიციელებით იყო სავსე. პარლამენტის შენობაში შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიდა. ჟურნალისტებს და რამდენიმე შემორჩენილ პარლამენტარს იძულებით დაატოვებინა შენობა. იგრძნობოდა, რომ რაღაც მზადდებოდა.

უეცრად წინა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი პოლიციის კორდონს მიაწვა, მაგრამ ფეხი ვერ მოაცვლევინა.

უჩამ დაინახა, მისი ჯგუფელი შალვა ჩოჩქოლში მოყოლილიყო და დასახმარებლად დააპირა მისვლა, მაგრამ მანამდე სხვა დემონსტრანტებმა იყოჩაღეს და გამოგლიჯეს ხელიდან პოლიციელებს.

პირიქითაც იყო – დემონსტრანტებმა რამდენიმე პოლიციელს დამცავი ფარი წაართვეს. ორი პოლიციელი კი დაითრიეს, კორდონიდან გამოიყვანეს და აქციიდან აძევებდნენ. ერთ მათგანს ჩაფხუტი მოსძრობოდა. სულ პატარა ბიჭი იყო, ძალიან შეშინებული ჩანდა. სწორედ უჩას გვერდით ჩამოატარეს. უჩამ დემონსტრანტს პოლიციელზე ჩაბღაუჭებული ხელი გააშვებინა და შეუვალი ხმით უთხრა:

– მეგობარო, არ შეიძლება ასე!

ბიჭმა დრო იხელთა და თავისიანებისკენ გაიქცა.

ბატონი კახაბერი მათგან შორს არ იყო, მაგრამ ხალხი მჭიდროდ იდგა და მათთან მოსაღწევად დიდი დრო დასჭირდა.

– ბავშვებო, გაეცალეთ აქაურობას, შეიძლება მალე დარბევა დაიწყოს.

– ბატონო კახაბერ, ამ წუთას პრემიერმინისტრს გამოუცხადებია, ტყვია და გაზი ჩვენი ხელწერა არ არის და არც არასდროს გამოვიყენებთო.

პროფესორმა ირონიულად ჩაიცინა.

– შვილო, ცხოვრებაში თუ რამე ვისწავლე ისაა, რომ ამ დროს ხელისუფალის ნათქვამი უკუღმა უნდა გაიგო.

– კი, მაგრამ...

– როცა ღირსების ძარღვი გაგიწყდება, მერე იმის მოფიქრებას რაღა უნდა, რომ შემდეგ სიტყვის გატეხვაც გაამართლო, – თეკლას კითხვას დაასწრო პროფესორმა, – გარდა ამისა, ლიდერები გაპარვას რომ იწყებენ, იქ წუთი-წუთზე უბედურებას უნდა ელოდო.

დავინახეთ როგორ მეთოდურად ტოვებდა აქციას რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი.

– თქვენ?

– მე მეტი შანსი შეიძლება აღარც მქონდეს, რომ გმირულად დავეცე ბრძოლის ველზე – ჩვეული სარკაზმითა და ღიმილით დასძინა მოძღვარმა.

უჩამაც იცოდა, რომ, კრიზისების დროს მასა ადვილად გადაიქცევა ხოლმე ბრბოდ, სახელმწიფო კი ჯალათად, ამიტომ გადაწყვიტა, თეკლა წინა ხაზს გაერიდებინა.

– თეკლა, ცოტა უკან გადავიდეთ, ნამდვილად დარბევას აპირებენ. აგერ უკვე გორილები შემოყავთ.

გორილებს უჩა ეკიპირებულ სპეცრაზმელებს უწოდებდა, რომელიღაც ფილმის გავლენით.

***

დარბევა დაიწყო.

უფრო ზუსტად, დაიწყო მიტინგის დახვრეტა რეზინის ტყვიებით. ზოგიერთი მათგანი დათვის შესაკავებლად განკუთვნილი აღმოჩნდა. სნაიპერები მიზანმიმართულად თავის არეში ესროდნენ დემონსტრანტებს. განსაკუთრებული მონდომებით ოპოზიციური არხის ჟურნალისტებს ესროდნენ. ხალხის ამხელა მასა, ცხადია, ასე უცბად ვერ დაიშლებოდა და პოლიცია საკმაოდ აუჩქარებლად აკეთებდა თავის საქმეს. ზოგიერთი არათუ აღარ მალავდა სახეს, დიდ კმაყოფილებასაც გამოხატავდა.

თეკლამ შენიშნა, როგორი ღიმილით ანიშნებდა ერთი-ერთი „გორილა“ მეორეს მასზე და უჩაზე. ახლა კი შეშინდა.

– უჩა, წავიდეთ!

წამოსვლა და სამი რეზინის ტყვიის მოხვედრა ერთი იყო. სამივე ბიჭს მოხვდა ზურგში, რადგან გოგოს უკნიდან ფარავდა. მოშორებით შეჩერდნენ. გოგომ ბიჭს მაისური აუწია და სისხლი მოწმინდა. ბიჭს გულში გაეცინა. ისე ესიამოვნა გოგოს ხელის ზურგზე შეხება, რომ მგონი გაეხარდა კიდეც, რომ დაიჭრა. შორიახლოს სტუდენტი ბიჭი იდგა, რომელსაც ორივე ხელი აწეული ჰქონდა და სპეცრაზმელს ეხვეწებოდა:

– არ მესროლო, ძმაო. არაფერს ვაშავებ.

დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ ბიჭმა თავზე ხელი იტაცა, ოდნავ ჰაერში აიწია და ასფალტზე მოსხლეტით დაეცა.

მსროლელი კმაყოფილი ჩანდა. დაბლიდან, ცალი ხელით, ასე ზუსტად მორტყმა კარგ ფორმაში ყოფნაზე მეტყველებდა .

აქცია დაქუცმაცდა და ახლა დაიწყო ნადირობა გაქცეულებზე.

თეკლამ ისევ ის სპეცრაზმელი დაინახა, წელან მათზე რომ მიანიშნებდა მეორე თავისნაირს. ამჯერად სამნი იყვნენ. როგორც ჩანს, იმ ორის უფროსი ის პირველი იყო. უფროსი გორილა ისევ მათ უყურებდა და იცინოდა. შემზარავი სიცილი ჰქონდა. გაახსენდა ბავშვობისდროინდელი ფილმი, ტყეში უმწეო პატარა გოგო-ბიჭს უზარმაზარეშვებიანი გორილა რომ მისდევს ღრიალითა და გულზე მუშტების ბრაგუნით. სულ ციცქნები არიან, მუხლებამდეც ვერ წვდებიან ურჩხულს.

– ვაიმე, ჩვენ მოგვდევენ! – იკივლა გოგომ, ბიჭს ხელი ჩასჭიდა და ქვემოთ, თავისუფლების მოედნისკენ გამოაქცია. მაგრამ, ზუსტად მათი ფეხების წინ გაზის ჭურვი დაეცა. იქაურობა კვამლში გაეხვა და სული შეეხუთათ. პირი იბრუნეს. ზემოდან გორილების დიდი რაზმი მოდიოდა ნელი, დამთრგუნველი ნაბიჯით. ორი ბიჭი დაწვა ასფალტზე მათ შესაჩერებლად. კოჰორტას მტკიცე ნაბიჯი არ შეუნელებია, ისე გადაუარეს.

თეკლა და უჩა მიხვდნენ, რომ ალყაში იყვნენ და გეზი ქაშუეთის ეკლესიისკენ აიღეს.

იმედი ჰქონდათ, ეკლესიაში მაინც დაინდობდნენ.

ეკლესიის კარი დაკეტილი აღმოჩნდა.

ფიქრის დრო აღარ ჰქონდათ. იქვე, სანახევროდ ჩაბნელებულ ბაღში შეცვივდნენ, მაგრამ უკვე ვეღარ გაექცეოდნენ – მდევარი სულ რამდენიმე ნაბიჯზე იყო. უფროს „გორილას“ უზარმაზარი თავიდან ჩაფხუტი გადაეძრო, მოფლეშილი პირიდან წითელი სასა და ეშვებივით კბილები უჩანდა. დანარჩენი ორი ცოტა უკან მოჰყვებოდა.

გაჩერდნენ და თეკლამ დაინახა, გორილა როგორ პირდაპირ შუბლში უმიზნებდა უჩას, ცალი ხელით, დაბლიდან.

– არა! – იკივლა და ბიჭს აეფარა.

მხეცი შეყოვნდა.

– გაიწი, ძუკნა!

– არა, არ ისროლო ძია, გემუდარები!

გორილამ იარაღი ოდნავ დაბლა დასწია ისე, რომ მიზანი ბიჭის შუბლიდან გოგოს თვალზე გადავიდა და მშვიდად გამოჰკრა სასხლეტს თითი. გოგონას თვალის ბუდიდან სისხლმა იფეთქა. სისხლს თვალიც ამოჰყვა.

– თეკლაااა! - არაადამიანური ხმით იყვირა ბიჭმა და დაჭრილი ვეფხვივით ისკუპა ცხოველისკენ, რომელიც იარაღის გადატენას ცდილობდა, ლულით გამოგლიჯა თოფი და მთელი ძალით, ხმალივით შემოარტყა ყბაში. გორილა უგონოდ დაეცა. მიწაში კბილები ჩათესა და თავისივე სისხლით მორწყა.

ბიჭმა აზროვნების უნარი დაკარგა და გოგოს წინ დაჩოქილი აბღავლდა. ორი სპეცრაზმელიდან ერთი უკან გარბოდა. მეორე კი, უფრო ახალგაზრდა, იქვე იდგა და რაციით გადასცემდა:

– ეკლესიის უკან გოგოა თვალში დაჭრილი. სასწრაფოდ ბრიგადა გამოგზავნეთ.

მერე უჩასთან მივიდა, მხარზე ხელი ფრთხილად დაადო.

– ძმაო, გოგოს მიხედვა სჭირდება. სანამ ვინმე მოვა, დროს დავკარგავთ. მომეხმარე, სასწრაფოებთან გადავიყვანოთ, აქვე დგანან ქუჩაში.

კბილებჩალეწილი გორილა გონს მოსულიყო, მაგრამ ვერ დგებოდა. ახალგაზრდა რაზმელი, თავის ყოფილ უფროსს გვერდით რომ ჩაუარა, ერთი წამით შეჩერდა, ზედ სახეზე დააფურთხა და ენით უთქმელი ზიზღიც მიაყოლა.

– არაკაცო!

***

სამი დღე იბრძოდნენ ექიმები თეკლას თვალის გადასარჩენად. ვერ გადაარჩინეს.

სამი დღე ეგდო იატაკზე პირქვე ჩამხობილი ბიჭი.

არც მისი ყმუილი გაიგონა ღმერთმა, ვერც ლუკმა შეაჭამეს.

– მოკვდები შვილო და იმ გოგოს ვინ მიხედავს?! – ეუბნებოდნენ მშობლები.

მეოთხე დღეს დართეს თეკლას ნახვის ნება.

ბიჭს აღარც სისხლი ჰქონდა და აღარც ცრემლი.

კანკალით შეაღო პალატის კარი. იასამნისფერი საწოლიდან ხორბლისფერი ანგელოზი უღიმოდა ულამაზესი ერთი ლურჯი თვალით. მეორე ახვეული ჰქონდა. მაინც ხუმრობის ხასიათზე იყო:

– რა კარგია! ცალი თვალითაც მთლიანად გხედავ, ვფიქრობდი, ნახევარს ხომ დავინახავ და ესეც მეყოფა-მეთქი.

ბიჭმა სიტყვები ვერ იპოვა და გოგოს მკერდზე დაემხო. აქვითინდა ისევ.

გოგო ლამაზი თითებით ეფერებოდა ქოჩორზე და აწყნარებდა.

– შენ რა გულჩვილი ყოფილხარ. მე უფრო მაგარი ბიჭი მეგონე.

როგორც იქნა, ბიჭმა თავი ასწია.

თეკლამ ისევ სიყვარულით გაუღიმა და კვლავ გაეხუმრა:

– ისე, რა გატირებს, შენ ხომ მაინც არ გინდოდა გავთხოვილიყავი.

ბიჭი არც დაფიქრებულა რას ამბობდა, ისე წამოსცდა.

– მე ის არ მინდოდა, სხვას გაყოლოდი.

გოგო შეკრთა.

– ეგ რას ნიშნავს?

ამ საქმეში დაწყება ჭირს ხოლმე, თორემ მერე ადვილია.

– რას ნიშნავს და ...

გოგო დაბნეული იყურებოდა გადარჩენილი ლამაზი ლურჯი თვალით.

– მერე, თქვენები რას იტყვიან?

ბიჭს გაეღიმა.

– ჩვენებმა უკვე თქვეს!

– რა თქვეს?- ხმა აუკანკალდა ლურჯთვალას.

– მამაჩემმა, შვილო, რაღას ვუცადოთ, მოკიდე ხელი და შემოდგომაზე ქორწილი ვქნათო. დედაჩემმა კი – ხომ იცი, მე თეკლას გარდა რძლად არავის მივიღებო.

– ჰო, მაგრამ! –აუწყლიანდა ერთადერთი თვალი ანგელოზს.

ბიჭმა აღარ გააგრძელებინა.

– და კიდევ, მამაჩემის მეგობარ ქირურგს უთქვამს, ერთ თვეში მომიყვანეთ და ისეთი პატარძალი გეყოლებათ, თვალს ვერავინ მოწყვეტსო.

საერთოდ, კარგა ხანია სუფრიან ღონისძიებებს ვერიდები, მაგრამ ახლა ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა ის დღე. ცალ-ცალკე თითოეული მათგანი ადრევე იყო შეპირებული, რომ ქორწილში დამპატიჟებდა. ახლა მითუმეტეს.

ქორწილი არ იყო ძალიან ხალხმრავალი, მაგრამ ნამდვილი სიყვარულით იყო სავსე. ყველა ამბობდა, აი, ქორწილი მხოლოდ ასეთი უნდა იყოსო.

სასწაულიც ვიხილე: ბატონი კახაბერი მოსულიყო, რომელიც ასეთ ღონისძიებაზე მანამდე არსად მენახა. ამბობდნენ, ცხოვრებაში ალკოჰოლით ტუჩიც არ დაუსველებიაო და აქ თავისი ლამაზი შეგირდების სადღეგრძელოს ყანწით სვამდა.

პირველად იყო, რომ მისი მუდამ ჩაფიქრებული სახე წუხილსა და დარდს კი არა, იმ ბავშვის სიხარულს გამოხატავდა, ყველაზე დიდი ნატვრა რომ აუსრულდება ხოლმე.

ჩემი პირველი
ფანტასტიკური მოთხრობა

ლურჯი პლანეტა

ლურჯ პლანეტაზე ზეიმი იყო.

შავი რქის ეპოქა დამთავრდა.

გოას გამოჩენისთანავე შავი რქა გაიქცა. ხალხი მაღაროებიდან ამოსულიყო. დაუძლურებული და გაყვითლებული, მაგრამ მაინც ბედნიერი. მოქალაქეებმა თავისუფლება ჩაისუნთქეს.

მთელი მოსახლეობა დედაქალაქ უშუ-ბადუში ჩამოსულიყო. მართალია შიშის მიზეზი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ჯერ მაინც ისევ ჩურჩულით საუბრობდნენ.

– რეი, ნუთუ შენ ხარ! – სათვალიანი ვაჟის დანახვაზე მსუბუქად შეჰკივლა გამხდარმა გოგონამ, – გამოგიშვეს?

– არა, გოას მომხრეებმა ციხეში აჯანყება მოაწყეს და გამოვიქეცით.

– მერე? შავი რქა კი გაქცეულა, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისი ხალხია, მოგკლავენ,– ეშბუს ხმა აუკანკალდა.

რეიმ ცხადად იგრძნო, რომ ეშბუს ისევ ძველებურად უყვარდა ჩონჩხად ქცეული რეი.

საიდუმლო ლაბორატორიაში რომ დაიწყეს მუშაობა, ერთმანეთი მაშინ გაიცნეს. ერთსა და იმავე უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მაგრამ მაშინ ერთმანეთის შესახებ მხოლოდ სმენოდათ – სხვადასხვა ჯგუფებში იყვნენ და პირადი ნაცნობობა ჯერ არ ჰქონდათ. ორივეს ბრწყინვალე სტუდენტად იცნობდნენ.

ეს ლაბორატორია ტესლას სახელობისა იყო, მაგრამ მოკლედ ტესლას ლაბორატორიად მოიხსენიებდნენ. აქ სამუშაოდ მხოლოდ გამოცდილ და გამორჩეული ნიჭის მქონეებს ღებულობდნენ.

განსაკუთრებული მონაცემების გამო, რეი და ეშბუ ჯერ კი-

დევ სტუდენტობისას მიიღეს სამუშაოდ და უმაღლესი ხარისხის სტიპენდიაც დაუნიშნეს. გარდა ამისა, რეისთან მიმართებით, დაარღვიეს დებულება და მრავალგანზომილებიან სივრცეებში ნახვევის ტიპის ფუნქციების პრობლემის გადაწყვეტისათვის, გამონაკლისის სახით, ყველაზე პრესტიჟული მათემატიკური პრემია გადასცეს.

დაპატიმრების შემდეგ რეის ყველა რეგალია ჩამოართვეს. ეშბუს კი, როგორც არასაიმედო მოქალაქესთან დაახლოებულ პირს, სტიპენდია მოუხსნეს.

პირველი დანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ამას საგულდაგულოდ მალავდნენ, რადგან ლაბორატორიის წესდებით სიყვარული აკრძალული იყო.

სამსახურეობრივი გულგრილობა დააბრალეს რეის და პატიმრობა მიუსაჯეს. სამი წელი გაატარა ციხეში.

სინამდვილეში, შავ რქაზე ერთი უწყინარი ანეკდოტი რომ მოყვა, ის არ აპატიეს.

ვიღაცამ დაასმინა.

სამი წელი ცდილობდა ეშბუ ციხეში მის ნახვას, მაგრამ ამაოდ. ნება არ დართეს.

***

ხალხი დიქტატურის მოედანზე იკრიბებოდა. გოას გამოსვლას ელოდნენ.

ყიჟინა არ ცხრებოდა:

– დიდება გოას, დიდება გოას!

– ჩვენს მხსნელს დიდება!

– ვაშა თავისუფლებას!

– ლურჯ პლანეტას გაუმარჯოს!

– ვაშაა!

– გოა! გოაა! გოა!

ყველა მოლოდინით შესცქეროდა სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნას, რომელიც ტყვიაგაუმტარი მინით იყო შემო-

ფარგლული.

ბრბო თავის გმირს ელოდებოდა.

ეშბუს ცოტა არ ესიამოვნა დაჯავშნული ტრიბუნის დანახვა.

– გმირს ხალხის რატომ უნდა ეშინოდეს?!

– მართალი ხარ, მაგრამ ამხელა მასაში უეჭველად იქნებიან შავი რქის მომხრეებიც და სიფრთხილეს თავი არ სტკივა. – უპასუხა უფრო გამოცდილმა რეიმ.

ორივემ შენიშნა, რომ მათ ჩურჩულს ორი წყვილი თვალი დაძაბული უსმენდა. ეშბუს ისევ ის შიშის გრძნობა დაეუფლა, თუმცა ისინი შავი რქის ხალხს არ ჰგავდნენ,

ტრიბუნაზე ჩია არსება გამოჩნდა. საყოველთაო სიჩუმე ჩამოვარდა. იგი, გმირზე მათ წარმოდგენას საერთოდ არ შეესაბამებოდა. ბრგე, კეხიანი ცხვირისა და არწივისებური გამომეტყველების ნაცვლად გამხდარი, ავადმყოფური სახის ჩვეულებრივი სუბიექტი ჩანდა. მხოლოდ წვრილი, უმოძრაო თვალებიდან მომავალი გამჭოლი მზერა თუ მიიქცევდა თქვენს ყურადღებას. რაღაც უსიამოვნო განცდას ბადებდა ეს მზერა.

არავინ იცოდა, საიდან მოვიდა გოა. არავინ იცოდა მისი ძალის საიდუმლო. ათასი ლეგენდა დადიოდა მასზე. იმასაც ამტკიცებდნენ, რომ შეეძლო სულად გადაქცეულიყო და უჩინარი გამხდარიყო, შეეძლო კედელში გაევლო. ამის გამო, ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ის კუზიანი პლანეტის მბრძანებელის, თეთრი სიკვდილის გამოგზავნილი და მისი ნათლული იყო.

კუზიანი პლანეტა, ლურჯი პლანეტის უბოროტესი მტერი, დიდი ხანია ლურჯი პლანეტის დასაპყრობად ემზადებოდა.

გოას უცხოპლანეტელობის თაობაზე არგუმენტად მეჯინიბის მონაყოლიც მოჰყავდათ – ჩემი თვალით ვნახე სარაგოსას ველზე მფრინავი თეფშით როგორ დაეშვაო. ბევრს ამაზე ეცინებოდა, რადგან მეჯინიბე ფხიზელი თითქმის არავის უნახავს და აბა რა დაეჯერებოდა. რეისაც არ სჯეროდა ამ ჭორების და კაფანდარა გოას დანახვაზე ოდნავ გაეღიმა.

– მგონი ჩვენ გვიყურებს. რეი, წავიდეთ აქედან!

რეიმაც იგრძნო საშინელი გამჭოლი მზერა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მისი ტვინი რენტგენზე გაატარეს.

სატურნის ხეივანს გაუყვნენ ფეხით. უყვარდათ ეს ხეივანი. მყუდრო, ავი თვალებისგან მოფარებული იყო. აქ სეირნობდნენ ხოლმე მალულად.

ახლა შეეძლოთ აღარავის დამალვოდნენ და თავის გრძნობებზეც ელაპარაკათ.

აგრილდა.

რეიმ თავისი ქურთუკი ეშბუს მოახურა. გოგონამ ნაცნობი სურნელი იგრძნო, ჟრუანტელმა დაუარა და ვერ გაიგო მისი ბაგეები ვაჟისას როგორ შეუერთდა.

რეიმ ქალიშვილი სახლამდე მიაცილა. გაბრუებულმა ერთხანს კიდევ ქუჩებში იხეტიალა და სახლში გვიან დაბრუნდა.

იმ ღამეს ქალაქს არ ეძინა.

საყოველთაო სიხარულსა და ეიფორიას მოეცვა უშუ-ბადუს მცხოვრებლები. გოა მათ ბედნიერ ცხოვრებას შეჰპირდა, უთქვამს, მუშაობა ნებყოფლობითი იქნებაო, გაუქმდებოდა სიყვარულის აკრძალვა და შახტებში ჰაერის დღიურ ნორმას გაორმაგებდა.

უფრო მეტიც, ახალი შახტის გახსნის პირობა დაუდია, სადაც ჭის კედლებზე ამოკვეთილი კიბის ნაცვლად შახტში ლიფტით ჩავიდოდნენ და დღე-ღამეში ორი საათით განათებაც იქნებოდა.

რეის სიამოვნებდა ბედნიერი და იმედით სავსე თანამოქალაქეების ყურება.

ინანა, რომ ეშბუ ამ წუთებში გვერდით არ ჰყავდა.

ჯერ წესიერად ჩაძინებული არც იყო, რომ კარზე დააკაკუნეს.

– ნეტავ ვინ უნდა იყოს, – გაიფიქრა.

რაც მისი ერთადერთი მეზობელი, კეთილი მოხუცი თებე გარდაიცვალა, მის კარზე აღარავის დაუკაკუნებია.

– ვინ არის?

– ჩვენ. გააღეთ კარი!

– ვინ თქვენ? – რეის ხმაში შეშფოთება გაერია. შავი რქის ხალხზე მიიტანა ფიქრი.

– სამოქალაქო მორჩილების სამსახური.

– ასეთი რამ არ მსმენია!

– დღეს შეიქმნა, გააღეთ კარი!

რეიმ ოდნავ გამოაღო დამატებით ჯაჭვზე ჩაკეტილი კარი და ის ორი წყვილი თვალი დაინახა, მას და ეშბუს დიქტატურის მოედანზე რომ უთვალთვალებდა.

კვლავ თითქოს რენტგენზე გაატარეს მისი ტვინი.

– ლურჯი პლანეტის ახალ გამგებელს თქვენთან შეხვედრა სურს. ჩაიცვით!

– კი მაგრამ, მე მას არ ვიცნობ!

– ის გიცნობთ. ჩაიცვით!

რეის წინააღმდეგობის გაწევა უნდოდა, მაგრამ მათმა მზერამ ერთიანად მოადუნა და ნებისყოფა წაართვა. წინააღმდეგობის გაწევის გარეშე გაჰყვა. მიხვდა, რომ ეს არსებები ადამიანზე ზემოქმედების არამიწიერ უნარს ფლობდნენ. პირველად ამ დროს გაუჩნდა ეჭვი, რომ ისინი მართლაც სხვა პლანეტიდან იყვნენ.

იმის გაფიქრებამაც კი შეაძრწუნა, რომ ეს სხვა პლანეტა შეიძლება კუზიანი პლანეტა ყოფილიყო. ის ლურჯი პლანეტიდან სამოცი სინათლის წელიწადით იყო დაშორებული, მაგრამ ფიქრობდა – ვაითუ მათი ბოროტი ცივილიზაცია ისე განვითარდა, რომ აქამდეც მოაღწიესო. შეიძლება ეს ჯერ მხოლოდ პირველი დესანტი ყოფილიყო. ასეთი აზრები უტრიალებდა რეის და მაინც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, მორჩილად მიჰყვებოდა ღამეულ სტუმრებს.

ციხე-სიმაგრის მსგავს შენობას მიადგნენ.

უზარმაზარი კაბინეტის ბოლოში უკვე ნაცნობი სამკუთხა თავი და წვრილი თვალები გამოჩნდა

– მოვიყვანეთ, ბატონო. წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია, თუმცა ისეთი ძლიერი გონებრივი ველი აქვს, ცნობიერება ვერ გავუთიშეთ – ხმადაბლა ჩაულაპარაკა მსახურმა მბრძანებელს, მაგრამ რეის მახვილ სმენას ნათქვამი არ გამოპარვია.

– ჰო, მეც მაშინვე ვიგრძენი ეს, იქ, მოედანზე. ყველასგან გამოირჩეოდა. მისი დახმარება გაგვიადვილებს საქმეს,– უპასუხა გოამ.

რეის ხმა არ გაუგონია, ისე გაიგო გოას ნათქვამი.

– დაბრძანდით.

რეი დაჯდა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ ტესლას ლაბორატორიაში მუშაობდით შავი რქის სასარგებლოდ.

რეიმ გადაწყვიტა, რომ ხელმოწერილი ფიცისთვის არ ეღალატა და არაფერი უპასუხა.

მბრძანებელს სახე შეეცვალა. წამიერად მისი სახის ნამდვილმა, არამიწიერმა სილუეტმა გაიელვა.

– ჩვენ ნებაყოფლობით თანამშრომლობას გთავაზობთ. პასუხისათვის დრო ხვალ დილამდე გაქვთ.

გამოსვლისას სიტყვა დააწია:

– თქვენ და ის გოგონა რაზე იღიმოდით მოედანზე სიტყვით ჩემი გამოსვლისას? მგონი თქვენი შეყვარებულია, ხომ?

რეიმ არც ეს დაუდასტურა.

მას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ესენი კუზიანი პლანეტიდან მოსული პირველი კოლონიზატორები იყვნენ. მიხვდა – ლურჯ პლანეტას საშინელება ელოდა. იმასაც მიხვდა, რომ მათი ძალა მზერაში იყო და რომ მათთვის თვალებში ჩახედვის საშუალება არ უნდა მიგეცა, რადგან მოწინააღმდეგის აზრებს თვალებიდან კითხულობდნენ.

ახლა მთავარი იყო როგორმე პლანეტის მოსახლეობას გაეგო, სინამდვილეში ვინც იყო გოა, მაგრამ შიშმა შეიპყრო – დაუჯერებდნენ კი?

რეიმ გოას თვალი აარიდა და გოამ მისი აზრები ვეღარ წაიკითხა.

გოა მიხვდა, რომ რეი სხვა პრიმიტივებს არ ჰგავდა და შეიძლება მისთვის მომავალში პრობლემებიც შეექმნა, მაგრამ მას ხელს არ აძლევდა რეის უბრალოდ თავიდან მოშორება – ძალიან სჭირდებოდა. იმედი ჰქონდა მის ნებისყოფას გატეხდა და თანამშრომლობაზე დაითანხმებდა.

მეორე დილით რეი გოასთან არ წავიდა. შუადღისას კი პროკურორის უწყება მოუვიდა.

– გამოცხადდით მთავარ პროკურორთან სიყვარულის აკრძალვის კანონის დარღვევის გამო, – ეწერა უწყებაში.

– ეტყობა, ასე უნდა ჩემი დამორჩილება, – დაასკვნა რეიმ.

პროკურორიც და მოსამართლეც ახლები იყვნენ. როგორც ჩანს, გოას ხალხი იმაზე ბევრი იყო, ვიდრე ეგონა. ყველგან თავისიანები ჩაენერგა უკვე.

– ბევრნი არიან, ასე უჩუმრად როგორ შემოვიდნენ! იქნებ ადგილზე მრავლდებიან? თუ ამდენი დაიმორჩილა უკვე?

რეი რაღაც შენობის მინუს მესამე სართულზე ჩაიყვანეს. აქამდე ამ ადგილას შენობა არასდროს შეუნიშნავს.

პროკურორის ოთახს წესიერი რვაკუთხედის ფორმა ჰქონდა. თითოეულ კუთხეში გაშეშებული მცველი იდგა, რომელსაც ფორმის სახელურზე ემბლემა ეკეთა წარწერით „სმ“. რეის ვარაუდით, ეს ალბათ „სამოქალაქო მორჩილებას“ ნიშნავდა.

ოთახი უფანჯრებო, ბნელი იყო და პროკურორს მაგიდის სანათი ჰქონდა ჩართული. ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკვე მელოტი. მოკლესახელოიანი პერანგი ზედა სამ ღილზე შეეხსნა, მარჯვენა ხელზე უცნობი სიმბოლოებით შესრულებული ტატუ უჩანდა.

მისმა ცივმა და ჩახლეჩილმა ხმამ რეი შეაკრთო. თვალებში არ შეხედა – უკვე აღარ იცოდა, ვინ უცხო პლანეტიდან მოსული მტერი იყო და ვინ გადაბირებული ადგილობრივი მცხოვრები.

პროკურორმა დაჯდომა არ შესთავაზა.

– ალბათ გაეცანით ბრალდებას. რას იტყვით?

– ეს გაუგებრობაა. ჩვენ უბრალოდ ვთანამშრომლობდით.

პროკურორს გაეცინა. შემზარავი სიცილი ჰქონდა:

– და, უბრალოდ თანამშრომელი სამი წელი იკლავდა თავს, რომ თქვენთან შეხვედრა მოეხერხებინა? გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს თქვენი სიყვარულის დამადასტურებელი არაერთი ანაბეჭდი, ასე რომ უარყოფას აზრი არ აქვს.

რეი დარწმუნდა, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ. ამიტომ სხვანაირად სცადა:

– კი მაგრამ, ეგ კანონი ხომ გაუქმდა?!

– დანაშაული ჩადენილია კანონის გაუქმებამდე. თუმცა, არსებობს გამოსავალი – ჩვენთან ნებაყოფლობით თანამშრომლობა. ჩვენ თქვენი ნიჭი და ცოდნა გვჭირდება.

რეი ფიქრობდა.

პროკურორი ყველანაირად ცდილობდა მისთვის თვალებში ჩაეხედა. რეი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ისინი აზრებს თვალებიდან კითხულობდნენ.

– ახლა თქვენს მიჯნურს შეგახვედრებთ და მოილაპარაკეთ. ორივე გვჭირდებით, – მშვიდად, ცოტა ირონიით უთხრა პროკურორმა და სხვათაშორის დააყოლა – მინდა გითხრათ, რომ ეშბუ ჭკვიანი გოგონა აღმოჩნდა, მან ყველაფერი აღიარა და თანამშრომლობაზეც დაგვთანხმდა.

რეიმ თვალები დახუჭა და ისე გაიფიქრა:

– იდიოტი! ჰგონია დავუჯერებ? ეშბუ მაგას არასდროს გააკეთებს.

– შემოიყვანეთ – გასძახა მისამართლეს პროკურორმა.

– ისიც დაუჭერიათ არამზადებს! – ისევ თვალდახუჭული ფიქრობდა რეი.

ეშბუს წამების კვალი ეტყობოდა.

– მარტო დაგტოვებთ, – თქვა პროკურორმა და ოთახიდან გა-

ვიდა.

ეს ალბათ ფანდია. ოთახი უთუოდ ისმინებოდა.

საუბარი ძალიან მოკლე გამოვიდა. მათ უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის.

– ეშბუ, ჩვენ ახალ ხელისუფლებასთან უნდა ვითანამშრომლოთ.

გოგონამ თავი დაუქნია. მან ვაჟის ნათქვამი ასე გაიგო:– ეშბუ, ჩვენ პლანეტა უნდა გადავარჩინოთ.

ამ დროს კედლიდან მომღიმარი გოა გადმოვიდა. უკვე დასამალი აღარაფერი იყო და თავისი ძლევამოსილების საჩვენებლად გოა კარის ნაცვლად კედლიდან შემოვიდა.

– ვიცოდი, რომ გონიერი ახალგაზრდები იყავით!

– რაში მდგომარეობს ჩვენი ამოცანა? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა რეი.

– თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ლურჯ პლანეტასა და კუზიან პლანეტას შორის გზის გაფართოებაში. დროის გვირაბს ვგულისხმობ.

რეიმ იცოდა, რომ კუზიან პლანეტაზე დიდი ხეები ვეღარ ხარობდა და ჟანგბადი ილეოდა. მწვანე პლანეტა, დედამიწა, დიდი ხანია რაც, თავისი უგუნური ქმედებით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაანადგურეს. შვიდასი აქაური წლის წინ კუზიანი პლანეტის მკვლევარებმა ლურჯ პლანეტაზე ჟანგბადი აღმოაჩინეს და აქ გადმოსახლება გადაწყვიტეს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი დიდი ზომის ხომალდები ამ ორ პლანეტას შორის არსებულ დროის გვირაბში ვერ ეტეოდნენ. პატარა ხომალდებით ამდენი ხალხის ევაკუაციას კი დიდი დრო და ხარჯები სჭირდებოდა. გადაწყვიტეს გვირაბის გაფართოება. მაგრამ კუზიანი პლანეტის მეცნიერებმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვეს. მათი აზრით ამის გაკეთებას მხოლოდ ის შეძლებდა, ვინც ყველაზე უკეთესად ფლობდა ნახვევის ტიპის ფუნქციათა თეორიას. საგარეო დაზვერვა რეის კვალზე გავიდა

და პირველი ექსპედიციის მისია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რეი მოეძებნათ და მისი საშუალებით გვირაბი გაეფართოებინათ. ძალაუფლების ხელში აღებაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

გოა საუბარს აგრძელებდა.

– თქვენ აღადგენთ ტესლას ლაბორატორიას. ამისათვის თქვენს განკარგულებაში იქნება განუსაზღვრელი ადამიანური და მატერიალური რესურსი. პატივი და დიდება არ მოგაკლდებათ. ღალატის შემთხვევაში ორივე წამებით დაიღუპებით და თქვენი არსებობის შესახებაც კი აღარავის ეცოდინება. ჩვენ გავაკონტროლებთ თქვენს ყოველ ნაბიჯს. იმუშავებთ და იცხოვრებთ მხოლოდ ლაბორატორიის ტერიტორიაზე.

– როდიდან უნდა შევუდგეთ მუშაობას?

– დღეს მძიმე დღე გქონდათ, დაისვენეთ. ხვალ დილით ჩემი ხალხი მოგაკითხავთ.

***

უშუ-ბადუს მოსახლეობა ზეიმს განაგრძობდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გოას პორტრეტები და ბანერები გამოეფინათ. ამბობდნენ, რომ შახტებში ჰაერის ულუფის გაზრდა უკვე საარჩევნოდ იგეგმებოდა და რამდენიმე თვეში ახალი შახტიც გაიხსნებოდა. ამაღლებულ განწყობას მხოლოდ შავი რქის მომხრეების პერიოდული გამოხტომები აფერმკრთალებდა.

რეი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ცხადი იყო, ან ის და ეშბუ უნდა დაღუპულიყვნენ, ან დაღუპულიყო მათი საყვარელი ლურჯი პლანეტა.

პირველი, რაც თავში მოუვიდა, ის იყო რომ მის მიერ შექმნილი უჩინარი მკვლელი ვირუსით გაენადგურებინა ყველა ფაილი, სადაც ნახვევის ტიპის ფუნქციების შესახებ გამოკვლევები ინახებოდა. მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. გოა ძალიან ჭკვიანი გახლდათ და ცხადია თადარიგს დაიჭერდა – ასლებს მოიმარაგებდა.

როცა ცოტა ხნით მარტო დარჩნენ, თავისი შიში ეშბუს გაუზიარა.

ეშბუმაც ეს აზრი მაშინვე უარყო, მშვიდად უთხრა.

– რეი, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ გვირაბის გაფართოებაზე.

– მერე?

– რეი, მაქვს გეგმა, მაგრამ ახლა ვერ გაგიმხელ.

რეის გული შეეკუმშა. ვერასოდეს წარმოიდგენდა თუ ეშბუ მისდამი ოდესმე უნდობლობას გამოიჩენდა.

ეშბუ მის წუხილს მიხვდა და თბილად გაუღიმა.

– არა, რეი, საქმისთვის ასე ჯობია. ისინი, ცხადია, შენი ტვინის ყველა უჯრედს გააკონტროლებენ, ამიტომ ჯობია არაფერი იცოდე. მე მაშინ ჩავერევი , როცა უკვე ვეღარაფერს შეცვლიან. შენ ოღონდ დროის გვირაბი მაქსიმალურად გააფართოვე, ისე რომ დიფრაქციის მახასიათებელსა და ინდიკატრისას შორის სხვაობა სტაბილიზაციის კოეფიციენტის მეათედზე მეტი არ იყოს.

– მაპატიე ძვირფასო – უთხრა ქალიშვილს, გულში კი გაიფიქრა – ღმერთო, როგორ მიყვარს ეს ლამაზი და ჭკვიანი თავი.

***

სარაგოსას ველზე გამალებული სამუშაოები მიმდინარეობდა. დიდი ტერიტორია საგანგებო ზონად გამოცხადდა და იქ შესვლა, რამდენიმე ადამიანის გარდა, არავის შეეძლო. ისინიც ძირითადად ხომალდით მოფრენილი ინჟინრები იყვნენ – მომსახურე პერსონალი.

პერიოდულად, ხომალდის შეკეთების მიმდინარეობის შესამოწმებლად, აქ თვით გოა მოდიოდა.

– რა დრო დასჭირდება კიდევ?

– სავარაუდოდ ორი-სამი თვე.

– ამდენს ვერ მოვიცდით, ერთ თვეში ხომალდმა ფრენა უნდა შეძლოს.

გოა ჩქარობდა, მას ეშინოდა, რომ ადრე თუ გვიან ლურჯი

პლანეტის მცხოვრებლები მის ვინაობას გაიგებდნენ და არსებული მცირე ძალებით მათ დამორჩილებას ვეღარ შეძლებდა.

ვარსკვლავთშორისი კავშირის ტელეფონი ისე გამოსულიყო მწყობრიდან, რომ მისი აღდგენა ვეღარ ხერხდებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო კუზიან პლანეტაზე მისი გაფრენა და მმართველთან მოხსენების პირადად წარდგენა. ალბათ მშობლიური პლანეტის ევაკუაციის ორგანიზებასაც მას, გოას დაავალებენ.

საღამოს მოახსენეს, რომ რეი ითხოვდა მასთან შეხვედრას.

– სასწრაფოდ შემოიყვანეთ!

მისდა გასაკვირად, რეი პირდაპირ თვალებში უყურებდა.

დეტალურად დაათვალიერა მისი ტვინის ყველა კუთხე-კუნჭული. საეჭვო არაფერი ჩანდა. ყველაფერი სუფთა იყო. ტვინი მთლიანად დროის გვირაბის გაფართოების გეგმით იყო შევსებული.

კუზიანი პლანეტის დესპანმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

– მბრძანებელო, გაფართოების გეგმა უკვე მაქვს. ვფიქრობ რეალისტურია. ოღონდ აუცილებელია დამატებით აი ამ აპარატურისა და მასალების შეძენა. პრობლემა ისაა, რომ სამოცდაოთხსიჩქარიანი რეზონანსული ამაჩქარებელი და ბოლო მოდელის ასოცდარვაბირთვიანი ზემძლავრი მაგნიტური კომპიუტერი ძალიან ძვირად ღირებულია.

– არაუშავს, მთელი პლანეტის ბიუჯეტიც რომ დასჭირდეს, დიდი საბჭო უპრობლემოდ დაამტკიცებს.

მეორე დღეს დიდმა საბჭომ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამინისტროს ბიუჯეტის მესამედი გამოუყო რაღაც გამოგონილი საბაბით.

ვინც წინააღმდეგი წავიდა, ზოგი უკვალოდ გაქრა, ზოგი, სხვადასხვა მიზეზით, პროკურატურაში დაიბარეს.

პრობლემები იყო ტესლას ლაბორატორიაშიც. შავი რქის ერთგულმა რამდენიმე კოლეგამ რეის და ეშბუს მოღალატეები უწოდა და თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. მათაც დაკით-

ხვაზე გამოცხადების უწყებები მოუვიდათ.

პლანეტაზე ნელ-ნელა იმედგაცრუება და შიში ისადგურებდა. გოა დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ გადაბირებულები ერთ მშვენიერ დღეს გადაუდგებოდნენ და რეის აჩქარებდა.

– ერთ მაგდენს კიდევ ჩემი პირადი ფონდიდან გამოგიყოფ, ოღონდ ერთ თვეში გვირაბი გაფართოებული იყოს, თანაც მაქსიმალურად.

რეის ხვეწნა არ სჭირდებოდა. თვითონაც დაინტერესებული იყო ამით. გოამ ეს დაინახა და დაწყნარდა, თუმცა ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და კონტროლი კიდევ უფრო გაამკაცრა. რეის ალესილი ხმლის პირზე სიარულის პირობებში უწევდა მუშაობა. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და კატასტროფა გარდუვალი იქნებოდა.

თავიდან ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ ერთ კვირაში გაუთვალისწინებელმა პრობლემამ იჩინა თავი – მთავარი ინდიკატრისის სტაბილიზაცია ვერ ხერხდებოდა. საწყის ეტაპზე გლუვად იწყებდა ზრდას, მაგრამ მერე არითმია ეწყებოდა და ზრდა ნახტომისებურში გადადიოდა. დიფრაქციის მაჩვენებელი ინდიკატრისას მკვეთრად თუ ჩამორჩებოდა, ამაჩქარებელში რეზონანსული მოვლენები განვითარდებოდა. მაქსიმალური გაფართოებითვის მათ შორის სხვაობა სტაბილიზაციის კოეფიციენტის მეათედზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამას კი ვერ აღწევდნენ. იძულებული იყვნენ ამაჩქარებელი გამოერთოთ.

ისევ ეშბუმ იპოვა გამოსავალი. როცა ორი წუთით ჰაერზე გამოიყვანეს და მეთვალთვალის გარეშე დარჩნენ, უთხრა:

– პირიქით სცადე. ჯერ დიფრაქციის მაჩვენებელი მიიყვანე საჭირო ნიშნულამდე და მხოლოდ ამის შემდეგ გაზარდე ინდიკატრისა.

ეშბუ მართალი აღმოჩნდა. რეი ვერ ხვდებოდა რა ჰქონდა ჩაფიქრებული ეშბუს საბოლოოდ. კაცმა რომ თქვას, ამაზე შეგ-

ნებულად არც ფიქრობდა, რადგან გოა ძალიან ეჭვიანი გახდა და მის ტვინს ყოველდღე უკვე სკანერითაც აკონტროლებდა. ღმერთო, რა მართალი აღმოჩნდა ეშბუ!

***

ხალხი უკვე დაპირებულს ითხოვდა. პლანეტის ბიუჯეტი ფაქტიურად გაფლანგული იყო. ყველა, ვისაც ხელი მიუწ-ვდებოდა, უკვე ღიად იტაცებდა გადასახადების გადამხდელთა ფულს.

აღარც ახალ მაღაროზე საუბრობდა ვინმე და არც ძველ მაღა-როში გაზარდეს ჰაერის დღიური ულუფა. პირიქით, არალოი-ალურად განწყობილებს მესამედით შეუმცირეს კიდეც. ყოველ-დღე რამდენიმე გაგუდული მაღაროელი ამოჰყავდათ მიწის-ქვეშეთიდან.

გოა აშკარა ტერორზე გადავიდა. პროკურატურა სრული და-ტვირთვით მუშაობდა. აღადგინეს სიყვარულის აკრძალვის კა-ნონი და შემოიღეს თანამოაზრეობის აკრძალვაც.

განსაკუთრებული აგრესიულობით გადაბირებულები გამო-ირჩეოდნენ – ეს გოას საყრდენი იყო. ხმის ამოღებას თუ ვინმე გაბედავდა, მაშინვე ახშობდნენ.

პლანეტა შიშმა მოიცვა. რეპრესირებულებთან ურთიერთო-ბას ყველა ერიდებოდა. მხოლოდ ჩუმად იწყევლებოდნენ.

– როგორ მოგვატყუა!

– მოგზავნილი ყოფილა!

მდგომარეობას ის ართულებდა, რომ შავი რქის მომხრეებიც გააქტიურდნენ, რაც ყველაზე მეტად აშინებდა გოას.

ბოლო შეხვედრაზე კატეგორიულად მოსთხოვა რეის სამუ-შაოების დაჩქარება.

– კვირის ბოლოს უკანასკნელ მოდელირებას გავაკეთებთ და შეგვეძლება უკვე გვირაბის ექსპლოატაციაში გაშვება.

მკვლევარის პასუხმა დააიმედა – ერთ კვირას კიდევ გაძლებ-და. მერე კი, როცა დაბრუნდებოდა, მოგონებასაც არ დატოვებ-

და ამ საცოდავი არარაობებიდან.

იმავე ღამეს ლაბორატორიის კიდევ ოთხი თანამშრომელი დააკავეს. მიზეზი სასაცილო იყო – ეკოლოგიურ საკითხებში შავი რქის მიმდევრებთან თანამოაზრეობა დაბრალდათ.

რეი შეშფოთებული იყო, ფიქრობდა, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა მათგანს გაანადგურებდნენ. ვერც ვერაფერს დაგეგმავდა – მისი ყველა ფიქრი უკვე მონიტორში ჩანდა.

იგი ეშბუს იყო ბრმად მინდობილი.

ეშბუ კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს აღარც ახსოვდა ეს საქმე.

***

კვირის ბოლოს მოდელირებამ წარმატებით ჩაიარა. გოა და მისი საახლობლოც ესწრებოდა და სიხარულს ვერ ფარავდნენ.

ხომალდიც უკვე შეეკეთებინათ.

ორშაბათისთვის გვირაბის გაფართოება და იმავდროულად გაფრენაც დაინიშნა.

ათი მოფრენილი უცხოპლანეტელიდან სარაგოსას ველზე მხოლოდ რვა იდგა. გოამ ორი ხელქვეითი ტესლას ლაბორატორიაში დატოვა ზედამხედველობისთვის, რომ ბოლო მომენტში არაფერი მომხდარიყო. მათ გარდა ლაბორატორიის მხოლოდ შვიდი თანამშრომელი წარმართავდა პროცესს.

ეშბუ მათ შორის არ ჩანდა.

ზუსტად დილის ექვს საათზე დაიწყო დროის უკუათვლა.

ათი წამის შემდეგ გვირაბის გაფართოება დაიწყებოდა.

ლაბორატორიიდან ხომალდზე სიგნალი გაიგზავნა – პროგრამა წარმატებით ჩაირთო და გაფრენა უკვე შეიძლებაო. რაკი ხომალდი პატარა იყო და ძველ გვირაბშიც ეტეოდა, ხომალდის მეტად დაყოვნებას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

რეი შეძრწუნებული იყო.

თუ გოა აქედან გაასწრებდა, ცოტა ხანში კუზიანი პლანეტის მთელი არმიით დაბრუნდებოდა.

სად არის ეშბუ? რატომ აიმედებდა? ნუთუ მიხვდნენ და რამე დაუშავეს?

ხომალდი გვირაბში შეიჭრა. ერთ საათში მისმა სიჩქარემ ასოცჯერ გადააჭარბა სინათლის სიჩქარეს. ნახევარ წელიწადში მიაღწევდნენ მშობლიურ კუზიან პლნეტას. სასიამოვნო იყო მონიტორზე იმის ყურება, როგორ ნელ-ნელა ფართოვდებოდა დროის გვირაბი.

გოა ზეიმობდა.

უცბად, ხომალდის მონიტორზე გრაფიკა გაქრა და ეშბუ გამოჩნდა თავისი მოკრძალებული ღიმილით.

ვიდეომიმართვა წინასწარ იყო ჩაწერილი.

– ძვირფასო გოა, მომიტევეთ, რომ თქვენთვის კარგი ამბის მაცნე არ ვარ. როდესაც გვირაბის გაფართოება მაქსიმალურს მიაღწევს, დროის გვირაბი აფეთქდება და გზა გაქრება. თქვენ იხეტიალებთ უსასრულო სამყაროში უგზოუკვლოდ მანამ, სანამ საკვები გეყოფათ. ხომალდს ვერც უკან მოაბრუნებთ და თქვენი კუზიანი პლანეტა ვერასოდეს გაიგებს თქვენი ბედის შესახებ.

თქვენმა ცივილიზაციამ ბევრად გაუსწრო ჩვენსას, მაგრამ მაინც დამარცხდა, რადგან გამოგრჩათ მთავარი, ის რაც ჩვენ ვიცით – სიყვარული.

თქვენ ვერც კი წარმოიდგინეთ, რომ საყვარელი ადამიანი ასე უპირობოდ მენდობოდა და ამიტომ ვერ მიხვდით, როგორ შეიცვალა პროგრამაში სტაბილიზაციის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა ნახევარი პროცენტით.

ამის გამო დიფრაქციის მაჩვენებელსა და ინდიკატრისას შორის სხვაობა დასაშვებზე ნაკლები გახდება და აფეთქება გარდუვალია.

ეს ყველაფერი მე მეგობრისა და სამშობლოს სიყვარულის გამო ვისწავლე, რასაც თქვენ ვერასდროს გაიგებთ.

საინტერესო მოგზაურობას გისურვებთ.

თქვენი ეშბუ.

***

ეს ჩანაწერი ლაბორატორიაშიც გადაიცემოდა და დარ-ჩენილი ორი ზედამხედველი მაშინვე გაკოჭეს, რეის ბრძანებით თვალები სქელი შავი ნაჭრით აუხვიეს.

კარი გაიღო და ლაბორატორიაში თვალებით მომღიმარი ეშბუ შემოვიდა.

რამდენიმე წუთში პლანეტის მთავარმა არხმა მაუწყებლობა მოულოდნელად გაწყვიტა და ეშბუს მიმართვა გაავრცელა სა-თანადო კომენტარებით. ყველამ გაიგო მომხდარის შესახებ.

ხალხი მაღაროდან ამოდიოდა და გმირების სახელებს გაი-ძახოდა.

გადაბირებულებს ხალხის რისხვის შეეშინდათ და სოროებს მიაშურეს, დროებით, რა თქმა უნდა.

პლანეტამ ნამდვილი არჩევნებისთვის დაიწყო მზადება.

მზადება იყო ტესლას ლაბორატორიაშიც. ამბობდნენ, რეიმ ეშბუს ხელი სთხოვა და თანხმობაც მიიღო.

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

ლანჩა

ის დროა, საბჭოთა კავშირი კორუფციაში ყელამდე თუ არა, იღლიებამდე მაინც რომ არის ჩაფლული და, შესაბამისად, მალე სიკვდილის ბუზი დააჯდება.

აგვისტოს თვე ჯერ შუამდე არ იყო მისული. უნივერსიტეტ-ში მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. საპრეტენზიო კომი-სიის თავმჯდომარე გახლავართ. კომისიაში, ჩემ გარდა, კიდევ ხუთი წევრია, სულ ნარჩევი კაცები – წესიერი კაცები. საქმე

რთულია, მაგრამ სიამოვნებით ვაკეთებ, რადგან გვერდით თანამოაზრეები მყავს – ღალატის არ მეშინია.

მოსაღამოვდა. ყველა ნაწერის საფუძვლიანად განხილვა მოვასწარით და უკვე სააპელაციო დარბაზისკენ მივდივართ, აბიტურიენტებთან და მათ მშობლებთან შესახვედრად.

ჩემ წინ შოთა მიდის, კომისიის ერთ-ერთი წევრი, კაცი, რომელსაც, როგორც იტყვიან, პატიოსნების და იუმორის გრძნობის მეტი არაფერი გააჩნდა. რაღაც უცნაურად მიათრევს ფეხს, უფრო ზუსტად – მიატყაპუნებს.

– შოთა, ფეხზე რა დაგემართა?

– კაცო, ფეხსაცმელს თითქმის ნახევარი ლანჩა ასძვრა და ამ გამოცდების გადამკიდე ვერ შემიკეთებია. აქედან რომ მივდივარ, ხელოსანი უკვე წასული მხვდება.

– აუ, აბა რა უნდა ქნა? როდემდე ივლი ასე? – გულწრფელად შევწუხდი მე.

– არაუშავს, სამაგიეროდ კარგად ვერთობი. აი, შეხედეთ – შოთამ მარჯვენა ფეხი ქუსლზე შეაყენა და უკვე დამუშავებული მოძრაობით ლანჩა რამდენჯერმე გაატყაპუნა.

სააპელაციო დარბაზში კომისიის ყველა წევრს თავისი მაგიდა აქვს. მაგიდები ერთმანეთის შორიახლოსაა განლაგებული. მაგიდის იქითა მხარეს აბიტურიენტი და მშობელი ჯდება და ასე მიმდინარეობს ნაშრომის განხილვა. მაგიდები კაბინეტური ტიპისაა – მეორე მხრიდან სანახევროდ დახურული, მხოლოდ ფეხი რომ გაეტევა ისეთი.

მე ზოგადად ვაკონტროლებ სიტუაციას. საჭიროების შემთხვევაში მეძახიან და ვერევი განხილვაში. ნათქვამი მქონდა, რომ თუ მეორე მხარე თემიდან გადაუხვევდა – შეეწყვიტათ განხილვა.

ქალბატონი მარტო მოვიდა. აბიტურიენტი არ მოჰყოლია. გარეგნულად მართლა ქალბატონია! ძვირფასი ყელსაბამი და ძვირფასი სამოსი ზუსტად შეესაბამებოდა მის მაღლა აწეულ

წარბებსა და ზვიად გამომეტყველებას.

შოთას მაგიდასთან მოხვდა.

საუბარი დიდხანს გაუგრძელდათ.

შორიდან ვგრძნობ, რაღაც ვერ არის რიგზე. ასე მგონია, ის ქალბატონი იმ სკამიდან არასდროს ადგება – ნამუშევარს არც უყურებს, საიდუმლო გამომეტყველებით ეჩურჩულება მისი შვილის ბედის გამგებელ ღმერთკაცს.

შოთა ალეწილია, მაგრამ მაინც კეთილ ღიმილს ინარჩუნებს. ცდილობს ქალბატონი როგორმე ნაშრომის განხილვაში ჩაითრიოს, მაგრამ არ გამოსდის – მეორე მხარე აშკარად ჯაბნის. ვერც საუბრის შეწყვეტას ახერხებს – მორცხვი და ხათრიანი კაცია. შიგადაშიგ რაღაცას მორიდებით პასუხობს და უარის ნიშნად თავს აქნევს.

უკვე ჩარევას ვაპირებდი, მაგრამ ვხედავ – შოთას კეთილი ღიმილი გაუქრა და მესმის მისთვის სრულიად უჩვეულო ხმამაღალი შეძახილი:

– ქალბატონო! ეგეთი რამეები რომ შემეძლოს, ასე ვივლიდი?! – შოთამ მაგიდის ქვემოდან გამოყო მარჯვენა ფეხი და ზემოთხსენებული მოძრაობით ფეხსაცმლის ლანჩა რამდენჯერმე გაატყაპუნა.

გაჭრა!

ქალბატონი მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, თავის ზვიად გამომეტყველებას ცოტა ბრაზისა და სიბრალურის ელფერი შეურია და უთხრა:

– მეტის ღირსი არც ხარ!

ყველაზე მეტად შოთამ იხალისა.

ცოტა ხანში მსგავსი შემთხვევა გამეორდა, ოღონდ კომისიის სხვა წევრთან, რომელიც შოთასგან მოშორებით იჯდა. აქ შედარებით რთულადა საქმე, რადგან კომისიის წევრი უფრო ახალგაზრდა და გამოუცდელია, მეორე მხარე კი ასეთ საქმეებში აშკარად გამობრძმედილი ჩანს – რომ იტყვიან, მიეწებნენ. მეც

შეგნებულად არ ვერევი – უკვე კვიმატ ხასიათზე ვარ და მაინტერესებს რას იზამს ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი.

ისევ შოთას ფეხსაცმელმა გვიშველა. გვესმის :

– ბატონო შოთა, თუ შეიძლება, მათხოვეთ თქვენი ფეხსაცმელი!

ერთხელ გამოცდაზე

დეკანმა დამირეკა, ფეხმძიმე სტუდენტია გამოსაცდელი, ინდივიდუალური გამოცდა აქვს დანიშნული და უნდა ჩავატაროთ, ჩემს კაბინეტში გელოდებითო.

ამ სტუდენტს კარგად ვიცნობდი. უაღრესად კეთილსინდისიერი და ბეჯითი გოგონა გახლდათ. შესანიშნავად სწავლობდა და დარწმუნებული ვიყავი, მისთვის გამოცდის ჩაბარება პრობლემა არ იქნებოდა. გარეგნულადაც და სულიერადაც ლამაზი იყო. არა, უბრალოდ ლამაზი კი არა, რაღაცნაირი ფაქიზი სილამაზე ჰქონდა. ორსულობამ ხომ საერთოდ ღვთისმშობელს დაამსგავსა.

ოდნავადაც არ ცდილობდა თავისი მდგომარეობით ესარგებლა და ეს კიდევ აათმაგებდა მისდამი ჩემს კეთილგანწყობას.

საგამოცდო აუდიტორიას აღარ დავუწყე ძებნა და სტუდენტს აქეთ-იქით ტარება. იქვე, დეკანის დიდ კაბინეტში, ჩვენგან მოშორებით, მოვუწყვე ერთი მყუდრო კუთხე და მივეცი ბილეთი.

საერთოდ, ჩემს გამოცდებზე იდეალური წესრიგი უნდა ყოფილიყო. გადაწერის ან კარნახის ნებისმიერი მცდელობისთვის სტუდენტი უყოყმანოდ იხსნებოდა გამოცდიდან. სტუდენტებმა იცოდნენ, რომ ჩემი მხრიდან აქ რაიმე კომპრომისი გამორიც-

ხული იყო, ამიტომ ძალზე იშვიათად თუ არღვევდა ვინმე წესრიგს.

დეკანის მაგიდასთან, დეკანის გარდა, კიდევ ერთი კოლეგა ზის და სამნი წყნარად ვსაუბრობთ.

უეცრად, გულის მიდამოებში რაღაც საძაგელმა განცდამ ფეხზე წამომაგდო:

– იგრძენით?

– არა, რა იყო?

– არ ვიცი, რაღაც ხდება!

ორივემ შემომხედა.

– ცუდად ხომ არ ხარ?

მათ ყურადღება არ მივაქციე, გავვარდი ოთახის შორეულ კუთხეში, ვებდღვენი გოგონას, ჩავჭიდე მაჯაში ხელი და მივარბენინებ კარისკენ.

უკნიდან კოლეგას წამოძახილი მესმის:

– გაგიჟდა?!

– ალბათ რაღაც დაარღვია და გამოცდიდან აძევებს,– სხვა ახსნა ვერ მოიფიქრა დეკანმა.

– რა დაარღვია, ანგელოზივით იჯდა გოგო და წერდა! – აღშფოთებას ვერ მალავს კოლეგა.

გოგონა მომყვება, მაგრამ ინსტიქტურად ოდნავ წინააღმდეგობას მიწევს. ცოტა იმ სცენას ჰგავს, მაღაზიაში გაჯიუტებულ ბავშვს დედა რომ სახლში მიათრევს.

დერეფანში მხოლოდ ორნი არიან – გოგონას მომლოდინე მეგობრები, ბიჭი და გოგო.

შემდგომში ეს უკანასკნელი ამ სცენას ასე აღწერდა:

– დეკანის ოთახიდან გამოვარდა ზერეკიძე და მოათრევს ჩვენს ფეხმძიმე მეგობარს, თან ყვირის – ჩქარა, ჩქარა! დავიბენი – თუ ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, სად მიჰყავს, რატომ სასწრაფოს არ იძახებს-თქო.

სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, კიბით თითქმის ერთი სარ-

თული ჩავიარეთ თუ ჩავირბინეთ და ზუსტად ამ დროს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი ჯერ შეხტა, მერე საშინ-ლად აჭრიალდა და თითქოს სინანულითო, აქეთ--იქით იწყო თავის ქნევა.

ეს სპიტაკის დამანგრეველი მიწისძვრა იყო.

გაფითრებული გოგონა ახლა თვითონ ჩამეჭიდა ხელზე. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცვივდა ხალხი აუდიტორიებიდან. სახლში დავრეკე, იქაც გადავრჩენილვართ.

საღამოს უკვე იუმორით ვუყვებოდი ოჯახის წევრებს ჩემს თავგადასავალს.

მეუღლე მეუბნება:

– იაპონიაში ხომ არ გადავსახლებულიყავით?

– იაპონიაში რა დამრჩენია !

– მაგარი დაფასება გექნებოდა.

– ეგ როგორ?

– მილიარდებს ხარჯავენ იმისათვის, რომ თუნდაც ორი წუთით ადრე მოახერხონ მიწისძვრის პროგნოზირება.

ქალი მაინც ქალია – ყველგან სარგებელს ეძებს.

უცხო ქვეყანაში ცხოვრების არავითარი სურვილი არ მქო-ნდა, ამიტომ თავის დაძვრენას ვცდილობ.

– არ კმარა, მე დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი წამით ადრე ვიგრძენი.

– არა უშავს, ცოტას ივარჯიშებ – შენ არ ამბობ ხოლმე, ვარ-ჯიშით ყველაფერი მიიღწევაო?!

***

წლების შემდეგ, როცა მე და იმ სცენის შემსწრე სტუდენტი ვაჟი თანამშრომლები გავხდით და გამიშინაურდა, ყვებოდა:

– გამორიცხული იყო ჩვენს მეგობარს რამე დაეშავებინა, თქვენც ხომ სულ მის ქებაში იყავით. ამიტომ ვიფიქრე – ალბათ მუცლად მყოფმა ბავშვმა დაარღვია გამოცდაზე მოქცევის რამე წესი და თქვენ მას აძევებდით.

ჩემი პირველი ძმაკაცი

ჩემმა ახალგაზრდობამ ისე ჩაიარა, ძმაკაცს რომ იტყვიან, არ მყოლია. მხოლოდ მეგობრები და ამხანაგები მყავდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაშინ ძმაკაცობა არც იყო მოდაში, ის-ის იყო შემოდიოდა.

ახლა უკვე ძმაკაციც მყავს. კარგი რამ ყოფილა. ექვსი წლისაა. ალექსანდრე ჰქვია, მაგრამ ძმაკაცობაში სანდროს ვეძახი.

რომ დაიბადა, ქართული ტრადიციები მოვიმიზეზე და ერთ-ხანს არ გავუშვი თავის სახლში. ამიტომ კარგად ვიცნობ.

ძალიან ადვილად მოსავლელი ბავშვი იყო, მსუქანი. რა მდე-ბარეობაშიც დააწვენდი საწოლზე, ისევე დაგვხვდებოდა. გად-მოვარდნის საშიშროება არ არსებობდა, რადგან საერთოდ ვერ ბრუნდებოდა. ხოხვის, ცოცვის და დგომის ეტაპები გამოტოვა და ზურგზე წოლიდან პირდაპირ სიარულზე გადავიდა. სანამ ამას ჩაიდენდა, დედამისი და ბებია ნერვიულობდნენ:

– ვაიმე, საერთოდ რომ ვერ გაიაროს?!

მე ვაწყნარებდი:

– დასჭირდება და გაივლის!

მისი თანდასწრებით კახელ ბავშვზეც მოვყევი, პირველად თორმეტი წლისამ რომ დაილაპარაკა და თავისი დუმილი ასე ახსნა – აქამდე ხაშლამას მარილი არ აკლდაო.

არ დაიჯერეს, ანეკდოტიაო და ერთხელ მასაჟისტიც მოუყვა-ნეს. ბავშვი კინაღამ მოკვდა სიცილით. ვერ გავიგეთ, კახელი ბავშვი გაახსენდა თუ ეღუტუნებოდა.

ბოლოს დაანებეს თავი. ჩემმა გენეტიკურმა თეორიამ გაი-მარჯვა. ვუთხარი:

– შეიძლება წინაპრებისგან მოსდგამს, მამაჩემიც ხუთ წლამ-დე არ დადიოდა, მაგრამ ერთი რომ გაიარა, აღარ გაჩერებულა მერე.

ძალიან მოძრავი და ენერგიული მამა მყავდა. რომ გეთქვა, მამა სოფელში ქუდი დამრჩაო, კილომეტრებს ფეხით გაივლიდა და ჩამოგიტანდა.

დაწყნარდნენ.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. ახლა ციყვივით არის, არა, უფრო ზუსტად – ტარზანივით. ერთ კედელზე რომ დაჰკრავს ფეხს და ჭერს გადაირბენს, მეორე კედლიდან ჩამოდის.

მეტყველება დროულად დაიწყო, პრინციპში ნორმალურად. მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში ამატებდა ერთ ზედმეტ ასოს. გაგვიმართლა და დედამისს არ დაემსგავსა, რომელსაც, ბავშვობაში, კარგა ხანს, ჩემი მეუღლის მიერ შედგენილი თორმეტფურცლიანი ლექსიკონით ვესაუბრებოდი ხოლმე. მაგალითად, პური იყო ხვა, წყალი – დაიანა, საბანი – აიდილა და ა.შ.

ერთხელ სანდროს მოვეფერე და ასე მივმართე:

– შენ ხარ ჩემი კვიცი. ოღონდ სერიოზულად არა, ხუმრობით. სერიოზულად კი ჩემი სუნთქვა ხარ.

დაუმახსოვრებია.

რამდენიმე თვის მერე ვუხსნი, რას ნიშნავს შვილიშვილი და ვეკითხები:

– აბა, შენ რა ხარ ჩემი?

– კვიცი თუ სერიოზულად?

– სერიოზულად!

– სერიოზულად – სლუნთქვა.

შაბათობით, კარს რომ გავუღებ, ხელს ხელზე დამარტყამს და მეტყვის:

– მოვედით ძმაკაცები.

მართალი რომ ვთქვა, მეორე საძმაკაცო კაცი ჯერ ისე არ ძმაკაცობს ჩემთან. მასზე ორი წლით უმცროსია. დათა ჰქვია. მას უფრო მარტოხელა აბრაგის ხასიათი აქვს.

ბიჭი ქურთუკს გაიხდის თუ არა, მაშინვე ჩემი ოთახისკენ გარბის.

– წავიდა ჯადოსნურ ოთახში – ეცინებათ ქალებს.

ჩემი სამუშაო ოთახი პატარაა. ყველა კედელზე წიგნების თაროებია. ოთახში კომპიუტერი, ჩემ მიერ გაკეთებული მოზრდილი საწერი მაგიდა და სავარძელი დგას. აქ ვკითხულობ, აქ ვწერ, აქ ვოცნებობ და აქ ვდარდობ. აქაა ჩემი პატარა სამყაროს დიდი ნაწილი. შვილიშვილსაც აქ უყვარს ყოფნა, თუ დაიკარგა, აქ ვეძებთ.

მე და ის მანქანებითაც აქ ვთამაშობდით ხოლმე. ხან მაგიდაზე, ხან იატაკზე. ორივეს წითელი „ფერარი“ მოგვწონს ყველაზე მეტად, მაგრამ ჩხუბი არ მოგვდის. კეთილი ბავშვია და ყოველთვის მითმობდა:

– ფერარი შენი იყოს, მე ფლორდი მირჩევნია.

– ფლორდი კი არა, ფორდი.

– ჰო, ფლორდი.

კეთილია-მეთქი. უნდა გაჩვენათ, როგორ უვლის ორი წლით უმცროს ძმას, ჰბანს, აცმევს, რაიმეს რომ მისცემენ, პირველ რიგში იკითხავს:

– დათას?

როცა ხატვა მოუნდება, მეტყვის:

– პაპა, შეიძლება ერთი ფურცელი მოგპარო?

– არა, ეგ ქურდობაა. მთხოვე და მოგცემ.

– ჰო, გამახსენდა.

– რა გაგახსენდა?

– შენ რომ მასწავლე, ქურდობის წესი.

– რა წესი, შვილო?! – აშკარად შევშფოთდი.

ბავშვი წელში იმართება და გამოთქმით ამბობს:

– სხვისი ნივთის უნებართვოდ აღებას ქურდობა ეწოდება.

მეც გამახსენდა ჩვენი ძველი თამაში და ვეუბნები:

– სწორია! მომეცი ჩათვლის წიგნაკი, ფრიადს გიწერ.

ორივეს გვეცინება.

ასეთი თამაშიც ვიცით – ირიბი კითხვებით უნდა გამოვიც-

ნოთ ერთმანეთის სურვილი.

– სანდრო, რა ვქნა? – ვკითხავ შეწუხებული სახით.

– რა უნდა ქნა?

– რა ვქნა, რომ ძალიან მიყვარხარ?

– მივხვდი, ჩახუტება გინდა! – მეტყვის და მაგრად შემომეხ-ვევა ყელზე.

– პაპა, ველოსიპედით სეირნობა სასარგებლოა? – მეკითხება ახლა ის.

– კარგი, წავედით!

ალბათ მისი შეფასებისას მთლად ობიექტური ვერ ვიქნები, მაგრამ კაცური კაცი რომ არის, ეს დანამდვილებით შემიძლია ვთქვა.

უნდა სულ ის აკეთოს, რასაც მე ვაკეთებ. მოკლედ – მბაძავს. მე მიხარია, ბებიამისს კი ეს აშინებს.

– ცოდოა – მოკლედ მიხსნის მიზეზს.

როცა ღამე ჩვენთან რჩება, მეორე დღე მაგარი გვაქვს. ეგ არის, ცოტა საუზმობა ეზარება ხოლმე. ათას მიზეზს იგონებს.

სამი წლის იქნებოდა მაშინ. დედამისი ეძახის:

– სანდრო, ჩაი გაცივდება, მოდი!

ჩემს ოთახში შესულა, ჩემს სკამზე ზის და „წერს“.

– ცოტა მაცალე, ჯერ პაპა უნდა გამოვიდე.

– დავიღუპეთ! – შეიცხადა მეუღლემ. – ახლა ეგ თუ დაერია სტუდენტებს! წადი, ნახე, ორიანებს არ წერდეს!

საერთოდ, ამ თემას ჩემი ცოლი ცოტა მტკივნეულად აღიქ-ვამდა.

პატარაობისას, კომბლე რომ წავუკითხე, ბავშვი მეუბნება:

– პაპა, აბა შენ დაკრიჭე კბილები.

შევუსრულე სურვილი. გაოცდა.

– კბილებში ჩიჩიები რატომ არ გაქვს?

– რატომ უნდა მქონდეს?

– აბა, ბებომ რომ გითხრა, ნუ შეჭამე ეს სტუდენტებიო?!

ქალები, ცხადია, სანდროს „გაპაპებას“ არ დაელოდნენ და ახლა მეუღლე უძახის:

– პაპა თუ გინდა გამოხვიდე, მაშინ ორი ჭიქა ჩაი უნდა უნდა დალიო! – ორ ჭიქას ვსვამ ზოგჯერ.

ჩვენდა გასაკვირად, ბავშვი მაშინვე გამოიქცა და მაგიდას მიუჯდა. ყველა გაოცებულია ამ მშვენიერი პედაგოგიური მიგნებით.

– შემთხვევით გავარტყი. – არ შეიფერა ქება ჩემმა თავმდაბალმა მეორე ნახევარმა.

ერთხელ, გაბრაზებულიც ვნახე, უფრო ზუსტად – ძალიან გაბრაზებული. ოთხი წლის არ იქნებოდა ჯერ. მშობლები უსამართლოდ მოექცნენ. იმაში გაამტყუნეს, რაშიც აშკარად არ ტყუოდა. ჩემს ოთახში შევიდა და კუთხეში ჩაჯდა შუბლშეკრული, ბუდას პოზაში.

არაფრის გაგონება არ უნდოდა. გამოაცხადა:

– მარტო დამტოვეთ!

სიცილი აგვიტყდა. გაკვირვებული გვიყურებს.

– ლას იცინით, პაპაც ეგლე ამბობს, ლოცა გაბლაზებულია!

სანამ მშობლებმა შეცდომა არ აღიარეს, არ დანებდა. სიამაყე ვიგრძენი. აი, ახლა კი მართლა მგავდა.

შარშანწინ, ახალი წლის ზეიმების შემდეგ, გული გადამიშალა. გამომიტყდა, რომ შეყვარებული იყო. ერთადაც უცეკვიათ.

– შენი სიყვარულის საქმე როგორ არის? – დავინტერესდი ცოტა მოგვიანებით.

– ყველაფერი დამთავრდა! – სერიალებში თუ მოისმინა სადმე.

– ეგ როგორ? ასე მალე?

– დედა ამბობს, ალბათ ხანმოკლე გატაცება იყოო.

ცოტა ხნის წინ ბატონები ჰქონდა. მთხოვა, ჩიტებზე მომიყევიო. ლექსებად დავუწერე და წავუკითხე. ბევრი იყო. ერთი მათგანი მეფეთ-მეფე არწივზეა, რომელიც ობოლ მართვეს

საჭმელს აჭმევს. ბოლომდე ინტერესით მისმინა, მერე მარკერი და ფურცელი მთხოვა.

ცოტა ხანში ფურცელი დამიბრუნა. ფურცელზე არწივისა და მართვეს სცენა ოყო დახატული. ნახატის გვერდით მსხვილი ასოებით ეწერა „ყველიო, პურიო, კეთილი გულიო“. ქვეშ კი მინაწერი იყო – ალექსანდრე გოტიაშვილი, პირველი ლექსი. გაზაფხული.

ეს რაღაც სიახლე გახლდათ – მე ლექსებს არც ხელს და არც თარიღებს არ ვაწერ ხოლმე.

დღესაც დამიხატა ნახატი, წარწერით – „ხერხი სჯობია ღონესა“. შიშველი ხის ერთადერთ, მკაცრად ჰორიზონტალურ ტოტზე მომღიმარი კატა ზის და ქვემოთ იყურება. ხის ძირში ლომია. წინა ორი თათით ხეზეა ატოტებული და ასვლას ცდილობს. აშკარად ეტყობა, რომ ტყუილად წვალობს – ძალიან საცოდავი სახე აქვს.

პატარაობაში ცოტა გეოგრაფიაში ჰქონდა პრობლემები. კარგად ვერ გაერკვა თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებში. დიდ დიღომში ცხოვრობენ. როცა ძალიან არ უნდოდა სახლში წასვლა, დედამისთან პროტექციის გაწევას ასე მთხოვდა:

– პაპა, უთხარი დედას ნუ წავალთ თბილისში, ვარკეთილში დარჩენა მინდა.

აი, ახლაც უფროსები მაგიდასთან საუბარს შევყევით და ცოტა მოგვიანებით. სანდრო მოვიკითხეთ. ჩემს ოთახში, ჩემს მაგიდასთან ჩასძინებოდა. მშვიდად სუნთქავდა ჩემი „სლუნთქვა“. პირზე ღიმილი ჰქონდა, ალბათ კატის ეშმაკობაზე თუ ეღიმებოდა.

– ჩასძინებია! – გამოვუცხადე საზეიმო ხმით მის მშობლებს.

– აუ, რა გაუხარდა! – ეცინება ჩემს შვილს, იცის, რომ მძინარე ბავშვს ვარკეთილიდან დიდ დიღომში არ გავატან. ან ბავშვი უნდა დატოვონ ან თვითონაც დარჩნენ. ვაშა!

ხვალ კვირაა. დიდებული დღე გველოდება! თანაც, იქითა შაბათამდე, შვიდის ნაცვლად, მხოლოდ ექვსი დღეღა მომიწევს ლოდინი.

მაგარია!

წაკითხვა
სავალდებულო არ არის

ჩემი გარდაცვალების ისტორია

ხუთი დღის წინ გარდავიცვალე, გამთენიისას.

ალბათ გულმა თუ მიღალატა – რა ვიცი, ასე ამბობენ ხოლმე. არადა, ვერც კი გავიგებდი, მეუღლის ხმა რომ არ გამეგონა.

– რა ვქნა, ეს კაცი სამსახურში არ მიდის?

– მამა! – მესმის უმცროსი ქალიშვილის შიშნარევი ხმა. უფროსი გათხოვილია და ჩვენთან არ ცხოვრობს. შაბათ-კვირას მოდის ხოლმე თავის ბოკვრებთან ერთად – პაპა ენაცვალოთ.

თუმცა, რაღა ენაცვალოთ, მგონი უკვე ვენაცვალე და ეგ არის. მაგრამ არა, ჯერ წესიერად უნდა გავარკვიო – რამე არ შემეშალოს.

– ვაიმე, ხომ არაფერი დაემართა?!

– დღეს ლექციები ჰქონდა?

– კი, სამშაბათობით ყოველთვის აქვს ხოლმე.

– შვილო, ცუდად არის საქმე! სტუდენტებისთვის ნათქვამი ჰქონდა – თუ ლექციაზე არ მოვედი, მაშასადამე, ცოცხალი აღარ ვარო.

ცოლი, როგორც ყოველთვის, ახლაც ლოგიკურად მსჯელობდა.

მინდა ვუთხრა, რომ ეგ ადრე იყო. მერე ორჯერ გამიცდა, ისე, რომ არ მომკვდარვარ. ამიტომ კარგად ნახეთ, მართლა გარ-

დავიცვალე თუ არა-მეთქი – მკვდრის კვალობაზე რაღაც ნა-მეტანი არხეინად ვგრძნობდი თავს.

– არ სუნთქავს, გაციებულია!

ჩემთვის გავიფიქრე:

– გაციებული ვიქნები, აბა რა, სარკმელი ღია დაგიტოვებიათ!

მესიამოვნა რომ ამ მდგომარეობაშიც კი დავიცავი მეტ-ყველების წესები და „ფორთოჩკა“ არ წამომცდა.

ჩემი ხმა არ ესმოდათ. გამიხარდა – რასაც მინდა იმას ვიტ-ყოდი!

– მამა...მამა...! – ვიგრძენი როგორ დამეკონა ჩემი „შავი პრინ-ცესა“.

– ცოტა ფრთხილად გოგო! – ჩვეულ სტილში, ვითომ გავუბ-რაზდი მე. მეუღლის ხმა არ გამიგია, არც ველოდი, ხმით ტი-რილი არ შეუძლია. ალბათ სკამზე თუ ზის ახლა გაოგნებული.

მათი საცოდაობით გული დამეწვა, ისეთი უსუსურები და დაბნეულები არიან. არ იციან, როგორ მოიქცნენ. ისევ მე დავეხ-მარე, ფიქრში ვუთხარი ქალიშვილს:

– მეზობლებს დაუძახე, რეზო ძიას და ანის დაურეკე, მიშა წამოიყვანოს. რეზომ ზურას შეატყობინოს! – მეუღლეს არ ვეუბ-ნები, რადგან ის ჯერ კარგახანს ვერ მოვა გონს და რომ მოვა, შეიძლება ისევ მე დამავალოს დარეკვა – მერიდებაო, მითხრას.

ზურა ქვისლია ჩემი, კაი გულიანი ბიჭია – ერთმანეთზე ბიჭს ვამბობთ ახალგაზრდობის ჩვეულების მიხედვით, თორემ ისე თითქმის ტოლები ვართ.

– ნეტავი უფროსი ქალიშვილი იყოს აქ – უფრო გულმაგარი გოგოა, თუმცა თვითმფრინავით მგზავრობის მას უფრო ეში-ნია, ვიდრე უმცროსს.

მივხვდი, რომ ნამდვილად გარდავიცვალე. მეწყინა. ახლა ამის დრო ნამდვილად არ მქონდა ქვეყანა საქმე მაყრია თავზე: სტატია გამოსაქვეყნებელი, ის დიდი ლექსი დასამთავრებელი, კაქტუსებს მიწა აქვთ გამოსაცვლელი, ცხელი წყლის ქვაბიც

რაღა ახლა გაფუჭდა – ხალხი მოვა, ცივ წყალში ხომ არ დაიბანენ ხელს.

თანაც, ლოგინში სიკვდილი სულაც არ მეგემრიელება! მე დაფასთან სიკვდილი მერჩივნა. ბოლოს და ბოლოს სულ ცოტა ოცი ათასი საათი მაინც მექნება გატარებული მასთან ერთად ომში. შეგიყვარდება, აბა რა! ომის მეგობარს სულ სხვა ფასი აქვს.

მეზობლები შემოვიდნენ, სამნი.

– აუ, მართალია ეს გლახა ამბავი?

– როდის მოხდა? რითი?

– არადა, გუშინ ვნახე, მშვენივრად გამოიყურებოდა. ვაშლი და დიეტური პური მოჰქონდა. ვისაუბრეთ კიდეც.

– აუ, რა კაცი დააკლდა კორპუსს!

– კორპუსს კი არა, მთელ უბანს დააკლდა! – ყოველთვის გაზვიადება იცოდა ვასიკომ და იმედი მქონდა გალაქტიკას ან კაცობრიობას თუ არა, ჩვენ ქვეყანას მაინც იტყოდა, ის კი მხოლოდ უბანზე შეჩერდა. უბნის ქვეშ, ჩვენი კორპუსის გარდა, კიდევ ერთი კორპუსი მოიაზრებოდა. იქ არასდროს არავის უცხოვრია – თავიდანვე ავარიული ააშენეს და ხალხი არც შეუსახლებიათ.

ძალიან არ მწყენია, რადგან შევნიშნე, რომ ვასიკო ცოტა ნასვამი იყო. ნეტავ სად მოასწრო ამ დილაადრიან?!

სიტყვა გრიშამ აიღო.

– რა კეთილი, რა ხელის გამართვა იცოდა, უარს არაფერზე გეტყოდა! ერთხელ დამჭერები ვთხოვე, მაგას ხომ ეგეთი რამეები ყველაფერი ჰქონდა. რა მითხრა იცით? გჩუქნიო, მეო სხვებიც მაქვს და ესენი შენი იყოსო!

კინაღამ გამეცინა.

– ეჰ, გრიშა, გრიშა, კიდევ არ იშლი ციგნობას, ხომ?! როგორც ჩემი სოფლელი ბავშვობის მეგობარი იტყოდა, გაჩუქე არა ტოროლა! – გათხოვე და დროზე მოიტანე-მეთქი, გითხარი. სამჯერ შეგახსენე. საშველი რომ არ დააყენე, წავედი და სხვა ვიყიდე.

ლაპარაკი შემეძლოს, შეგარცხვენდი ტყუილებისთვის ამ ხალ-ხში.

ფიქრში ლაპარაკი განვაგრძე:

– ჰოდა, ახლა, თუ გინდა გამოისყიდო შენი ცოდვები, დაეხმარე ჩემს საბრალო ცოლ-შვილს, ტახტზე გადამასვენონ.

დაეხმარა, მაგრამ აქაც იეშმაკა – მთელი სიმძიმე მეზობელს დაუთმო, მერე კი ისე დამაგდო ტახტზე, რომ ვიყვირე:

– ნელა, შე ოხერო შენა!

გარედან ჩქარ-ჩქარა მომავალი ნაბიჯებისა და ქოშინის ხმა მომესმა. მგონი მეშველა, ჯუმბერა იქნება. მაგას გულით ეწყი-ნებოდა, თანაც ესეთ რამეებში ზედმიწევნით ყოჩაღია. ზეპირად იცის, რომელ სეზონზე რა და რამდენი პროდუქტია საჭირო.

შემოვარდა. ჩემს ცოლ-შვილს მიუსამძიმრა.

აღლვებულზე ცოტა დაიბნა და მეც ჩამომართვა ხელი.

– პირველ რიგში, ექიმი უნდა მოვიყვანოთ, გარდაცვალება დაადასტუროს. ცნობის გარეშე ვერაფერს გააკეთებთ. მერე კი დღე დავნიშნოთ და სასახლის საკითხი მოვაგვაროთ.

მეუღლე და შვილი გაშტერებული არიან. კიდევ არ სჯერათ. მგონი ფიქრობენ, რომ ახლა ავდგები და ჩაის დავაყენებ.

ჯუმბერა აგრძელებს:

– თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი მოგვარდება ღვინოს საუკეთესოს გაშოვნინებთ. თევზეულშიც დაგეხმარებით, შეღა-ვათიან ფასში იქნება. აი, საკლავი ცოტა ჭირს. რამდენ კაცზე აპირებთ? ძალიან დიდიც არ გინდათ, სამასკაციანი საკმარისი იქნება.

– ორმოცდაათიც ბევრი მგონია, ჩემო ჯუმბერ, – მინდა ვუთ-ხრა, მაგრამ მე ვინ მეკითხება.

როგორც ჩანს, ვასიკოს თვალში უფრო მეტი ფასი მქონდა:

– კაცო, სამასი ხო უბრალო დოქტორებსაც აქვს, ბოლო ბოლო კაცი მეცნიერებათა დოქტორი იყო, სულ ცოტა ხუთასკაციანი მაინც ეკუთვნის. – უბრალო დოქტორის ქვეშ ალბათ აკადემიურ

დოქტორს გულისხმობდა. საერთოდ ვასიკომ ცოტ-ცოტა ყველა-ფერი იცოდა, მაგრამ არასიღრმისეულად.

– მართალია,– მაშინვე დაეთანხმა ჯუმბერა და მეუღლეს მიუბრუნდა, – დაიკო, თუ ფულის პრობლემაა, მაგაზე არ იფიქ-როთ, კრედიტს გამოგატანინებთ დაბალ პროცენტში.

მალე ექიმი მოვიდა. პატარა იჩხიკინა შიგნით. ცოტა მეღი-ტინებოდა, სხვა არაფერი განსაკუთრებული. მერე რაღაც დაწე-რა, ფული აიღო და წავიდა.

სასახლის საკითხიც გაირკვა – ცალსახად მუხისა ამჯობინეს. ესეც ჯუმბერამ გადაწყვიტა:

– მუხაზე მუშაობა უყვარდა ცხონებულს და ლექსიც აქვს და-წერილი, „მუხა“ – არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ვერავინ შეეწინააღმდეგა.

არადა, მართალი გითხრათ, დაკრძალვა საერთოდ არ მინდა. არ მინდა ვიწვე გაშტრიგინებული თავდახურულ კუბოში, ადა-მიანის დასამშვიდებლად სასახლე რომ დაარქვეს და ველოდო, როდის ჩამომექცევა თავზე ჭერი. ცალკე კიდევ ჭიებმა უნდა მოგიშალონ ნერვები. ამას ისევ დაწვა და ფერფლის სადმე ვაშლის ხის ძირში მოყრა მირჩევნია – ძალიან მიყვარს ვაშლი. მოისხამს და შეჭამ. შენს მოყვანილს სულ სხვა გემო აქვს.

მაგრამ ხმა არ ამოვიღე – ჯერ ერთი, ჯუმბერას კამათში ვერ ვაჯობებდი, მეორეც, რა ვქნა, ჩემი ქვეყანა ვაშლზე უფრო მიყ-ვარს და მის ტრადიციებს პატივი უნდა ვცე.

ამასობაში ჩემებიც მოვიდნენ. მომეწონა, ჩუმად რომ შემო-ვიდნენ, ზედმეტი ვაი-ვიშისა და წიოკის გარეშე. უჩუმრად გადაკოცნეს მეუღლე და უმცროსი ქალიშვილი. კაცები კედელ-თან დადგნენ. უფროსი ქალიშვილი მოვიდა და შუბლზე გადა-მისვა ხელი. რა თბილი ხელი ჰქონია. ცრემლი რომ დამეცა, მომინდა ლოყა მომეჩქმიტა და მეთქვა:

– აბა, აბა ეგეთები არ იყოს!

მაგრამ აღარც ხელი მემორჩილებოდა, თანაც ვიფიქრე – რომ

გავინძრე, გოგო არ შევაშინო-მეთქი.

შეთანხმდნენ, რომ სასაფლაოს საკითხზე სადილის მერე ემსჯელათ.

იღბლად, წინა დღეს ბაზარში ვიყავი და ლობიო მოხარშული გვქონდა. საერთოდ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თადარიგიანი კაცი ვარ.

უცბად, ცივი, ხახვმოყრილი ამოუზელავი ლობიო მეც მომინდა. ბებიაჩემი კირკაჟს ეძახდა. მაგრამ გამახსენდა, რომ ექიმები მიკრძალავდნენ და თავი შევიკავე. ხომ იცით, ჯანმრთელობაზე ძვირფასი არაფერია.

სანამ ისინი წაიხემსებდნენ, მე ვნერვიულობდი:

– აუ, ახლა ამათ მუხათგვერდში არ გამამწესონ!

ნამდვილი საგიჟეთია. იქ ვინ ამოვა ჩემ სანახავად?! შეიძლება ვერც მიპოვონ. ერთხელ სიდედრ-სიმამრის საფლავს ვეღარ მივაგენი – რითაც მქონდა დამახსოვრებული, ის ხე მოეჭრათ. ვიღაც უცხოს დავუგორე წითელი კვერცხები.

ჩემი შიში მართლდება – პირველ კანდიდატად მუხათგვერდი დასახელდა. განიხილებოდა ვარკეთილიც.

შიშისაგან გული ისე შემიტოკდა, კინაღამ გავცოცხლდი.

უცბად შვილის ხმა მომესმა. ყურებს არ ვყჯერებ.

– სოფელში ხომ არ წაგვეყვანა?

შენ გენაცვალე! შვილი მაინც შვილია. ადრეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ მერიდებოდა – ზედმეტად არ გავაწვალო-მეთქი. ცოტა ფეხს იმიტომაც ვითრევდი, რომ ჩვენს საგვარეულო სასაფლაოზე ძალიან ქვიანი მიწაა და გათხრა ძნელია. ჩემი ბავშვობის მეგობარია მესაფლავე, მაგრამ ისიც მოხუცდა და მეცოდება.

– სოფელში რა უნდა?

– რა ვიცი, სულ ენატრებოდა. „ნეტავი კიდევ მაჩვენა“ ხომ დაწერა და შევუსრულოთ სურვილი, ვაჩვენოთ. კაცმა ესე თქვა და მეტი რა ექნა:

„შენი სამშობლო არ არის
თუკი იმ მიწამ არ გშობა,
ნეტავი კიდევ მაჩვენა
ერთი დღით ჩემი ბავშვობა“

– მაშინ ერთი დღით ჩავიყვანოთ და ისევ ჩამოვიყვანოთ! – ჩემი აზრით უდროო დროს იხუმრა გრიშამ. გაღიმება მინდოდა, მაგრამ შემეშინდა – კარგად დაწყებული საქმე არ გავაფუჭო-მეთქი. ზოგიერთებმა ვერ მოახერხეს თავის შეკავება.

– მერე ადგილი არის?

– კი, მამიდა რომ გარდაეცვალა, თავის ხელით გააკეთა ხუთ-ადგილიანი სასაფლაო. მესერიც თვითონ დაამზადა. მაშინ იყო, მარტომ რომ ასწია ამხელა რკინა და მუცლის ფარი დაიზიანა. მოგვიანებით მშობლებიც იქ დაკრძალა და მათ გვერდით არის ადგილი.

ვაშა! ხმების უმრავლესობით ტირძნისმა გაიმარჯვა.

პირველად იყო, რომ ლექსის დაწერა აღარ ვინანე.

განცხადების საკითხი მარტივად გადაწყდა:

– გაზეთს აღარავინ კითხულობს.

–ჰო, ფეისბუკი ჯობია.

– მობილურებით გადავრეკოთ.

– მაღლივში არ გამოვაკრათ?

– აბა რა, ერთი კათედრაზე, ერთიც დაბლა, ლიფტებთან.

– ერთიც განივში! – ჩააკერა სულზე შემოსწრებულმა თანა-მშრომელმა.

სურათის საკითხი უფრო პრობლემატური აღმოჩნდა. ასო-ბით სურათში ჩემი სულ ოთხი იპოვეს.

– ვა, შტირლიცი ხო არ იყო ტო.– გამხიარულდა გრიშა.

– აბა ეს ნახეთ, მიაწოდა დანარჩენებს ვასიკომ ერთ-ერთი სუ-რათი.

ამ სურათზე სულ მეცინებოდა ხოლმე. ძმასთან ერთად ვარ გადაღებული იასამნის ქვეშ, ზოლიან პიჟამოებში, მე ოთხი

წლისა ვარ, ის – ექვსის. ხელში ყვავილები მიჭირავს.

ერთხმად უარყოფილი იქნა – პატიმრების ტანსაცმელს ჰგავსო პიჟამოები.

– აი ეს კი კარგია! – ამჯერად ჯუმბერამ წარმოადგინა კანდიდატად მეორე სურათი.

ამ სურათში, სტუდენტობის დროინდელში, ზედმეტად სერიოზულადაც კი გამოვიყურები. მოეწონათ – ახალგაზრდა პროფესორს ჰგავსო, მაგრამ ბოლოს ესეც დაიწუნეს.

– ნამეტანი ახალგაზრდაა და ვინც არ იცნობდა, გული დასწყდება!

მეოთხე, სულ ბოლოდროინდელი, ყველაზე მეტად მგავდა, თბილისის ზღვაზე ძალიან შინაურულ გარემოში ვარ გადაღებული. შვილიშვილი მყავს ჩახუტებული და თვალები მაქვს დახუჭული – მზე მიჭყიტინებდა.

– ფოტოშოპით რომ გავუღოთ თვალები?

პროექტი ჩავარდა.

სხვა გზა აღარ იყო და არჩევანი ავტომატურად ისევ მესამე სურათზე შეჩერდა. მეც ეგ მინდოდა – სათვალე ჭკვიანი კაცის იერს მაძლევს და თმები ჯერ კიდევ მაქვს.

საღამოხანს რამდენიმე მეგობარი მოვიდა, – გამოგვიყენეთ რამეშიო.

ორმა:

– ამაღამ დავრჩებით, გავუთენებთ.

გამიხარდა, მათთან ერთად ბევრი ღამე გამითენებია ახალგაზრდობაში. პოკერსა და პრეფერანსს ვთამაშობდით ხოლმე კინოს ბილეთებზე.

ჩვენებმა კანდელი დამინთეს და დაიძინეს.

– რა გაათენებს ამხელა ღამეს! ერთი-ორი ხელი ხომ არ გვეთამაშა?

– ინსტრუმენტი გაქვს?

– კი, წამოვიღე.

– მერე, ორში როგორ ვითამაშოთ?

– მოფიქრებული მაქვს. ძველებურად მაგასაც დავურიგოთ და მის მაგივრად მორიგეობით ვითამაშოთ.

გახურდა თამაში. სამი ხელი მოვიგე.

შუაღამე გადასული იყო, რომ ორივეს ჩაეძინა. კანდელი ჩამქრალიყო. ისე ტკბილად ეძინათ, რომ შემეცოდა და არ გავაღვიძე, – თვითონ ავანთე.

პირველი ღამე გადავაგორეთ.

მეორე დღეს სიტუაცია ჩაწყნარდა და ყველაფერი განრიგის მიხედვით წავიდა, გამომპრანჭეს, გამალამაზეს. კოსტიუმი ჩემი საყვარელი ფერისა ჩამაცვეს. ის არ მომეწონა მხოლოდ, პიჯაკს უკან ორი ჩაჭრილი რომ ჰქონდა, მაგრამ არა უშავს – ზურგით უნდა ვიწვე და მაინც არ გამოჩნდება. ჰალსტუხიც კარგია, სადაა, მუქი ლურჯი. აი პიჯაკის ჯიბეში, მარცხენა მხარეს, მკერდთან, იმავე ფერის სამკუთხა ნაჭერი რომ ჩამიდეს, ეგ ზედმეტი მეჩვენა. მაგრამ, ჯერ იყოს, მარტო რომ დავრჩები, მოვიშორებ.

სარკეში ჩავიხედე. მომეწონა ჩემი თავი, მგონი ცოცხალს ვჯობივარ. წარბი ოდნავ აწეული დამრჩენია და ცოტა ზვიადი გამომეტყველება მაქვს. ვიფიქრე:

– ძალიან კარგი, ასე ჯობია, ალბათ საიქიოშიც იქნება გამოცდები და ადვილად ვეღარ გაბედავენ საპროტექციოდ მოსვლასმეთქი.

ვიღაცამ დაიძახა:

– სასახლე მოიტანეს!

ზუსტად ჩემი ზომაა, მაგრამ ჩემთვის რომ ეკითხათ, ცოტა დიდს ავიღებდი. ამაში გადაბრუნება გამიჭირდება – ძილში გვერდს ხშირად ვიცვლი.

– კარგი ფერია! –მოეწონა გრიშას.

– მაიკოპის მუხაა, ჯუმბერას ძმაკაცს ჩამოაქვს თურმე რუსეთიდან.

აი, ეს კი აღარ მესიამოვნა, მაგრამ რა ვქნა – ხმის უფლება ჩა-

მორთმეული მაქვს.

დაიწყეს ოთახის დაცლა. ცოტა ჭურჭლის კარადის აწევა გაუჭირდათ და მიახოხებენ. მინდა ვიყვირო:

– ფრთხილად, უკანა ფეხი მორყეული აქვს, არ მოტყდეს!

სასახლეში რომ დამაბინავეს, სოფლის წამომადგენელმა დარწმუნებით განაცხადა:

– ნივთები ახლავე ჩავაყოლოთ, ეგრეა წესი.

ზოგმა კალამი თქვა, ზოგმა სავარცხელი, ზოგმაც წიგნი და ცარცი. სიძე წყნარი ბიჭია, მაგრამ ამაზე უკვე გაბრაზდა.

– დაფა არ დაგავიწყდეთ, დაფა!

გარე ბიძაშვილის აზრმა გადასწონა ყველას:

– მაგას ყველაზე უფრო სამეურნეო იარაღები უყვარდა, უსაქ-მოდ ვერ ჩერდებოდა.

რამდენიმე ბურღი და ერთი ბრტყელტუჩა ჩამაყოლეს. იქ არ იშოვებოდა თურმე.

სკამების საკითხზეც კამათი ატყდა, ღვაწლმოსილი ქალბა-ტონი ამტკიცებდა, გინდა თუ არა ყველა სკამი ერთნაირი უნდა იყოსო. ამდენი ერთნაირი სკამი კი არც ჩვენ და არც მეზობლებს არ აღმოაჩნდათ. ბოლოს უფროსმა შვილმა თავის მეგობარს დაურეკა, რომელსაც მამა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა და დაა-ზუსტა. აღმოჩნდა, რომ მთავარია ერთ მხარეს იყოს ერთნა-ირებიო.

გადავრჩით!

ირგვლივ ყვავილები შემომიწყვეს, ჩამფლეს პირდაპირ. ცო-ტა ვინანე:

– ამდენს რომ დავრბოდი „დომინოსა“ თუ ისანში, ყვავი-ლების საყიდლად ცოტა მომეცადა და თავისით მოვიდოდნენ.

ჩემი საყვარელი კაქტუსები მათ შორის არ იყო. იქნებ ვინმემ მოიფიქროს და მოიტანოს – ორიგინალური იქნებოდა, ჯერ გას-ვენებაში კაქტუსები არ მინახავს. ისე, ცნობისათვის, მრგვალი და დიდ ეკლებიანი მირჩევნია.

ოჯახის წევრების სკამებზე განლაგების თაობაზეც აზრი გაიყო, სამჯერ გადასვეს მეუღლე. ხან მარცხნივ დასვეს – წმინდა წერილში ასე წერიაო, ხან – მარჯვნივ, მამამ ასე გვითხრაო. ბოლოს, მეუღლემ, ჩემდა გასაკვირად, სიმტკიცე გამოავლინა და შვილებს შორის ჩაჯდა. ახლა იმაზე ატყდა კამათი, უფროსი შვილი რომელ მხარეს უნდა დამჯდარიყო. ზოგი ამტკიცებდა, რომ უპირატესობა უფროსს ჰქონდა, ზოგი კი – ოჯახის წევრს, გასათხოვარს. ამ საკითხმა მეც დამაინტერესა.

მღვდელი ძალიან მომეწონა. წყალი არ დაენანა, ბლომად მაპკურა – ცხელოდა და მესიამოვნა. ღვინოც ბოლომდე არ დალია, მეც დამიტოვა. გასაგებ ენაზე საუბრობდა. პაუზებსაც აკეთებდა, თანაც საჭირო ადგილას. გული დამწყდა – ცოცხალს რომ მყოლოდა ასეთი მასწავლებელი, იქნებ ღმერთის წინაშე უფრო პირნათლად წარვდგენილიყავი-მეთქი.

მამაკაცები გარეთ იდგნენ. სამძიმარს ცოლისძმა, სიძე და ქვისლი იღებდნენ. დანარჩენები შიგადაშიგ იცვლებოდნენ.

– ვიზიარებ!

– გაკმაროთ!

– გამძლეობა, ძმაო!

– მონაწილე ვარ!

– მეწყინა!

გამეღიმა – გამახსენდა ჩემი თანაკურსელის, მსუქანი და კეთილი გურამის ხუმრობა, როცა მამამისის პანაშვიდზე თავი ვერ შეიკავა და სამძიმარზე, მადლობის მაგივრად, უპასუხა:

– შენ რა გეწყინა, ძმაო, მამაჩემი იყო, მამაშენი ხომ არა!

ერთმანეთის ნაცნობი კაცები ერთმანეთსაც ესალმებოდნენ. დიალოგი თითქმის ერთნაირი იყო:

– რავა ხარ?

– ისე რა, თავად?

– მეც ეგრე.

– ცუდი ამბავი დაგვემართა!

– ჰო, დღეს ასე თუ ვნახავთ ერთმანეთს.

– ამის მერე კარგ ამბავში შევხვედროდეთ.

ოთახში, ჩემ ირგვლივ, ოჯახის წევრების გარდა, დაღონებული ახლობლები ისხდნენ. სამი სკამი გარდამავალი იყო. შემომავალი ქალები უსამძიმრებდნენ ჩემს ცოლ-შვილს და ზოგიერთები ცოტა ხნით ამ სკამებზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე. ბევრ მათგანს პირველად ვხედავდი. სმენა, როგორც მიცვალებულს, გამახვილებული მქონდა და მათი ხმადაბალი საუბარიც მესმოდა.

გარდამავალ სკამებზე ორი უცნობი ქალბატონი ჩამოჯდა – მრგვალთვალებიანი და ბრილიანტის გულსაბნევიანი. მომეჩვენა, რომ ეს უკანასკნელი პანაშვიდისათვის ზედმეტად ლამაზად გამოიყურებოდა.

გულსაბნევი შავ კაბას ძალიან უხდებოდა. ვივარაუდე, რომ ორივე სპეციალურად პანაშვიდებისთვის ჰქონდა შემენილი, ჩემი მიხვედრილობით კმაყოფილი დავრჩი.

მათ მარჯვნივ ჩემი რძალი ზის. ერთმანეთში კარგი ურთიერთობა გვქონდა და გულწრფელად დამწუხრებულთა სიაში იმყოფებოდა

როგორც ჩანს, ლამაზი ქალბატონი და მრგვალთვალებიანი ჩემს რძალს მხოლოდ შორიდან იცნობდნენ, რადგან არ უკოცნიათ და მარტო ნახევარი ტუჩით გადაულაპარაკეს რაღაც სამძიმარის მაგვარი. ლამაზმა ამოიოხრა ისე, რომ რძალს გაეგონა.

– ეჰ, წავიდა უწესიერესი კაცი!

– ჰო, კაცი იგავი, სადღა არიან მაგისთანები! – მივხვდი, რომ მრგვალთვალებიან ქალბატონს ფოლკლორში რაღაც აერია და არაკის თუ ლეგენდის ნაცვლად იგავი თქვა.

კარგა ხანს რომ მაქეს, ჩავილაპარაკე:

– თქვე დალოცვილებო, სიცოცხლეში გეთქვათ, ასეთი კარგი თუ ვიყავი და იქნებ გადამეფიქრებინა სიკვდილი!

რძალი რომ მოშორებით გადაჯდა, მათი საუბარი უფრო თავისუფალი გახდა.

– რითი მომკვდარა?

– ცოდვებმა უწია ალბათ.

– რა ცოდვებმა?

– რაღა რა, შენი ჭირიმე, ნახევარი სტუდენტობა უდიპლომოდ დაუტოვებია.

– ეგ მეც გამიგია, ძმისშვილიც გაურიცხავს თურმე.

– აჰ! არა, ეგ არ ყოფილა მართალი. მაშინ ჯერ არ ყოფილა დაბადებული ის ბავშვი.

– კიდევ კარგი, ბედი ჰქონია!

– არც ნათესავი იცოდა და არც მეზობელ-მეგობარი!

– ეგეთ ქართველს რა ვუთხარი მე,– აიმრიზა ტუჩი ზედმეტად ლამაზმა.

ცოტა ხანში გარდამავალ სკამებზე მსხდომთა მოსმენა მოსაწყენი გახდა. სულ ერთი და იგივე, ახალი არაფერი იყო – ღმერთი თუ არა, მისი პირველი თანაშემწე მაინც ვიყავი, ან – სატანა. ერთი-ორჯერ ბედმა გამიღიმა და ზესატანის წოდებასაც გამოვკარი ხელი. ყველაფერი იმისდა მიხედვით იყო, რომლის ახლობელს რა ნიშანი ჰქონდა მიღებული ჩემთან.

ერთ მომენტში ჯუმბერამ შემოყო გაბრწყინებული თავი და უმცროსი შვილი გაიყვანა. დაბრუნებულმა შვილმა დედამისს გადასცა დანაბარები.

– ასტრახანის ხიზილალა ვიშოვეო, ცოცხალს კი ძეგველები შეპირებიან.

ორდღიანმა პანაშვიდმა ცოტა არ იყოს დამღალა. ბევრი მეორედ მოვიდა. ზოგი ცალ-ცალკე, ზოგსაც მგონი ჩემთან მარტო მოსვლის ეშინოდა და ჯგუფურად დადიოდა. ჩემ გარშემო ხალხის ამდენი ტრიალისგან უკვე თავბრუ მეხვეოდა. ერთი-ორს შეეშალა და უკუღმა შემომიარა. შემეცოდნენ – ერთხელ მეც დამემართა ეგეთი რამ ახალგაზრდობაში.

როგორც იქნა, გამიყვანეს ჰაერზე, ეზოში. ორ სკამზე დამასვენეს. სტუდენტების რამდენიმე ჯგუფს შევავლე თვალი.

ზოგიერთი შიგნითაც იყო შემოსული, გარშემო შემოსავლელად. უმრავლესობა ისეთი იყო, კარგად რომ სწავლობდა, მათი დანახვა ძალიან გამიხარდა. გამიკვირდა, მათ შორის ერთი-ორი გარიცხულიც შევნიშნე. ალბათ სეირის საყურებლად იყვნენ მოსული. შევცდი, ერთი მეორეს ეუბნებოდა:

– გამრიცხა, მაგრამ მაინც მეწყინა, მართალი კაცი იყო!

დარცხვენისაგან გული შემეკუმშა და თავს ვუსაყვედურე:

– შე უსინდისო, აბა ამ ბაჯაღლო გულის ბიჭის გარიცხვა იქნებოდა ?!

საბანკეტო დარბაზი გზად იყო. ასე გადაწყდა, ორი – სამი საათი გავჩერდებოდით და მერე სოფელში გავემართებოდით. ერთ ღამეს ჩემს სახლში გავათევდი და იქაურებსაც დავემშვიდებოდი.

მე დარბაზში არ შემიშვეს და ყვავილებთან ერთად მანქანაში დამტოვეს, ალბათ სადარაჯოდ. მძღოლს უთხრეს:

– შენ წამოდი ძმაო, ოღონდ გასაღები არ დაგრჩეს. მანქანის მართვა ძალიან უყვარდა ცხონებულს და მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი, არ გააქროლოს სადმე.

ერთგულ მეგობარს ვთხოვე:

– რახან არ მიშვებთ, ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე. იმ ქვეყნად ამ ქვეყნის ამბები უნდა გამოვაქვეყნო და მჭირდება. იქაც ჰქონიათ ფეისბუკი.

სამ საათზე მეტი გავიდა.

უსაქმოდ ლოდინზე უფრო არაფერი მეჯავრება. ერთი ხანობა კინაღამ მოთმინება დავკარგე. ვიფიქრე, მანქანის სადენებს პირდაპირზე შევაერთებ და სოფლისკენ გავქუსლავმეთქი. მერე ამათი სახეები რომ წარმოვიდგინე, ისევ მოვედი ხასიათზე და გადავწყვიტე ცოტაც დამეცადა.

ხალხმა ნელნელა დაიწყო გამოსვლა. აშკარად კმაყოფილები გახლდნენ. შეფასება ერთსულოვანია.

– შესანიშნავი იყო!

– მართალი უთქვამთ, მაგარი კაცი ყოფილა ის ჯუმბერა!

– თამადამაც რა კარგად დაახასიათა!

– ალალი იყო ის წყვილი ყანწი!

მართალი გითხრათ, სიამაყისგან გავიბადრე.

მეგობარმა ჩემი სიხარული გააორმაგა:

– სუფრაზე რაც იყო, ხომ იყო და მისატანები: ლობიო, ოსტრი, სოკო, ჩაქაფული, ხაშლამა, შილა, ყველაფერი დროზე მოვიდა, თანაც ჩადგმით. ნამცხვრები – თავისთავად. ცხელი ხინკალი რაღამ მოაფიქრა მაგ შეჩვენებულს! ყოჩაღ რა, ჯუმბერ. ყველა მაგას ადღეგრძელებდა! მერე მეგობარი დაფიქრდა და დაამატა:

– ისე, გული არ დაგწყდეს, შენც გახსენეს. ცოტა ჯიუტი იყო, თორემ პრინციპში კარგი კაცი იყოო. აბა!

კიდევ ერთხელ გავიბადრე და დავიძარით კიდეც.

ავტობანზე გავედით, მძღოლმა ნამეტანი გააჭენა. ღიღინი დაიწყო და სიჩქარეს მოუმატა. მინა ჩაწეული ჰქონდა და მარცხენა ხელით სიგარეტის ფერფლს პერიოდულად ქარს ატანდა. სიგარეტს დიდი ხნის წინათ დავანებე თავი, მაგრამ გემრიელად ეწეოდა და კინაღამ ერთი ღერი ვთხოვე.

უკან მომავალი მანქანები ჩამოგვრჩნენ, აღარ ჩანდნენ.

– ნამდვილად მომიტაცა ამ ოხერმა, მაგრამ რა ჯანდაბად ვუნდივარ-მეთქი, ჯერ ასე ვიფიქრე, მერე სხვა აზრი გამიჩნდა.

– ალბათ გამოსასყიდი უნდა!

ვეუბნები:

– ძმაო, ცოტა ნელა და მაგ ფანჯარას ჩაუწიე, მიბერავს, ახლა მე გაციება მინდა კიდევ?!

კარალეთისკენ რომ გადავუხვიეთ, მაშინღა დააგდო სიჩქარე. მშობლიური სიო ვიგრძენი.

ტირძნისის შესასვლელთან ბირჟაზე გავჩერდით. მძღოლმა ამის იქით გზა არ იცოდა და დანარჩენ მანქანებს დაველოდეთ. მალე შემოგვიერთდნენ.

– რა ხდება? – იკითხა ვიღაცამ ბირჟაზე.

– შალიკოს ბიჭი მოიყვანეს.

– რა მოუვიდა?

– რა უნდა მოსვლოდა, მოკვდა – მიყვარდა პირდაპირი ქართლური ლაპარაკი.

– საწყალი, კარგი კაცი იყო შალვა მასწავლებელი!

ცოტა მეწყინა, მივხვდი, რომ ბავშვობის მერე კარიერაში ოდნავაც ვერ წავიწიე წინ – მიუხედავად იმისა, რომ დავამთავრე უმაღლესი, ასპირანტურა, მერე გავხდი დოცენტი და პროფესორიც, ხალხისთვის ისევ „შალიკოს ბიჭი“ ვიყავი.

– ეს ეშხიანი, შავგვრემანი გოგო ვინ არის? – იკითხა მაჭანკლის გარეგნობის ქალმა.

გული მომეცა.

ახლა მაინც ხომ იტყვიან, თამაზის გოგოაო, ან, თუნდაც მიცვალებულის შვილიაო. შენც არ მომიკვდე:

– შალიკოს შვილიშვილია!

არა რა, ამ უმადურ წუთისოფელში ერთი წუთითაც აღარ ღირს გაჩერება. ავდექი და მთელი ხმით ვიყვირე:

– ჩქარა წამიყვანეთ შალიკოსთან!

ყვირილზე ოთახში შვილი შემოვარდა.

– რა მოუვიდა?! – ეკითხება დედამისს.

– არ ვიცი, ამ ბოლო დროს პოლიტიკური გადაცემების ყურება დაიწყო და შალვა ნათელაშვილი თუ ესიზმრა!

დაფეთებული წამოვხტი.

– რომელი საათია?

კიდევ კარგი, ლექციის დაწყებამდე ჯერ დიდი დრო იყო.

სხვადასხვა

ძალით შემოვარდნილი ფიქრები

რატომ შემპირდი?

ჩემი უმცროსი შვილი ელენე მაშინ ოთხი წლის იყო. შევპირდი – ნაძვისხის ზეიმზე წაგიყვან-მეთქი.

ვერ შევუსრულე დანაპირები.

არ გაჭრა თავის მართლებამ – ბავშვს არაფრის გაგონება არ უნდოდა.

– რატომ შემპირდი?

მიზეზი მართლაც საპატიო მქონდა, ავუხსენი, ის კვლავ თავისას გაიძახოდა:

– რატომ შემპირდი?

ვუთხარი, რომ უკეთეს ადგილას წავიყვანდი.

არც ამან გაჭრა.

რას არ შევპირდი – არც კი მისმენდა.

– რატომ შემპირდი? – იმეორებდა დაუსრულებლად.

ცოტაც და გავგიჟდებოდი.

უძლური ვიყავი.

არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ გაჯიუტებულ ციცქნა არსებას მოერეოდა.

მგონი ღმერთს შევეცოდე.

მიკარნახა გამოსავალი.

ზოდიში მოვუხადე. ვუთხარი, რომ მომავალში აღარასოდეს შევპირდებოდი იმას, რაც შეიძლება ვერ შემესრულებინა.

ბავშვი მაშინვე დაწყნარდა.

მას მერე მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ამ კითხვის დღემდე ყველაზე მეტად მეშინია.

თუმცა, უნდა ითქვას, კარგი გაკვეთილიც მივიღე – ჭკუა ვისწავლე.

მას შემდეგ, თუ დარწმუნებული არ ვარ, არავის, არასდროს, არაფერს ვპირდები.

დავიჯერო?

ერთი კაცი აღარ გადაწყვეტს ქვეყნის ბედსო – დავიჯერე!
ძალაუფლება გადანაწილდებაო – დავიჯერე!
სამართლიანობა აღდგებაო – დავიჯერე!
კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნებაო – დავიჯერე!
სასამართლო დამოუკიდებელი იქნებაო! - დავიჯერე!
ძალადობა აღარ იქნებაო – დავიჯერე!
კრიმინალი არ გაიზრდებაო – დავიჯერე!
კადრები მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით შეირჩევაო - დავიჯერე!
გადასახადები და ფასები შემცირდებაო – დავიჯერე!
ლარი არ გაუფასურდებაო – დავიჯერე!
ცოტა ხანში ხ ა ლ ხ ი ს შემოსავალი გაიზრდებაო – დავიჯერე!
ფაბრიკა-ქარხნები აშენდებაო –დავიჯერე!
სოფელი განვითარდებაო – დავიჯერე!
სამუშაო ადგილები შეიქმნებაო – დავიჯერე!
მიგრაცია შემცირდება და მიგრანტები დაბრუნდებიანო – დავიჯერე!
გასამდიდრებლად არ მოვდივართო – დავიჯერე!

მეტს აღარ მოგატყუებთო – დავიჯერო?

მოვესწრები?

.

არჩევნების წინ ოპონენტთა კამათს რომ ვუსმენ ყველაზე ხშირად ამ ტიპის ანდაზები მახსენდება:

„ყვავმა ყვავს უთხრა შე ხინჩლიანოო“,
„აქლემმა აქლემს კუზი დაუწუნაო“,
„ვირს ვირის ყროყინი ნერვებს უშლიდაო“,
„ისეთმა ძროხამ დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“,
„ქურდს ქუდი ეწვისო“,
„ქურდს სხვაც ქურდი ეგონაო“...

ნეტავ თუ მოვესწრები იმ დროს, როცა ასეთი ანდაზებიც გამახსენდება ხოლმე:

„ირემმა ირემს ბალახი შესთავაზაო“,

„ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“,

„სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე, გამოივლი – წინ დაგვხვდება”.

„წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“...

რა გითხრათ აბა! თუკი იმედი მართლაც ყველაზე ბოლოს კვდება, ე.ი. ვერ მოვესწრები.

გზა სამოთხისკენ

განსაკუთრებული დღე მქონდა.

უჩვეულოდ მშვიდი, მზიანი.

სახლშიც გაკვირვებულები იყვნენ, სულ შუბლგახსნილს რომ მხედავდნენ.

გვიან მივხვდი მიზეზს:– ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემების ნაცვლად ძველ, კეთილ, მოკლემეტრაჟიან ქართულ ფილმებს უჩვენებდნენ.

ვგიჟდები, ისე მიყვარს!

მაგრამ, უფრო მთავარი ის გახლდათ, რომ სულ რაღაც ერთ დღეში გამქრალიყო ოკუპაცია, ბორდერიზაცია, ინფლაცია, კორუფცია, ჩინოვნიკთა დეგენერაცია და ყაჩაღთა რეგენერაცია.

აშკარად ბედნიერ ქვეყანაში ამოვყავი თავი.

რა მართალი ყოფილა ის ბრძენკაცი, რომ თქვა, ქვეყანაში საქმე ძალიან კარგად არის, ოღონდ ამას ტელევიზია ცუდად აშუქებსო.

საძაგელი ტელევიზია! ბედნიერების ასე მიჩქმალვა გაგონილა?!

ავდექი და გამოვრთე.

უმალ სამოთხეში მოვხვდი!

ყოველი შემთხვევისთვის ფარდაც გავაფარე, რომ ფანჯრიდან ნაგვის ყუთში ნარჩენების საძებრად ჩამძვრალი კაცი აღარ დამენახა.

მაგრამ საღამოს საშინელი შეცდომა დავუშვი.

ცოტა მომშივდა და მაცივრის კარი გამოვაღე.

არ უნდა გამომეღო – მივხვდი, რომ ისევ სამშობლოში დავ-ბრუნდი.

უკან არ დავიხიე, ბედნიერებისკენ მიმავალი გზა უკვე ვი-ცოდი – სასწრაფოდ გამოვრთე მაცივარიც.

ჰოდა, ვარ ფადიშაჰივით, ვუსმენ ჩიტების ჭიკჭიკს და მოღუ-ღუნე ქვეყანას.

გადავწყვიტე, ბედნიერებაზე ლექსი დამეწერა. ვინ გაცალა!

შვილები და შვილიშვილები მესტუმრნენ.

უმცროსი შვილიშვილი ოთხი წლისაა. ჯერ გაუნათლებელია და ბედნიერების საკითხში ცუდად ერკვევა.

ატყდა, მშიაო!

ისევ დავბრუნდი სამოთხიდან მშობლიურ მიწა-წყალზე.

არ ჩერდება ბავშვი.

გამორთვა რომ ვცადე, ხმას უფრო აუწია.

გული არ გ ავიტეხე, ცხადია, იმ ბრძენს რაიმე ხერხი ამ შემ-თხვევისთვისაც ექნებოდა გადანახული.

ხერხის მოსაძებნად ჩავრთე საინფორმაციო გადაცემა, მაგ-რამ იქ „ღვინის ქურდები“ გადიოდა. სწორედ ის ადგილი იყო, შეზარხოშებულმა ღვინის ქურდებმა ელიბოს მარანში მადის-აღმძვრელი სიმღერა რომ დააგუგუნეს.

მოქეიფე და მაძღარი ხალხის დანახვაზე ძლივს გაჩუმებულ-მა ბავშვმა ისევ დააღო პირი.

საბოლოოდ დავრწმუნდი, ყველა უბედურება ტელევიზორი-დან მოდიოდა.

მორჩა, აღარასოდეს ჩავრთავ და სამოთხეც გარანტირებული მექნება!

არჩევნები 2018

სტალინს მიაწერენ გამონათქვამს:
ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონებისა კი – სტატისტიკა.
მსგავსად ამისა, შეიძლება ითქვას:

ერთი ადამიანის გაუპატიურება სისხლის სამართლის დანაშაულია, მთელი ერისა კი – არჩევნები.

ფიქრნი არჩევნების პირს

ასი როზგი

როცა კაცი ნადირობდა კომბლითა და მშვილდის ისრით,
ტყის ნაპირას ჰქონდა ქოხი, დახურული ძველი ისლით,
სტუმარს ლუკმას რომ უყოფდა და ხარობდა მოსვლა-მისვლით,
ხალხს მწყემსავდა არამზადა, ხან, ფარულად, მისი ქვისლი.

კაცს ურემი არა ებადა, ტვირთს ათრევდა მაშინ კისრით,
ჩაგრულმა თქვა – ბატონებო, სიტყვა მაქვს და ნუ დამიშლით,
მსურს მოვაწყოთ არჩევნები, ვის გაქვთ თავი ხალხის წინ სვლის?
კენჭს მეც ვიყრი, დამერწმუნეთ, გაგახარებთ ზრდით და წინსვლით!

ჰოდა, შედგა არჩევნები – ღამე იყო, იდგა ნისლი,
მკვდრების ხმებიც მიითვალეს, არვის სჯერა არავისი.
და გაჩაღდა მუშტი-კრივი, დაიღვარა ცოტა სისხლიც,
ბევრი მისი მომხრე სცემეს, გაილახა ზოგიც სხვისი.
***
გაყალბება დაგვდევს ჭირად და ქვეყანა გვექცა ჩრდილად,
გამყიდველი ქრთამს რომ იღებს, თავს მიიჩნევს ბრიყვი გმირად,
არ გასული ორი კვირა – ვირი რჩება ისევ ვირად,
ოდეს კაცი გაიაფდეს, არჩევნები ღირს არც ჩირად.

როცა ეშმაკს სულს მიჰყიდი, ხანი გავა – ნუღარ კვნესი,
უკვე ზრდასრულს მოეკითხოს, ნორჩს ვასწავლოთ, თუ არ ესმის,
შევასმინოთ – ხმის ქურდია ყველა ქურდზე უარესი,
რადგან სულში გაფურთხებენ, ყელს გაბჯენენ ხმალს ალესილს.

გამყიდველი თავს იმართლებს – ვარ საწყალი, უპოვარი,
ხან შიშველი დავდივარ და ხან მაცვია ნათხოვარი,
უფალო, გთხოვ, შეისმინე ჩემი ერთი სათხოვარი,
მიახვედრე უგუნური, თუ რად არის მათხოვარი.

როცა ქრება არჩევანი, გინდათ გითხრათ რაღა რჩება? –
მონად ყოფნა, ანდა, სისხლი – თაობებს რომ დააჩნდება!
როცა ნდობა იკარგება, დიდი ხანი აღარ ჩნდება,
და ვაი იმ გადარჩენას, ერი თუკი გადარჩება.

არამზადა ბანდებსა ქმნის, თავისნაირს ბარე ოცს ზრდის,
არ ვაპირებ მასთან კამათს, ვისაც აზრად სხვა რამ მოსდის,
ხალხის ნების გაბახება იმსახურებს სასჯელს ორგზის:
არამზადებს – სატუსაღო, ხმის გამყიდვლებს – ასი როზგი!

ციკლიდან – „რეპი-რიკი-რაკა-რუკი“
***

უფალმა ღმერთმა მეც მომცა
კარგის გარჩევის ნიჭიო,
ჰოდა, თუ გინდა დამძრახეთ,
ყალბი არ მიყვარს ბიჭიო.

მიკიტანს

ერთი ახალბედა ნაცნობი ვაიპოლიტიკოსი მყავს.

ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ ძალიან სწრაფად გასუქ-და. გურამ დოჩანაშვილის სტილში რომ ვთქვათ, არც მეტი, არც ნაკლები, სიტყვა „მიკიტანს“ დაემსგავსა.

ადრე, მის ერთ უტაქტო კითხვას ლექსად გავეცი პასუხი. ლექსს „ბედნიერი პოლიტიკა“ ერქვა და თავმოყვარე ადამია-ნისთვის არცთუ სასიამოვნო მოსასმენი უნდა ყოფილიყო.

მას შემდეგ, ახლახანს შევხვდით პირველად.

თავი ისე დაიჭირა, ვითომ ის ლექსი არ წაუკითხავს და ეს იმით ახსნა, ლექსებს არ ვკითხულობ, მუსიკა მიყვარსო. ჟანრი

ვკითხე და მორიგი „სიბრძნით“ დამასაჩუქრა.

– რეპი, ბატონო თამაზ, მაგრამ თქვენ ხომ დები იშხნელების თაობა ხართ და ეს ჟანრი არ გეცოდინებათ.

– არა უშავს, ვისწავლი – მეთქი.

ამ ჟანრში მართლაც ახალბედა ვარ.

თუ ჩემი ეს პირველი მცდელობა არ მოეწონება, აუცილებ-ლად „დავხვეწავ“.

აი ისიც:

ტიკი-ტაკ

ტიკი-ტაკ
ტიკი-ტაკ
თავი ტიკს
მიგიგავს
მიგიგავს
მიკიტანს.
აქედან
იქიდან
გარედან
შიგნიდან
საუბრობ
ჭიქიდან
ავ საქმეს
გამოწოვ
თითიდან
ნეტავი
ვინ გეტრფის
ნეტავი
ვინ გიტანს.
იცოდე
დრო-ჟამი
ამოგთხრის
მიწიდან
უფალის

სამსჯავრო
ჯოჯოხეთს
მიგიტანს
***
ხან ხარ იქ
ხან ხარ აქ
მერყევი
მასხარა
უგონოდ
დადიხარ
ხან გვიწყობ
მასკარადს.
არ დაგრჩა
არცა რა
სუფთა და
ანკარა
***
ფიქრობ ერთს
ამბობ სხვას
სცოდავ ღმერთს
პარავ ხალხს
ქურდობ და
ფარავ კვალს
ამღვრევ წყალს.
ენით კლავ
კბილით ხრავ
მტერს და ავს!
ყალბი ხარ
ფლიდი ხარ
და მაინც
იღებ ხმას!
***
ღმერთო რად
ხუჭავ თვალს
რად აქნევ

მხოლოდ თავს!
ავაზაკს
უჭერ მხარს?!
მიხედე
უტიფარს!
ანდა თუ
ტიკი-ტაკს
დავწერ კვლავ
უფალო
ნუ მკითხავ:
– კაცო, შენ
კარგად ხარ?
***

ტიკი-ტაკ
ტიკი-ტაკ
გარედან
შინიდან
პირდაპირ
დილიდან
ეკრანის
იქიდან
რომ ვხედავ
უამრავ
ტიკი-ტაკს
უამრავ
მიკიტანს
მიჩნდება
კითხვები
კითხვები
მოგორავს –
ამათი
შემყურე
ან კიდევ
როგორ ვარ?

ლუდოვიკო

ერთხელ დიდი ლუდოვიკო XIV ხალხის მდგომარეობით დაინტერესდა, თურმე.

– გადასახადების გადახდა უჭირთ, მეფეო! – შეჰბედა ფინანსთა მინისტრმა.

– მოუმატეთ! – ბრძანა მეფემ.

ცოტა ხნის შემდეგ ლუდოვიკომ მოიკითხა ხალხის განწყობა.

– ხალხი გმინავს, მეფეო!

– მოუმატეთ! – წარბი არ შეუხრია მეფეს.

მოუმატეს.

მეფე მალევე დაინტერესდა შედეგით.

– აბა, რასა იქმს ჩემი კეთილი ხალხი?

აკანკალებულმა მინისტრმა მოახსენა:

– ხალხი აჯანყდა მეფევ, ქუჩაში გამოვიდა, ლუვრზე აპირებენ თავდასხმას!

– მოუმატეთ! – ღიმილით ბრძანა მეფემ და დასაძინებლად გაეშურა.

– მეფეო! სახელმწიფო...– სცადა შეპასუხება მინისტრმა.

– მოუმატეთ! სახელმწიფო ეს მე ვარ! – უკმეხად შეაწყვეტინა მეფემ.

დილით, კარგად გამოძინებულმა იკითხა რას აკეთებდა მისი ცელქი ხალხი.

– იცინიან მეფეო! – უთხრა გაოცებულმა მინისტრმა.

ლუის აღელვება დაეტყო.

– სასწრაფოდ შეწყვიტეთ!

***

დიდი ხნის პაუზის შემდეგ, პირველად მომიხდა ბაზარში წასვლა. ისეთი ფასები იყო – ხალხი იცინოდა.

ნეტავ რას ფიქრობს ჩვენი ლუდოვიკო?

კოლეგის ნაამბობი

– მუშაობა იმ წელიწადს მქონდა დაწყებული. პირველივე სემესტრში, სრულიად გამოუცდელ პედაგოგს, დეკანატმა ჯგუფის კურატორობა დამავალა.

ერთ სტუდენტს, მისთვის მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო საკითხზე არაკომპეტენტური და არცთუ თავაზიანი პასუხი გავეცი. სტუდენტმა თავი ვერ შეიკავა და კარში რომ გადიოდა, ჩაილაპარაკა – სულელი.

ეს ამბავი დეკანის ყურამდე მივიდა.

ხომ იცით, იმ ეპოქაში ასეთი საქციელი გაუგონარ დანაშაულად ითვლებოდა.

დეკანმა გადაწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა თავხედი. მითხრეს, წერილობით წარმედგინა მოხსენებითი ბარათი.

რა თქმა უნდა, ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ასეთმა სიმკაცრემ გამაოგნა – ჩემთვის ბოდიშის მოხდაც საკმარისი იქნებოდა.

გამოსავლის ძებნა დავიწყე.

სტუდენტობისას ფილოსოფიას დიდებული ლექტორი მასწავლიდა. სხვადასხვა ისტორიების მოყოლაც უყვარდა ხოლმე. რომელიღაც იმპერატორზე მისი ერთი ნაამბობი გამახსენდა და მოხსენებითი ბარათი სამი ასეთი თხოვნით დავამთავრე:

პირველი – არ დასაჯოთ სტუდენტი, რადგან ის აბსოლუტურად მართალია,

მეორე – აღარასოდეს დამავალოთ ისეთი საქმე, რომელზეც წარმოდგენა არ მაქვს,

მესამე – გადაეცით სტუდენტს, რომ სულელიც არის და იდიოტიც.

მადლობა ღმერთს, დეკანს იუმორის გრძნობა თავის ადგილზე აღმოაჩნდა.

***

თუმცა, მართალი გითხრათ, მე ამ ისტორიის აი ეს პირველწყარო უფრო მომწონს:

პეტრე დიდის შურისძიება

მთვრალმა ჯარისკაცმა სამიკიტნოში პეტრეს სურათს შეხედა და ჩაილაპარაკა:

– აქაც დაუკიდიათ, მხეცი!

გაიგონეს, დააპატიმრეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

სიკვდილმისჯილთა სიის ნახვისას იმპერატორი დაინტერესდა, რა დააშავა ჯარისკაცმა.

მოახსენეს.

პეტრემ სამი ბრძანება გასცა:

პირველი – გაათავისუფლეთ, რადგან მართალია,

მეორე – გაიტანეთ ჩემი პორტრეტები სამიკიტნოებიდან,

მესამე – გადაეცით იმ ჯარისკაცს, რომ მხეციც არის და შობელმაღლიც.

ციკლიდან – "პატარ-პატარა"

იავნანამ რა ჰქმნა

ზოგიერთს შეიძლება წაკითხული ჰქონდეს ჩემი ერთი სახუმარო ლექსი „სხვანაირი ხარ, ქალაუ".

ლექსი ჩემს სტუდენტს ეძღვნებოდა, ნინოს, რომელიც მეორე სემესტრში ხშირად იცვლიდა ფერს და ეტყობოდა, რომ ცოტა გაზარმაცდა,

ლექსმა გაამართლა – გოგონამ მეცადინეობას მოუმატა და ძალიან მაღალი სემესტრული შეფასება მიიღო, ოთხმოცდათვრამეტი ქულა ასიდან.

რა თქმა უნდა ძალიან გამიხარდა, მაგრამ ცოტა სინანულის გრძნობმაც შემიპყრო. ვფიქრობდი, ნეტავ უფრო ადრე დამეწყო ლექსების წერა – რამდენი სტუდენტი გადარჩებოდა ჩაჭრას– მეთქი!

კიდევ ერთ სტუდენტს დავუწერე პერსონალურად ლექსი, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი შთამბეჭდავი შედეგი არ მქონია.

ვეუბნები:

– თეკა, თქვენგანაც მეტს მოველოდი, ნახეთ, ნინოს რა კარგი შედეგი აქვს!

ეშმაკური ღიმილით მპასუხობს:

– მასწავლებელო, მე ლექსები არ მიყვარს. სიმღერები მირჩევნია!

აი, ახლა კი დავიღუპე! რას წარმოვიდგებდი, ამ ასაკში სიმღერის სწავლაც თუ მომიწევდა!

ბალი, კურკა და ბაგრატ III

ახლობელი მყავს ერთი. ბლის კურკასავით მრგვალია და პატარა, ბაგრატი ჰქვია. ქართლელია, ჩემი მშობლიური კუთხიდან. ძალიან უყვარს ცოლი და თავისი ძველის-ძველი მანქანა. თბილისში დიდი ხანია გადმოვიდნენ, თუმცა საუბარში ხანდახან მაინც გორულად მოუქცევს ხოლმე.

ისეთი კეთილია, თან გადაგყვება და თავს განაცვალებს. მხოლოდ ერთი ლუკმა რომ ჰქონდეს მშიერს, ისე დაგითმობს, არც დაფიქრდება. ძალიან რომ მოინდომო, ვერ აწყენინებ.

ერთი სუსტი წერტილი აქვს ოღონდ – თუ მისი მცირე გაბარიტებისა და სიმრგვალის თემას, თუნდაც ოდნავ, ხუმრობითაც კი შეეხე, შეიძლება საერთოდ დაგკარგოს.

ზოგჯერ, რომ გავახარო, ბაგრატ მესამეს ვუძახი ხოლმე – ნეტავ გაჩვენათ, როგორ უხარია, სიამოვნებისგან დნება!

მანქანის ხელოსანთან უნდა გამომყოლოდა. მობილური დამიჯდა და სახლში მივაკითხე.

მის სამეზობლოში მიღებულ კაცად ვითვლები.

მეზობლები ეზოში დომინოს თამაშობდნენ. მათ შორის თავად ბაგრატი არ ჩანდა. მეოთხე სართულზე ფეხით ასვლა მეზარებოდა და მისალმება-ურთიერთმოკითხვის შემდეგ მეზობლებს ვეკითხები:

– სახლშია, თუ იცით ?

– არა, მაგრამ დარეკა – ჩემი საოცნებო ნომრები უკვე ავიღე და მოვდივარო.

– რა ნომრები? – არ ვიცოდი, რომ მანქანის ახალი სანომრე ნიშნები შემოსულიყო და გარკვეულ ფასად შეგეძლო შენთვის სასურველი ნომრის აღება. მართალი გითხრათ, ასეთ რაღაცეებს ყოველთვის ირონიით ვუყურებდი.

– გაგიჟდა შენი ბაგრატა, იმდენი მიუცია ნომრებში, მაგდენი მგონი სულ არ ღირს მაგის მანქანა, – მეუბნება შიო.

– მაინც რა ნომერია ასეთი?

– ჩემი და ჩემი ცოლის სახელების პირველი ასოები უნდა იყოს აუცილებლადო.

ცოტა ხანში შორიდან გაბმული სიგნალი გაისმა.

– აი, მოდის! – მისი მანქანის სიგნალს ყველა ცნობდა.

შემოგრიალდა.

– BA–@@@–LI –ბრწყინავდა ნომერი.

თვითონაც ბრწყინავდა, თანაც იმ ნომერზე ბევრად მეტად. ხაზგასმული სიყვარულით მომესალმა და ნომრებზე მიმანიშნა.

– ნახე, ხო მაგარია? – მასზე ბედნიერი კაცი იმ წუთას ალბათ მეორე არ იქნებოდა.

არ მინდოდა ნეტარების წუთები ჩამეშხამებინა – როგორღაც შევაკავე უკვე ყელთან მომდგარი იუმორი და მხოლოდ ეს ვუთხარი:

– ბაგრატ, მაგას ხომ ბევრი ვერ მიხვდება, სხვა არ ჯობდა? – ვუთხარი თუ არა, მაშინვე ვინანე.

თუმცა, გვიანი იყო, უცბად გამოიცნო ჩემი მკრეხელური აზრები.

– არა რა, დღეს ნაღდად ვიღაც შემომელახება. იქაც ერთმა ტუტუცმა მომიშალა ნერვები!

– რა მოხდა ბაგრატ, შენ ტყუილად არ გაბრაზდებოდი – დაინტერესდა შიო.

– კაცო, ბედი არ გინდა! მაინცადამაინც სულ ცოტა მეტრაოთხმოციან გოგოსთან მოვხვდი ნომრებზე.

– მერე რა?

– ვუთხარი, შვილო, „ბა–ლი“ მინდა–მეთქი. თავი არც აუწევია, კურკიანი თუ უკურკოო, მეკითხება.

– შენი ტოლი ვარ–მეთქი?! – გავუბრაზდი.

ამხედ-დამხედა და მითხრა:

– არა ბიძია, ჩემამდე ერთი შენდენი კიდევ გაკლიაო!

ისევ რაღაცის წერა დაიწყო და ვითომც აქ არაფერი, მშვიდად მომიგდო:

– ბოდიში, ვიხუმრე.

– სხვა რა გზა მქონდა, მაგის ხელში ვიყავი! წყენა გადავყლაპე და ხუმრობაში ავყევი – შენ რომელს მირჩევ, კურკიანს თუ უკურკოს–მეთქი.

მეუბნება:

– ბიძია, თქვენ მარტო კურკა მოგიხდებათ, თან უფრო იაფიც დაჯდებაო.

მეზობლებმა და მე მეტი ვეღარ შევიკავეთ თავი.

თვითონ ყველაზე მეტად ხითხითებდა.

აღმოჩნდა, რომ ბაგრატ III მშვენიერი იუმორის პატრონი ყოფილა და ეს ყველაფერი ჩვენს გასამხიარულებლად მოიგონა.

წკიპურტების მაგიერ

ბრიყვის ენა რას არ იტყვის,
ჭკვიანს ჭკუა არასდროს ვნებს,
მოაზროვნე არა ლაყბობს,
მოლაყბე კი არ აზროვნებს.

***

ოდეს ნამუსი ფასობს აბაზი,
ოდეს უფლის წესს ცვლის წესი ბაზრის,
ღმერთის როლს ირგებს ყველა ჯამბაზი,
ვიგინდარასი პირველობს აზრი.

***

ოი, რამდენი გვყოლია ზემოთ
კაცობისათვის არ ნამზადები!
ხომ არ გაგვეხსნა რამე კურსები,
არამზადების გადამზადების?

ბატკნის სევდა

ტყეს განაგებს მტაცებელი,–
სამართალი ამათია,
მგლის ადათი სადაც მეფობს
იქ ფუჭია კამათია.

ვერასოდეს ბატკანი მგელს
ვერ მოუგებს კამათშია,
რაც ბატკნისთვის ომი არის,
მგელისათვის თამაშია.

თუ კანონსაც მგელი დაწერს,
თანაც მაშინ, როცა შია,
იქ კამათი რას უშველის,
ბატკნის საქმე ხაფანგშია!

მგლისა თუა პროკურორიც,
მოსამართლეც – მარაგშია,
ბატკანისთვის ბოლო დღეა,
მგელისათვის შაბაშია!

როცა უნდა, მტაცებლისთვის
წყალი დადის აღმართშიაც,
მგელი ადათს არ დააგდებს,
ბატკნის სევდა ამაშია!

მეფე და ხმა

მოდი, ვნახოთ ხმა, ვინ შეჭამა ხმა
მიველ ვნახე ხმა, მეფემ ჭამა ხმა.
მოდი, ვნახოთ მეფე, რამ შეჭამა მეფე;
მიველ ვნახე მეფე, შიშმა ჭამა მეფე.
შიშმა მეფე,
მეფემ ხმა შეჭამა.

მოდი, ვნახოთ შიში, რამ შეჭამა შიში;
მიველ ვნახე შიში, ფულმა ჭამა შიში.
ფულმა შიში, შიშმა მეფე,
მეფემ ხმა შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ფული, რამ შეჭამა ფული;
მიველ ვნახე ფული, ხახვმა ჭამა ფული.
ხახვმა ფული, ფულმა შიში, შიშმა მეფე,
მეფემ ხმა შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ხახვი, ვინ შეჭამა ხახვი;
მიველ ვნახე ხახვი, ხალხმა ჭამა ხახვი.
ხალხმა ხახვი, ხახვმა ფული, ფულმა შიში,
შიშმა მეფე,
მეფემ ხმა შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ხალხი, ვინ შეჭამა ხალხი;
მიველ ვნახე ხალხი, ხალხმა ჭამა ხალხი.
როცა ხალხს ჭამს ხალხი,
ემსგავსება ნახირს,
ნახირი ჭამს მეფეს,
არის კიდეც ახი!

ანაზდად წამოცდენილები:

- ვენახმა წვიმა ინატრა, ცამ სეტყვა გადმოყარაო,
- ჭკუას როდესაც ჩუქნიდნენ, ბრიყვმა ტლინკები ყარაო,
- მშიერ მგელს კბილებს უკრეჭდა კურდღელი მეტიჩარაო,
- ლომს რომ ნიგოზი ეგბევრა, თაგვმა თქვა, არა კმარაო.

- კოზაკის ერთმა სიბრიყვემ აქლემი გააკოტრაო,
- თითისოდენა ტყუილმა სოფელი ააქოთაო,
- ტყუილს რომ სილა გააწნეს, ხელიც ვერ გაატოკაო,
- ლექსი მრავალმა დაწერა, ვერავინ გახდა შოთაო.

ციკლიდან „პატარ - პატარა კურიოზები“

ჩემი თეორემა

დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა. სტუდენტობის ხანაში გავიცანით ერთმანეთი გუდაუთაში – უნივერსიტეტს სპორტული ბანაკი რომ ჰქონდა, იქ. თითქმის მთელი თვე ვიყავით ერთად და საკმაოდ დავახლოვდით. ჩემს სამეგობროში მიღებულ კაცად ითვლებოდა. ჩვენს სიცელქეებშიც მიუღია მონაწილეობა.

ის სოციოლოგი იყო, მე მათემატიკოსი. მანაც მეცნიერების გზა აირჩია.

უზარმაზარი სიყვარულით მოვიკითხეთ ერთმანეთი.

გავიხსენეთ ახალგაზრდობა.

მოყვა, როგორ მიაჩნდა მათემატიკოსები ყველაზე ჭკვიან და უცნაურ ხალხად და როგორ უყვარდა მათი გაცურება.

დიდი მონდომებით მიამბო თავისი ნაშრომების შესახებ.

საინტერესოდ მეჩვენა.

მერე მეუბნება:

– აბა, ახლა შენ მითხარი, რას იკვლევ, რომელია შენი მთავარი თეორემა? ოღონდ ჩემთვის გასაგებ ენაზე!

აშკარად დაჩაგრულად ვიგრძენი თავი.

რა მეთქვა სოციოლოგისთვის მისთვის გასაგებ ენაზე?!

მრავალგანზომილებიან სივრცეებში ინტეგრალთა დიფერენცირებადობაზე მომეყოლა თუ ფურიე-ჰაარის ჯერად მწკრივთა პრინცჰეიმის აზრით თითქმის ყველგან კრებადობაზე?

ამიტომ, იმ წუთას რაც იუმორი ამომიხტა, ის ვუთხარი, ოღონდ სერიოზული სახით.

– მე მოვახერხე საქართველოში მაფიის ზრდა-განვითარების თეორიის მათემატიკური მოდელირება და გრაფიკულად დავამტკიცე, რომ მაფია უკვდავია, მაგრამ არა ყოვლისშემძლე.

დაკვირვებით შემომხედა.

ვერაფერი რომ ვერ შემატყო, აღტაცება ასე გამოხატა:

– საღოლ რაა!

მერე ჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო, გამამეორებინა და ჩაიწერა.

ერთხელ დასვენებაზე

ერთხელ, დასვენებაზე, სტუდენტებმა ჩემი ბიოგრაფიის შესახებ მკითხეს. დრო ცოტა იყო და მოკლედ მოვუყევი:

„ჩემი ინტერესის მთავარი ობიექტი ყოველთვის მათემატიკა იყო. თუმცა ცხოვრებამ ბევრი სხვაც მასწავლა. მიწის მუშაც ვიყავი, ფართო პროფილის ხელოსანიც. ზოგჯერ მასწავლებელი, ხანდახან ვწერდი კიდეც,

თაღლითობა ვერ ვისწავლე მხოლოდ. ამისათვის ღმერთმა არ მომცა ნიჭი, მშობელმა – აღზრდა, მასწავლებელმა – ცოდნა. ქუჩამ კი ხელი ჩაიქნია – ჩემს წესებს არ ემორჩილები, შენგან არაფერი გამოვაო“.

ლექცია უკვე იწყებოდა და მეტის თქმა ვერ მოვასწარი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აღარც აღარაფერი იყო მოსასწრები.

სენეკას უთქვამს

სენეკას უთქვამს, ასაკის მატება ხშირად ყველაზე ბრიყვსაც აჭკვიანებს, ზოგჯერ კი პირიქით – ჭკვიანსაც აბრიყვებსო.

მე მთლიანად ვეთანხმები სენეკას, რადგან ეს ორივე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, თანაც ზუსტად ამ თანმიმდევრობით.

ნეტავ ეს წიგნიც ამის დასტური ხომ არ არის?

სარჩევი

ქარი წვიმას ფარდასავით აქანავებს 3
ანუ წინათქმა თამაზ ზერეკიძის წიგნისათვის..... 3

ლექსები..... 7
მე საქართველო მტკიოდა 7
ღამე 8
მგელბიჭა..... 9
ჩემი სამშობლო 9
იდგა აგვისტო 11
შემოდგომის ნადარდალი..... 12
ჰეი, ქართველნო! 17
ისევ ტიროდა კავკასიონი 19
მშობელო ღვთისა 22
გამოგონილი სიზმარი 23
ერთხელ, სოფლად, წვიმიან დღეს 25
მოდი, გელი! 32
ფიქრი..... 34
ხე 35
მიჯნა..... 35
შებინდებისას 37
სახლი..... 40
სამნი ძველ ქალაქში.. 41
ღალატი 42
პირით ქარისკენ დავდგები 45
დაგელოდები 45
მოდი, ვიმსჯელოთ 47
სითბო 49
თუშის ქალი 51
მწყემსი ბიჭის სიმღერა..... 52
დაგიბრუნებდი..... 52
ვერ წამოგყვები 54
ჩემი პასუხი..... 55
ძველი გემი და ალ კაპონე..... 56
მგელს..... 61

ძველი და ახალი პატარა ლიახვი 62
სტუმრად უფალთან 63
სიკვდილის ტანგო 65
ხარი და მატადორი 68
სიზმრად ვნახე..... 70
მერამდენედ 71
ტყუილად მოვცდი..... 72
ქართლში გაწყდა ბრძენი კაცი 73
ანა ხელაძეს 74
ვერ ვიქართველე 75
წერილი დიქტატორს..... 76
დიალოგი სუფრასთან 78
ქართლს არ დაეხსნა ჭირიო..... 81
ნინო 84
ზეინაბ მეტრეველს 85
“ქალი სხვაა, კაცი სხვაა”..... 85
კოჯორში..... 87
ხევსურის ნაამბობი 87
გილოცავთ 88
ანკეტის მაგიერ 94
მგონი დრო არის..... 96
იქ, სადაც 97

საბავშვო და სახუმარო ლექსები 99
ჩიტების ზღაპარი 99
ორღობე 108
ძაღლი..... 109
აღარა მაქვს დარდი 111
ელენეს..... 112
ანის 113
გამხელილი სიყვარული. 113
სხვანაირი ხარ, ქალაუ 115
ფიქრნი ჩემი სტუდენტისა გამოცდის პირას..... 117
მაღლივური შემოდგომა 119
ჩემი სტუდენტის სემესტრის დასასრული 121

სოფლის სურათები 121
ეი, შენ! 123
ერთი ნაბიჯი 124
ნიკორა 125
ჩოკინა 126
სიკეთე 126
ვირუკა 127
კატათაგვობანა 128
მე გადავწყვეტ 128
როგორ შევრჩი ჯოჯოხეთს, ანუ მირჩიეთ რამე 131
ნაცქოციანი ანუ ნაცაბრექია და ქოცატყუილა 142

მცირე პროზა 150
ვიოლეტა და ლაზარე 150
ერთი პატარა ლექსის ისტორია 155
თეკა 157
ორი მეგობარი 158
ეშმაკუნა 166
მასწავლებელი 168
ოსტატი 173
მამა 177
დირექტორი 181
ლაზო 185
ამანათი 198
კეისარი და ბრუტუსი 201
ბატონი ლევანი 205
ერთი საჩუქრის ისტორია 212
ბიჭი 214
ჯინსი 219
სისხლი 221
ბებია 225
დედა 228
უსახლკარო 235

სალომე 241
ალქაჯები 250
მაუგლი 255
დიდი შიო 259
გორილების ღამე 271
ლურჯი პლანეტა 284
ლანჩა 300
ერთხელ გამოცდაზე 303
ჩემი პირველი ძმაკაცი 306
ჩემი გარდაცვალების ისტორია 312

სხვადასხვა 328
ძალით შემოვარდნილი ფიქრები 328
გზა სამოთხისკენ 330
არჩევნები 2018 331
ასი როზგი 332
მიკიტანს 333
ლუდოვიკო 337
კოლეგის ნაამბობი 338
იავნანამ რა ჰქმნა 339
ბალი, კურკა და ბაგრატ III 340
წკიპურტების მაგიერ 342
ბატკნის სევდა 343
მეფე და ხმა 343
ანაზდად წამოცდენილები: 344
ჩემი თეორემა 345
ერთხელ დასვენებაზე 346
სენეკას უთქვამს 346
სარჩევი 347

თამაზ ზერეკიძე

- დაიბადა 1953 წელს
- მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
- დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 1977 წლიდან მუშაობს ამავე უნივერსიტეტში

9 789941 826474